




047
1966 / 4



საბავშვო ბიბლიოთეკა



1966

7

ბიბლიოთეკა

7

ლიბერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
შურნალი

10.336

ი ვ ზ ი ს ი
1 9 6 6

საპარტვილოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი




◆

მთავარი რედაქტორი სუბა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია: აკაკი ბატრაძე, გურამ გვერდუთელი, მერაბ
ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მებ-
რეველი, გურამ შანუჩიძე (პ/მზ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვახტანგ
ველიძე, სერგი ზილანია, თამაზ ზილაძე, ლეზა ჯანაშია.

◆



ქვე წიგნები,



საქართველო

ივლისის ბოლოს შედგება მეექვსე ყრილობა ქართველი მწერლებისა, რომლებიც თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატებებით ხვდებიან თავიანთ ფორუმს.

დიდი და მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა — ქართულმა მწერლობამ ყრილობიდან ყრილობამდე განვილი პერიოდში შექმნა ბევრი შესანიშნავი ლექსი, პოემა, მოთხრობა, რომანი, პიესა, დაიწერა არაერთი საინტერესო კრიტიკული ნაშრომი. ჩვენმა მწერლებმა თავიანთ ნაწარმოებებში ასახეს ორგზის ლენინის ორდენოსანი საქართველოს მშრომელთა დიდებული წარმატებანი სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის ყველა დარგში. განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობა იგრძნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) ისტორიული პლენუმის შემდეგ.

კომუნიზმის მშენებელი ადამიანების წინაშე შესანიშნავი პერსპექტივები დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ. მისმა გადაწყვეტილებებმა ახალი, კიდევ უფრო დიდი და საპატიო ამოცანები დააყენა შემოქმედებითი ორგანიზაციების წინაშე, მათ შორის მწერლობის წინაშეც. ბუნებრივია, რომ მოგვიხდება ფხიზლად, საქმიანად, დაკვირვებით გადავხედოთ ჩვენს დიდ ლიტერატურულ მეურნეობას, ობიექტურად შევაფასოთ მისი ავ-კარგი, უყურადღებოდ არ დავტოვოთ ის ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს ჩვენს შემოქმედებით საქმიანობას.

საქართველოს მწერალთა მეექვსე ყრილობა დიდი მოვლენა იქნება ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ყურნალ „ცისკრის“ რედაქციამ მიიღო მილოცვები, რომელთა ავტორებიც წარმატებას უსურვებენ ყრილობას, მის ყველა მონაწილეს.

რას მოელით საქართველოს მწერალთა მეექვსე ყრილობისაგან? თქვენი აზრით, რა საკითხებს უნდა დაეთმოს მთავარი ყურადღება ამ ყრილობაზე? — ამ კითხვებზე უპასუხებენ მწერალთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები.

მილოცვები და სურვილები

ქართულ მწერლობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების დაცვასა და განმტკიცებასთან ერთად ვუსურვებ ახალი ძალების შემატებას, დაუცხრომელ შემოქმედებითს ძიებას, სიახლეს, აღმოჩენებს. კოსმოსის ათვისება, კიბერნეტიკული მანქანების შექმნა, ატომური დანადგარები და სხვა მრავალი წარმატება ადამიანის გონებისა ხომ ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერების მონაწილეობითაა მიღწეული და

სასურველი იქნებოდა, რომ ქართული რომანების და მოთხრობების საშუალებით გავცნობოდით თანამედროვეობის ამ გმირთა მდიდარ სულიერ სამყაროს, მათ პირად ცხოვრებას, სიძნელეებს, წარმატებებსა და ზოგჯერ მარცხსაც კი.

დე, მომავალ ნაწარმოებთა გმირები, კომუნიზმის მშენებლები, იქცენ ისეთივე პოპულარულ და ყველასათვის საყვარელ გმირებად, როგორც არიან ტარიელი, ავთანდილი, ოთარაანთ ქვრივი, ბაში-აჩუკი, არსენა მარაბდელი და მრავალი სხვა.

მხურვალედ მივესალმები საქართველოს მწერლების კავშირის მეექვსე ყრილობას და ვუსურვებ ახალ წარმატებებს მშობლიური ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.



ჟურნალ „ცისკრის“ მეშვეობით გულითადად მივესალმებით საქართველოს მწერალთა ყრილობას. ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ყრილობები მხოლოდ რესპუბლიკური მნიშვნელობის მოვლენა როდია. მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჩვენი დიადი ქვეყნისთვის ისევე დიდია, როგორც თვით ჩვენი ხალხების ლიტერატურისა.

საბჭოთა მკითხველს სამამულო ლიტერატურა უკვე დიდი ხანია ვერ წარმოუდგენია მოძმე ერების ლიტერატურების გარეშე. მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ბარელიეფების ზოლი იწყება დიდი შოთა რუსთაველის პორტრეტით. ამით გამოიხატა მთელი ჩვენი ქვეყნის მიერ აღიარება უძველესი ქართული ლიტერატურისა. ამიტომაც ჩვენი ჟურნალი — საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა ბირმშო — სულითა და გულით მიესალმება ქართული მწერლების მეექვსე ყრილობას.

სოციალისტური რეალიზმის, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების ერთგული მწერლები რევოლუციის პირველი დღეებიდან ქმნიან თავიანთ ახალ ლიტერატურას, ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ლიტერატურის დიდ საგანძურში. ჩვენი ჟურნალის კარები ყოველთვის ღიაა, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი რომანებისა, მოთხრობებისა, ლექსებისა და პოემებისათვის, ნარკვევებისა და ლიტერატურული გამოკვლევებისათვის.

ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას თქვენს ყრილობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს თქვენ, ძვირფასო ქართველო მწერლებო.

სერგეი ბარუზდინი,
ჟურნალ „ღრუშბა ნაროკოვის“ მთავარი რედაქტორი.



მორალურად მტკიცე, ფიზიკურად ჯანსაღი და ღრმა ცოდნას დაუფლებული სპეციალისტების აღზრდაა ჩვენი უმაღლესი სკოლის მთავარი ამოცანა. მაგრამ ამ მიზნის მიღწევას უმაღლესი სკოლა ვერ შეძლებს, იქ სასწავლო-აღმზრდე-

ლობითი პროცესი უნაკლოდაც რომ იყოს დაყენებული, თუ ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრი მას სათანადო დახმარებას არ გაუწევს.

სამწუხაროდ, ნაცვლად დახმარებისა ჩვენი საზოგადოების საკმაოდ ბევრი წა-

რომოდგენილი ხელს უშლის უმაღლეს სკოლას სტუდენტთა სწავლა-აღზრდის საქმეში ათასგვარი გზით, უადგილო, ობივატელური და ზოგჯერ დანაშაულებრივი ხასიათის ჩარევით.

უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სწავლების შემდგომ ეტაპებზე ჩვენ ვგვხვებით გარეშე პირების (მშობლების, ნაცნობ-ნათესაების) ისეთ „მზრუნველობას“ სტუდენტების მიმართ, რაც ძალიან აძნელებს უმაღლესი სკოლის ისედაც რთულ მუშაობას. პროტექციონიზმი ჩარიცხვისას, პროტექციონიზმი სწავლების პროცესში, ათასგვარი მიხვეულ-მოხვეული გზა და ფორმა მამებისა და დედების, ნაცნობ-ნათესაების „მზრუნველობისა“, რომელნიც ხშირად სცილდებიან ძალიან შემსუბუქებული და ლიბერალური იურიდიული და მორალური ნორმების ფარგლებს, — აი ის, რაც მოზღვავებულად აწვება უმაღლეს სკოლას და ხელს უშლის მისი მუშაობის ნორმალურად წარმართვას.

უმაღლეს სკოლაში მუშაობის ჩემმა ხანგრძლივმა პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ ზოგი მშობელი (სამწუხაროდ, ასეთების რიცხვი არც ისე ცოტაა) იმაზე კი არ ზრუნავს, რომ მისი შვილი ღრმა ცოდნას დაეუფლოს, გახდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, არამედ მისი მთავარი საზრუნავი საგანია როგორმე მიაღებინოს შვილს უმაღლესი განათლების „დიპლომი“, და, რაც მთავარია, ამ

მიზნის მისაღწევად მას ყველა საშუალება დასაშვებად მიაჩნია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, უნდა ითქვას დაუფარავად: უმაღლესი სკოლის კოლექტივებში არიან ისეთი მუსაკებიც, რომელნიც არ დგანან მოწოდების სიმაღლეზე და ვერ იჩენენ მორალურ სიმტკიცეს „გარეშე ძალების“ ამგვარ მოწოდების წინააღმდეგ. ისინი თავიანთი ლმობიერებით თუ ზოგჯერ დანაშაულებრივი საქციელით ზღალავენ საბჭოთა უმაღლესი სკოლის პროფესორისა და მასწავლებლის წმინდა სახელს.

ამას რომ ვწერ, მხედველობაში მაქვს საქართველოს მწერლების მომავალი ყრილობა და მივმართავ ჩვენს მწერლებს, რომ ისინიც დაგვეხმარონ ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმედი მაქვს: მწერლების მომავალი ყრილობა თავის ძირითად შემოქმედებით საკითხებთან ერთად გახდის ამ თემასაც მსჯელობის საგნად.

მე მიმაჩნია, რომ ამ საზოგადოებრივად მავნე სენის წინააღმდეგ უნდა გამოყენებულ იქნეს, პირველ რიგში, მხატვრული სიტყვის დიდი ძალა და საშუალებანი. თუ მწერლები უფრო დაუახლოვდებიან უმაღლეს სკოლას, ისინი იქ იზოვიან მრავალ საინტერესო მასალას ძლიერ მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომელნიც დაგვეხმარება ახალგაზრდობაში მტკიცე და მაღალი მორალური პრინციპების განმტკიცებაში.

აკადემიკოსი ილია ვეკუა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჩეხოსლოვაკიაში ყოველწლიურად დიდძალი თარგმნილი ლიტერატურა ქვეყნდება — როგორც თანამედროვე მწერლობა, ასევე კლასიკური. ვცდილობთ, უთარგმნელი არ დაგვრჩეს მსოფლიო ლიტერატურის არც ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები.

ქართულ მწერლობას ჩვენი მკითხველი ჯერჯერობით სათანადოდ არ იცნობს. ამას თავისი მიზეზები აქვს. ერთი ის, რომ ჩვენ — ქართული ენიდან მთარგმნელები, დღესდღეობით ცოტანი ვართ; თანაც, საკმაოდ გვიჭირს საჭირო ინფორმა-

ციისა და მასალის მოპოვება. იმედია, ახლო მომავალში ეს მიზეზები ხელს ვერარ შეგვიშლის — ამჟამად ყველა პირობაა იმისათვის, რომ ჩეხი და სლოვაკი მკითხველები მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას საფუძვლიანად გაეცნონ.

ქართულ ლიტერატურას, რომელსაც არაერთხელ უსახელებია თავი საერთაშორისო სარბიელზე, შემდგომში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები ელის.

სულით და გულით მივესალმები ჩემი ძვირფასი მეგობრების — ქართველი მწერლების ყრილობას, მის მონაწილეებს ვუსურვებ დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს, რათა კიდევ უფრო შორს გაუთქვან სახელი მშობლიურ ლიტერატურას.

პაცლავ ჩარნი,

პრალა

* * *

ახალგაზრდობა ყოველთვის მოუთმენლად, გულწრფელი სიყვარულით ელის ჩვენი მწერლების ახალ-ახალ ნაწარმოებებს. ქართველი მწერლის ყოველი ახალი გამარჯვება სიამაყის გრძნობით აესებს მას.

რესპუბლიკის მწერალთა ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებაში, ყრილობისაგან ბევრს მოელოან ჩვენი ჭბუპეები და ქალიშვილები.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ სწორედ ყრილობის გახსნის წინ გამოცხადდა გადაწყვეტილება ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიების დაწესების თაობაზე. ვისურვებდი, რომ ამ პრემიის მფლობელნი გახდნენ ღირსეულთა შორის ღირსეულნი.

წლებადელი წელი არაერთი გამარჯვებით აღნიშნა ქართველმა ხალხმა. საამაყო, რომ 1966 წელს დიდი რუსთაველის წელი ეწოდება.

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება კიდევ უფრო პოეტურს ხდის ჩვენს ცხოვრებას. ეინშტეინის რევოლუციურმა აღმოჩენებმა ფიზიკაში და კოსმოსში გატყორცნილმა დედამიწის ურთულესმა თანამგზავრებმა კიდევ უფრო მახლობელი გახადა ჩვენთვის ყინწვისის ხელთუქმნელი ფრესკის ჯადოსანი მხატვრის თუ შუა საუკუნეთა პოეტური აზროვნების მწვერვალის, გენიალური შოთა რუსთაველის შემოქმედება.

ადამიანის სულიერი სამყარო აღუვსებელი საწყაულია. სულ უფრო მეტს მოითხოვენ ადამიანები თავიანთი სულის ინჟინრებისაგან, მწერლებისაგან.

ქართველ მწერალთა ფორუმიც სწორედ ადამიანთა გაზრდილი სულიერი მოთხოვნილებების ყოველმხრივი დაკმაყოფილების პრობლემებს მიეძღვნება.

წარმატებები და წარმატებები ნუ მოგშლოდეთ, ძვირფასო მწერლებო, მუდამ გამარჯვებულებს გეტარებინოთ რუსთაველის ქვეყნის მწერლების საპატიო სახელი.

როინ მებრეველი,

საპარტოველო კომპაზოზორის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

* * *

დიდი ილიას მშობელი კუთხის — ყვარლის რაიონის მშრომელების სახელით მოგესალმებით და მეექვსე ყრილობას ვილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ლიტერატურა მუდამ იყო და იქნება ერის მასწავლებელი და შთამაგონებელი,

მისი ხულიერი ცხოვრების სარკე. ყოველი თქვენი სიტყვა ძვირფასი და მახლობელი ჩვენთვის. რწმენით, იმედით აღსავსენი მოუთმენლად ველით და უდიდესი გულ-ლისყურით ვკითხულობთ თქვენს ახალ ნაწარმოებებს — ლექსსა და მოთხრობას, რომანსა და პიესას.

განსაკუთრებით გვახარებს და გვეამაყება თქვენს მიერ ოსტატურად დახატული ცოცხალი სახეები სოფლის მაშვრალი ადამიანებისა.

ხალხია თქვენი მართალი შემოქმედების მასაზრდოებელი და ხალხსვე უბრუნდება თქვენი დაძაბული მუშაობის, უძილო ღამეების ნაყოფი.

სწორედ მშობელი ხალხის ნღობა და სიყვარულია თქვენი ღვაწლის შეფასება, — ამაზე დიდი ჯილდო კი მწერლისთვის არ არსებობს.

გივი ზაუტაშვილი,

საპარტიველოს კვ შვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

* * *

საქართველოს ბულბულის — აკაკი წერეთლის მშობლიური რაიონის მშრომელები მხურვალედ მოგესალმებით საქართველოს მწერალთა ყრილობის ყველა მონაწილეს.

ორგზის ლენინის ორდენოსან საქართველოს მშრომელებთან ერთად საჩხერის რაიონის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები — აღფრთოვანებული არიან იმით, რომ მშობლიური მწერლობა ღირსეულად აგრძელებს ჩვენი დიდი წინაპრების საქმეს.

ჩვენი მწერლობა ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენს ქვეყანაში მომხდარ ყველა დიდ გარდაქმნაში. იგი მუდამ იყო და არის მჭიდრო კავშირში ხალხის ცხოვრებასთან.

გვჯერა, რომ საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი მოწინავე რაში — ქართული მწერლობა, კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში; პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს. ქართული მწერლობა კვლავაც შეიტანს დიდ წვლილს კომუნისმის მშენებელი ადამიანის მსოფლმხედველობის, ხასიათის ჩამოყალიბებაში.

ჩვენის მხრივ პირობას გაძლევთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ წარმატებით შევასრულებთ ჩვენი რაიონის წინაშე დასახულ ამოცანებს.

პროკოფი ნოზაძე,

საპარტიველოს კვ საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი.

* * *

გორის ციხის კალთებიდან მივესალმები საქართველოს მხატვრული სიტყვის ოსტატთა მეექვსე ყრილობას.

წელს ორი საკავშირო ყრილობის მუშაობაში მივიღე მონაწილეობა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პარტიის XXIII ყრილობამ, მისმა ატმოსფერომ. ბედნიერად ვფვლი თავს, რომ ამ ისტორიული მოვლენის მონაწილე ვიყავი. ასევე ვიყავი ლენინური კომკავშირის XV ფორუმის დელეგატიც.

დამეთანხმებით, ეს უზრალო ქალიშვილისათვის ძალზე დიდი პატივია. არ ვიცი, რას ვაკეთებ არაჩვეულებრივს, ვქსოვ, ვხელმძღვანელობ მეცამეტე კომპლექტს გორის კომბინატის საქსოვ ფაბრიკაში.

ძალიან მიყვარს მხატვრული ლიტერატურა. ჩემს თანატოლებთან ერთად ხარბად ვეწაფები ქართველი მწერლების ნაწარმოებებს.

დავიწყებ ტრადიციული საყვედურით: ძალზე ცოტა იწერება საქართველოში ფიქტრებზე. განა უშინაარსოა ჩვენი ცხოვრება? თუ მეთანხმებით, გამოუძენეთ ფორმა ამ შირნაარსს, ჩვენო საყვარელო მწერლებო! მოსაწყენია მხოლოდ ნარკვევების კითხვა. თუ ლიტერატურა ცხოვრების სარკეა, ფიქტრებსაც სურთ თავიანთი თავიც დაინახონ ამ სარკეში მეფოლადის, კოლმეურნის, პედაგოგის, ექიმის გვერდით.

რუსთაველის მემკვიდრეებს არ გაგიჭირდებათ ჩვენი პატარა თხოვნის დაკმაყოფილება.

ნანული ჩარაქიზვილი,

სოციალისტური შრომის ზმირი, საბოთა
ბავშრის უმაღლესი საბოთს დეპუტატი.



რას მოველი ქართველ მწერალთა მერყრილობისაკან?

გაანია, ვინ როგორ იდეებს წამოგვიყენებს. მე პირადად მრავალი საშური საკითხი უნდა დავსვა ამ ყრილობაზე:

I. უწინარეს ყოვლისა, მე უნდა მოვითხოვო ქართული შრიფტის რესტავირება, ხელახლა ჩამოსხმა ასონიშნების, ასომთავრულის შემოღება ყოველი წინადადების დაწყებისას, ასომთავრული აღნიშვნა საკუთარი და გეოგრაფიული სახელებისა. რამდენიმე ასონიშნის რესტავირება: ა-სი, უბჯგუსი, გრძელი-ესი და სხვა.

II. შემცირება მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდუმის წევრებისა, რადგან მრავალრიცხოვანი კომისიები ჯეროვნად ვერ მუშაობენ.

III. დაბეჯითებით უნდა მოვითხოვო

აღიძრას შუამდგომლობა საკავშირო მთავრობის წინაშე, რათა მოეწყოს კონვენცია ქართველი მწერლების თარგმანებზე, რადგან პირადად ვიცი როგორ თავნებურად თარგმნიან ჩვენს რომანებს, ნოველებსა და ლექსებს უცხოურ ენებზე. ავტორებს არაფერს გვეკითხებიან, კორექტურასაც არ გვიგზავნიან, არა მარტო ამას, საავტორო ეგზემპლარების გამოგზავნასაც არ კისრულობენ.

IV. შემდეგი საკითხი, რომელიც მე უნდა წამოვაცენო, ეს არის ქართული ენის სანორმო კომისიაში ქართველ მწერალთა რიცხვის გაზრდა.

რაზე ვმუშაობ?

ეს მეორე წელია ვემზადები დიდი რომანის „თამარის“ დასაწერად. მომავალ სამთარში ალბათ დავიწყებ მის გამოქვეყნებას.

კონსტანტინე გამსახურდია,

რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

* * *

ქართველ მწერალთა მომავალი ყრილობა მხოლოდ მაშინ იქნება მიზანშეწონილი, თუ ის გაარჩევს ნამდვილ შემოქმედებით საკითხებს და დასახავს მწერლობის განვითარების ახალ გზებსა და პერსპექტივებს...

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში შეიქმნა სრულიად ახალი და დიდი ლიტერატურა, როგორც არ ახსოვს ჩვენს არც შორეულ და არც ახლო

წარსულს. ეს სიახლე და სიდიადე მდგომარეობს მწერლობის ღრმა იდეულობასა და მოქალაქეობრივ რეზონანსში, მის ნოვატორობასა და მაღალმხატვრულღებამში. ყრილობამ სწორედ ამ გზით უნდა წარმართოს თავისი მუშაობა და მწერლობის ძველსა და ახალ თაობებს მოუწოდოს უფრო მაღალი შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ.

ალიო მირცხულავა.

* * *

რას მოველი საქართველოს მწერალთა ყრილობისაგან? ზოგ მართალს, ზოგ... რასაკვირველია, სასურველია, მართალმა გადააჭარბოს ყოველივეს!

ყრილობა ალბათ საქმიანი, პრინციპული, კრიტიკული და ნაკლებად ზარ-ზეიმული იქნება. სხვა რომ არა იყოს რა, ახალგაზრდობას მოაქვს თავისი ცეცხლი და მკვნებარება!

ალბათ ყველას გვსურს, რომ ჩვენმა ხალხმა ყური დაუგდოს ყრილობას და ერთხელ კიდევ იგრძნოს, იწამოს, რომ მწერლობას შეუძლია იყოს მისი მართალი გულისა და მისი წმინდა სინდისის ღირსეული გამომხატველი მაშინაც კი, როდესაც თავის „შინაურ“ სპეციფიკურ საკითხებს იხილავს.

პირდაპირ ვიტყვი: ყრილობა სასარგებლო და ნაყოფიერი რომ იქნეს, იგი მძიებელი აზრით უნდა განიმსჭვალოს, მის ტრიბუნაზე შემოქმედებით საკითხებზე ნამდვილი კამათი უნდა გაჩაღდეს.

ჩვენი მწერლობა არ არის ერთფეროვანი, უკვე საკმაოდ არიან სხვადასხვა ხელწერის, სხვადასხვა შემოქმედებითა მიღრეკილების მწერლები. სუფევს სხვადასხვა აზრი, სხვადასხვა შეხედულება,

მამასადამე, არსებობს სადავო საკითხებიც, სადავო პრობლემებიც.

შესაძლოა, ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ადამიანებს, როგორც წესი, გვერჩიოს მოვლენათა წყნარი და უშფოთველი მდინარება! მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, რომ განვითარება წინააღმდეგობათა ბრძოლის გზით მიიმართება, რომ ჭეშმარიტება სხვადასხვა აზრთა ჭიდილში იბადება!

ერთსულოვნება ნაღდი და ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიღწეულია აზრთა ცხოველი მოძრაობით.

განვლილი ლიტერატურული ცხოვრების ძირითადი პროცესების გაშუქებით შექმნილ მხატვრულ ღირებულებათა ობიექტური შეფასებით ყრილობას შეუძლია ხელი შეუწყოს ლიტერატურის შემდგომ განვითარებას, შემოქმედებითი ძალების გააქტიურებას.

იმედია, რომ ყრილობა შეძლებს ჩვენი მწერლობის ყველა თაობის კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმვას და შემჭიდროვებას ჩვენი ეპოქისა და ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკური და მოქალაქეობრივი იდეური ამოცანების ირგვლივ.

ლავროსი კალანდამი.

* * *

ჟურნალი „ცისკარი“ გვეკითხება, რას მოველით ქართველ მწერალთა მორიგი, რიგით მეექვსე ყრილობისაგან, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს.

ამას და ამას მოველი, ესა და ეს ასე და ასე იქნება-მეთქი, ვერ დავიჭინებ. გულუ-

ბრყვილო ვიქნებოდი, რაც მე გამახარებდა, იმის მოლოდინში ვყოფილიყავი. დაე, რასაც ქვემოთ ვიტყვი, სურვილის ასპექტში იქნეს თქმული.

ვისურვებდი, პირველ ყოვლისა, საქმიანი ყოფილიყოს ჩვენი ყრილობა. რუსთა-

ველის იუბილედ კარზეა და ზეიმი მერეც გვეყოფა. კარგი იქნება თუ დიდ ლიტერატურულ პაექრობას გავმართავთ, თავისუფალსა და არარეგლამენტირებულს, თუ სიტყვით გამოსულს ხელახლა, მეორედაც მივცემდით საშუალებას ოპონენტებისათვის პასუხი გაეცა, კარგი იქნება თუ ყრილობა 3-4 დღე გაგრძელდება.

ეს იმის შესახებ თუ როგორი გვინდა ყრილობა, ახლა იმის შესახებაც ვთქვათ, გვინდა ყრილობას მოჰყვეს.

ყრილობას ლიტერატურული ცხოვრების დიდი გამოცოცხლება უნდა მოჰყვეს, და მთელი ჩვენი ცდა აქეთ უნდა მივმართოთ.

მურმან ლეზანიძე.

* * *

ქართველ მწერალთა მომავალ ყრილობას დიდი ინტერესით მოველი.

მინდა ყრილობაზე სუფევდეს გულწრფელი, მეგობრული სული. იყოს პირდაპირი და გულახდილი საუბარი. საგნებსაც, მოვლენებსაც და, თუ გნებავთ, ნაწარმოებებსაც დაერქვას თავიანთი ნამდვილი სახელები.

ამასწინათ ჩვენი ახალგაზრდობის მეგობარმა, საყვარელმა მწერალმა და ჩემ-

მა მასწავლებელმა დემნა შენგელიამ ბრძანა ტელევიზიით: — დუმბაძე ილბლიანი მწერალიაო!

და თუ ეს მართლა ასეა, ღმერთს ვთხოვ კიდევ ერთი ნატვრა ამისრულოს:

დაე, ყველა ჩემი თანატოლისათვის მომავალი წელი ისეთივე ნაყოფიერი და სისხარულო ყოფილიყოს, როგორც ჩემთვის 1966 წელი.

ნოდარ ღუმბაძე,

ლინინური კომპარტიის
პრემიის ლაურეატი.

* * *

ზევრი დიდი ფორუმისა და ყრილობის მონაწილე ვყოფილვარ, ახლა სხვაა — საქართველოს მწერალთა ყრილობა მოვლენა ჩემს ცხოვრებაში.

რუსთაველის ქვეყანაში მწერალთა დიდი ფორუმის მონაწილე იყო, პატივია.

მადლობას მოვასხენებ იმ ჩემს მეგობრებს, იმ ჩემს საყვარელ მწერლებს, ვინც მენდო, დამავალა და ყრილობის დელეგატად ამირჩია. ვეცდები შემოქმედებით

დავუმტკიცო ყველას ჩემი დიდი სიყვარული ქართული მწერლობისადმი.

მე მწამს, რომ ყრილობაზე გამოვლენ გულწრფელი ადამიანები, იტყვიან სიმართლეს, კეისარს კეისრისას უბოძებენ, გული ექნებათ გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად. სიყვარული წარგვიძღვება წინ ნათელ სვეტად, ნდობა და მხარდაჭერა ძალას შეგვმატებს.

ჯანსუღ ჩარაქვიანი.





ქვემოთ

კარგად
კითხი

საქართველო

მთავრობა

შენ და თვინი ჩვენი

ტაქსი გავისტუმრე, შინ შევბარგე ყველაფერი და მეზობელმაც მომიკაკუნა, ტელეფონზე გირეკავენო. ვიფიქრე, დედაჩემი იქნება-მეთქი. ასე იცის: ივარაუდებს თუ არა, ქალაქში ჩავიდოდაო, ხმას დამადევნებს ხოლმე, როგორ იმგზავრე, რამე ხიფათს ხომ არ გადაეყარეთ! ისე მეკითხება, თითქოს ორიოდ საათის წინ კახეთიდან კი არ გამოშაცილა, ხუთი დღის საველი გზა მედო ჭუნგლებში.

კიბე სულმოუთქმელად ავათავე. მე დედაჩემი მეგონა და ვივი არ შემრჩა ხელში?! რა სალაში, რისი მოკითხვა, — როდის ჩამოხვედიო, მომხალა. მეც ავდექი და სიმართლე ვუთხარი. აბა მოვდივარო და ყურმილი დამიკიდა. იმის თქმაც ვერ მოვასწარი, სხვა არავინ აიტორღილაო-მეთქი, თუმცა მისთვის სულ ერთია, — ორ კაცს მაინც მომაყენებს კარზე. უსაყვედურებ და გაიღრბება, ასე მიჩვენიაო. თვითონ კატა მოუკვდება ხელში და სხვასთან ასე უჩვენია. ვივი ხომ ყლაპავს და ყლაპავს, იმ ვილაყებესაც აძალებს ღვინოს. დაითვრებიან, მერე ერთმანეთს „ეხმატკბილებიან“: შენი ეგრე და იგრეო. ამას, რა თქმა უნდა, დროსტარებას ეძახიან... მეზობლების მრტხენია, თორემ, ყირაზეც დამდარან.

გაზქურაზე ტაფა შემოვდგი, — თხლად-დაჭრილი სულგუნი შევწვი; ისე არ ეკადრება ჩემს გაქუცულ ძმაცას! სულგუნი რომ შეიწვა, მერე გამახსენდა ჩემოდანი. გავხსენი ჩემოდანი და გულს შემომეყარა: მრგვალად მოხარული ქათამი დამხვდა. ორკერ ვუთხარი დედაჩემს, გახლიჩე, ნახევარი შენ დაიტოვე-მეთქი. კარგიო, მითხრა. კარგიო, მაგრამ მთელი კი ჩაუღვია. მე პირს ვიპარსავდი და მისკენ არც მიმიხედავს; მერე გადამავიწყდა კიდეც. ამას რამენაირად წავუყურებდი, ეს კუჭმაკი მაინც რომ დეტოვებინა.

ყური კარისკენ მიჭირავს, ან ახლა მომიკაკუნებს მეზობელი, ან ახლა და... ისე მკვახედ უნდა ველაპარაკო დედაჩემს, მთელი საქათმეთი შეგავრდეს.

ვიცი, დედა და ყველაფერი ჩემთვის ემეტება. რაკი დედაა, ისიც კარგად მოესხენება, რომ ამხელა ქათამს ერთ კვირას ვერ გავათავებ. მე ამ უმადობამ გადამატანინა ომის გაჭირვება, თორემ ახლა „წმინდა გიორგის“ ეკლესიის ეზოში ვიქნებოდი მიყუჩებული. ვაი, ბიჭო, ყვავები დაითალხებოდნენ! ჩემისთანები კი მიყუჩებულან!

დედაჩემს ჰგონია, ჩემზე ლამაზი და ჰკვიანი ბიჭი ორი არ დადის ამ აქოთქოთებულ ქალაქში. თურმე ფერ-ხორც

რომ მაკლია, ესეც საოცრად მშვენის. გახჭურდიდან ტაფა გადავიღე და კარზეც მომიკაკუნეს. მეზობელი მეგონა და ისევ ის ყურებჩამოგრძელებული გივი არ შემრჩა ხელში? ცოტა გადაკრულში გახლდათ.

— შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს! — ხრინწიანი ხმით ჩაიძვრა.

ზღურბლზე ჩამოვართვი ხელი:

— შემოეთრიე.

— უღრმესი მადლობა თავაზიანობისათვის, — გულზე ხელი დაიდო, — მართო არა ვარ.

— მერე, რაღას უყურებ?

შეტრიალდა.

— ბიჭებო! — მთელი ხმით იყვირა.

— მობრძანდით! — ახლა მე დაეუძახე.

შემოვიდნენ. ორივე შეგვერემანი იყო და ორივეს ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. იმას, რომელსაც ჭადარა მოსძალეობდა, რეზო ერქვა, მეორეს — დათო. ისე ყინვად დააბოტებდნენ ოთახში, თითქოს ძალიან დამაფასეს, მათი სტუმრობის ღირსი რომ გახდა ჩემი თუთუნის კვამლით შებოლილი ჭერი.

გივი სკამზე იჯდა. თვალით ვანიშნე, სამზარეულოში გამოდი-მეთქი.

წამოდგა. სიგარეტის კოლოფი მაგიდაზე დააგდო, არ იჩხუბოთ ბიჭებო და სამზარეულოში გამოვიდა.

— რას მიბრძანებ? — მკითხა და ყველი წაიტეხა.

— შე ოხერო, სკამებიც არა მაქვს, — ვუთხარი ხმადაბლა.

— არაფერია, — თქვა მშვიდად, — საწოლზე ჩამოსხდებიან.

გამეღიმა. მაინც ძმაკაცია და, თუ გინდა, კლდეს აჯახე თავი.

— ეგრე, შე კაი კაცო, — მასაც გაეღიმა, — თუ დამიჯერებ, სიბრაზე სულაც არ გიხდება.

— რას გიზამ, იცი! — ტაფას წავატანე ხელი...

თქმა აღარ მაკალა.

— აი, — მაგიდას წაართყა ფეხი, — თუ ძან გამიჭირე საქმე, ამის ქვეშ შეგაძვრენ! როგორი ღვინო ჩამოიტანე?

— მწვანე, — ისევ გამეღიმა. რამდენიც გინდა იხტუნე, ამისთვის საუფროთია.

დაეტრიალდით: შოთები დავამტვრეთ, ღვინო დოქებში გადავასხით. ვიმარჯვეთ თუ ვიცოდვილეთ, სუფრა მაინც გაიშალა.

სტუმრებს დიდი თავპატიჟი არ დაუწყიათ, უცებ მოიქნიეს ყბები. ვერ გავიგე, რა ხალხი იყო; ყველაფერზე კი ლაპარაკობდნენ: ფეხბურთიდან დაიწყეს და მთვარეს აუცვივდნენ.

გივიმ სავსე ჭიქა მომაწოდა, დაილოცეო.

— არ მინდა, — ის ჭიქა გვერდზე გადავდგი, — სოფელში ბევრი ვსვი და თავი მიბრუნის.

— რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს! — იდაყვით დაეყრდნო მაგიდას, ბიჭები შეათვალიერა, — თუ სმავ, სმავ იყოს! შენ კი, — მე მითხრა, — ამ ღვინის ფასი რომ იცოდე, რაღა მომკლავდა...

რა მეთქმის, კარგი ბიჭია გივი, მაგრამ სიმთვრალეში ერთი უცნაური ზნე სჭირს: თუ უცხო კაცთან გნახა, ისე გავიზამს საუბარს, თითქოს მისი იმედით სუნთქავ; თითქოს მოწყალება გაიღო და გზა გაგიკვლია ცხოვრებაში. „სხვას ვის დაუფასებია სხვისი ამაგი, შენ რომ მე დამიფასო, მაგრამ... მაინც ალალი და უსაყვედურო იყოს შენზე!“ თვითონ თუ გოგრაში ბზე უყრია და გზა-კვალი აქვს აწეწილი, ეს ვითომც არაფერი... ჭადრაკს წააგებს, შენი ბრალია; მხატვარია და გააკრიტიკებენ, — შენა ხარ, რაცა ხარ, იცოდე, შენ აღმღვრიე წყალი.

როცა პაპაჩემისეული ყანწით სმა მოსწყინდათ და სამ-სამ ჩაის ჭიქაზე გადავიდნენ, მონასტერი აირია, — რეზომ თავი გააქნია, ვერ დავღვევო.

— რა თქვი? — წამოიზლანა გივი.

— ვერ დავღვევ.

— მე აქ კაცი ვარ თუ გუღურა! — უყვირა.

მაგიდაზე მთვლემარე დათოს გამოვღვიძა, მთქნარებით მოისრისა შუბლი:

— ვინ ყვიროდა? — იკითხა.

— რეზო არ სვამს, — უთხრა გივიმ.

— ისე დალევს, მზე მაღლა იქნება, — დათოც აიზლანა, რეზოს მიაშტერდა, — რატომ არ სვამ?

— აღარ მსიამოვნებს.

— თუ არ უნდა, მაგის მაგიერ მე დავლევ, — გაელიმა დათოს.

გამიკვირდა. სამზარეულოში გასვლას ვაპირებდი და გადავიფიქრე.

გივიმ არ დანებდა:

— კაცად რაკი გვწერია, თვითონ დალიოს.

ბევრი გაწევ-გამოწევისა და ჭიჭყინის შემდეგ რეზო დათანხმდა, დავლევო. თეფშზე სამი სავსე ჭიქა იდგა. თეფში ჭიქებიანად აიღო, ეს ერთიო, — გამოცალა ერთი ჭიქა; ეს ორიო, — გამოცალა მეორე ჭიქა; ესეც სამიო და... რაკი ისინი არ უყურებდნენ, მე კი ცოტა მოფარებით ვიჯექი, მაგიდის ქვეშ შეასხა...

ავირიე, მაგრამ ისევე გაჩუმება ვამჯობინე.

— მაგნიტოფონი არ ჩავრთოთ? — იკითხა გივიმ.

— მაგნიტოფონი კი არა, ჩაცეცხლე ვირჩევნია, — დაიღრიჯა დათო.

რეზოს მაგიდაზე ჩათვლიმა. მე ცალკე პაპიროსის კვამლმა გამაბრუა, ცალკე უსაქმოდ ჯდომამ დამიბუჟა ხელ-ფეხი. სკამზე შეეტრიალდი.

ისევე მიუჯახუნეს ჭიქები, ეს უპატრონო მიცვალებულების სულის მოსახსენიებელი იყო.

მე ჯერ რეზოს ავკაცობა ვერ მომენულე ბინა და ახლა გივიმ არ შეაპარა ჭიქა მაგიდის ქვეშ?! — პირდაპირ მუხლებზე გადამასხა ღვინო. ერთი რიგიანი შარვალი მქონდა და იმანაც თქვენი ჭირი წაიღო. წითელი ღვინო მაინც ყოფილიყო.

ვეღარ მოვითმინე და წამოვხტი:

— რას შერები, ოხერო! — შევანჯღრიე.

— ასე მირჩევნია, — თვალბმოწყურული მომჩერებია, — იატაკი გენანება? მოდი და ამისთანა გაუგებელს ელაპარაკე!

— იატაკი გენანება და მე არ გენანები, ხომ?! —

ცივად დავეშვი სკამზე, ოფლი მოვიწ-

მინდე. მაგიდის ქვეშ ღვინის გულზე იდგა, ფეხებს რომ ვატოკებდი, ჭყაბა-ჭყაბი გაუდიოდა.

ერყინული
გინგლიცოთეა

●
შარშან რთველში კაი ხნის უნახავი ნათესავეები ჩამოგვივიდნენ ქალაქიდან. ადრევე შეგვატყობინეს, მოვდივართო. ჩვენც ადრევე დავიჭირეთ თადარიგი: აქეთ ვეცით, იქით ვეცით და ხელმწიფეებს რომ ეკადრებათ, ისე დავხვდით. დიდ-დიდი საკრეფლები თვითონ ჩამოიტანეს, რის გამოც დედაჩემმა თქვა, ჭკვიანი ხალხიაო. მისი ნათესავეები უფრო იყვნენ და სხვანაირად არც იტყოდა.

ღრუბლიანი ამინდი იყო და სტუმრები ათასნაირად დაიჩუღნენ, — ემანდ, არ დავცივდეთო.

დედაჩემი ხან ვენახის თავშია, ხან — ბოლოში და ბრძანებებს არიგებს:

— მწვანე ცალკე დაკრიფეთ, რქაწითელი — ცალკე. საფერავზე ხომ ლაპარაკი არ გინდათ! მაღლობა ღმერთს. ჯერ არც ისე გაქვთ აჭრელებული თვალები, თეთრი ვერ გააჩრით შავისაგან. გაიგეთ, ხალხნო!

მხიარულობენ სტუმრები, მხიარულობენ და დედაჩემს აქებენ, ეს რა მშვენიერი ვენახი გქონია, ნინო, ღვთის თვალი ტრიალებს შიგაო...

მაგრამ შენმა ნაქებმა და მარჯვენადანოცვილმა ნინომ სადილობისას მთელი ამბავი დაატრიალა. თავშალი გაისწორა, სუფრას შუბლშეკრულმა გადაპხედა და იკითხა:

— ვინ იდგა მესამე მწკრივზე?

ჩემმა დისწულმა არც აიღო, არც დაიღო და წამოიძახა:

— ქალაქელები იდგნენ!

მე მაშინ გოდრებს კაკლის ფოთოლს ვუფენდი. ვიცოდი, ამის შემდეგ რასაც იტყოდა და გავეცალე, ნასიმიდარშა გადავედი.

— სულ ერთია, — თქვა დედაჩემმა, — სადილის შემდეგ მიპყვენ და... ერთი მარცვალი არ ვნახო მიწაზე... ყველამ რომ ამდენი დააბნოს, გარეცხილი ქვევრები ცარიელი დამჩება!

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა მოხდა, ქალო, — გაწყრა მამი-
დაჩემი, — ოქრთა?

— ნუ მასწავლი, მე ვიცი, რაც არის!
ერთი მაისში მნახონ, ოფლად რომ ვილ-
კრები. კვირაში ორი კაბა მადნება ტან-
ზე. ჰაერზე კი არ მომიყვანია.

— მართალია, — დაემოწმა ნიკა პა-
პა, — თან კიდევ ისიც სათქმელია, რო-
მა, მაშინ ვერე ოხრად კი არა ყრია ხო-
ლმე ცხერის ხორცი! ზოგჯერ მარტო
მწვანილზე გადავდივართ იმ ქალაქის-
ტოლა დღეში.

ნიკა პაპა ჩემი არც ნათესავია, არც
მეზობელი, — მომიჯნეა, სიმართლევ
იმიტომ თქვა.

ქალაქელმა ნათესავებმა ჭამას მოუკ-
ლეს. ახლა ამზე გაჯავრდა დედაჩემი:

— განა იმიტომ გითხარით, გაიბუ-
ტეთ-მეთქი! ასწიე ჭიქა, — თავის დიდი
ხნის უნახავ რძალს უთხრა, — მართალ
ხალხს გაუმარჯოს! — დალია. მერე ხე-
ლი გადახვია, სიმღერა წამოიწყო, „ვა-
ხო შვილივით ნაზარდო“. წამოიწყო და
სხვებიც აიყოლია.

ჩაჩუმებული სუფრა ახმაურდა. მე ნა-
სიმინდარიდან ისევ საურმეზე გავედი,
გოდრებს კაკლის ფოთოლი ჩავუფინე...

სტუმრები ერთ მწკრივს მოჰყვებოდ-
ნენ. არ ვიცი, ჩემს გასაგონად თუ იქ არ
მელოდა და იმიტომ თქვა დედაჩემ-
მა, — ძალიან გაწუწურაქებულა ნინოო.
რალა დაგიმალთ და, მეწყინა. ჩემმა ქა-
ლაქელმა ბიძამ ცარიელი გიდელი გამო-
მართვა და ღიმილით მითხრა, წუწურა-
ქობა ქვრივების ავადმყოფობააო...

რთველს ორ დღეში მოვრჩით. მარ-
თალია ღრუბლიანი დღეები იდგა, მაგ-
რამ ლაზარემ ძაან ლაზათი დაგვადევ-
ნა, — ნამი არ გაიღო.

შინ ასვლისთანავე სტუმრებმა ფაცი-
ფუცი დაიწყეს, ხვალ უთენია მივდივა-
რთო. დედაჩემს არაფერი უთქვამს, მე
კი მათი ჩამოსვლის დღე გამახსენდა —
რა ყოფით ადგენდნენ გეგმებს: ჯერ მო-
ვირთვლოთ, მერე უჯარმა მოვიაროთ,
ბახტრიონიო... ესაო და ისაო.

დედაჩემი იცინოდა, მხიარულობდა,

მაგრამ მარტო მე ვიცოდი, რომ გარდა-
ზეებული იყო: სხვა დროს ფენისწვერებ-
ზე თუ დადიოდა ჩემს საძინებელ ოთახ-
ხში, იმ ღამეს სამჯერ წამომადგო ლო-
გინიდან, ჩადი, ქვევრებს დაუტოიო.

ხმაურმა გამომადვიდა. გათენებული-
ყო. ჩემს ნათესავებს აივნის ერთ კუთხე-
ში მიელაგებინათ ჩემოდნები, ზეზეუ-
ლად ილუკმებოდნენ.

— მამ აღარ იშლით, მიღიხართ, პა? —
ბიძაჩემს ჰკითხა დედაჩემმა.

— მივდივართ აბა, აქ კი არ ჩამოგი-
სახლდით.

ეზოში ჩავიდა დედაჩემი და ცოტა
ხნის შემდეგ სტუმრებს ამოსძახა, დაბ-
ლა ჩამოდიოთ.

მამინევე ჩაიკრიფნენ ეზოში. დაინა-
ხეს, — ჩვენი და მათი ყურძნით თავმო-
ბმული კალათები მსხალქვეშ მიეტუჩე-
ბინა...

— ეს სამი კალათი შენია! — ბიძაჩემს
უთხრა და იმ სამივე კალათს ხელი და-
დო სათითაოდ.

— მე ერთი ჩამოვიტანე?! — გაოცდა
ბიძაჩემი.

— მაგას არ გეკითხებიან. მერე, ეს სა-
მი კალათი შენია, — ახლა თავის დედა-
შვილს მიუბრუნდა, — ეს სამი...

სტუმრები უხერხულად შეიმშუშნენ.
დედაჩემმა კი, როცა კალათების განაწი-
ლება მოათავა, განაგრძო:

— შედით მარანში და რამდენსაც მო-
ერევით, იმდენი ჩხა წაიღეთ. რა ვქნა,
თქვენი ბრალია, მოგეცადათ, შეშრებო-
და და ჩურჩხელასაც გაგატანდით.

საუბარი შეწყვიტა, გზაზე ბანცალით
მიმავალ ვახტანგს დაეხმაურა:

— ვახტანგ, ბიჭო, იმკვირია ვენახი
მოვხნათ!

ვახტანგი გაჩერდა, მოტრიალდა.

— ჩემი თავი მოგიკედეს, ნინო ძალო,
თუ დაგზარდე, მიბრძანე და მზათა ვარ,
მამლის ყივილს გავეპარები, — ძლივს
ახამხამებდა თვალებს.

— სად ჩაგიყლაპავს! აღარ დაუმატებ?
გაღმოდო ეზოში.

— ჩამქოლეთ, გაიგეთ, რომ მოღალა-
ტე ვარ! — ხელები გაშალა და ადგილზე

დაბზრიალდა, — მადლი ქენით, ხევზე
ჩამქოლეთ, ხევზე!

— რა ვქნა, რას მიედ-მოედება? —
ჩაილაპარაკა დედაჩემმა, მერე ხმამაღლა
ვასძახხა, — რას ამბობ, ბიჭო?!

— რაღა დამალევენებს, კაცო, — სი-
ცილი აუტყდა, — ბიჭები მივატოვე,
პურ-მარილიდან ვარ გამოპარული. ნი-
ნო ძალო, სულ მოვრბოდი, შემაწყდა
გული, კაცო! მაგრად იყავით! — წავიდა
ბანცალით, თან ბუტბუტებდა, — თუ
დროზე არ გადავებრუნეთ ვენახი, საქო-
ნელი გადაგვიჩვევას, გაგვიშარავებს, აი,
ამ ასფალტივით გაგვიხდის! — მიწან
ფეხი დაჰკრა.

დედაჩემმა გასუსულ სტუმრებს შე-
ხედა.

— ვიცი, რატომაც მიყურებთ ეგრე, —
ვაიღიმა, კალათებს გადაჰხედა, ხმას და-
უწია, — დანაკარგი მენანება, ვაიგეთ!
ოფლს დაფასება უნდა! ერთ ვაზთან,
სულ ცოტა, ასჯერ მივდივარ წელიწად-
ში, ასჯერ ვეფერები, ველოლიავები...
თქვენ კი დამიდგებით აქა და მებუტე-
ბით... მკის დროს, იმ გაგანია სიცხეშიც
გენახეთ და მაშინ ვაიგებთ დაკოყრილი
ხელების ყადრსა; ძაღლსაც აღარ გადა-
უგდებთ პურს, მიაწვდით! მალა ად-
ით! — ბრძანა, — თქვენს გამგზავრება-
ზე ხვალ მოვილაპარაკოთ! ახლა ესენი
არ გამიხდნენ მოსაფერებლები?!

მე და დედაჩემმა მსხალქვეშ მიწყო-
ბილი კალათები მარანში შევიტანეთ,
ყურძენი ამოვალაგეთ და ლასტზე გავ-
ფინეთ, — არ ჩახურდესო. იმ ყურძენის
უკან ჩაბრუნება ოთხი დღის შემდეგ მო-
ხერხდა, როცა ბიძაჩემმა თელავის ბა-
ზარზე ნაყიდი თუშური ქუდი კეფაზე
მოიგდო, ქვევრთან ჩაიმუხლა, წითელი
მაჭრით მოთხვრილი ხელები დოქს შე-
მოაჭლო და შოფერას ბიჭს უთხრა, პირ-
ზე რომ მივიყუდებ, იმ დროს ჩააჩხლა-
ქუნე ეგ ოხერი ფოტოაპარატიო.

უნებურად ეს ამბავი მომაგონდა, რო-
ცა იატაკზე დაღვრილი ღვინის გუბე
დავინახე.

●
რეზო ველარ მოერია ძილს ჩემს სე-
წოლზე გაიშლართა და მაშინვე შეიძრა
უფალმა. გივი და დათო ისევ ეჯიბრე-
ბოდნენ ერთმანეთს. მე მხოლოდ ერთი
ქიქა დავლიე და გულმუცელი ამეწვა.

გარეთ ქარი ქროდა. ხანდახან დაიგ-
რუსუნებდა და ვიწრო ფანჯრიდან ვხე-
დავდი, როგორ მიშრიალებდნენ ხეები
ქუჩის გაღამა. მერე მანეიტოფონი ჩა-
რთო გვიმ და როკ-ენ-როლის მეფის
ელვის პრისლის ბლავილში აღარც გამი-
გონია ქარის წივილი.

იატაკს დავხედე: მაგიდის ქვეშიდან
გამოპარული ღვინო სამზარეთულოსკენ
მიიკვლევდა გზას.

სკამიდან ავდექი, მინდოდა, ტილო შე-
მომეტანა და იატაკი მომემშრალეზინა.
სწორედ ამ დროს დააკაუნეს. გავაღე
კარი და სერგოს ღიმილს წავაწყდი.

უსიტყვოდ ჩამოვართვით ხელი ერთ-
მანეთს. შემთხვევით შემოვვიარეთ.

— ისე არც ვაგახსენდებოდი.

— ვიცოდი, სოფელში იყავი წასუ-
ლი.

— ვინ მოვიდა? — იკითხა გვიმ, თან
ჩვენკენ მორაცრაცებდა.

— მე ვარ, — ვასძახხა სერგომ, ქო-
ჩორს იფერთხავდა.

— ეს როგორ დამბალხარ! — აათვალ-
ჩათვალეირა გვიმ, — სხვაც მოდის
ვინმე? როგორა ხარ დილას აქეთ, ჩერ-
ჩეტო?

დათო არ იცნობდა სერგოს, ამიტომ
არაფერი უთქვამს.

სერგომ ლაზადა გაიხადა, კაჩხაზე ჩა-
მოჰკიდა.

— უჰ, რა უბედური სეტყვა მოვიდა,
კაცო?! — პიჯაკიც გაიხადა, — სტუმრი-
ანობა გქონია.

გივი გამოცოცხლდა:

— გახსენით კარი! სეტყვა მოვიდაო?
კარი გახსენით და შემოლუშვით!

მაშინვე აივანზე გავვარდი, გადავიხე-
დე: მუხლზე ეყარა სეტყვა. ვიწრო ქუ-
ჩაში თეთრი ნიღვარი მიქანაობდა.

ოთახში შევბრუნდი. სერგოს საწვიმა-
რი მოვისხი. სხვებმა ვერ დამინახეს; სე-

რგომ კი მაშინ შემამჩნია, როცა კარი გა-
ვადღე.

— სად მიხვალ? — სკამიდან წამოდ-
გა, მომიახლოვდა და თვალბეჭეში ჩამხე-
და, — სალოთაოდ კი არ მოვსულვარ,
საქმეზე უნდა მოველაპარაკო.

— მეზობელთან გავალ. უჩემოდ არ
წახვიდე.

— მალე მოხვალ რო?

— ალბათ...

ქუჩაში გავედი. მივდიოდი და ფეხ-
ქვეშ ხრამუნობდა სეტყვა. ნიავს მიწის
სუნი ჩამოჰქონდა გორებიდან, მაგრამ ეს
სუნი ახლა აღარ მსიამოვნებდა.

მივდიოდი და ვხედავდი: დიდი სახ-
ლის განათებულ ეზოში გოგო-ბიჭების
ჭივილ-ხივილი იდგა, ისინი სეტყვას აგ-
როვებდნენ, ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ
მსხვილი მარცვლის პოვნაში. დახურუ-
ლი ფანჯრების იქით მინახე აკრული კა-
ცებისა და ქალების გაღიმებული სახეე-
ბი მოჩანდა, — ალბათ მხიარულ შვი-
ლებზე ფიქრობდნენ.

სველ ტროტუარს მივყვებოდი. და-
ბალი სახლის კრამიტებიდან ნაყური
წვეთები კისერში მიცვივდებოდა და მე
ცივი ჟრუანტელი მივიღიდა... ლაბადის
საყელო ავიწიე.

კაცი და ქალი წამომეწივნენ. კაცმა
შემამჩნრა, ასანთი მთხოვა. მივაწოდე,

მოუკიდა, გმადლობთო და საუბარი წა-
ვიდნენ:

— რა ლამაზად მოდიოდა ^{გაგონებული} სეტყვა!

— სინათლეზე რალაცნაირად ბრწყყვი-
ალებდა, ასეთი რამ იშვიათად მინახავს.

— ხეებმა კი ჩრდილები დაკარგეს...

მიშველი ხეები იდგნენ და ტოტებს
საცოდავად ასავსავენდნენ. მანქანა რომ
ჩაისრიალებდა ხოლმე, საბურავების ანა-
სხლეტი სეტყვა კედლებს ეხეთქებოდა...

ცივმა წვიამ წამოუშინა, — სინათ-
ლეზე გამჩნევდი, წვეთები ბრტყლად
ეცემოდნენ ასფალტზე.

ვინ იცის, ახლა ჩემს სოფელშიც სეტ-
ტყვაა; იქაც ჩაშავებული ღამეა და მეხის
შიშით სინათლეა გამოთიშული... ძლიე-
რი ქარი ქრის, ხეები ჭრიალებენ; მსხვი-
ლი სეტყვა ყველაფერს ანადგურებს:
ჩემი სათიბათვო მსხალი დაბლაა გაფე-
ნილი, ჭორფლიანი გულაბიც ტყაპა-
ტყუბით ცვივა. ახლადგამოხორბლილი
ვენახი მიწაზე წაწოლილა და მწკრივებ-
შუა ჩავილ ნიაღვარს შეწამლული ფო-
თლები თავქვე მიაქვს. ჩემი სახლის კრა-
მიტებს სეტყვა გამეტებით ურტყამს. იქ-
აც გზაა და იქაც ხშირად მიდი-მოდიან
მანქანები. ხშირად ცაც გაიეღვებს ხოლ-
მე და მე ვხედავ: დედაჩემი ღია აივანზე
დგას, ვენახისკენ იხედება და შალის ყუ-
რით ცრემლს იწმენდს.

IV ღამე... III

I

თუ ოდესმე სადმე ადამიანის ნაკლზე
ჩამოვარდება საუბარი და მეც იქ ვიქ-
ნები, უეჭველად ვიტყვი, რომ ამაზე ლა-
პარაკიც არ ღირს: ჯერ ერთი, — პატარა
ნაკლი ყველას გვაქვს, მეორეც, — რაღა
ერთმანეთის ნაკლზე ვილაპარაკოთ, რო-
ცა დღეს ფეხბურთია მოღაში. თუ მაინ-
ცადაჰმინც თავისას არ დაიშლიან და ის-
ევ ძველებურად გააბამენ ჭიკჭიკს, ხმას
ავიმაღლებ:

— მოდი, უბრალო ადამიანების ნაკ-
ლზე ვილაპარაკოთ!

— მოსაწყენი არ იქნება? — შემედა-
ვება ვილაც. მერე იმ ვილაცას სხვაც
აუბამს მხარს და გამაჩუმებენ. შემდეგ
ვინმე დაწყებულ საუბარს განაგრძობს:

— ჰო, ბაირონს მარილის დანახვა ეჭ-
ავებოდა.

— აი, რა, — წამოვხტები უცებ, —
'ეგვიპტელმა ნიორი თუ დაიფიცა, არამც

და არამც ტყუილს არ იტყვის. მაგრამ, როგორი ამბავია, თუ ძმა ხარ, ვაიგონ, თბილისში ასეთი და ასეთი კაცი ცხოვრობს (ჩემზე ვანიშნებ), რომელსაც ნიორი ეჯავრებაო?! ჰოდა, მე რომ ცნობილი პიროვნება ვიყო, არც ერთ ეგვიპტურ კალენდარს არ ავცდებოდი. მოკლედ, თუ დამიჯერებთ, პატარა ნაკლი ყველას აქვს, თქვენ წარმოიდგინეთ, დედაჩემსაც კი:

სამსახურიდან შინ დაღლილი ვბრუნდები, გულაღმა ვიშხლართები საგანგებოდ გასწორებულ ლოგინზე, ავჩერები-ვიარ ჭერს და სივარეტს ვახრჩოლებ.

— ვიპ! — თავს გვერდზე აბრუნებს დედაჩემი, — შეგიწუხდა გული, რამხელას აბოლებს?!

მე პაპიროსს უფრო მაღიანად ვექაჩები და ვეუბნები:

— როცა ვერ იტან, დედილო, შენც ადექი და აივანზე გადი.

კაი დიდი ხანია, ასე გრძელდება ყოველდღე. ყოველდღე ასე გრძელდება და, ნაკლია, მამ რა ჯანდაბაა! მაგრამ ნაკლიც არის და ნაკლიც!

როცა ადამიანის ნაკლზე ვსაუბრობთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ: ის ნაკლი გვაფიქრებს, გვაცინებს, გვაღიზიანებს თუ რაღაც ამღაგარი. ერთი სიტყვით, ღრმად რომ არ შევტოპოთ, აჯობებს, თავი დავანებოთ ადამიანების ნაკლზე საუბარს. თორემ, ბოლოსდაბოლოს ჩვენც ადამიანები ვართ და საკუთარ თავზე ჭორაობა გამოდის. მაგრამ რაკი ლაპარაკის საღერღელი ამეშალა, მოდი, ბარემ ერთი მონადირის ამბავს მოგიყვებით:

თედო ჰქვია, თუშური ქუდი კეფაზე მოუკვდია, გახუნებული ხამის ხალათი აცვია, სამხედრო გალიფე, სამხედრო ჩექმები, თოფი მხარილივ აქვს გადაკიდებული და დადის: ნაყანობსა და ნასიმინდარში, ნავენახარსა და ნატყევარში; ნასახლარებშიც დაალაჯებს, ბალახმოდებულ და ახალ სასაფლაოზეც დადერღეტობს — სადაც არ მოელი, იქ დალანდავ თავისი გალექული მეძებრით. ისეთი წარმოსადეგი ვინმეა, შეხედავ და იტყვი, ნეტავი შენს პატრონსო. თუ შე-

გხვდა, მოგესალმება, პაპიროსს გთხოვს ან შეგთავაზებს, არ ეწევი და ყოჩაღო, გეტყვის. მერე თანდათან ნაღობისკენ მივადრეკინებს საუბარს... უსმენ და გიკვირს: ამდენი ნადირი სად იყო, სად უყვლაო; რა მაგარი სარეკის შეკვრა სცოდნიაო. თან აქეთ-იქით იხედები — იმისიორე ტყიდან აქ რამ ჩამოიყვანა დათვებიო; ცხვარი მთაშია და ამ გახრი-ოკებულ ძეძვნარში რა დაშლიდგინებდა მგელსაო; სულ ერთი ხაფანგი ჰქონია და იმ ერთადერთმა ფოცხვერმა რაღა იმ ერთადერთ ხაფანგში ჩაყო ორივე წინაფეხით?! რას არ გაიგონებ ამ ქვეყანაზე, კაცო?!

ახლა მე ვიცი, ვინმე ჩაიცინებს, მონადირეს მეტი რა მოეთხოვებაო. რალა ვინმე, ერთმა ჩემმა ძმაკაცმა, რომელსაც აგრეთვე ნაკლი აქვს — სიმართლის პირში თქმა უყვარს — მითხრა: შენი მეზობელი მხატვარი, აი, ის, მეძებარი რომ ჰყავს და ტატუ ჰქვია, ყოველ შაბათ-კვირას სახადიროდ რომ დაეხეტება და ნანადირევს შენ გაძლევს, ესეც მონადირული ნაკლია თუ არაო? მართალია, მაგრამ ისიც მართალია, მე სულ სხვა რამისთვის დავიწყე და შენ კი დამთავრებას აღარ მაცდი-მეთქი. თუ ასეა, აბა, ჰე, გაუტეო.

თედო დიდი ომის მეორე გაზაფხულზე მოავლინეს ჩვენს სოფელში ფიზიკის მასწავლებლად. ომი იყო და ბიჭები ომში გაიკრიფნენ. ვინც შინ დარჩა, ან კოჭლი იყო, ან ცალხელა, ან ცალთვალა, ან, დმერთმა დაგიფართო და, ჭკუანაჯლული. რაკი მაშინაც წარმოსადეგი გახლდათ ჩვენი თედო, გოგონების თვალქვეშ უცებ მოექცა. გოგონები ხომ, ლაპარაკი არ გინდა, ბლომად იყვნენ. მაგრამ თედო ზოგიერთივით არ დაბნეულა: გაიკითხ-გამოიკითხა, ვინ ვისი შვილიაო, ვინ ვისი ნათესავიო... ბოლოს ერთ დედისერთა გოგონზე შეაჩერა არჩევანი, თუმცა იმ გოგოსაც ჰქონდა პატარა ნაკლი, — თვალეები ცალ-ცალი კალოშივით გაურბოდა აქეთ-იქით.

შემოდგომამზე რთვლობამ ჩაიარა და გოგოს მამას მაჰანკალი მიუგზავნა თე-

10.336

დომ თუ უარს მეტყვი და ცოლად არ გამომატან, მოგტაცებ, ცხრა მინდორს გადავტარებ, ცხრა მთას, ცხრა ზღვას და ოქროს კოშკებს მაინც ვერ დავპირდები, მეც არაფერი მაბაღია რაო, ჩემი მარჯვენა და ჩემი ვაჟაცობაა ჩემი ავლა-დიდებაო.

გოგოს მამამ — დათამ — უარი შეუთვალა. გაიგო ეს ამბავი საპატარძლომ და გააბა ხავილი, თავს მოვიკლავო, დაემუქრა. რაკი იმხანად იოდი ძნელად იშოვებოდა და მათ ძროხასაც სწორედ იმხანად შეაჭრეს თოკი და რაკი მდინარეები მაშინაც ასე მიედინებოდნენ, გამოსავალი მონახა: ვიშვერ ფესსა და აგორებულ ალაზანში გადავვარდებიო.

აბა, დათას ჰქონდა ნაკლი თუ ჰქონდა — ჯიუტი კაცი არ იყო; გაიფიქრა. ქალის ჭკუას მეტიც არ მოეთხოვებო. ადგა და დათანხმდა, თეთრმა გიორგიმ გაგაბედნიეროთო.

ყველას რომ ეგონა, საქმე მოგვარდაო, უმნიშვნელო რამეზე კი დაირიგნენ: თედოს შესთავაზა დათამ, ზედსიძედ მობრძანდითო. თედომ შემოუთვალა, როგორ მიბედავ მაგას, ქალად არ დავბადებულვარ და გათხოვებას მიპირებო?! შენ იქნებ მზითევიც მომთხოვო?! ახლა ისევ დათამ შეუთვალა: ეს ერთი გოგო მყავს, ჩემი ლობიოს ქოთნის მიმხედოც ეს არის და ჩემი მიწის მომყრელიცა, ემანდ ყელი არ გამოიჭრა, ეს მონაგარი თ სადღეო ოჯახი არ დამიქციოთ.

ხეწნა-მუდარამ არ გასჭრა და კეთილი ხალხი ჩაერია საქმეში. და, როცა არავინ ელოდა, ესე იგი, იმავე დღეს, სასიმაპროს წარუდგინეს სასიძო. ნათესავ-მეზობლები გააცნეს, ქორწილის დღე დათქვეს. მერე პატარა პურ-მარილი გაიშალა: დალოცეს ნეფე-დედოფალი, გზაზე ამვლელ-ჩამომვლელი, ვინც ამ ოჯახში კეთილი თვალთ შემოიხედოსო... ზოგი დათვრა, ზოგი გატყვრა და სიმღერა შემოსძახეს:

...სტყორცნა სიძემა, ჰარლალო,
მოკლა ირემიო.

სტყორცნა სიმაპრმა, ჰარლალო,
სტყორცნა სიმაპრმაო,

სტყორცნა სიმაპრმა, ჰარლალო,
მოკლა სასიძოო.



საქართველოს
ქვეყნული
ბიბლიოთეკა

სიმღერა რომ ჩათავდა, წამოდგა და — თა, ამ პატიოსან თამადას ვთხოვ, ეგეთი რამე აღარ იმღეროს; ჯვარი გვწერია ოთხთავკუთხეზ, მაგრამ, რა ვიცი, არ ამოცხადდესო.

გვიან აიშალნენ სტუმარ-მასპინძელი, სასიძო კი იმ საღამოს სიძედ იქცა.

თედოს გამართული სახლ-კარი დახვდა, მოვლილი ეზო-ყურე, გატომული ვენახი, მეწველი ძროხა, კრუს-წიწილა, წაბლა ცხენი და... მავთულზე გამობმული ყურებდაჭირილი და კუდალა მურია.

დათა ძველი მონადირე იყო, თოფ-იარაღიც ჰქონდა, ხაფანგიცა და ბადეც. ერთი-ორჯერ სიძე კურდღელზე სანადიროდ წაიყვანა. თედოს ძალიან მოეწონა ჭალა-ჭალა და ტყე-ტყე ხეტიალი. მართალია, მანამდე ნადირობა ფიქრადაც არ მოსვლია, მაგრამ სროლით კი, ღვთის წინაშე, მარჯვედ ესროდა.

მერე, როცა სიმაპრს მუხლებში ქარი ჩაუდგა, თედო სანადიროდ მარტო დადიოდა; ადგებოდა დილაუთენია, აიღებდა თოფს, შემოირტყამდა პატრონტაშა და, მე შენ გეტყვი, შორს მოუწევდა წასვლა, — ტყე იქვე იყო, ორიოდ ნაბიჯზე, ტყეცა და კურდღელიც. ომის დროს ძალიან მომრავლდა კურდღელი. ნაღდი მონადირეები ომში წავიდნენ, ჯერ ის შემოსეული ნადირი დავხოცოთ, ესენი სად წავგვივლენო. ბიჭ-ბუჭებს კი, აბა, თოფს ვინ გვანდობდა. ეგ კი არა და, ბეზიანემმა ისიც კი თქვა, ვისაც ახლა თოფი უჭირავს ხელში, ნეტავ, ისე იყოს საქმე, მათაც არ ეჭიროთო.

ნადირობდა თედო და ამ ნადირობაში გადიოდა დრო: წლისთავზე ბიჭი შეეძინა, მეორე წლისთავზე — ისევ ბიჭი. ამა-სობაში ომიც დამთავრდა.

ომი რომ დამთავრდა, დაიქინა, სამსახურს ვენახში მუშაობა მიჩვენიაო. ადგა და კოლმეურანეობის თავმჯდომარესთან მივიდა. თავმჯდომარე ხათრიანი კაცი გახლდათ, უთხრა, ჩვენი უბნის სიძე ხარ, მაგაზე უარს როგორ გააკადრებო.

დაიწყო თედომ კოლექტივის ზერებში მუშაობა: სამ დღეს იქ იყო, ორ დღეს თავის მამულში, დანარჩენ ორ დღეს ნადირობაში აღამ-ათენებდა. ბოლოს იფიქრა, სიმამრი უჩემოდაც ზელს არ აქლებს ჩემს ადგილ-მამულსაო და: სამ დღეს კოლექტივში მუშაობდა, ოთხ დღეს ნადირობდა. მერე, როცა ცოლის ბიძაშვილმა ვალეული მეძებარი აჩუქა, გაკეთდა კაცი პატრონდაბრუნებული ვენახივით.

ამის შემდეგ უფრო ბევრი კურდღელი მოჰქონდა შინ, მაგრამ სიმამრი პირს არ აკარებდა, რაც დიდად არ ანაღვლიანებდა თედოს.

— მე, შვილოსა, ნადირობით ნაცხოვრები ოჯახი ჯერ არ მინახავს, შენ თუ აცხოვრებ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

დანადირობდა თედო ტყე-ტყე, ჭალა-ჭალა, მინდორ-მინდორ... სიმამრს ეგონა, ან დღეს მოიშლის წანწალს ან ხვალეო, მაგრამ საშველი არ დაადგა. ამას კიდევ მოითმენდა კაცი, ერთი უბედურება რომ არ გამომტყვრალიყო: მურიას დაგეშვა მონდომა.

მურიამ ჯერ ვერ გაიგო, რას ერჩოდნენ; მერე ცოტა-ცოტას მიხვდა, — მეძებარს დაუწყო კულში დევნა, საყელურს ეს მირჩევნიაო. სად მივყავს ქოფაკიო, ჯავრობდა სიდედრ-სიმამრი; მათი ვაჯავრების მიზეზი უფრო ის იყო, რომ ერთ დღეს მეზობლის უპატრონონეზვი შეძვრა ბოსტანში და ახლადჩათესილი კარტოფილი ამოაბრუნა...

მეძებარი აიღებდა კურდღლის სუნს, ისუნსულებდა, ისუნსულებდა და ბოლოს, წამოაგდებდა ხოლმე. მეძებარი კურდღელს რომ წამოაგდებდა, მერე იცოდა მურიამ თავისი საქმე: ერთი, აფუო, — გადაპყრიდა გრძელ ფეხებსა და ჩაუდგებოდა კვალში: წინ ქოფაკი, უკან მეძებარი. მურია თუ კურდღელს დაკარგავდა, ჩერდებოდა, — მეძებარს ელოდა, ხელახლა წამოაგდებო და ისევ: წინ — ქოფაკი, უკან — მეძებარი. სულ უკან — თედო.

მურია კურდღელს უყურებდა და ისე

მისდევდა, ამიტომ იყო: ხან კატაბარდაში იხლართებოდა, ხან ყირაზე გადადიოდა. თედო კურდღელს მოარტყამდა და: მერე გენახათ ყირაზე გადავლა. მაგრამ მივიდოდა თუ არა, სადაც ნანადირევი ეგულებოდა, კუდის ქიცინითა და ტუჩების ლოკვით ხვდებოდა მურია. ტრიალებდა თედო, — კურდღელს ეძებდა. წვრილიანი იყო — ბუჩქებს ჩხრეკდა, მინდორი იყო — ბალახებს, ღელე-ღულტე იყო — ძეძვიან ფერდობებს. ამ დროს მეძებარი ნაღვლიანი თვალებით უყურებდა პატრონს, თითქოს ეუბნებოდა, რა იქნა და მურიამ შესანსლაო.

თედო რაღა მონადირე იქნებოდა, ვერ დაეგეშა მურია. ჰოდა, მოკლავდა კურდღელს და გაქცეულ ქოფაკს უყვიროდა:

— მურია, სდექ!

მაგრამ მურია სათანადოდ არ გახლდათ განსწავლული. არ იცოდა, რას უბრძანებდა პატრონი და... არ ჩერდებოდა.

თედო ხელცარიელი რომ ბრუნდებოდა შინ, მაინცდამაინც არ სწყინდა, მარტო იმაზე ფიქრობდა, ერთხელ მე როგორ ვერ უნდა მივასწროო. მოკლავდა კურდღელს და: ვინ წინა და ვინ უკან! ეჰ, მურია ასწრებდა ყოველთვის.

ყველა ერთსა და იმავეს ეუბნებოდა თედოს, ამ ბოლო დროს რაღაც ბედი არ გწყალობსო. მართალიაო, ეთანხმებოდა თედო. ძაღლის ამბავს არ ამხელდა, იცოდა, მაინც არ დაუჯერებდნენ; სოფლის ყბაში ჩავარდნას კი ისევ ძაღლის ხელში ჩავარდნას ამჯობინებდა.

ცოლმა ბღვერა დაუწყო, სიდედრი, საერთოდ, არ ელაპარაკებოდა და რას ეტყოდა. მამას დაპირებული კურდღელი არ მოჰყავდა და შვილებიც არაფერს უჯერებდნენ. ეს ამბავი მარტო სიმამრმა იცოდა და ეღიმებოდა, თუმცა თავს ისე აჩვენებდა, ვითომ საქმის ბაიბურშიც არ იყო...

გაბრაზდა თედო, გაბრაზდა და ცუდი რამე გაოვლო გულში, მაგრამ მაშინვე სიმამრის ნათქვამი გაახსენდა, მურიას არაფერი დაემართოს, თორემ... ალავე-

რღმი ვაზისუბნელი ღვდელი როა, ბარემ იმასთან ეზიარეო.

რაკი სხვა გამოსავალი ვერ ნახა თედომ, ქოფაკი დააბა. მაგრამ წრიკ დილით სანადიროდ წავიდოდა თუ არა, სიმამრი მურთას აუშვებდა ხოლმე.

დაარჩენებული თედო სანადიროდ მიდის. ჩასცდება სოფელს, გაიხედავს და, წინ არ მიუხტის მურთა?! ტუქსავს ძაღლს. ქვებს ესვრის, ფეხებს უბაკუნებს. მეძებარც ეკაწუნება მურთას. მურთა თავს ჩაღუნავს, — ისე მიიზღაზნება სოფლისკენ, თითქოს ძალიანაც არ ესალისებოდეს სანადიროდ წასვლა, თან უკან-უკან იხედება. თვალს მიეფარება თედო და ისევ აედევნება ღობე-ღობე.

იმ დღეს ორი კურდღელი იხადირა და მაინც ხელცარიელი უნდა მისვლოდა ცოლ-შვილს. გაბრაზდა თედო, ასეთ ყოფას სიმამრთან გაყრა სჯობიაო, — თოფი დასცა მურთას. მურთა რომ მოკლა, მერე გაშრა კაცი, გახედა, რა პირით დავბრუნდე შინაო. იფიქრა, იფიქრა და კარგად რომ დაღამდა: ძმაკაცს მიუკაკუნა. ის ძმაკაცი ვეტექიმი გახლდათ და, როგორც ყველა მოკვდავს, მასაც ჰქონდა ნაკლი — ტყუილის თქმა არ ეზარებოდა.

თედო მოუყვა თავის გასაჭირს, ასე და ასე დამემართა, ძაღლი შემომაკვდა. წამოდი. დამემოწმე, ვითომ ცოფიანი იყოო.

ადვილი სამსახურიო, სიცილით წაპყვა ვეტექიმი, პურ-მარილი ელოდა და ის ამხიარულებდა.

თოვლიანი გზა გაიარეს, მივიდნენ თედოს სახლში. ხედავენ: ავად გამხდარა ბერიკაცი, ლოგინში წევს, მისი ცოლი ლუმელს შემშა უმატებს, შვილი ქვაბს უტრიალებს, შვილიშვილები კი სკამზე ჩამომსხდარან, პაპის ზღაპარს ისმენენ: ორი ქოსატყუილას ამბავს ჰყვება.

დათამ თავი წამოსწია, ვეტექიმს ჰკითხა ღიმილით, რატომ შეწუნებულხარო. ვეტექიმი რომ მოუყვა, აი, ის იყო თუ იყო ზღაპარი.

თქვენი ჰირიმც წაუღიაო, ისევ ჩაიცი-

ნა დათამ. გახარებულმა თედომ სტუქმარი მეორე ოთახში გაიყვანა, თითო ჰქიქა ვაჟუნებს და ველიოთო...

ზღაპარი დაამთავრა დათამ და შვილიშვილები სკამიდან წამოყარა:

— წადით, ბიჭებო, დაიძინეთ, ხვალ მამათქვენი კურდღელს მოგიყვანთ.

ბიჭები ხმაურით გაცვივდნენ საძინებელ ოთახში, იცოდნენ, პაპა რასაც იტყოდა, ასრულდებოდა კიდევ.

ხელები თავქვეშ ამოიღო დათამ, ფიქრში წავიდა. ის საღამო გაახსენდა, სტუქმარები რომ მღეროდნენ:

...სტყორცნა სიძემა, პარლანო,
მოკლა ირემიო.
სტყორცნა სიმამრმა, პარლანო,
სტყორცნა სიმამრმაო,
სტყორცნა სიმამრმა, პარლანო,
მოკლა სასიძოო.

გაელიმა დათას და ჩაილაპარაკა:

— ნეტაი ამცხადებოდა!

ცოლმა ლუმელის ჩხრეკას თავი მიანება და შეეხმაურა:

— რა უნდა აცხადებოდა, კაცო, სიზმარი ნახე რამე?

— არ ჩამძინებია და რა უნდა მენახა.

— რავი, რაღაცას კი ვაბოდებს და!

— ეეპ, — ისევ ჩაიციდა დათამ, — შენ მიდი, ბიჭებს მიმიხედე, არ დამიცივდნენ, — და გვერდი იცვალა.

მეორე ოთახში ვეტექიმი ცოფის თაობაზე ესაუბრებოდა თედოს.

II

ღმერთმა ნუ ქნას, ჩემს სოფელში მხოლოდ ერთი მონადირე იყოს და ისიც მარტო კურდღელზე ნადირობდეს; მაშინ ხომ მართლაც ჩამოგვიცვივდებოდა მთიდან ნადირი და გავგიჩანაგებდა საქონელს. ასეთი რამ ვინმემ გულშიც რომ არ გაივლოს, მეც ავდგები და კიდევ ერთი მონადირის ამბავს მოგიყვებით, თუმცა წინასწარ ვაცხადებ: ეს ამბავი ბუხართან მოგონილი ზღაპარია და ზოგ-ზოგების წყალობით გასაღდა სინამდვილედ.

მიუხედავად ტრანსპორტის ნაკლებობისა (განსაკუთრებით კი მეტროსი) ქო-

რი სოფელში უფრო მალე ვრცელდება; უცებ იქცევა ხოლმე ჩურჩულად. ხით-ხითად, ბუზღუნად და ხშირად — კინკლაობად. შეიძლება ქალაქში გაგზავნილი წერილის მიხეზივც განდეს. მაგრამ ეს ჩვენი საუბრის თემას არ ეხება.

ის ამბავი, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, თუ ჩემს სოფელს არ გასცილებია, უპირველეს ყოვლისა, თვით იმ მონადირის ჩრდილში ყოფნას მიეწერება, ვიდრე, ასე ვთქვათ, თავგადასავლის ავკარგიანობას. და თუ მაინც საშაქარაოზე გამომაქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხი გავცე იმ ორ ყალთაბანდს, რომელთაც სხვაზე ჭორაობის მეტი ვერაფერი მოიფიქრეს. ამის გამო ისინი ორმაგად ტყუიან. ჯერ ერთი: თუ ჭორაობაა, თავიანთ მეზობელზე იჭორაონ, ჩემსას რას ეპოტინებიან? მეორე და მთავარი: ბოლოსდაბოლოს უნდა შეიგნონ, რომ ჭორაობა ქალების საქმეა და ნუ აცლიან ხელიდან. ესეც არ იყოს, მას შემდეგ ბარე ოცი წელი გავიდა. თუმცა კი ამბობენ, ახლაც ნადირობსო, მაგრამ ღმერთი, რჯული, მე ამ საქმისა არაფერი ვიცი. მე მხოლოდ ეს ვიცი: პატიოსანი კაცის ყბადალება ვაქვაცობა არ გახლავთ. ამის გამო მე ამ განმაურებულ ზღაპარს გულგრილად ვერ ავუვლი გვერდს. უფრო მეტიც, — იმ კაცის დაცვას ჩემს უპირველეს მოვალეობად ვრაცხ.

ამასწინათ ტრამვაიაში მოგვარი ყური, თურმე მაკედონელიც ნადირობდა. აბა, კარგად დაფიქრდით და ისე მიბასუხეთ, — რომელმა მემატთანემ შემოგვიანახა ანეკდოტი მაკედონელის ნადირობაზე? არავინ ხომ? რა თქმა უნდა, არავინ! როგორ გგონიათ, საკბილო ვერ ნახეს? ნახეს, მაგრამ წაუყრუეს. თუკი სიცოცხლე მობეზრებული ჰქონდათ, ნუ წაუყრუებდნენ. მეტი სასაცილო რაღა გინდა, დალოცვილო, მარეკები ორ ნაბიჯზე მიუგდებდნენ ხოლმე ნადირს და, ბრმა თუ არ იყო, მოარტყამდა ისარს. ნეტავ, იმსოროზე რამ წამიყვანა, როცა აგერ, ერთ სულიერს ვიცნობ შორიდან, ამბობენ, ის სულიერი დროის მოსაკლავად მხოლოდ ნაკრძალში ნადი-

რობსო, მაგრამ, ღმერთი, რჯული, მე არც ამ საქმისა ვიცი არაფერი. ის მონადირე კი — ბარნაბა — რომელიც ბის მოყოლასაც ამდენი ხანია ვაპირებ და თავი ვერ მოვაბი, არც მეფეა, არც ერთი ვინმე სულიერი; ამიტომ, არც მარეკები ჰყავს, არც ნაკრძალში დაბორი-ალობს, — უბრალო მონადირეა და უბრალოდაც აქილიკებენ ოტროველა ბიკები. მოკლედ, ძალიან რომ არ გავაჭიანუროთ, ეს ამბავი სწორედ ისე მოხდა, როგორც ახლა მოგიყვებით:

ბარნაბა დადიოდა სანადიროდ და ერთის ნაცვლად ორი მეძებარი დაუდიოდა აკაჭახებულ ვენახშიც, აშამებულ ჭალაშიც, მაყვალმოედებულ მინდორშიც, ყანაზე მომდგარ წვრილიანშიც. მაშინ ბლომად იყო ხოხობი, მერე და მერე კი გაქრა და ყოყმანის გარეშე მონადირეებს დააბრალეს.

სხვაზე რა მოგახსენოთ და, ეს ტყუილი ჩემთან ვერ გაასაღეს. ხოხობს მონადირეები როგორ გააუბარაქობდნენ, მოწამლული ხორბალი რომ არ დაეთესათ, ვითომ და თავგს ვებრძვიოთ. თუ დამიჯერებთ, თავგს ბუც მშვენივრად ებრძოდა. მოწამლული ხორბალი დათესეს და თავგის შიშით ხოხობი მოსპეს. იმ ხოხობს ყვავიც ზედ მიაყოლეს, თითქოს ყვავს ისიც არ ყოფნიდა უბედურებად. ქორის ოინები რომ მიაწერეს, — წიწილას გეტაცებსო. ასეა თუ ისე, თავგს ახლაც იჭერს ხოლმე ჩვენი კატა, ხოხობზე კი ამბობენ, ნაკრძალშიაო. შეიძლება მართლაც იყოს. ცხოვრებაში ამაზე უარეს მოულოდნელობასაც წაგწყდომივარ.

იმას ვამბობდი: დადიოდა ბარნაბა სანადიროდ და დაუდიოდა მეძებრები. მეძებრები სწრაფად წამოაფრენდნენ ხოლმე ხოხობს, ესროდა ბარნაბა, მაგრამ რა გინდა, რა, — ბუმბულს ვერ აგდებინებდა. სულ ტყუილად წკაფვკაებდნენ ძაღლები და ბარნაბაც სულ ტყუილად იხევდა ტანსაცმელს ძეძვებში ძროშიალით. მთელ სოფელში კაცი არ მეგულე-ბა, ეთქვას, მისი მოკლული გულყვითელი მაინც მინახავსო.

მაგრამ ერთ ზაფხულს, ცოლი სამშობ-
ლოში რომ გაისტუმრა, ბარნაბამ ხოხობი
არ მოჰკლა?! ე, ვაფრენილი ხოხობი
არ ჩამოადგო?! თურმე ისეთ ღიჰის ბარ-
ნაში ჩავარდა, შიგ ღობემძვრალაც არ
შევიდოდა სანაძღოფზე. მე იქ არ ვყოფი-
ლვარ და საიდან მეცოდინება, რა ხა-
სიათზე დადგა ბარნაბა. მეტი რა გზაა,
ისევ სხეებს უნდა დაეუფერო; მარწმუ-
ნებენ, ჩვენი თვალით დავინახეთო: წა-
მოფრინდა ხოხობი და ესროლა ბარნა-
ბამ. ფრინველი შექანდა, ფრთები მო-
კეცა, დაბლა შეკუმშული მოექანება.
თვალებს იფშენეტს ბარნაბა, — თან სჯე-
რა, თან არ სჯერა. მერე ღიჰის ბარნაში
რომ ჩავარდა ის ხოხობი, დაადგო თოფი,
შეიკუნტრუშა და გაენტო... ასე იყო.
მართალია, ტანსაცმელი შემოაფლითა
ღიჰის ეკალმა, მაგრამ ესეც არაფერი,
რაც მთავარია, ხოხობი გამოიტანა. ხო-
ხობს ჩანთის ყულფში თავი გააყოფინა,
ზოხი ხმით ჩაახველა და გამოვიდა გზა-
ზე. მიდის ბარნაბა ღიღინით, ხან ღიღი-
ნით, ხან სტგენით. მიდის და მიაკანკუ-
რებს ხოხობს. გზის ერთ მხარეს ვენახია,
მეორე მხარეს — კორომი. ვენახს აკა-
ციის მაღალი, ცოცხალი ღობე აქვს შე-
მოვლებული. კორომში თეთრი თოკით
დაბმული თეთრი ცხენი დაბალაჯობს.
ბარნაბამ დაინახა თეთრი ცხენი, გაჩერ-
და და დაიხმაურა:

— ეჰეი! ვისია თეთრი ცხენი!

ღობის იქით — შაქრია ფაჩუნობს, ფენის
წვერებზე იწევს, ცდილობს, კარგად გა-
არჩიოს, ვინ ყვირის.

— ბარნაბა ხარ?

— მე ვარ, კაცო, თეთრი ცხენი ვი-
სია? — კარგად კი იცის, ვისიც არის.

— ჩემია. ხმაზე გიცანი, — ღობეს მი-
ჰყვება შაქრია, ტოკავს, გზაზე გასახედს
ეძებს, — მოხდა რამე?

— რა უნდა მომხდარიყო, საწანახე-
ლოდ არ იყო გაშვებული-მეთქი.

შაქრიას უკვირს, უკვირს და უხარია,
რა მოელანდა ამ უსაღმო კაცსა, მზეში
რომ დაყუდებულა და არკვევს, ვისია
თეთრი ცხენი, არ აიწყვიტოს და ვენახი
არ წაახდინოსო.

როგორც იქნა, იბოვა შაქრია ^{გზაზე}
გასახედი:

— რამოდენა ხოხობი მოგიყვალა ბარ-
ნაბა? — თვალეზი გადმოჰკარკლა.

ბარნაბას თოფი მეორე მხარეზე გა-
დააქვს, პატრონტაშის თასმაში თითები
ჩაუყურია.

— შორს იყო, მეგონა ვერ გასჭრიდა,
მაგრამ ლულადალოცვილია ჩემი თოფი.

— რა იქნება მაგისი ჩახოხბილი? —
ულვაშზე ხელს ისვამს შაქრია.

— შემწვარი აჯობებს, — მერე მიდის
ბარნაბა და სათქმელს უტოვებს, — ეს
წამლობაც ჩაივლის და რთვლამდე საქ-
მეც აღარ გვექნება. ცხენი არ აგეშვას
და ამ სიკეთის დროს ვინმე არ გაამწა-
როს...

შაქრია კი მთელი დღე ფიქრობს, ნე-
ტავ მართლა თვითონ მოკლა, აჩუქეს თუ
სადმე მკვდარი იბოვაო. შეიძლება მო-
წამლული ხორბალი ჭამა და იმან მოკ-
ლაო.

ბარნაბამ პატარა გზა გაიარა და:

— გამარჯობა, ძმისწულაო! — ბალზე
აბლოტებულ ბიჭს ესალმება.

ბიჭი გაოცებული მიჩერებია ბარნა-
ბას, ფიქრობს, ყურმა ხომ არ მომატ-
ყუაო.

— მე დამიძახე, ბარნაბა ძიავ? — ხე-
ლში ფოთლიანი ბლის კუნწულა უჭი-
რავს.

— ფოთოლი არ ჩააყოლო, ცოტა ქა-
ლაქელბსაც შეუნახე...

ბიჭმა ხოხობი დაინახა, კაცი გაჩერე-
ბულია, ის ხოხობი კი მაინც ქანაობს.
რომ არ ქანაობდეს, ალბათ, ვერც დაი-
ნახავდა.

— ბარნაბა ძიავ, მამალი ხოხობი მო-
ჰკალ?

— მამალი უფრო ჭრელია, შე მამაძა-
ლლო!

ნელა მიდის ბარნაბა და მზეც ნელა
მიიწევს ცივგომბორისკენ. ბიჭი კი ბალს
ჭამს, კურკას ფრთხილად იღებს პირი-
დან, მარჯვენა ხელის ცერსა და საჩვენე-
ბელ თითს შუა იქცევს და ხმელ ფო-
თოლს ესვრის, — ვერ იქნა და ვერ მო-
არტყა! თან ბარნაბაზე ფიქრობს, ბარ-

ნაბაზე კი არა, ხოხობზე, ვიდრე შინ აიტანს, სუნე არ დაეცესო.

რკინიგზასთან რომ წყაროა, იქ შეისვენა ბარნაბამ, ცემენტის ნაგზე ჩამოჯდა.

მოპირდაპირე ორღობიდან პატარა ბიჭი გამოვიდა, გამარჯობათ, მიესალმა ბარნაბას. ჯერ პეშვით დაეწაფა წყალს და მერე შეუღდა კოკა.

ბარნაბამ უყურა, უყურა და რაკი იმან არაფერი უთხრა, თვითონ ჰკითხა:

— შენ აქაური არ უნდა იყო!

— ვახსუბნელი ვარ, — უპასუხა ბიჭმა და ხოხობს მიაჩერდა.

— ვახსუბნელისა რომლისა ხარ?

— შოფერი რომ არის, ვასიკო, იმისი.

— მაგრა რო ჭიდაობდა?

— ჰო.

— მე სკოლის ზემოთ ცვტოვრობ, ბარნაბა მქვია. აივსო, გადმოდგი.

— ერთი სროლით ჩამოაგდე? — ბიჭი ისევე ხოხობს უყურებს.

— ეგლა მაკლია, ხოხობსაც ორჯერ ვესროლო.

— დიდი კია.

— მეც არ მეგონა, ამოდენა თუ იქნებოდა.

ბიჭმა კოკა აიღო, დაემშვიდობა და წავიდა.

ბარნაბა წამოდგა, აიღევნა მეძებრები და გზა განაგრძო.

მინდვრის თავში ორთვალა გამოჩნდა. ზედ ბერიკაცი წამოსკუპებულა, თავქვე მოარახრახებს. ორთვალაზე ქოხის ბოძები, დაჭიანებული კავები და შებოლილი საყვავე უდევს.

— გამარჯობა, ნათლიმამ! — დასწყვივლა ბარნაბამ.

— იცოცხლე და გაგიმარჯოს! — ბერიკაცმა ორთვალა შეაჩერა, — რას დამყვირი, ყურთ კი არ მაკლია.

— თავმსუბუქი ჩანს, ნათლიმამ, ცხენი არ დაგებრჩოს.

— რას ამბობ, თავმძიმე უფროა, აი. აჰა, — უკან შეტრიალდა, — თვალი არ არი?

— მე ეგრე მომეჩვენა.

— შენს მოჩვენებაზე რო იყოს... —

გაცენა ბერიკაცს და მერე ხოხობი რომ დაინახა, უფრო გაიბადრა, — მონადირეც ამას ჰქვია!

— ეს რაღა სალაპარაკოა, — დაიმორცხვა ბარნაბამ.

— რავი, პირველად ვხედავ შენს ნანადირევსა.

— წელიწადში ერთხელ მხვდები და სად ნახავდი?!

— ეგვეც სათქმელია... კაი მეძებრები გყოლია!

— კარგად გასდევენ, მაგრამ ეს კულაქრელა კვალს დაკარგავს ხოლმე...

ორთვალა თავქვე მიარახრახებს ქვალორღიან ვზაზე. ბარნაბა აღმართს მიჰყვება, საცაა სოფელში შევა, ორიოდ მოსახლეს გასცდება და იქვე ცხოვრობს. მაგრამ... შორიდან შემოუარა თავის სახლს, თუმცა არც შიშინაობა იყო და შინ მშვიდობით მისვლის იმედიც ჰქონდა.

შიდის ბარნაბა სოფელზე, თოფიც ჰკიდა, მეძებრებიც მისდევენ, ხოხობსაც ისევე მიაკანკურებს. აქეთ საით გივლიაო, ეკითხებიან. მალაზიაში მივალო, ბიძაშვილთან საქმე მაქვსო; ჩემი ზარმაცი ბიჭის მასწავლებელი უნდა ვნახო ერთი, სხვა დროს ვერ მოვიცალეო.

ის დღე იყო და ის დღე, გაუჩნდათ უსაქმურებს სალაქლაქო, ვითომ ის ხოხობი კრუხი იყო და ძლივს მიფრინავდაო...

რაც მართალია, მართალია, ამაში კი ვერ დაგეთანხმებით, ყალბანდებო. თუმცა, თქვენი თქმისა არ იყოს, მაშინ ზაფხული იყო და დედალი ხოხბები მშრთლაც კვერცხებზე ისხდნენ. მაგრამ, ჯერ ერთი: თუ მართლა კრუხი იყო, რას დაფრინავდა, საბუღრისთვის მიეხედა. მეორე: ხოხობი მიფრინავს და გამოიცან, კრუხია თუ მოსაკრუხებელი? თუ ვინმე იტყვის, მე გამოვიცნობო, ფრჩხილში იხედება და ეგ არის. მესამე: თუ ვინმე თქვენთაგანს მიწაზე მჯდომარე ხოხობი მოუკლავს და ის ხოხობი კვერცხებზე არ მჯდარა, — კეთილი და პატიოსანი! ბარნაბამ სწორედ მიმფრინავი ხოხობი ჩამოაგდო, ესე იგი, ხოხობი მი-

წაზე არ მჯდარა და, მაშასადამე, არც კრუხი იქნებოდა. მეოთხე და უკანასკნელი: თუ ის მართლაც კრუხი იყო და შვილებზე არ ფიქრობდა, მაშინ კი ყოფილა სიკვდილის ღირსი და ბარნაბას რაღას ურჩით? აქედან დასკვნა: თქვენი ბრალდება ბარნაბას მიმართ საფუძველს მოკლებულია, თორემ ჩემი ორატორული ნიჭის პატრონი ასე ადვილად ვერ გაგაცამტვერებდათ. მოკლედ, თითი რომ მოკაცვოთ, სწორედ ის დროა. მე კი ბარემ დაწყებულ ამბავს დავამთავრებ:

მეორე დილით ბარნაბამ ხოხობი ჩანთაში ჩაიღო და ისევ სანადიროდ წავიდა. სად იწადირა, სად არა, არავინ იცის. საღამოთი კი შაქრიამ ისევ გაიკვირვა, ერამოდენა ხოხობი მოგიკლავსო. იმ პატარა ბიჭმაც, რომელიც ისევ ბალზე იყო, მამალია ეგ ხოხობი, ძია ბარნაბო; რკინიგზასთან რომ წყაროა, იქაც ისევ ჰკითხეს: ერთი სროლით ჩამოაგდეო. მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, ორთვალაზე წამოსკუბებული ბერიკაცი აღარ შეხვედრია. ისევ აიარ-ჩამოიარა სოფელი ბარნაბამ. ისევ: ხან მალაზიაში მი-

ეჩქარებოდა, ხან ბიძაშვილითან, ხან თავისი ზარმაცი ბიჭის მასწავლებელთან. თოფიც ისევ ეკიდა, მეძებრებოდა მისდევდნენ და ზოხობსაც ისევ შიკაბი-კურებდა. ასე ვიარა რამდენიმე დღემ, ვიდრე... ბოღიში და, სუნი არ დაეცა ხოხობსაო.

— ტყუილია! არ დაიჯეროთ! — ვიყვირე ერთხელ.

ვიყვირე და ღიმილით მითხრეს, ვინ გაძალებს, ვინდა თუ არა, დაიჯერეო; ჩვენაო, ვილაც-ვილაცეები არ ვეგონოთ, რაღაც-რაღაცეებს ძალად რომ გაჯერებენო. მეც გამეღიმა, მართალი ხართ-მეთქი.

მაგრამ მე მაინც მოვეყევი ის ამბავი, რომელიც სამწუხაროდ აქამდე ჩემს სოფელს არ იცატილებია. ახლა ისღა დამრჩენია, წელანდელი ნათქვამი გავიმეორო: ეს ყველაფერი ბუხართან მოგონილი ზღაპარია და მხოლოდ ზოგ-ზოგების წყალობით გასაღდა სინამდვილედ, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, თქვენც არ დაიჯეროთ.

ბიჭი

ჩვენს ეზოში ექვსი ბიჭი ვიყავით. ექვსივე ერთ წელს დავიბადეთ და ერთად მიგვიყვანეს საბავშვო ბაღში. ექვსნი ვიყავით-მეთქი, რომ ვამბობ, ისე კი არ უნდა გაიგოთ, თითქოს ჩვენზე ყოფილიყოს სალაში ჩამოვარდნილი, — ბიჭები სხვებიც იყვნენ, მაგრამ ისინი ან დიდები გახლდნენ, ან პატარები. ექვსნი კი სწორედ ერთმანეთის მიყოლებით მოვევლინეთ ქვეყანას შემოდგომის ნისლიან დღეებში.

ამ ექვსში უფროსი ტიტე იყო, უმცროსი — მე — თქვენი მონა-მორჩილი.

საბავშვო ბაღიდან სკოლაში მიგვალეს, ერთ კლასში დაგვსხეს. გადიოდა

წლები და გადავიდოდით კლასიდან-კლასში. მეცადინეობა იყო — ერთად ვმეცადინეობდით; გაცდენა იყო — ერთად ვაცდენდით გაკვეთილებს; არევა იყო — ერთად ვურევდით; მოხვედრითაც ყველას ერთად მოგვხვდებოდა ხოლმე, თუმცა საშემოდგომო გამოცდა მართლაც მე გამომყვა, ჯვარი აქაურობას, ქიმიასი.

მთელი უბნის ბიჭები ჩვენ გვბაძვდნენ ჩაცმაშიც და ყველაფერშიც, თანაც ცდილობდნენ, ჩვენს მარაქაში გარეულიყვნენ. ისე გვეთქვა, პაპიროსი გვინდაო, ლუღზე დაგვპატიეთო... ასეთ პატარა რამეზე ვინ გვაწყენინებდა, მაგ-

რამ ექვსნი ექვსად ვრჩებოდით ყოველ-
თვის.

მეათეს რომ მივალწვიეთ, ღვინოს ყვე-
ლამ ერთად გავუსინჯეთ ჭაშნიკი და ერ-
თდროულად აღმოვაჩინეთ, რომ პარა-
ლელურ ჯგუფში ლამაზი გოგოები იყუ-
ნენ. ჩუმ-ჩუმად ყველა უცებ გავხდით
შეყვარებულები. იმერე, როცა რიგ-რი-
გობით გამოვტყდით, მე და ტიტე წაე-
კინკლავდით: თურმე ორივეს ნუნუ გვი-
ყვარდა. მაგრამ ეგ რაღა ვაქაცობა
იყო, ვიღაც კიკინებიანი გოგოს გულს-
თვის ერთმანეთი დაგვეყარა! ავდექით
და ორივემ ამოვივდეთ გულიდან.

ვინმე თუ თვალში არ მოგვივიდოდა,
ჩხუბში ვიწვევდით ერთმანეთის იმე-
დით. ჩვენი ეზოს გოგოებს, უნდოდათ
თუ არ უნდოდათ, მფარველებად მოვე-
ვლინეთ. ტრაბახი რა საკადრისია, მაგ-
რამ ერთ სტუდენტს, რომელსაც მოკრი-
ვედ მოჰქონდა თავი, მხოლოდ იმის გა-
მო, რომ ბებია ეკას სოფლელი შვილი-
შვილი — ლელა შინ მოაცილა, ისე ვცე-
მეთ, მგონი სულ დაავიწყდა ჩუღურეთი.
ამ ამბავმა საქვეყნოდ გავგითქვა სახელი.
თუმცა პატარა უსიამოვნება მაინც არ
ავტცდა: ლელა დღესაც გვემდურის, ლე-
ლაც და ეკა ბებიაც. მოდი და ამისთანა
ხალხს პატივი ეცი!

ტელევიზიის გადაცემათა პროგრამა
არასოდეს გამოგვეპარებოდა. გავიგებ-
დით თუ არა, ამა და ამ მხატვრული ფი-
ლმის ნახვა თექვსმეტ წლამდე ასაკის ბა-
ვშეთათვის მიზანშეწონილი არ არისო,
იმის ტელევიზორს მივუხსნებოდით ხო-
ლმე, უისი მამაც შინ არ იყო. სხვებისა
რა ვითხრათ და, მე კი მამაჩემი არ მახ-
სოვს (ჩემს დაბადებამდე დაიღუპა ომ-
ში) და არც დედაჩემი მებუზღუნებოდა
(მაშინაც სოფელში ცხოვრობდა), კა-
დედის შვილი იყავი და ბებიაჩემის უკ-
ითხავად ან ტელევიზორი ჩაგერთო, ან
ხელი გეხლო რამისთვის. უწმაწური სი-
ტყვაც ჭირის დღესავეთ სძულდა. ერთ-
ხელ ვანოს წამოსცდა რაღაც და აკი ცი-
ცხვი გადაამტვრია თავზე. ეგ სიტყვა
ლექსიკონშიაო, უჩამ უთხრა. ამის დაწა-
მტკიცებლად გაიქცა და საბას „სიტყვის

კონა“ მოარბენინა. ბებიაჩემმა სათვალვე
ვაიკეთა, გადაშლილი წიგნი გამოართვა,
შოგ ჩაიხედა და მაშინვე უკან დაუდო.
— აქ მომიყვანე ამისი დამწერი, მა-
გას ხომ არ ჰგონია, ეგ არის და მანანას
სხვა ციცხვი აღარ აქვსო. მე ვუთხარი,
ორ საუკუნეზე მეტია, რაც განისვენებს-
მეთქი. მაშინაც ასე იბეჭდებოდა წიგნე-
ბიო. არაო, უთხრა ვანომ, თან თავზე ის-
ვამდა ხელს. მაშინაო, — მკაცრად თქვა
ბებიაჩემმა, — თავისთვის, საჩხირკედ-
ლაოდ ჩაუწერია ეგ სიტყვა, ვიღაც დამ-
თხვეულმა კი გამოამზეურა და თავი მო-
სჭრა იმ პატიოსან კაცსაო... ასეთი ცხო-
ნებული ბებია მყავდა!

დაბადების დღეებს რომ ვიხდით,
ამას თქმა აღარ უნდა, მაგრამ, როცა
ღვინის გემო გავიგეთ, ქეიფი და ღროს-
ტარება მაშინ იყო თუ იყო. ოთხ კვირა-
ში ექვს პურ-მარილს მართლაცდა დიდი
გაძლება უნდა.

იმ წელს ვანო იხდიდა დაბადების
დღეს. ვისხედით ბიჭები თავმობმულ
სუფრასთან და ერთმანეთს ვუჯახუნებ-
დით ჭიქებს; მეორე დღეს კი საკონტ-
როლო წერა გვქონდა ალგებრაში და,
ვითომც არაფერი... ღვინის ყლურწვას
რომ მოვუხშირეთ, ვანოს მამამ გავვაფ-
რთხილა, ცოტა მოუკელითო. ჩვენ კი
ცოტა არ მოვუმატეთ?! მერე, როცა ის-
იც დათვრა, მშვიდად წამოიღდა მაგიდი-
დან, მშვიდად გაიარა მაგიდებშუა, მშვი-
დად გამოალო კარი, ვერ უყურებთ ამ
ლაწირაკებსო; არც ჩვენი მოესათრა,
არც ჩვენი ძმაკაცობისა, აღარც პალტოს
ჩაცმა გვაცალა, — პანლურისკვრით გა-
მოგვყარა გარეთ. თითო წათაქებაც ხომ
შეგვრჩა და შეგვრჩა?!

თავპირისმტვრევით ჩამოვცვივდით
ეზოში. მისი ხასიათი ვიცოდით და სულ
უკან ვიხედებოდით, მათრახით ხომ არ
მოგვდევისო.

ქუჩაში გავედით თუ არა, ფილტრიანი
სიგარეტები დაეძრეთ. მივდიოდით ხი-
დისკენ და მივებოლებდით.

— მამაჩემის უხასიათობა უნდა მაპა-
ტიოთ, — თქვა ვანომ.

— მერე რა, — გაიცინა ტიტემ, — ეს პირველი შემთხვევა რომ იყოს, მართალი ვითხრა, მეწყინებოდა.

ხილის მოაჯირზე გადაფეხულეთ, მტკვარს ჩავაცქერდით: ლამბიონების სინათლე ტალღებში ირიბად ტყდებოდა.

დიდხანს ვიდევით გასუსულები, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდით. დუმილში მთელმა საათმა გაიარა. მე მინდოდა მეტქვა, შინ წავიდეთ-მეთქი, თავიც ავწიე და...

— ბიჭებო! — მოულოდნელად წამოიძახა ტიტემ, — გაიხედეთ, ვინ მოდის?!

მე მარჯვნივ გავიხედე, უჩამ მხრებში ჩამავლო ხელი:

— საით იყურები, შტერო?! — მარცხნივ შემატრიალა.

ვიფიქრე, ნეტავ, ვინ მოდის-მეთქი. ვინ მოდიოდა და მაღალი კაცი.

— იცანით? — იკითხა ტიტემ.

ბიჭები ახმაურდნენ: ზოგმა — კიო, ზოგმაც თავი დავუქნიეთ.

ვიცნობდი, თუ ამას ნაცნობობა ჰქვია: ყოველ დილა-სალამოს ჩვენს ქუჩაზე დადიოდა. ორმოც წელზე ნაკლებს არ მისცემდით, თმაში ჭაღარა შერეოდა. ცალ ხელში ყოველთვის წიგნები ეჭირა, მეორე ხელი მოწყვეტილივით ეკიდა. ორი მეტრის სიგრძისა იყო, ფეხებს ისე ახლო-ახლო ადგამდა, გვერდზე რომ გავუვლიდით ხოლმე, მისი შარავლის ტოტების შრიალი გვესმოდა. დიდ-პატარა ნაცნობს ქულის მოხდით ესალმებოდა: „გამარჯობა, ქალბატონო!“ „სალამი, ბატონო!“ ისე კი ვინ იყო და რა კაცი იყო, აბა რა მოგახსენოთ.

— უნდა ვცემოთ, — მშვიდად თქვა ტიტემ.

— ე, — გოცდა მიხო, — სცემო რა, ის ხომ არ არის?!

— უნდა ვცემოთ, — გაიმეორა ჯიუტად, — ხელები მექავება.

მე სხვაზე ბევრ ლიმონათს ვაპარებდი ღვინოში, ამიტომ სხვაზე ფხიზელი ვიყავი და ჰკვიანური რჩევაც მივაწოდე:

— ხელები კი არა, გვერდები ატკავებია... ვითომ, რა მიზეზით უნდა ვცემოთ?

— ეგ მე ვიცი.

ამასობაში მაღალი კაცი მოგვიანლოვდა კიდევ. ტიტემ შემთხვევით მოხდა მოკლილი ქუდი წარბებამდე ჩამოიფხატა, წინ გადაუდგა:

— ერთი წუთით მოითმინეთ, ამხანაგო.

უცნობი გაჩერდა, თვალი მოგვაგლო.

— გისმენ, — ჩაიროხროხა.

— ბოდიში, მაგრამ უნდა გცემოთ, — მოახსენა.

— საინტერესოა, — ყელი მოიფხანა უცნობმა.

— ძალიან, — დაეთანხმა ტიტე.

— მიზეზი გაქვთ? — ჩაეკითხა.

— რა თქმა უნდა.

— კერძოდ?

— მაღალი ხარ, მაღალი კაცი კი ჯერ არ გვიცემია. ეგ რა წიგნებია? — ხელში სწვდა.

— რა წიგნებია და ის წიგნებია, — ზურგსუკან მოიფარა, — რომ მცოდნოდა, დამხვდებოდით, რძეს წამოგიღებდით. სად გამობრუეულხართ?

— ამის დაბადების დღე იყო, — ვანოს ბეჭებზე დავარტყი ხელი.

— უჰ, უჰ! — შეწუხდა უცნობი და ხალათის საყულო მოიღელა — რა დროს თქვენი ღვინის სმაა?! სადმე სკამი რომ იყოს, ჩამოვსდებოდით, თორემ ასე, ქვემოდან ყურებით კისრის ძარღვება გეტკინებათ... დიან, ისე მეჩვენება, ბატონებო, თითქოს ზრდილობასთან კარგი ურთიერთობა უნდა გქონდეთ.

— ვაჰ! — წამოიძახა ჯაბამ, — საიდან სალაო?!

— გინებას არ ურევთ.

— გინება ჩხუბში...

ბიჭები აჩურჩულდნენ. ტიტე კი მის წინ გაჯგომული იდგა და, კარგად ვხედავდი, როგორ უბრიალებდა თვალებს.

— არ წავიდე? — იკითხა უცნობმა.

სწორედ ამ დროს ტიტე შეხტა და ისე გამეტებით შემოჰკრა სახეში, თვითონვე წაბარბაცდა, ქუდი მოსძვრა თავიდან.

უცნობი არც გატოკებულა, ისევე თვა-

ლი მოგვავლო და... გადაიხარხარა.

ბიჭები აფუსფუსდნენ. მე ტიტეს მივხედე: თვალებს მალი-მალ ახამხამებდა, ქვედა ყბა უკანკალებდა.

— ყოჩაღ! — ხარხარებდა უცნობი და ორივე ხელით მკერდზე იხუტებდა წიფნებს, — თვრამეტი წელი იქნება, მაგარი მუშტი აღარ მომხვედრია. მოგვედი კაცი სიცილით. საღ ისწავლე ასეთი დარტყმა? — გაოგნებულ ტიტეს თავზე ხელი გადაუსვა.

— თავისით ისწავლა, — უთხრა ჯაბამ.

— კიდევ უფრო ყოჩაღ; დაკვირვებულ ბიჭი ყოფილხარ! — ტიტეს ქუდი აიღო, დაფერთხა, თავზე დაახურა, — შენ წარმოიდგინე, ჩემო ბატონო, მეც დაბადების დღეზე ვიყავი, ჩემი დისწულის დაბადების დღეზე, ათის გახდა და... ცოტა გადახუხულში გახლავარ.

— მეც ჩემით ვისწავლე მაგარი დარტყმა, — ვუთხარი და დაველოდე, მაინტერესებდა, რას იტყოდა.

უცნობი დამაკვირდა, ტუჩები გააწკაპუნა.

— შენ კი გენაცვალე! მოდი ერთი გაცოცო, — დაიხარა, კისერზე ხელი მომხვია, მიმიზიდა და შუბლზე მაკოცა.

მე თვალი ტიტესკენ გავაპარე. ტიტემ უკან-უკან დაიწია, მერე ადგილიდან მოსწყდა, გამოექანა. მეგონა, უცნობი ვერ ხედავს-მეთქი; მან კი წიფნები დაბლა დაყარა, მოკლედ და მკვეთრად გაიქნია ხელი და... ამის დანახვალა მოვასწარი: ტიტე ბეჭებით გაცურდა ასფალტზე.

უცნობმა თავი ასწია:

— შვილებს გეფიცები, ტკბილი პურ-მარილიდან მოვდივარ. მოვდივარ და ვფიქრობ: დედაც დამიბერდა, მამაც, საცაა მეც დავებერდები...

მაგრამ სათქმელის დამთავრება ვინ აცალა: უჩა და ვანო ეცნენ.

უცნობი უცებ შეტრიალდა, მხრები შეატოკა. მარჯვენა ხელი რომ მოიქნია, ის დავინახე, ვანოს მოხვდა, ოღონდ უჩას როდის მოარტყა, ეს დღესაც გამოცანა ჩემთვის.

უცნობი ისევ მე მომიბრუნდა და თავზიანად მკითხა:

— შენე, ვაკელი მერაბა გაგიგია?

— როგორ არა, — ვუთხარი და ვანოს მივეხმარე წამოდგომაში.

გინელი

ტიტე ხიდის მოაჯირს გადაყუდებოდა, ნერვიულად იფურთხებოდა, რალაცას ბუტბუტებდა. უჩა საათიან ხელს შლიდა და ღუნავდა, შლიდა და ღუნავდა.

— შენი ბრალია, — მივუბრუნდი ტიტეს, — რას აიჩემე ჩხუბი?! სხვებიც გაილახნენ.

— წადი ერთი! შენი იმედი მტერს ჰქონდეს.

ჩოჩქოლი ატყდა. მივიხედე: ჯაბა გარბოდა, მიხო დაბლა ეგდო, იგრიხებოდა, თავი მუხლებთან მიეტანა.

— რას შვრები! — ვეცი უცნობს, ხელი ვუბიძგე და, თქვენ წარმოიდგინეთ, წაბარბაცდა, — მართლა და მართლა. ხმას რომ არ ვიღებ, ეგრე კი არ არის საქმე! მთელ ქალაქს მოგისევე, შე ოხერო! ამოდენა მუტრუქი რომ ურტყამ, განა ხევზე იპოვა დედამისმა!

უცნობმა ყურადღება არ მომაქცია, მიხოს მაჯაში სწვდა და... სინათლეზე დანამ გაიელვა.

— აი, ამისთვის მოვარტყი ასე ძალიან, — მომაწოდა, — შვილებს გეფიცები, ჩემო ბატონო, მეცოდება: ახალგაზრდა კაცია, თავი ეამაყება, მე კი ცვემ... რაღას უყურებ, წამოაყენე. მე წამოვყენებდი, მაგრამ მეუხერხულემა, შეიძლება ვინმემ იფიქროს, თუ ეგრე ეცოდებოდა, რაღას ურტყამდაო.

მიხო წამოვაყენე, მაგრამ ისევ ჩაიკეცა. უცნობმა წიფნები დააწყო მიწაზე:

— ზედ დაჯექი, თორემ გაცივდები, — თვითონვე წამოაყენა და ზედ დასვა. მერე ხელები მოიფშვნიტა, — ჰო, — განაგრძნო მან, — ერთხელ ვაკელმა მერაბამ მცემსა უმიზეზოდ. თუმცა ასე რომ ვამბობ, არც თლა მართალი ვარ; ისა და სამი სხვა მირტყამდა, მაგრა დამალილავეს. მთელი ერთი თვე ვეძებე მერაბა, ვერასდ მივაგენი, — გაჩუმდა, ყრუდ ჩა-

ახველა, — სწავლობთ ჯეელო? — მკითხა მოულოდნელად.

— ყველანი მეთათეში ვართ, — დავიჯლანე, — კიდევ რა გინდა?

— ვერა ვარ კარგი მასწავლებელი, — თავი გააქნია.

მიზო აღდა, ბიჭებისკენ წავიდა. ჯაბა დაბრუნებულყო, გვერდზე გამდგარიყვნენ და ერთმანეთს უბუზღუნებოდნენ.

— აჯაშენათ ღმერთმა, ჩემო ბატონო, თვრამეტი წელია ხელი აღარ გამიქნევია... იმ ვირგლამ მშვენივრად მომაქვრა, — ჩაიციხა უცნობმა. — რა ვუთხრა ახლა ჩემს კნინას, რამ გამატუტუცა-მეთქი? — პიჯაკის ჯიბიდან ფანქარი ამოიღო, სიგარეტის კოლოფზე რაღაც წააწურა და მომაწოდა, — გამომართვი, ჩემი ბინის მისამართია, ხვალ მეწვეით ყველანი, დავაპურებთ, — ხელი ჩამომართვა, — კარგად იყავი, — წიგნები აიღო, ორიოდ ნაბიჯი გადადგა და მომიბრუნდა, — კინდამ დამავიწყდა, სტუდენტალქიდან რომ ვაკის სასაფლაომდე დედისერთა ტრამვაი დადიოდა, მაშინდელი ამბავია: მერაბამ მცემა და აორთქლდა. ბევრი ვეძებე და ვერ მივაგენი. რაკი ვერსად მივაგენი, ჩემს სიგლახეს ვამბობ. მილიციამში განცხადება შევიტანე, ფული მომპარა-მეთქი. დატრიალდა მილიცია: ისინი ქალაქში ეძებნენ, მე მილიციის ეზოში დავყვიალობ. მილიციას რა დავემალე და აკი იპოვეს კიდევ. დავინახე, მოჰყავთ. მილიციელებს წავგლიჯე ხელიდან შენი მერაბა და იმდენი ვურტყვი, კბილის ექიმებს გვარიანი საქმე ვაუღწინე... თუ მართლა დამრტყმელები ხართ, ერთი-ერთზე ვადით. და კიდევ: ჩემსიმაღლე კაცს რომ დაინახავთ, ქუდი უნდა მოუხადოთ... კარგად იყავით... ბედი თქვენი, მეც გადაკრულში ვარ, — ღიმილით წავიდა.

მე მეგონა წავიდა-მეთქი, მაგრამ რას ამბობ, ისევ მომიბრუნდა:

— ამის იქით რამდენ წელს იცოცხლებ, თუ იცი?

— ას წელს, — დაუფიქრებლად გუპასუხე.

— ასი წელი გაცოცხლა დამეფრთხმენით თუ არ მოკვდი, მოვალ და მე მოგკლავ, — გაიციხა და ხიდის მოაჯირს გაუყვა სიცილით. შემდეგ ჩაიდიღინა, პატარა გოგოს სიყვარული ოჰ რა ძნელიაო.

უკან ისე დაებრუნდით, არცერთს ხმა არ ამოგვიღია, ერთმანეთს უხმოდ ვთავაზობდით სიგარეტს. უკვე საკმაოდ გვიანი იყო. ამის გამო და იმის გამოც, რომ ისინი ნაცემ-ნაბეგვები იყვნენ, არ ვიცი, შინ რა გადახდათ თავს, მე კი იმ საღამოს დავრწმუნდი, რომ ბებიაჩემს სხვა ციხეშიც ნამდვილად ჰქონდა.

მას შემდეგ სკოლაც დავამთავრეთ, სტუდენტობის წლებმაც გაიარა და მანინც ერთ ეზოში ვცხოვრობთ. ერთ ეზოში ვცხოვრობთ და ისევ ექვსნი ვართ.

დილით ეზოდან ექვსივენი ერთად გამოვდივართ ქუჩაში. მერე კი ვიშლებით. სხვადასხვა მხარეს მიგვეჩქარება სამსახურში.

იმდამინდელი ამბავი ყველას გვანსოვს, თუნდაც იმიტომ, რომ მას აქეთ ვინმესთან ჩხუბი და კინკლაობა ფიქრადაც არ მოგვსვლია. ჩვენიანები და მეზობლები თვალსა და ყურს არ უჯერებდნენ, ეს ბიჭები ნეტავ რამ მოარჯულოა.

როგორც გავიგეთ, ის მაღალი კაცი ისტორიის მასწავლებელი ყოფილა. ახლაც თავაწეული დადის ჩვენს ქუჩაზე და ახლაც ისე ახლო-ახლო ადგამს ფეხებს, გვერდზე რომ გავუვლით ხოლმე, მისი შარვლის ტოტების შრიალი გვესმის. თითქმის ყოველ დილით, ეზოდან რომ გავდივართ, ვხედავთ, მოდის. ყველანი ვჩერდებით და ველოდებით, როდის მოგვიახლოვდება, გვინდა სალაში დავასწროთ, მაგრამ ის გვასწრებს ყოველთვის, შორიდანვე იხდის ქუდს და როხროხით გვესალმება:

— გამარჯობათ, ბატონებო!

შეზინდებისას ქარი ერთბაშად ჩადგა, — საბუხრედან ამობოლქვილი კვამლი ვაშლის ტოტებში აღარ იჩიჩებოდა და აღარც სახლის სახურავიდან ცვიოდა კრამიტი. მერე უცებ დათბა და ბარდნაც დაიწყო, მაგრამ ქარისგან გამომშრალ მიწას თოვლი დიდხანს არ მოჰკიდებია. ყველაზე ადრე ფანჯარასთან რომ მსხალი დგას, იმას მოედო თოვლი. ალბათ, მიზეზი ის იყო, რომ ფანჯრიდან მხოლოდ მსხალი ჩანდა, მსხალი და... სასაფლაო, რომელსაც ნელ-ნელა ეპარებოდა სითეთრე.

ხეებმა ლაწა-ლუწს მოუხშირეს, — დაბლა ეზნიქებოდათ ტოტები.

ოთახში სასიამოვნო სითბო ტრიალებდა. მე ტახტზე ვიყავი წამოწოლილი, დედაჩემი ჯამ-ჭურჭელს მდულრავდა, თან მიყვებოდა: თურმე, ერთხელ, როცა სულ პატარა ბიჭი ვახლდით, თოვლის პაპა დავდგი, ის თოვლის პაპა მზემ დააღწო და ავღრიალდი, ვინ მომპარა-მეთქი.

— გახსოვს, შვილო?

— მე მართო ის მახსოვს, ბიძაჩემი ომში რომ მიდიოდა და შენს ტირილზე მეც ავტირდი.

— ეგ მერე იყო, — თქვა და ამოიოხრა.

შარშან უთოვლოდ გაიარა ზამთარმა. ახლა კი ბარაქიანად ჩამოთოვა. მე ჩემი ბალღობა გამახსენდა, დედაჩემს — ვენახი:

— ნახე, როგორ აიკიდოს!

სოფელში ყოველთვის მშვიდად მძინავს და ტკბილ, ძალიან ტკბილ სიზმრებს ვნახულობ. დილით გვიან მეღვიძება. ვიდრე ავდგებოდე, დედაჩემს იმ სიზმრებს სიცილით ვუყვები. ისიც მისმენს და მიხსნის, ეს ამას ნიშნავს, ის იმასო; ეს ასე აცხადდება, ის ისეო.

იმ დილით რატომღაც ადრე გამეღვი-

და, საათს დავხედე, — რვა სრულდებოდა. საწოლზე წამოვჯექი, ეზოში გადავიხედე ფანჯრიდან: სულ თეთრად გადაბნეტილიყო იქაურობა. დედაჩემი მუხლებამდე იდგა თოვლში, გრძელი ხალხა ეჭირა და თოვლსა ბერტყავდა ხეებიდან. ბუზღუნებდა. ალუჩის მოზრდილი ტოტი ჩამოხლეჩილიყო. მე მეგონა, იმაზე ბუზღუნებს-მეთქი, მეზობელს კი ეჩხუბებოდა:

— ეს სახლი რომ ავაშენეთ, ორისაც არ იყავი, მაშ შენ გახსოვს და მე არა?

— ეგრე კია და...

— როგორ დაგწყევლო, ჩემს ხელში ხარ გაზრდილი, თანაც ერთილა დაიკაკვები ძმებში. ისე კი, ვინც ტყუოდეს, ის გამოუდგეს ამ სახლის ამშენებელს, — ეუღბნება დედაჩემი.

— ეგ ხომ ის არი, კაცო, მდგდღმა რომ თქვა, ვანა გწყევლი. მრევლში გამომაკლდიო? — იცინის გიგა.

ხასიათი მომეშხამა: სულ საწვეთი და საწვეთი! ბარე ასჯერ ვუთხარი დედაჩემს, მე როცა აქ ვარ, საწვეთზე შენი ხმა არ გავიგონო-მეთქი... მერე მივხვდი. ალბათ, ჰგონია, ძინავსო.

წამოვდექი და მეორე ფანჯრიდან გადავიხედე: ნიჩაბს იქნევდა გიგა, საქათმესთან მისასვლელ ბილიქს კვალავდა...

გაბრაზებული დედაჩემი გამეტებით ურტყამს ხალხას. ჩამოცვენილ თოვლს წვრილ-წვრილი ტოტებიც მოჰყვება. იმ ტოტებს ხელში იღებს, ამოწმებს, ნელ-ლია თუ არაო. როცა სამიწედ იმეტებს მეზობელს, ეს იმას ნიშნავს, ტოტები ნედლია.

— კაცი ჭიანჭველას ფეხს არიდებდა და საწვეთი არ დაუტოვა სახლსა?

— ეგე, — გზის იქით რომ სახლია, გიგა იქით იშვერს ნიჩაბს. — მაგას ჰკითხე!

— შენც დაიმოწმე რაღა? აქ არ იყო

კალატოზი, ბარე ერთ არშინზე მეტი დავუტოვებო.

— მე კიდე იმს არ ვენდობი.

— მა ვის ენდობი, ღვინის ბურნავ?

— ჩემს ჭკუას.

ხალხა კედელზე მიაყუდა დედაჩემმა, ლობზე მიდგა:

— ჩემს ჭკუასო?! თავი გასროლილი თოფივითა გაქ დაცარიელებული, ჭკუა სად გაბადია!

— ეს რა კარგად მითხრა, კაცო, — იცინის გიგა, — ე როგორი დედაკაცია?!

— აი, — დედაჩემი ტყრუშულ ლობეს ეჯაჯგურება, ყვირის, — ამას რა ლარი და ხაზი უნდა, გახედე, ზემოდან სწორად მოდის, თხილთან კი მრულდებდა. მაქვით რომ მოაქციე საწვეთი, სამართალი აღარ არის!

— კარგად კიდევ შენ შეგეღობა! — გიგაც ყვირის.

— როდის დამაცადე, რო! როცა მე ქალაქში მივედივარ, მაშინ ლობავ! რატო ჩემი ღმერთი არ გაწყრა და არ მოგატანე, თავზე გადაგამტვრევდი ამ საჩსა! — ისევ ლობეს ეჯაჯგურება...

აივანზე გიგას გოგო — მანანა გამოოდის:

— თოვლი მოსულა! — ადგილზე სტის.

— როგორა ხარ, შვილო, მანანა? — ხელმოჩრდილული გაჰყურებს დედაჩემი.

— კარგად, ნინო ბებო, დათო მალე ჩამოვა. — დათო მისი ძმაა, დიდ ქალაქში სწავლობს.

— რა უნდა ჩამოგიტანოს?

— სურათებიანი წიგნები. ჰოო, სურათებიანი წიგნები.

— შინ შედი, გოგო, გაცივდები, — ეუბნება მამა.

მანანა უსიტყვოდ მიტრიალდებდა ოთახისკენ.

ერთხანს სიწყნარეა, მარტო შარაზე გამვლელების ნაბიჯის ხმა მესმის და ხიდან ჩამოცვენილი თოვლის შრიალი.

— ეს კედელი აქ რომ არ იყოს, შენი ლობე ახლა ლეღვთან იქნებოდა მისული! — ისევ ხმას აუწია დედაჩემმა.

— რას ჩამაცივდი! მე რო ზესიძედ მოვედი, მაშინაც ეგრე იყო. წადი და ჩემს სიმამრს ეჩხუბე! — ნიჩხს დაყრდნობია გიგა.

დედაჩემი თოვლს ტყეპნის, მერე თავს მალლა სწევს:

— ის იყო, რაც იყო. ჯერ წალმის დიდი კონა ჩააყუდა კედელსა და ლობეს-შუა, მეორე წელს ის კონა დაპატარავდა, ბოლოს სულ წამართვა საწვეთი... იმასთან ჩემი შვილების დამაწყევარი წავიდეს. განა საჩივლელად გავრბივარ!

— ნინო ძალო! — ბიძინას ხმაა, — კახა როდის ჩამოდის?

— გუშინ საღამოს ჩამოვიდა.

— მოსვენებაშია?

— ჰო.

— ჩამოვივლი და გავადვიძებ...

გიგა აივანზე აღის, ცოცხს იღებს და შარვალს იფერთხავს:

— მამ, გუშინ ჩამოვიდა კახა? — ახლა პაპიროსს ექაჩება.

— გუშინ. ბოლო ავტობუსს მოჰყვა, — იქით არც იხედება დედაჩემი.

— რატო არ დამეხმაურა?

— რა ვიცი, დაქანცული ვარო.

— უთხარი, გამომიაროს. წითელ ღვინოს დავხარჯავ, შუადღისას კი ღორი უნდა წამოვაქციო.

— მადლობას მოგახსენებ. რაზედაც გელაპარაკები, შენ იმაზე გამეცი პასუხი.

— საწვეთი არა გქონია, მორჩა და გათავდა:

— ვინ მოგახსენა?

— ჩემმა სიმამრმა.

— ემაგ სიმართლით იარე!

სულ ამ საწვეთზეა კამათი, როცა ბალახი იღვიძებს მაშინ და, როცა მიდამო გადათეთრებულია, მაშინაც. გიგას სიმამრმა, ლევანა პაპამაც ასე იცოდა, არც ის გამოუტრევდა ხოლმე ჩხუბში სალანძღავ სიტყვას. საწვეთი კი... მთელმა უბანმა იცის, ჩვენს სახლს მართლაც ჰქონდა საწვეთი.

ფანჯრიდან ისევ მსხალი ჩანს, მსხალი და მთლად გადათეთრებული სასაფლაო.

სასაფლაოზე დიდი კაკლის ხე დგას. იმ კაკლის ხესთან ლევანა პაპას სძინავს. კუდიანი ქარი ამდგარა და თოვლსა ხევტს საფლავებიდან; შიშველი მიწა შავ წერტილებად მოჩანს თოვლის უდაბნოში. მე ახლა სასაფლაოს გავყურებ და საწვეთი მახსენდება. ჯერ მელიძეა, მერე გულიანად ვიციანი...

დედაჩემი ხმაურით ამოდის კიბეზე, მე სიცილს ძლივს ვიკავებ.

— გღვიძავს? — მეკითხება.

— ახლა გამეღვიძა.

— გიგამ ჩვენსა გადმოვიდესო, ში-თელ ლეინოს ხარჯავს.

— აბა, ისე რა დამაბრუნებს ქალაქში?

— ჰო, გადადი, თორემ უხერხულია.

მე ღრმად ვიკეცავ საბანს. ვიცი, მშვიდად დამეძინება და ტკბილ, ძალიან ტკბილ სიზმრებს ვნახავ. ჯერ კი მხოლოდ კედელზე ჩამოვლებულ ყავისფერ ხაზს ვხედავ. ის ხაზი დაბლა მიძვრება, მარჯვნივ. რამდენი ხანია დედაჩემი მეხვეწება, კრამიტია გასასწორებელი და... ვერ იქნა, ვერ მოვიცალე.

გზის პიუჩოსი ჩაუკვირე

ზურგჩანთა მოიხსნა, ფეხებშუა ჩაიდო და მერე შერგო თავი მოლარის ჯიხურში. ხედავდა: მეღნით მოთხვრილ მაგიდასთან შალმოხვეული გოგო იჯდა და ტუჩებს აცმატუნებდა სარკვეში... მოპირდაპირე კედელზე თიხის ცარიელი საყვავილე ეკიდა; ზემოთ — მოძველებული რეპროდუქტორი; უფრო ზემოთ — ვიღაც იყურებოდა ფერგადასული ჩარჩოლან.

ისევ გოგოს დააკვირდა. გოგო ახლა მაჯის საათს დასჩერებოდა. „იქით უფრო ძლიერი სინათლეა, იმიტომ ვერ შემამჩნია“, გაიფიქრა.

— ქალიშვილო, — თითები აათამაშა რაფაზე, ღრმად ჩაისუნთქა ნესტიანი ჰაერი, — თუ შეიძლება...

გოგო შეკრთა, მოტრიალდა:

— რა ვნებავთ?

— არაფერი, — შუბლი მოისრისა, — პირველად ვარ აქეთ და იქნებ გზა გესწავლებინათ, მთაში მივდივარ.

— მოსაცდელში ჰკითხეთ ვინმეს, — გაბრაზდა, — მე აქ მოლარე ვარ და ეგეთები არ მესება!

— ვიცი, რომ სადგურის უფროსს არ ველაპარაკები, აგერ, — თავი გარეთ გაყო, — წელანაც წავიკითხე, მოლარეო,

მაეურამ მოსაცდელში რომ არავინ არის? გოგო წამოღდა, სეიფის კარს ხელი ჰკრა, ჯახუნით მიკეტა.

— მაშინ დახლიდარს მიაკითხე.

— ეგ შენი დახლიდარი სადღაა?

— მარჯვნივ, ქუჩაში გასასვლელთან, — და ცხვირწინ მიუხურა სარკველი.

„ისე გაძვალტყავებულა, ერთი ნამუსიანი კატა გაათავებს; ჩაცმით კი, იცოცხლე, მაგას აცვია! მაგრამ რა გინდა რა, ამ კარაქის ოხრობაში, ალბათ, მწინლის მეტს არაფერს ჰვამს. ვინ ითხოვს, ვის მობეზრებია თავი, — ფიქრობდა, — თუმცა, ვინ იცის, ამისთანებს აქვთ ბედი თუ აქვთ! ბედიო? მოხერხება, კაცო, მოხერხება! ეს კიდევ არაფერი, მახინჯს ეშველება, მაგრამ... უხასიათო?! შეიძლება დაავიწყდა, რომ გასათხოვარია. მე მოგიკვლე, ეგრე იქნება“... გაიცინა:

— მაინც კარგი გოგოა!

მიდიოდა და მიიქნედა ზურგჩანთას. უკვირდა, ახლო იყო სოფელი: სადგურის შენობის იქით ელექტრონით გაჩახახებული ეზოები მოჩანდა. აქ კი ორად-ორი კაცი შეხვდა: „ერთს მწვანე ნა-

თურა ეჭირა ხელში, მატარებელს ეუბნებოდა, გამოიარე, ნუ გეშინიაო. მეორემ ზარი დარეკა, — წადი თუ მიხვალო“...

კარი იდაყვით შეადო და ზღურბლზე გაჩერდა, სასადილო მოათვალიერა: მავიდებს ცარიელი სკამები შემოხვეოდნენ. დახლში მაღალი გამხდარი კაცი იდგა, მისკენ იხედებოდა.

— შემოდი, ჯარისკაცო! — დაუძახა, — რისა გრცხვენია, შე ძველო.

ჯარისკაცმა პაპიროსს მოუკიდა.

— ასე ხელგაშლილი საკუთარ სახლში უნდა მეპატიეობოდე, — უთხრა. მერე დააკვირდა: ცალხელა იყო დახლიდარი.

— მოდი, ან ავი ვთქვათ, ან კარგი...

ჯარისკაცმა გვერდი აუარა მავიდებს და ზურგჩანთა დახლზე შეავდო.

— ჰა, ჯარისკაცო? — თეფშს ტილო მიუსუც-მოუსუცა.

— უშნოდ გაგეხუმრე, ძიაკაცო.

— რა გაქვს საბოდიშო, შე ძველო, მავისთანები კი ამიტანია! საით ვივლია?

— მთაში მივდივარ. მთაში დგას ჩვენი ნაწილი და, მთაში მივდივარ, — ფეხი შეინაცვლა.

დახლიდარი გამოცოცხლდა.

— კაპიტანო! — ტილო მხარზე გადაივდო. ოდნავ შეტრიალდა, ხის კედელზე დააკაუნა, — რაკი არ იშლი, აი, მგზავრიც გამოვიჩნდა.

ომისდროინდელი პლაკატებით აჭრელებული კედლის იქით ყრუ ხველება და სკამის ჭრიალი გაისმა. მერე ღია კარის ფარდა აიწია და... სინათლეზე გაივლევს ახალ-ახალმა სამხრეებმა. მოდიოდა წილში გამართული, მაღალი, შუა ხნის კაცი და ილუქებოდა. ხელში მოუკიდებელი სიგარეტი ეჭირა.

ჯარისკაცმა პაპიროსი ჭუჭყიან საფეროვლეში ჩაჭყლიტა, გაეჭინა.

— გამარჯობა შენი! — ხელი გაუწოდა კაპიტანმა, გაუღიმა, — დავმობილდეთ და გავუდგეთ გზას.

— გავიმარჯოს! — ჯარისკაცსაც გაუღიმა და გამოწვდილ ხელს ხელი შეაგება. მერე ისევ სამხრეებს დახედა: სწ-

ინყინრო ნაწილის კაპიტანი იყო. გაეხვარდა: ამგვარი ნაწილის ოფიცრები წმინდაბლა იძლევიან ბრძანებებს, ^{სწავლებლებს} უცებ აღმოაჩენენ ხოლმე, რომ ბოხი ხმა აქვთ და რაკი ბოხი ხმა აქვთ, ყვირილი სვალდებულო ჰგონიათ.

— შემოდგომა ცოტა ადრე მოგვიხტა, — თქვა დახლიდარმა, — აცივდა. ახლა უბალტოოდ გავლა საშინაო, თქვენ კი ისევ საზაფხულო ფორმა გაცვიათ. არაყს ხომ არ დალევთ?

კაპიტანი ჯარისკაცს მიაჩერდა, რას იტყვისო.

— მე საერთოდ არ ვსვამ, — და დახლიდარს პაპიროსი გაუწოდა, — ასანთა ხომ არ მათხოვებ, ძიაკაცო?

— არ ვეწევი. — ასანთი მიაწოდა დახლიდარმა, — გქონდეს...

— დიდი მადლობა, — ჯარისკაცმა ასანთი გააჭრა. კაპიტანი დაიხარა და სიგარეტს მოუკიდა.

— არაყს საერთოდ არ სვამ, ჰა? — ჰკითხა კაპიტანმა.

— არა, ექიმებმა ამიკრძალეს.

— ჩემი ხომ არ გერიდება, ბიჭო? — გამომცდელად ჩააშტერდა.

ჯარისკაცს გაეღიმა, ზუთმანეთიანი დედო დახლზე:

— ლუდი ჩამოგვისხი.

დახლიდარმა თვალი მოჰკრა კაპიტანის დანაოჭებულ შუბლს, გაწვდილი ხელი ცევადა წაიღო უკან და ჩამომარცვლა:

— დღეოდან ნისიაზე გადაველ.

ჯარისკაცმა ჯერ კაპიტანს შეხედა, მერე დახლიდარს და გაეღიმა:

— ჯანდაბას, ნისია იყოს. ერთხელაც იქნება, დავბრუნდები და გადაგიხდი, ამას როგორ შევიწევ, — დაჭმუჭნული ზუთმანეთიანი ისევ ხალათის ჯიბეში ჩაიღო.

დახლიდარმა ლუდი დაასხა და თქვა:

— ამბობენ, ლუდი სიცივეში მარგებელი არ არისო, ვითომ კაცს მადას უკარგავსო, ვითომ, უფრო შეაცივებსო, ვითომ... —

კაპიტანმა სიტყვა შეაწყვეტინა:

— ვითომ შენი ყოველდღიური სტუმ-

რები რომ ვიყოთ, ასეთი რამ წამოგდებოდა?

— რას ამბობ, კაცო, — გაიცინა დახლიდარმა, — რა ღმერთი გამიწყებოდა!

ჯარისკაცს ლუდი სასულეში გადაუცდა, ხველება აუტყდა. დახლიდარმა ბეჭებზე ხელი დაარტყა:

— ალალი, ალალი! ვინ დაგაყვედრა! ხველებსა მორჩა ჯარისკაცი და ახლახნითი აუტყდა:

— რა კარგად თქვა, არა, ამხანაგო კაპიტანო? — სულს ძლივს ითქვამდა.

— დახლიდრებმა იციან სიტყვა-პასუხი, იუმორის გრძნობაც აქვთ, — სკამზე დაჯდა კაპიტანი, — მე ასი დამისხი, თეთრი, — გაუცინა, — ვითომო, თეთრიო სიცივის წამალიაო, ასე ამბობენ. შენ კი, ჯარისკაცო, ორიც დალიე ჩემს ანგარიშზე.

ჯარისკაცმა ცარიელი კათხა დააპირქვა, სახელოთი მოიწმინდა ტუჩები:

— ასეთი მოუხნათლავი ლუდი შემიძლია, მეორე საღამომდე ცხვა, ოღონდ გაქცევ-გამოქცევა მომამბეზრებს ხოლმე თავს.

— ჰოდა, შენც სვი და გაიქცე-გამოიქეცი, — წამოდგა კაპიტანი, — ცოტა განსურდები კიდევ.

— შეუშინა, მგონი ესეც მეტი მომივიდა, — ამოიოხრა ჯარისკაცმა, — ექიმებს რომ არ დავუჯერო, არ ივარგებს.

კაპიტანს არაფერი უთქვამს. ჭიქა აიღო, სიმწარე აგვშორებოდესო და ერთ ყლუბად გადაკრა არაყი. არაყს ლუდი დააყოლა.

ჯარისკაცს გააჟრიალა. კაპიტანმა თვალი შეასწრო:

— ვერ იტან? — ჰკითხა.

— მე რაც ეგ მეზიზღება, ნუ იტყვი! კაპიტანმა დახლიდარს ცარიელი ჭიქა დაუდგა:


— ერთი შენთვისაც დაისხი... რა გქვია და სადაური ხარ, ჯარისკაცო?

— რატი მქვია, თიანელი ვარ, — თან დახლიდარზე ანიშნა, არ სვამსო.

კაპიტანი დახლიდარს მიუბრუნდა:

— დალიე, დალოცვილო!

დახლიდარმა ასზე მეტი დაისხა, გრძელხუბა და პურის ნაჭერს დაეცინა:

— ცეცხლია პირდაპირ! — 

ერთხანს ღუმელი ჩამოვარდა: ჯარისკაცი პაპიროსს აწვალებდა ხელში, კაპიტანი მაგიდაზე გადაფარებულ ძველისძველ გახეთს ათვალეირებდა, დახლიდარი არყის ბოთლს აჭანჭყარებდა.

ღუმელი ჯარისკაცმა დაარღვია:

— არ წავიდეთ?

მისინ დახლიდარმა თქვა:

— ნახევარ საათში ამოვა მთვარე. ისე, რაღა დავიშალოთ და, ამ ოღრო-ჩოღრო ცხებზე სიარული ძნელია.

— თორმეტამდე ნაწილში რომ არ დავბრუნდე, არამც და არამც არ შეიძლება. იმ უპატრონო ხევმა რაღა ახლა წაიღო ხილი, — მაჯის საათს დაჰხედა კაპიტანმა, — მალე ათი შესრულდება. რვა კილომეტრს ორ საათში გავივლით? ან არა და, მანამდე რა ვაკეთოთ?

— ლუდი ვსვათ, ლუდი ვსვათ და დახლიდარი გავართოთ... რვა კილომეტრს ვაკეზე თავისუფლად გავივლით, თავდაღმართხეც, მაგრამ აღმართზე გავვიჭირდება. მერე და, ამხანაგო კაპიტანო, ვზას იცნობთ?

— ხუთი თითივით, — მარჯვენა გავფარხხა, — ორჯერ ავიარ-ჩამოვიარე.

— დარჩენა კი აჯობებდა, — წინსაფარი მოიხსნა დახლიდარმა, — ამალამ გვექეფა და დილით წასულიყავით. ჩემს ჭერქვეშ მოგასვენებთ, ღვთის წყალობაზე უპარს როგორ ვიტყვი.

კაპიტანი წამოდგა, გაიზმორა:

— კარგი იყო, მაგრამ... მაგრამ ისა, რომ წასვლა უკეთესია.

— როგორც გენებოთ.

— ჩემოდანი გამომიტანე და დანახარჯი მთანგარიშე. წავიდეთ, ჯარისკაცო, ვიდრე ტყთან ფერდობს შევუდგებით, მთვარეც ამოვა.

ჯარისკაცი ზურგჩანთას დასწვდა:

— შორია ტყემდე?

— არც ისე.

დახლიდარმა ჩემოდანი მაგიდაზე დადო:

— რა ძალაა, დარჩენილიყავით, და-
მეა, გზა არ ავეროთო.

კაპიტანმა ხელი ჩამოართვა დახლი-
დარს, ჩემოდანი აიღო:

— აბა, კარგად იყავი, მასპინძელო,
კიდევე გინახულვობთ.

— მაგას რა სჯობია.

ჯარისკაცმა ზურგჩანთა მოიკიდა და
დახლიდარს სხვათა შორის უთხრა:

— მოსაწყენი დღე კია.

— ევრეუა, — სახე მოისრისა დახლი-
დარმა, — აქაურები ძილს პატიყს სცე-
მენ. გზა მშვიდობისა, სტუმრებო!

რა ხანია უკან დარჩა სოფელი, — ჩა-
ჩუმებული ეზოები, ხრეშმოყრილი ქუ-
ჩები, აქა-იქ ადევდავებული ძაღლები...
ისინი ახლა საურმეზე მიდიოდნენ; ჩა-
დრმავეებული, მიხვეულ-მობევეული გზა
თანდათან მალა მიიწვედა, ვიწროვდე-
ბოდა.

კაპიტანმა ჩემოდანს ხელი შეუწაცვ-
ლა:

— რამდენი ვეხვეწე ცოლს, ზურგჩა-
ნთაში ჩამილაგე, რაც გასატანებლად
გემეტება-მეთქი. არ ქნა, ეს კულტურაო,
ეს სილამაზეო...

— მაინც თავისი გაიტანა, არა? — გა-
ეციანა ჯარისკაცს.

— მაინც, — კაპიტანმა გზიდან გადა-
უხვია, ჩემოდანი გამეტებით დაახეთქა
მიწაზე, — დავისვენოთ.

ჯარისკაცი გადავიდა გზიდან, ზურგ-
ჩანთა მოიხსნა:

— დავისვენოთ, მაგრამ ჩემოდანი ეგ-
რე რომ დაახეთქეთ, შიგ იქნებ გასატე-
ხია რამე.

— რა უნდა იყოს, საცვლებია და პირ-
საპარსია.

კაპიტანი ჩემოდანზე დაჯდა. ჯარის-
კაცი წამოწვა, თავი ზურგჩანთაზე და-
დო.

— გაცივდები, ბიჭო, ადექი, — უთხ-
რა კაპიტანმა, — ჯერ ზაფხულში რა არ-
ის მიწაზე წოლა, ახლა ამ ნესტიან შე-
მოდგომაზე?

ჯარისკაცმა გაიწ-გამოიწია და უფრო
მოსწიწიულად დადო თავი:

— თუ დამიჯერებ, მსიამოვნებისთვის
დეც, — მარჯვენა მაჯაზე წაივლო ხელი,
გაჩუმდა, — ჰო, — თქვა მერე, — მგონი
ისევე სიციხე მაქვს.

— მით უმეტეს, — გაოცდა კაპიტა-
ნი, — მიწაზე წამოწოლას უნდა ერიდო.
ტყვილებს უჩივი?

— გული მაწუხებს. ხელი დამადე, ბა-
გა-ბუვი გააქვს... მანდ არა, აი აქ, ქვე-
მოთ.

— რა დაგემაართა? — ისევე ჩემოდან-
ზე დაჯდა კაპიტანი, — რას გეუბნებიან
ექიმები?

— რა უნდა მითხრან ისეთი, რაც მე
არ ვიცი; თავს გაუფრთხილდით, ღვინო-
არაყი არ სვო, არც ლუდით, ცოტა პუ-
რი ჰამეო, ბევრი — მწვანილი, ხილიო;
ნუ ივლი აღმა-დაღმაო, წიგნი არ იკით-
ხოო... ერთი სიტყვით, გინდ ყოფილხარ
და გინდ არაო... ნემსებით ისე დამჩხვ-
ლიტეს, დაჯდომა და გვერდზე წოლა მე-
ნატრება.

კაპიტანმა ასანთი გაჰკრა, ჯარისკაცს
შეხედა და მერე მოუკიდა სიგარეტს.

— შინ ვინ გყავს?

— დედა.

— მამა ომში დაგელუპა?

— არა, ცოცხალია, რუსეთში ცხოვ-
რობს.

— რას აკეთებ?

— სამხედრო მფრინავია, პოლკოვ-
ნიკი.

— ეჰ, რას გაიგებ აღმამიანისა!

— მართალია.

— არ გეხმარება?

— ფულსაც მოგზავნის, ყველაფერ-
საც... ძალიან მოსიყვარულეა, ხშირად
მნახულობს ხოლმე... სხვა ცოლ-შვილი
არ ჰყავს და, ალბათ, მიზეზი ეს არის,
რომ თვეში ორჯერ ვრძელ წერილს მი-
გზავნის.

— იცის, ავად რომ ხარ?

— კი, ფეხი ვიღრძე-მეთქი, მაგრამ
ვერ გამოვაპარე, ამდენ ხანს როგორ ვერ
მორჩიო. დილას ჰოსპიტლიდან გამოიწვე-

რეს და დეპეშაც მივიღე, ხვალ გადმოვფრინდები, მელოდეთ. მე კი აქეთ წამოვედი.

— რაო, გაგათავისუფლეს?!

— რა თქმა უნდა. ბიჭების სანახავად მოვიღივარ. ხვალ ისევ უკან დავბრუნდები. დედაჩემს არ შევატყობინე, ძნელია ლოკინი; დღეს სულ დაშსხვრეული თვითმფრინავები მეღანდებია...

— ყველაფერი გულთან კი არ უნდა მიუშვა!

— სათქმელად ადვილია...

ღაბლა, ვაკეზე ვარსკვლავებით მოფენილი სოფელი მოჩანდა. მაღლა ტყიანი მთა ჩამავებულებოდა. კაპიტანმა ჰორიზონტს გაჰხედა:

— მთვარე ამოღის. ადგი, ნელა ვიაროთ და მთვარეც წამოგვეწევა.

ჯარისკაცი წამოიზღაზნა.

ისევ გზაზე გადავიდნენ, აღმართს შეუყვნენ. კაპიტანმა, აღარ გვეჭირდებაო და, ხელნათურა ჩემოდანში ჩაღო. მიდიოდნენ და ცის ფონზე თანდათან გარკვევით ისახებოდნენ მთათა ოკრო-ბოკრო კონტურები. ბოლოს მთვარეც ამოვიდა. ხედავდნენ: ყოველ ფეხის ნაბიჯზე იზრდებოდნენ ხეები, მთვარის გაცრეცილი ჩრდილები. მერე მეჩხერ ტყეს ცაში ავარდნილი დიდი ხეები შეენაცვლა და ნემოს სუნი დატრიალდა ჰაერში. ჩაგუბებულ ღუმლილ მხოლოდ მათი ფეხის ხმა არღვევდა.

გზის გასაყართან გაჩერდა კაპიტანი, მიიხედ-მოიხედა:

— რა მოხდა? — გაჩერდა ჯარისკაციც.

— ჰმ, — შუბლზე ხელი შემოირტყა კაპიტანმა, — შენ რომ არ წაგესტვინა, ისე ვიყავ ფიქრში გახლართული, პირდაპირ წავიდოდი და ვინ იცის, რას წავაწყდებოდი.

— არ დავიკარგებოდი, ამბობენ, ბუნებაში არაფერი იკარგებაო.

— ვინც პირველად ეგ თქვა, თავით უნდა ჩააყუდო ჭაობში; ენახოთ ერთი, რა ხასიათზე დადგება.

ორიგეს გაეცინა...

მარჯვნივ გაუხვიეს, ქვიან გზას გაჰყ-

ვნენ. მიდიოდნენ და მიჩხრიალებდნენ ზვინჭა. წელში მოხრილი ჯარისკაცი უნდა შინით მიჰყვებოდა კაპიტანს.

კაპიტანმა ნაბიჯი შეანელა.

— დაილაღე?

— მუხლი არ დამღლია, გული კი ამოვარდნაზეა.

— მომეცი, მე წამოვიღებ ზურგჩანთას, — შეაჩერა ჯარისკაცი.

— გმადლობთ, მძიმე არ არის, შიგწივებშია, მეტი არაფერი.

— რა წივებშია?

— რა ვიცი, აგრონომიულზე შესვლას ვაპირებ, ვემზადები. მინდა მევენახე გამოვიდე...

მიდიოდნენ და მიჰყვებოდათ ნავსე მთვარე. ის მთვარე ხან ხის კენწეროზე დასკუბდებოდა ხოლმე, ხან ტოტებში იზღანდებოდა. დაღმართს რომ დაუყვნენ, გულზე შეხვდათ, — იმ გულზეშიც ლივლივებდა მთვარე...

ტყე ახმაურდა, ცივი ნიავი მიამზრიალებდა ტყეს. საღდაც ტურა ჩხაოდა, ბუგაჰკიოდა საღდაც.

გზამ მკვეთრად დაუხვია; მოკალოებული ადგილი გამოჩნდა.

— აქ წყდება საურმე, ახლა ბილიკით დავეშვებით, — თქვა კაპიტანმა, შეჩერდა და სიგარეტს მოუკიდა, — შენ არ მოსწყევ?

— არ მინდა, ისედაც მიჭირს სუნთქვა.

— ცოტაც და მივალთ...

შორიდან თეთრად ლაპლაპებდა დაქანებული ბილიკი, თითქოს რუაო. ბილიკს ზოგჯერ დიდი ხეების ჩრდილი ეცემოდა და მაშინ გეგონებოდათ, ფოთლებში მიიპარება რუო.

გარინდებულ ტყეში ზღაპრები ჩამოდიოდნენ მთვარიდან: დევები ლაწა-ლუწით მთარღვევდნენ მუხნარს; დედინაცვალს გამოქცეული ბიჭი ხეზე ასულიყო და გათენებას ელოდა; გზადაკარგული გოგო მშველელს უხმობდა; ალქაჯები წივილ-კივილით მისდევდნენ შეშინებულ მესხრეს; ჭინკებს ცეცხლი დაენთოთ ლიჭინაში და იგრიხებოდნენ, — ვითომდა ვცეკვავთო...

კაპიტანმა ტოტი ჩამოიცილა ბილიკი-
დან, ჯარისკაცი წინ გაუშვა.

— რაღაც უნდა მეთქვა თუ მეკითხა,
აღარ მასსოვს, — დაფიქრდა კაპიტანი.

— იქნებ დავეხმარო...

— გამახსენდა! — წამოიძახა, — ბი-
ჭო, მთიელ კაცს ვაზი რამ შეგაყვარა?

— ერთმა ამბავმა: ჩემს დედიძემას კა-
ხელი მოყვარე ჰყავს. ის მოყვარე რამ-
დენი თიანეთში ამოდის, მისი დაცივნის
მეტე საჭმე არ აქვს. ამოდენა კაციო,
უუბნება ხოლმე, ორ ძროხას რომ დას-
დევ, არა გრცხვენიაო? ეგაო, ნაცარქე-
ქიაობააო... ვაზი განა მართლა არ იხა-
რებს თიანეთში, მაგრამ გარჯას ერიდე-
ბითო. ვაი დედასაო, მკერდზე ირტყამს
მუშტსა, რა მიწებს აცდენთო. ვაშლიც
კარგია, მსხალიც, მაგრამ ვაზი ყველა-
ფერს სჯობიაო. თუ ეგრე არ არის, ან
ერთი სიმღერა გამავონეთ ვაშლზე, ან
არა და, ლექსის გარდა ხომ არაფერი
იციო, ლექსი მაინც მითხარითო. რაც არ
არის, რას ეტყვი! ჩემი დედიძმა თავის
მართლებას მოპყვება ხოლმე, დამწიფე-
ბას ვერ ასწრებსო. აბა, მაშინ უნდა ნა-
ხო, როგორ ცეცხლდება: რუსეთში უფ-
რო არ ცივა, იქ როგორ ასწრებს დამწი-
ფებასო. მართალია, გლეხი ვარ, მაგრამ
იმ მკვდარძალ ვერმანელებს რომ მიე-
დევდი, მთელი ვეროაბა გადავიარე, მარ-
ტო მტერს კი არა, ვაზსაც ცუყურებდიო;
იქ როგორღა მწიფდებო... მომისვამს
ხოლმე გვერდით და სულ ვაზზე მელა-
პარაკება; ასე უუვლიო, ასე მოვირთვე-
ლებ ხოლმეთო, ასე ვაყენებ ღვინოსო. იმ-
ასაც მეუბნება, ახლა ღვინო გააფუჭეს,
შაქრითა და მამობადლობითარ. ამხანა-
გო კაპიტანო, უნდა დავამთავრო აგრო-
ნომოული, რაღაც არ უნდა დამიჯდეს,
დავამთავრებ. აქ თუ ვერას ვავხდი, შო-
რიდან ჩამოვიტან ყინვაგამძლე ვაზს, ვა-
ხარებ თიანეთში. ყველაფერში მართა-
ლია ის კაცი. რაღა შორს წავიდეთ, რაჭა
უფრო მაღალზე არ არის?

— ასეთი სიჯიუტით ყველაფერს მი-
აღწევ!

— მე მაინც ჩემსას ვეცდები.

ტყე უცებ დამთავრდა, დაცემულ მინ-

დორზე გავიდნენ. კაპიტანმა ქუდი <sup>წაი-
წია</sup> ხადა, კიტელის საყელო გაიხსნა.

— დამცხა, — ჩაილაპარაკა ^{გაჩინული} ^{მომლოცხარი}

— ველარ მივედით? — შეხედა ჯარი-
სკაცმა.

— მივედით, — მკლავზე ხელი მოჰ-
კიდა, შეატრიალა, — გაიხედე, როგორ
ლაშახად ჩაწმ ჩვენი დაბა.

— მართლაც! მე კი შორს მეგონა! —
გაუხარდა ჯარისკაცს.

— განვებ არ გითხარი. წავიდეთ.

— დავილაღე, ამხანაგო კაპიტანო,
თავდაღმართმა უფრო დამალა. ცოტა
ამოვიტაქანებ, ფერზე მოვალ და ისე მო-
ველანდები ბიჭებს.

კაპიტანი ისევ ჩემოდანზე დაჯდა. ჯა-
რისკაცი ისევ წამოწვა და თავქვეშ ისევ
ზურგჩანთა ამოიღო.

— მომენატრნენ ჩვენი ბიჭები, —
თქვა ჯარისკაცმა, — ერთი სული მაქვს,
ვიდრე ვნახავდე.

— ნეტავ, მე თუ ვიცნობ მათ?

— არა მგონია. რამდენ ხანს იყავი
შვეებულებამში?

— თვენახევარი.

— ისინი ოცი დღის გადმოსულები
არიან.

— ხვალ საგანგებოდ მოგაკითხავთ,
კარგი ბიჭების გაცნობას რა სჯობია!

დაბლა ხევი ხმაურობდა. გარკვევით
მოისმა რადიოს ხმაც, — უკანასკნელ
ცნობებს გადმოსცემდნენ: ქვეყნიერებას
ამცნობდნენ, ამა და ამ უცხოელმა ფეხ-
ბურთელმა ცოლად შეირთო ესა და ეს-
აო. „რას მოვესწარიო! — გაიფიქრა კა-
პიტანმა, — ვილაცას ქვეყანა იცნობს,
მხოლოდ იმტომ, რომ ბურთს მარჯვედ
ურტყამს კარში. ის კი, ვინც პირველმა
გააკეთა გულის ოპერაცია და იმდენი
აღამიანი დააბრუნა საიქიოდან, ყველას
დააეფიყდა. ვერ მოუფიქრებიათ, ხანდა-
ხან შეასენონ ხოლმე იმას მაინც, რომე-
ლმაც ეს-ეს არის უნდა გადაიტანოს ურ-
თულესი ოპერაცია და პირახვეულ, სიტ-
ყვამვირ ქირურგს შესცქერის მავედრე-
ბელი თვალებით. მოსაცდელში კი მისი
პატარა ბიჭები დარაცრაცებენ: მათ არა-
ფერი გაეგებათ სიკვდილ-სიცოცხლის

მონაცვლეობისა, უბედურებისა, რაც ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. შეიძლება დაობლდნენ პატარა ბიჭები, მაგრამ... ქირურგს დანა უჭირავს ხელში. მან იცის, რომ ავადმყოფის შვილები მონაცვლეობაში არიან და უფლება არ აქვს დააობლოს ისინი, დააქვრივოს მათი დედა, აატვირთოს მათი მესზღარე პაპა, რომელსაც ჯერ არ უტირია. ვაივლის დრო, მამა შვილებს დაუბრუნდება და არასოდეს დაავიწყდება შემდეგ უკვე ენაწყლიანი ქირურგი. ქირურგი კი ვეღარ ვაიხსენებთ ბიჭების მამას, რადგან ამგვარ ოპერაციას აკეთებს ყოველდღე. ყოველდღე მოდიან სხვა ავადმყოფები და მონაცვლეობაშიც სხვა პატარა ბიჭები ჩამოსხდებიან ხოლმე სკამზე. არც ამ ქირურგს იცნობს არავინ!..“

ჯარისკაცი წამოიწია.

— რომელი საათია?

კაპიტანმა ცერად დახედა საათს,

— თორმეტის ნახევარი.

ციმციმ დაეშვა ჯარისკაცი მიწაზე, ღრმად და მკვეთრად სუნთქავდა.

— ერთი ლიტველი ბიჭია ჩვენს ათეულში, — თქვა ჯარისკაცმა, — მაღალია, ქერა, სულ თვალები უცინის. ჭადრაკს თამაშობს და რას თამაშობს! მისი მომგები ჯერ კაცი არ მინახავს. როცა დაფას მიუჯდება ხოლმე, მე ზევიდან დაეჩურებოვარ. შუა თამაშში გააკეთებს სვლას და, აუპ, ვიღრიჯები, ეს რა სვლა გააკეთა! აუპ, დაიღუბა თავი! იმ პარტიას, რა თქმა უნდა, იგებს. მერე დამდევს და მეხვეწება, მოდი, მეთამაშეო. მე ვეუბნები, რად გინდა, მოგიგებ-მეთქი. შენ რას დაეძებ, წავაგო, ოღონდ მეთამაშე, ოღონდ ვნახო, როგორ თამაშობო. ბიჭებმა გადარიეს, ჩემზე ეუბნებიან, პირველი თანრიგი აქვსო. მე კი, ვითომც, თავს არ ფუყადრებ... ამდამ რომ დავაფეთებ და ვეტყვი, სვლებიც ძლივს ვიცი-მეთქი, მოკვდება სიცილით. მგონი ახლა გულადმა გამხლართული ქერა აყლაყულა და სიზმარში ჭადრაკის დაფას ხედავს.

— მეც მიყვარს ჭადრაკი, მაგრამ წაგებას ძალიან განვიცდი და ვერიდები.

ჯარისკაცს ხველება აუტყდა, ხველება კი მოინიშნა.

— ექიმისთვის უნდა დამეჭვებინა სული მოითქვა, — ცოტა იარეო და ამსიშორებე კი წამოველ.

— ასე რომ მცოდნოდა, გზიდან დაგაბრუნებდი. წყალი ხომ არ გინდა?

— არა.

— არ მომერიდო, წყარო აქვია, მოგიტან, — წამოდგა კაპიტანი.

— არ მინდა.

ცას უყურებდა ჯარისკაცი, მოწმენდილ ცას. უყურებდა და სოფელი ახსენდებოდა: თავშალმობეუთლი დედა და მეზობლის გოგო. იმ გოგოს ძალიან შევინის ყვავილებიანი ჩითის კაბა. მის ეზოში საზაფხულო ვაშლი დგას, ყველაზე ლამაზად ჰყვავის ხოლმე ის ვაშლი.

კაპიტანმა სივარეტს მოუყიდა:

— ბარემ ჩავიდეთ დაბაში, — დაიჩოქა და ცხელ შუბლზე ხელი გადაუსვა, — ექიმს გამოვიძახებ.

— ცოტასაც დავისვენებ... მარცხენა ბეჭი ამტკივდა... — ისევ ცას დააშტერდა. გაუყვირა: ვარსკვლავები გორებს იქით ცვიოდნენ, ღრუბლებს ასკდებოდნენ, მთვარეს ენთქებოდნენ. მოშავო ნისლი ედებოდა ცას...

ბეჭქვემ ხელი შეუყო კაპიტანმა:

— როგორ ვერ შეამჩნიე, — სინანულით თქვა, — ქვაზე წოლილხარ. აი, — აჩვენა და ხელუკუღმა გადაადგო. — ამ ქვამ გამახსენა: კურსკის მისადგომებთან ჩვენი ათეული მტრის ალყაში მოექცა. შენ რომ მეუბნებოდი წელან, ჯარისკაცული მეგობრობა სულ სხვა არისო, ახლა ფრონტული იკითხე! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთმანეთის სიცოცხლე გაზარიათ. სიკვდილი ხომ ყველაფერს ნიშნავს, დაჭრაც არანაკლებია, მითუმეტეს მამინ, როცა ალყაში მოქცეულ ათეულს მთელი ასეული გიტევს. ათეულს ვაშობო, თორემ ხუთნილა ვიყავით. ჩვენ მაღლობზე ვართ, დაბლობში პიტლერელები არიან, თანდათან მაღლა მოიწევენ. ჩვენც, მტერია და, უმოწყალოდ ვეუყავთ, თან ვიცი, საცაა ტყვია გაგვითავდება, საშველი კი არ ჩანს და

მანც, ერთმანეთს ვამხნევებთ, ერთმანეთის იმედი გვაქვს. უცებ, ერთი დაიჭრა მხარში, სისხლი თქრიალით ჩამოსდის. გულალმა დავაწვიინ და ისევ ავტომატს მივუბრუნდი. თავზარი დაგვეცა: ოთხნილა დავრჩით. ვფიქრობთ, ყველაფერი გათავდაო და, ამ დროს, სად იყო და სად არა, ჩვენები მოცვიდნენ, — იქიდან იმათ დასცხეს, აქედან — ჩვენ და ყველაფერი კეთილად დამთავრდა... დაჭრილი საკაცებზე დავაწვიინეთ. ვხედავ, მარცხენა ხელში სისხლიანი ქვა უჭირავს. „რა არის ეგ?“ ვეკითხები. „ქვაა“, მკასუსობს. „გადაავდე, რად გინდა?“ „რას ამბობ?! — გაიკვირვა, — თუ შინ მშვიდობით დავბრუნდი და სიბერეც მიწერია, შვილიშვილებს ვაჩვენებ, აი, ამ ქვასაც ვიცავდით-მეთქი...“ მერე... გაიგე რას გეუბნები?

ჯარისკაცს ხმა არ ამოუღია. კაპიტანმა იფიქრა, ჩაეძინაო. კიტელი გაიხალა და წააფარა...

თეთრი ღრუბლები ამოიწვერნენ მთიდან, სავეს მთვარისკენ მიიზღაზნებოდნენ. კაპიტანი მთვარით გათეთრებულ დაბას გადასცქეროდა. „იქ ახლა ჯარისკაცებს ძინავთ, ისვენებენ მხიარული ბიჭები“, — ფიქრობდა. მერე თბილისი გაახსენდა, თავისი ბიჭი გაახსენდა, რომელიც თურმე ხშირად აცდენს ლექციებს. ვილაც გოგოსთან დადისო, ცოლმა შესჩივლა. „უკეთეს ამბავს ვერ მომახარებდი! ნეტავი ველირსებოდე შვილიშვილს! შენ კი გულს შემოგყრია, თუმცა არც გაგამტყუნებ, ამბობენ, ქალებს ბეზიაობა სწყინთო...“

კაპიტანი ბილიკზე მიმოდიოდა. ცდილობდა, უხმაუროდ ევლო, ჯარისკაცი არ გაეაღვიძოო...

თეთრი ღრუბლები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ მთვარეს. კაპიტანმა საათის დახედა, პირველის ნახევარი იყო.

— გაიღვიძე, ბიჭო! — აჩქარებით შეანჯღრია ჯარისკაცი, — პირველი სრულდება.

ჯარისკაცი არც გატოკებულა. კიდევ შეანჯღრია:

— ეს რა მაგარი ძილი გცოდნია! გა-

იღვიძე, თავზე არ დაგვათენდეს, — მუბლზე დაადო ხელი და გაშრია ბიჭო! — ახლა მაჯა მოძებნა, — ვაჟიმე! შეტრიალდა და თავქვე დაეშვა. ერთხანს მირბოდა, შემდეგ გაჩერდა, ისევ უკან გამოიქცა, ჯარისკაცთან მიიჭრა. უახროდ დასჩერებოდა მაღლიდან, კანკალეზდა, ერთ ადგილზე ტრიალებდა. ბოლოს გამოერკვა.

— მიშველეთ! — დაიღრიალა.

დაზიდან ავტომატის მოკლე ჭერიტ გამოეხმაურნენ.

ეზოს თვალი მოავლო კაპიტანმა: მტვერში ამოვანგლული ჯარისკაცი სატვირთო მანქანას უჩიკინებდა; მხარეულ ქალს წყაროზე მწვანილი მიჰქონდა გასარეცხად; სასადილოს წინ თეთრი ლეკვი დასუნსულებდა, „აღბათ, ბიჭებმა მოიყვანეს, ესეც გასართობია“.

აკაციების ქვეშ ათეული ჩამწკრივებულყო. იმ ათეულში ქერა, მაღალი ჯარისკაცი განვევებული იდგა: „აღბათ ეს არის ლიტველი ჯარისკაცი“. სხვები თავისუფლად იდგნენ: ზოგს მუხლი ჩაეზხრა, ზოგი ქულს აწვალებდა ხელში, ზოგიც ხმადამლა საუბრობდა. თავჩაღუნული მეთაური უხმოდ სცემდა ბოლთას.

ქერა ჯარისკაცს მხრები აუკანკალდა, თვლებზე აიფარა ხელი, მწყობრიდან გამოვიდა და აკაციების რიგს გაუყვა. მეთაურმა თვალი გააყოლა, მერე ათეულს უბრძანა:

— დაიშალენით!

მაერამ არაფერ გამოსულა მწკრივიდან.

კაპიტანმა ახლადამოსულ მხეს აპხენდა, თვალისმომჭრელად ბრდღვივალეზდა მხე.

— ჯარისკაცი დაიღუპა! არც საპაერო დაბომბევა, არც ხელჩართული ბრძოლა... ჯარისკაცი კი მანც დაიღუპა, — ჩაილაპარაკა და გზა განაგრძო.

მიდიოდა და ახსენდებოდა: როცა ომის დამთავრებას ბევრი არაფერი აკლდა, ერთთვისანი შვიბულება მისცეს. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დანგრეულ როსტოვში ჩამოაღწია და დეპეშა გაუგზავ-

ნა დედას, მოვდივარო. კიდევ რამდენიმე დღეც და უკვე თბილისში იყო. ერთი ქუჩა გაიარა, მეორე, მესამე და აი მისი უბანიც, მისი ქუჩა, მისი ეზო. მაგრამ ეზოში ნაცნობმა ფოსტალიონმა შეასწრო. „აღბათ, ჩემი დეპეშა მიაქვს, დაგვიანდებოდა“, გაიფიქრა ჯარისკაცმა. ალაყაფის კართან შეჩერდა, დაელოდა, მაღე კიბე ახმაურდება, ჩემს შესაგებებლად გამოცვივდებიანო. ელოდა, ელოდა და... დედის შეკვივლება კი მოესმა. კისრისტეხით აირბინა კიბე, აივანზე ავარდა: მთელი აივანი უკვე ავსებულიყო მეზობლებით. არავისთვის შეუხედავს სახეზე, კარი შეაღო და ოთახში შევიდა. საწოლზე დედამისი დამხობილიყო, ტიროდა. „დედა!“ — დაუძახა. დედამ თავი ასწია, წამოვარდა; შვილს მოეხვია: „შვილო! ვახტანგი დავკარგეთო!“ — შებღავლა. ჯარისკაცს მუხლები მოეკვეთა, თურმე ძმის დაღუპვის დეპეშა მიუღია; ბარბაცით გავიდა აივანზე, ქვითინებდა. მაშინ იყო, ვიღაც დედაბერი ეუბნებოდა ვილაცას: „მე ვიკითხო, თორემ მაგას რა უჭირს, ერთი შვილი მაინც დაუბრუნდა“...

კაპიტანმა შტაბის კარი შეაღო და შევიდა. მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი მათორი წელში გაიმართა, უხმოდ ჩამოართვა ხელი, სკამი შესთავაზა. კაპიტანი დაჯდა.

— იცნობდი? — ჰკითხა მაიორმა.

— ვიცნობდი.

— დიდი ხანია?

— დიდი ხანია!

— ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა, — თქვა მაიორმა და თითები გაატაცუნა, — დეპეშა უკვე გავუზავნეთ დედამისს. ამბობენ, დღესვე ჩამოვაო... ხვალ მისი ათეული გააცილებს მხედრულად.

არაფერი უთქვამს კაპიტანს. მაგიდიდან კალამი და სჯფთა ქალაღი აიღო, გაკრული ხელით რაღაც დაწერა და მაიორს მიაწოდა:

— სამი დღით უნდა გამიგრძელოთ შეგებულება.

მაიორმა უყოყმანოდ მოაწერა ხელი და კაპიტანს შეხედა:

— როდის წახვალ?

— ახლავე.





ჩემო პაპუკი

წახედავს, ძეგო, მგონებო!

წახედავს, ძეგო, მგონებო!
სადღეგრძელოში გათავდა მთვარე...
და დახუნძლული ფერად ფრთოსნებით
დართვილული ტყე იფშენებდა თვალებს.

და ვარსკვლავების ზარის წკრიალით
ზეცა კრიალა მადგა თავდებად,
ამოდოდა ბრიალ-ბრიალით
მზით დალოცვილი ცისკრის ნათება.

მინდვრებში ჩემი სული მღეროდა,
(დილა კი ხობხობის გაშლილ ფრთას ჰგავდა)
და სველ ბალახის ყოველ ღეროდან
მშობელი მიწის სიყვარულს სვამდა!

გადადიოდა ღარზე სტვირივით
პატარა დეღე შქერის ბუჩქიდან,
მთა იდგა მთვრალი ჭაშნაგირივით, —
თვლებით მოჭედილ თასებს უცდიდა...

წახედავს, ძეგო, მგონებო!
სადღეგრძელოში გათავდა მთვარე
და დახუნძლული მძინარ ფრთოსნებით
დართვილული ტყე იფშენებდა თვალებს.

ლ ა რ ნ ა კ ე ბ ი

გამოჩნდა რწევა ფერად კაბების
და ქუჩას თეთრი მუხლები უჩანს,
და გადახრილი მზეში ჭადრები
გადაურეკლავს ვიტრინის შუშას.

და მზე გადადის ცაზე შიშინით
და თეთრ მასივებს უჩნდება ბზარი,
მოდის და უხმოდ ქრება მაშინვე
ბეთანიიდან დაძრული ქარი.

ბალის სიგრილე და ჩრდილი ყველა
სხივებმა შესვეს და ამოწოვეს...
ავტობუსები დადიან ნელა,
პკვანან დადიან და ყვითელ ხოჭოებს.

ცარიელი ვარ, როგორც ჭურჭელი,
და ჩუმი ფიქრი წვეთ-წვეთად მავსებს,
და დღე დასიცხულ ბაგის ჩურჩულით
წყნარად მიყვება საკუთარ თავზე...

და ენატრება ყველაფერს წვიმა,
როგორც ხეების დახლეჩილ მერქანს,
და რჩება ძველი სახლების მიღმა
ის, რასაც ჩემი ბავშვობა ერქვა...

თანდათან ხდება შორი და უცხო
აქ მოსეირნე ხალხის იერი
და მოცახცახე შუადღის სიცხე
სახურავებზე წევს ნებერი.

მყვირალა ინით ნაფერი მთები
პკავს მაღალსა და მბრწყინავ პარიკებს,
და ყავახანა ზაფხულის ვნებით
თეთრ ლარნაკებში ყავას არიკებს.

ვჭვრეტ ამ მაგიდებს და ამ სახეებს
და ამ გამხდარი ბიჭების კასტას,
როგორ მაწუხებს, როგორ მახელებს
ამ უხიაგი სურათის განცდა.

ყავახანა კი მიხრწნილ კაცივით
მილულავს თვალებს და ხმას არ იღებს,
და როგორც ბედის მწარე დაცინვას
თეთრ ლარნაკებში ყავას არიკებს.

და სიგარეტი იღევა ხელში,
წყნარად ეღება მაგიდებს რული,
და ამ სიჩუმეს ბასრი ეშვივით
გაფატრავს ჩემი ამაყი სული.

მე მენატრება საოცრად წვიმა,
როგორც ხეების დახლეჩილ მერქანს,
...და რჩება ძველი სახლების მიღმა
ის, რასაც ჩემი ბავშვობა ერქვა.

იმ დღეებს თეთრი ფერი აცვიათ
და მიყურებენ ქარში ირიბად,

ოდესღაც სული მუნჯი კაცივით
იმახსოვრებდა ყველა მიმიკას.

მე კვლავ ვყიდულობ ჩემთვის ყვავილებს
და კვლავ ვაკითხავ მახლობლის საფლავს,
დაუბრუნებელ ჩემს სიყმაწვილეს
ცისფერ ნისლივით ვიგონებ ახლა.

მაგრამ მე ვიცი სიცოცხლის ფასი,
და ვიცი ისე, როგორც არავინ,
და ბევრი დიდი სურვილის მსგავსი
შემრჩა ოცნება გაუზზარავი.

მე მწამს სიმღერის და არა მოთქმის, —
მკერდზე ზრდღვიალა მიხაკს ვიკეთებ,
და მჯერა ჩემი ვაჟკაცურ მოდგმის,
და ყველა კაცში ვხედავ სიკეთეს!

თ ე თ რ ი ლ ე ქ ს ი

ელგუჯა ამაშუკელს

...ბილიკზე გდია მთვარის სინათლე
და როგორც მარილს,
უხმოდ ლოკავს გამხდარი შველი.
სძინავს სამყაროს
და პატარა წისქვილებისკენ
მიაქვს მდინარეს
ვარსკვლავების მწვანე ზოდები...
მთის ძირში თეთრი ოდეზია
და ის ვენახი,
სადაც წინაპარს ჩვენი გემა ამოუტვიფრავს,
მიუდგამს მკერდზე მზის ჩასვლისას
სველი ორშიმო
და შეუხვრიპავს მწიფობისთვის ფერი და ვნება...
და იმის შემდეგ
თვითეული ჩვენგანის სულში
სველი სინათლით
მღერის ყურძნის ლურჯი მტევანი...


მაჯაზე გიზის შავი მიმინო
და ფერმკრთალ სახეს, ნერვიული ხაზებით შეკრულს,
შეანათებენ გაღებული ძველი სკივრები
უშველებელი და ცისფერი ბრილიანტებით!
და მერე უხმოდ,
როგორც დვრიტა კაცის გაჩენის,
ვადადის ქვაში
საქართველოს უშრეტი სული!

...და კვლავ გამოიბის
ფეხშიშველი ბავშვი ვენახში
და ყურძნის მტევანს ეწაფება,
ვით დედის ძუძუს,
და დასისხლულ მზეს, მოელვარეს, მამლის ყელივით,
შეუდგამს ხელებს სიყვარულით და აღტაცებით!

...მაღალ სკივრებში
განათებულ სიზმრებად თვლემენ
უნატიფესი ბეჭდები და ბრილიანტები.

* * *

მოჩანს მდინარის პირას,
მოვარდისფერო კვამლში,
მიტოვებული ცის ქვეშ
აყვავებული ბალი.
შენ იხედები წყალში
და მოგრძო თვალთა ჭრილში
წყნარად დაცურავს ფიქრი,
როგორც ცისფერი თევზი...
მე უკვე მიგრძნო ტანმა
შორი ტყეების ჩქამი,
ალუბლის მწიფე ტოტი
და აგარაკის ჩრდილი.
შემოგრაგნილი თავზე
შენი წითელი თმები,
მზის მოწკარუნე სხივებს
ვნებით შემოაქვთ ჩემში.
და აღტკინებულ ტყემლებს
მკერდზე ასკდებათ კვირტი.
და ბალის ფერით ვივსებ
უგამჭვირვალეს ჭიქებს,
რომ ამ ბავშვივით ხეხილს
უხმოდ ვემთხვიო შუბლზე.
...მოჩანს მდინარის პირას
აყვავებული ბალი.



სიყვარული

მოთხრობა

მთელი კვირა თოვდა და მშენებლობა შეჩერებული იყო. პირველ ორ დღეს შემდგომების ბრიგადა კიდევ მუშაობდა. მერე ყველაფერი თეთრ ზეწარში გაეხვია და გაყუჩდა. მხოლოდ მდინარე გუგუნებდა წინანდებურად. ჩრდილოეთიდან გარეული იხვები მოფრინავდნენ, მდინარის მახლობლად, ცუბურებში სხდებოდნენ და ფრთების ფართხნითა და სისინით მშენებლობის დარაჯს თუ აღიზიანებდნენ მხოლოდ. დარაჯს იასონი ერქვა. ჯიხურში იჯდა, ფეხებს ელექტრონის ლუმენზე ითბობდა და საათობით უთვალთვალებდა იხვებს. „გაისად აღარ მოფრინდებიან, — ფიქრობდა ბერიკაცი, — გაისად აქ კაშხალი იქნება. ტყეც გაიკაფება“.

ტყე საუცხოო სანახავი იყო თოვლში. ტყეში გაჭრილი სამანქანო გზა ხეობისკენ ეშვებოდა. ამ გზასაც ფარავდა თოვლი, მაგრამ ყოველ ცისმარე კაშხალის მშენებელთა დაბიდან ტრაქტორი ამოდიოდა ხოლმე და გზას პირვანდელ იერს უბრუნებდა.

თოვლით დაფარული ტყე ჯიხურის უკანა ფანჯრიდანაც მოჩანდა. იასონმა იცოდა, ამ ტყის გადაღმა ზღვა იწყებოდა და მდინარეც სწორედ იქითკენ მიის-

წრავდოდა. ზაფხულსა და შემოდგომაზე იასონს არაერთხელ დაუნახავს ზღვა. ოღონდ ამისათვის ამწის კოშკურაზე უნდა ასულიყო. მას უყვარდა ზღვა. მაგრამ ამწე მაღალი იყო და თავბრუს ახვევდა. ერთხელ გულმა რაღაც უცნაურადაც კი გაწიწკნა და მას მერე კოშკურისკენ აღარ უქნია პირი. არადა, რა სანახაობა იშლებოდა ამწედან! იქ, სადაც მდინარე უერთდებოდა ზღვას და უბე იქმნებოდა, ყველაფერი ლურჯად ელავდა. ფოთის მხრიდან მონაბერი ქარი მთელი ნაპირის გაყოლებაზე წამოაქოჩრებდა ტალღებს და ბერიკაცს ჩუმი ტლამუნიც ესმოდა თითქოს. დროდადრო მადნეულითა და ხე-ტყით დატვირთულ კარკაპებსაც მოჰკრავდა თვალს. კარკაპები ერთმანეთთან რკინის ბაგირით იყვნენ დაკავშირებული. ამოდენა კარკაპებს პატარა, ერთანძიანი ბუქსირი ამყად მიაქანებდა ჰორიზონტისაკენ.

ასლა, ამ თოვლში, ბერიკაცი ლურჯად მოლივლივე ყურეზე ფიქრობდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ ფიქრობდა. იქნებ იმიტომ, რომ იხვები სწორედ იმ მხრიდან მოფრინავდნენ?

ჯიხურში თბილოდა, ოთხივე ფანჯარა იორთქლებოდა და როცა ბერიკაცს გა-

რეთ უწდოდა გახედვა, მინას მშრალი ჩერით წმენდდა ხოლმე. ჯიხურის კუთხეში, გრძელ მაგიდაზე, ცარიელ ზოთლებსა და კონსერვის ქილებს შორის, ტელეფონი იდგა.

სალამო ხანი იყო. ფანჯრის იქით თოვლი მუქდებოდა.

იასონმა იცოდა — ცოტაც და ტელეფონი აწკრიალდებოდა. აწკრიალდებოდა მძლავრად, გაბმულად. ბერიკაცის ყურმილს აიღებდა. ვილაცა ზრდილობიანად ჰკითხავდა: „ალო, მშენებლობაა? ელაპარაკეთ რაიონს“... მეერ ყურმილი აგუგუნდებოდა, ახრიალდებოდა და შორიდან, ძალზე შორიდან აღწევდა მამაკაცის დადლილი, მონოტონური ხმა: „ალო?... ალო?... მშენებლობაა?... თხოვეთ მხეიძეს... ცირა მხეიძეს... საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობს...“

პირველად რომ დარეკა ტელეფონმა, იასონს გაუხარდა კიდევ. ამ სიჩუმესა და თოვლით დაფარულ ტყეში მარტოდ დარჩენილს შემთხვევა მიეცა, გამოლაპარაკებოდა ვინმეს.

— ვინ ფინდათ? — იკითხა, — ცირა მხეიძე? არა, გენაცვალე, ახლა მშენებლობა დროებით შეჩერებულია და კამხალზე ჩემს მეტი არავინაა. მაგრამ ტელეფონი ჯიუტად ითხოვდა საკონსტრუქტორო ბიუროს და დარაჯიც მოთმინებით იმეორებდა ერთსა და იმავეს... ბოლოს, ვილაც ჩაერია: „დაამთავრეთ, თქვენი დრო ამოიწურა“, და ყველაფერი მიწყნარდა.

ამ საუბრის შემდეგ ბერიკაცს გუნება წაუზნდა. გაახსენდა ლიტაოდ აყრილი ხეები, მწვანე მინდვრები, ტყის ბილიკებზე გადმომწერილი მწიფე მაცვალი, ბავშვების სიცილი, გემრიელი ვაზშამი და ამოიოხრა. ყველასგან მიტოვებულად წარმოიდგინა თავი. გარეთ კი ქარი შხუოდა, თოვლს აყრიდა ხეებს და ფუმფულავდა. იასონმა მძიმე ჩექმები ტახტის ქვეშ შეპყარა. ტყავის ქურჭი თავქვეშ დაიდო და თვალეები დახუჭა.

მეორედ რომ დარეკა ტელეფონმა, იასონთან მისი მეგობარი ტყისმცველი—

ბათუ შონია იყო. იასონმა ყურმილი აიღო.

— ჰო, გისმენთ, გისმენთ... ცის ნაცნობი, მონოტონური ხმა გაიგონა და გუნებაში გაიფიქრა: „გიჟია, ნამდვილად გიჟია, თორემ რავა ვერ გაიგო, რომ მშენებლობა დროებით შეჩერებულია, რომ აქ თოვლია და თოვლს ქვეყანა მიაქვს? ის კი ცირას ეძებს. ელაპარაკე ახლა ამას! გიჟია, აბა რა არის!“

ბათუ ლუმელთან იჯდა. მწვადს წვავდა. ხორცი მოშინებდა, ტყაცუნებდა. ჯიხური სასიამოვნო სურნელით ივსებოდა.

— რაო, რა მინდაო? — ველარ მოითმინა ბათუმ.

— რაო და, გიზო მქვილიო.

— ერქვას მერე, — მხრები აიჩეჩა ბათუმ, შამფური შეატრიალ-შემოატრიალა და ნერწყვი ვადაცლაპა, — ამისთვის დარეკა?

— აქ საცოლვე პყლია თურმე, კონსტრუქტორი ყოფილა.

— მერე არ უთხარი, რომ აქ ახლა არავინაა?

— ვუთხარი.

— აბა რა უნდა კიდევ?

— ორი კვირაა მისი ამბავი არ ვიცი და ხომ არაფერი მოსვლიაო.

— ე, მაგი გვაკლდა ახლა სადარდებლად, — თქვა ბათუმ, წამოდგა, იასონს ყურმილი გამოართვა, ჩაახველა, ხმა დაიწმინდა და ყველაფერი თავიდან დაიწყო: ალო? დიახ, მშენებლობა... როგორ? ვერ გაიგეთ, რომ მშენებლობა შეჩერებულია? აქ ჩვენ ვართ მარტო, მე და იასონი, დარაჯი... ვის შეგაერთო? საერთო საცხოვრებელს? ვერ შეგაერთებთ... კომუტატორი არ მუშაობს...

— ხომ გითხარი, გიჟია-მეთქი, — თქვა იასონმა, როცა ბათუმ ყურმილი დაკიდა და აპარატი მაინც განაგრძობდა წკარუნს. ჯიხურში მყოფნი გამხიარულდნენ. ტელეფონის წკარუნს უსმენდნენ და თვალეში უცნაური ნაპერწკლები უციმციმებდათ. მართალია, ბოლოს ტელეფონი ჩაჩუმდა, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ სიცილს, მწვადს შეეკ-

ცოდნენ, ქარს უსმენდნენ და ოხუნჯობდნენ.

— ა! ცირა მომინდომა ახლა!

— შენც აგელო და გეთქვა, ცირა ვარო.

— კისერს მოვიჭრი, თუ მიხვდებოდლა...

— ხი, ხი, ხი!

თოვდა. მდინარისკენ მიმავალი გზა აღარ ჩანდა და გუბურებიც ამოეგსო თოვლს. დილით ისევ ამოვიდა ტრაქტორი, გაკვალა გზა, მოიტანა პური, ძეხვი, კონსერვები, სიგარეტები და ბათუსთან ერთად გაბრუნდა უკან. ბერიკაცი მარტო დარჩა. მთელი ის დილა უცნობ ბიჭზე ფიქრობდა. ტრაქტორზეც ფიქრობდა, გარეულ იხვებზე, ტყეებზე, თოვლზე და ბათუზე ფიქრობდა. უფრო კი იმ უცნობ ბიჭს იგონებდა, ტელეფონით რომ დაურეკა. დრო ზანტად ვადიოდა. შუადღისას თოვა შეწყდა. ბერიკაცი ტყისკენ დაეშვა. თხილამურები გაიკეთა და თოვლს ადვილად მიარღვევდა. ჰაერზე ყოფნა სიამოვნებდა, მაგრამ უკან სწრაფად დაბრუნდა. თავს გამოუტყდა: ტელეფონის ზარს უცდიდა...

იმ დღეს არ დაურეკავს ტელეფონს.

არც მეორე დღეს დაურეკავს. მესამე დღეს აწკრიალდა ზარი.

— ალო! მშენებლობაა? — გაისმა დალილი, მონოტონური, ნაცნობი ხმა.

— დიახ, მშენებლობაა, — უპასუხა ბერიკაცმა და იგრძნო, რომ გაჩუმდა ის ვილაც, ვინც ურეკავდა. გაჩუმდა, კარგა ხანს იყოყმანა და უცებ ისევ დაიწყო:

— აღამიანი არა ხარ? მომისმინე... — ყურმილი გუგუნებდა, შხუოდა, კენესოდა და ბგერების ქაოსში ბერიკაცმა ეს აზრი გამოიტანა: ბიჭს გიზო ჰქვია (ეს მან იცის). ბიჭი აქედან შორს ცხოვრობს (ესეც იცის), ჰყავს საცოლე (ესეც ხომ იცის!). უკვე მესამე კვირაა მისი არაფერი გაუგია... იქნებ დაემართა რამე? მას უნდა, როგორმე დაუკავშირდეს... როგორმე...

ბერიკაცს ყურმილი მაგრა ჩაებლუჯა და ფანჯარაში იცქირებოდა. საოცარი იყო, ამ ქარბობბალაში, ამ თეთრი და

გაუვალი ტყეების იქით ზღვას ნდობდა. ლურჯად ალაპლაპებულ ყურესა და ერთმანეთზე წეროებივით აკიდებულ რკაპების ქარავანს ხედავდა. კარჭაპები თუხთუხით მიიწევდნენ ჰორიზონტისკენ და მუქ კვალს ტოვებდნენ. ცა კი თოლივით იყო სავსე.

— კარგი, — თქვა მან და ქარის შხუილიც შემოესმა, — თუ შეგიძლია, ხვალ ისევ დარეკე...

ყურმილი რომ დაკიდა, მერე მიხვდა, რასაც შეპირდა. ბოლოს ცემას მოჰყვა, სიგარეტს სიგარეტზე ქაჩავდა, ამინდს ავინებდა, იპურჭყებოდა, საფეთქლებს ისრესდა. ბოლოს ტახტზე ჩამოჯდა, დალილობა იგრძნო, მუსხლემის ტყვილი იგრძნო და გაუკვირა.

დადამებამდე კიდევ დიდი დრო იყო. გაზეთები გადაათვალიერა. გაზეთებმა ტრაქტორისტი გაახსენა: ხვალ აღარ ამოვა ის შეჩვენებული ბესიკა. აკი დაიბარა კიდევ, ხვალ აღარ ამოვალო... თოვლი კი მოდის და მოდის, დილაზე კარგა გვარიანად მოთოვს და გზაც ჩაიხერგება...

წამოდგა. მაღალყელიანი ჩექმები ჩაიცვა, თხილამურები მოძებნა. ხეობისკენ დაეშვა. ფართო ნაკვალევს ტოვებდა. ქვევით, მესამე კილომეტრზე, სამხედრო გზა ვადიოდა. გზის პირას სასაუზმე იდგა. კარზე აბრა გაეკრათ: „ენგური“. შევიდა. შეჭირხლული უღვამი, გაყინული ხელები და სიცივე შეიტანა.

— ველარ მიხურავ კარს! — შეიღრიწა ვილაცამ.

ბერიკაცმა კარი მოხურა და ცხვირსახოციტ სახე მოიწმინდა. პატარა, მყუდრო დარბაზში თბილოდა.

— ერიპა! ეს ზომ ჩვენი იასონია! — მოესმა.

შებრუნდა და დახლთან ბათუ შონია დაინახა. გაუხარდა.

— საიდან სადაო, როგორ მოგაგონდი, ა? — თქვა მსუქანმა, ლოყებლადეუა მებუფეტემ.

ბერიკაცმა ქული მოიხადა, კეფა მოიფხანა და გულლიდ გაიღიმა.

— აი, ხომ ხედავ, მომაგონდი!

— დალევ რამეს?
— ჯერ არა, აქეთობას უსათუოდ გამოგივლი და მაშინ.
— აჰა, არ დალევ? — ახლა ბათუმ ჰკითხა.
— ხომ გითხარი, აქეთობას-მეთქი. თუ კმა ხარ, რახან შეგხვდი, ნუ დამამადლი და მშენებლობას მიმიხედე. ჩვენი გაბოს ბიჭისთვის უნდა მეთხოვა, მაგრამ რახან შეგხვდი, ნუ დამამადლი, კარგი? მე დაბაში ავალ და მაშინვე გამოვბრუნდები...
— დაბაში რაღა გინდა?
იასონმა ქურჭის საყელო გაიღელა და ღრმად ამოისუნთქა.
— წელან იმ ბიჭმა დარეკა ისევ...
— ვინ ბიჭმა? — ვერ მიხვდა ბათუ.
— აი, იმ დღეს რომ ელაპარაკე.
ტყისმცველმა ღვინის ჭიქა პირთან მზიტანა, მაგრამ არ დაუღევია, ისევ მაგიდაზე დადო და გოცებით შეხედა მოხუცს. მერე ხელი შუბლზე მიიღო, ანიშნა, ხომ არ შეიშალო?

— ამისთვის მიდიხარ ამ სიშორეზე?
— რა ვქნა, — ხმადაბლა თქვა იასონმა, — რომ არ უჭირდეს, ამდენჯერ ხომ არ დარეკავდა. ცოდვა...
— კაი, ერთი, — დაიწყანა ტყისმცველი, — ნუ გამოლენჩდები ამ სიბერისას...
— მიმიხედავ? — ჰკითხა იასონმა და თვალი გაუსწორა.
— მაშ, მიდიხარ? — თვალი მოარიდა ბათუმ.
— ჰო.
იასონი კარისაკენ გაემართა. ბათუმ რაღაც უთხრა მეზუფეტეს და მათ ხმამაღლა გაიციინეს. ბერიკაცი უკვე თოვლში მიიკვლევდა გზას. ქარი სიარულს უშლიდა, ფიჭვებს სახეში აყრიდა და თვალებს უჭრებდა. ტანში საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა.
თეთრი, მაღალი ხეების იქით ბერიკაცი ლურჯად მოლივლივე ზღვას ხედავდა და ზღვისკენ ისწრაფვოდა.





ბონრო კეხედავა

კოლხი ქალიშვილი

თვალეზს იტაცებ, ვით ჩიტს გავაზი,
ჩანს არ გიყრია ბედზე ჯერ წილი.
რა დედამ გშობა აგრე ლამაზი,
აგრე უზადოდ ჩამოძერწილი.

გამოგყოლია ეშხი კოლხელთა
და მოგდევს მათი ნაიარევიც.
აბა რა ვარქვა მაგ გამოხედვას,
სევდიანი თუ სევდანარევი.

მოწყენილი და წყნარი ქალები,
როგორ მწამს, ნურას მკითხავ ამაზე.
შენს კაეშნიან ემაგ თვალეზით
ჩრდილავ შენს ასაკს, შენს სილამაზეს.

არსად, არასდროს, არც არავისთვის
არ აუნთია სევდას კანდელი.
ის გვარბევს მისი უენო რისხვით,
მისი მსუსხავი კორიანტელით.

ერთი გლახკაცი

მას ლხინში შეეხვდი, მომეწონა და გავიცანი,
დიდი ხანია ვიცი უკვე, იგი ვინც არი.

მისაუბრია არა ერთხელ მასთან შინ, კარში,
დამილანდია იგი ხალხში მე ტაშისკვრაშიც.

კეთილ საქმეებს ზურგს უმაგრებს, რაც შეუძლია.
მამაბაბური ოდა-სახლი არ შეუცვლია.

თუმც უთქვამთ მწარედ: არ მოგბეზრდა ძველი ფიცრული,
თუ იქ სიცოცხლის დასასრულთან ხარ შეფიცული!

უთხოვებია მათთვის მხოლოდ ყური დროებით,
არ შერყევია წუთით სულის მას მყუდროება.

ერთ ყრუ ოთახში აქვს წიგნების პატარა თარო,
იქვე წარწერა: — გთხოვ, უჩემოდ არ მიეკარო!

უყვარს აკაკი, უყვარს ვაჟა, უყვარს ილია,
მისი ტრფიალი რუსთაველის ავთანდილია.

ის შოთას სიბრძნეს სჯა-ბაასში ჩაურთავს როცა,
თავს აწევს მაღლა, ისე თითქოს მის დამწერს ლოცავს.



ივანე ცხომავაძე

გ უ ლ ი

მე მისი მჯერა... და რა ხანია
მწამს მისი შიშის თუ გაოგნების.
რაც თავი მახსოვს, გაგიხარია, —
გადასარევი ვართ მეგობრები.

მე მისი მჯერა და მას ვენდობი,
მე მუდამ შესმის მისი ხმაური —
ხმა იმედის თუ უიმედობის,
ხმა სიყვარულის თუ სიხარულის.

გული — სათუთი და გამკითხავი,
გული — ნამუსი ჩემი კაცობის...
ჰაუ, რამდენი აქვს საფიქრალი —
თუ ასაწონი, თუ დასაწონი.

ამ ფუსფუსშია და ამ დღეშია
და მეჩვენება ზოგჯერ კიდევაც, —
რომ არ ვირჯები, როგორც წესია,
და ოღნავადაც არ მერიდება.

ზოგჯერ სამყარო გადამეხსნება
და სულ ერთია ცა და ხმელეთი;
მას კი არ მოსწონს ჩემი ლექსების
ფანტასტიკა და ელემენტარული...

და ყველაფერი მას მივანებე,
ყველაფერს ზომავს ბრძნულად, უბრალოდ...
თვითონ იძლევა გული ბრძანებებს,
არ შეიძლება, გულს რომ უბრძანო.

მე მისი მჯერა... და რა ხანია
მწამს მისი შიშის თუ გაოგნების.
რაც თავი მახსოვს, გაგიხარია, —
გადასარევი ვართ მეგობრები.

ოსურიდან თარგმნა იორამ ჯივარბალიძემ.

ბაკრაძანი



ზაქარია

ბავშვი ვიყავი. პოეტი სტუმრად
ჩვენს მეზობელთან შემოდიოდა.
მე არ მიცნობდა — ვწუხდი უჩუმრად,
რომ არ ვიცნობდი — გული მტკიოდა.

მაშინ გმირობად მიმაჩნდა წერა
და ქურუმებად პოეტებს ვთვლიდი.
ვერიდებოდი მღვიმელის მზერას —
მქონდა მისდამი კრძალვა და რიდი.

მაშინ „ჯეჯილით“ ვიკვებებოდი —
ჩემს წაკითხვამდე ხელს ვინ ახლებდა!
ჩვენ სიხარულით ჟურნალს ვხვდებოდით:
ქართული წიგნი გვქონდა ნაკლებად.

მაშინ აღმეძრა შური ბავშვური,
რომ სხვას უწერდა იმ სათუთ ლექსებს,
და ვერა ვგრძნობდი, გულის ნაჭურით
რომ მეც დავწერდი საკუთარ ბედზე.

როცა გავიგე ქვეყნის ავ-კარგი
და მიხვდა გული, რაც უნდა ეთქვა,
როგორც უფროსი ძმა, ამხანაგი,
შეო მღვიმელი მოვიდა ჩემთან.



ჩვენი ზედა არ გვინდა

თვალი მალლა ნუ გავირბით,
ცულლუტობა ცუდია.
ჩიტის ბუდე არ გვეგონოთ,
ხეზე ვანოს ქუდია.

გაკვირვებით რად მიყურებთ,
რა ფიქრები აგშლიათ!
კარგად იცით, გიგას ვანო
რა ეშმაკი ბავშვია.

მივიწყებულ მრავალ ოინს
ხშირად იწყებს თავიდან.
დღეს ამ ხეზე დავინახე,
შინ ნადავლით წავიდა.

რატომ გინდათ ყველაფერი
სიტყვასიტყვით დავმარცვლო:
შინ წაიღო ჩიტის ბუდე,
ქული დარჩა სანაცვლოდ.

ის არ იცის, სად დაკარგა,
თუმცა დიდად არ ჯავრობს.
მაინც წადით, დაუძახეთ:
წამოვიდეს საჩქაროდ.

თორემ ყვავი ამ ამბავზე
ისე ჩხავის, ხარხარებს,
ქულს ბუდისკენ გაიტაცებს
და ჩაუფენს ბახალებს.





თა ში

სპეტაკი და მომხიზლავი ყველას გულთან მიდის იგი,
როგორც სიბრძნე-სათნოების და სიკეთის დიდი წიგნი.

მის სტრიქონში მაისია — ჩვენი ყრმობის ოქროს ხანა,
ჰყვავის ია და ენძელა, გაზაფხულს რომ მოჰყვა თანა.

მის სტრიქონში ნიავის და ნაკადულის ისმის ნანა,
ბულბული სტვენს, გაზაფხულის მაყრიონს რომ მოჰყვა თანა.

ყაყაჩოს რომ ფრთებით ჰკოცნის, უაღერსებს მწვანე ყანას,
ეს კულრაჭა მერცხალია, გაზაფხულს რომ მოჰყვა თანა.

მის სტრიქონში თვით ბუნება ჰანგებს ამბობს საარაკოს,
ხან პეპელას, ხან ყვავილის ტკბილი ენით ლაპარაკობს.

ყველა ოჯახს, ყველა სკოლას ახარებს და აღზენს მეტად,
დიდმა ბავშვმა ნორჩებისთვის მთელი გული გაიმეტა!

სიყვარულის წრფელი გრძნობით ყველას გულთან მიდის იგი, --
ძია შიო! სათნოების და სიკეთის დიდი წიგნი!





კა

— გია, რატომ არ აჭამე
შენს დაიკოს თხილი?

— ჯერ გატეხვა რომ არ იცის,
მოტყდებოდა კბილი.

— დარჩეული მიგერთმია
მისთვის თითო-თითო!

— დარჩეულს და გამორჩეულს
გიახლები თვითონ.

— ჰა, გამოტყდი, შე ეშმაკო?
ასე გიყვარს ლალი?
რა ძამიკოც ბრძანებულხარ,
ვნახე ჩემი თვალით!





ქვასანაყი

ერთი ძველი ქვასანაყი
აღგა დილაადრიან.

წინ საცერი გადმოუდგა:

— სად მიდიხარ, ნათლიავ?

— სად მივალ და, კაკლის ომში,
აბა ერთი დამლოცე!

აგერ, უკვე მთელი თვეა
უქმად ვგდივარ თაროზე.

შეიყარნენ მეზობლები —


კოვზი, ჩამჩა, ქაფქირი:

— კაკლის ომში მიბრძანდება,
რა გმირი გვყავს, რა გმირი!

უცებ ციცხვი გამოვარდა —

ქვასანაყის მამიდა:

— შინ ქინძი ვერ დაგინაყავს,
ნეტავ, ომში რა გინდა!



მელაქა ორხა



მელაკულა მელიას
დიდი მაკრატელი აქვს.
მაკრატელი რად უნდა!
ხორცი სანატრელი აქვს.

სოფლისაკენ წამოვა,
დაუყვება ტყისპირებს.
ჩიჩიების ლოდინში
აკაწკაწებს წვრილ კბილებს.

ხოდაბუნში თხას ნახავს,
— გამარჯობა, ნათლიო!
ეგ ნიჩაბა წვერები
სანამ უნდა ათრიო?

წამო ტყეში, არ გიჯობს,
ერთი კოხტად გაგკრიჭო?

— მეეო! მეეო! — თხა ეტყვის, —
ნუ მიყვები არაკებს!
შენისთანა დალაქებს
ბევრს ვინ ალაპარაკებს!

ეს იცოდე — ამ წვერებს
სანამ გაგაკრეჭინებ,
რქებს მუცელში გაძვერებ,
კბილებს დაგაკრეჭინებ!





სეუნი

მოსხრობა

ერთ მზიან დღეს ბიჭები რიონის პირას ვთამაშობდით. იქვე აგურის ქარხანა იდგა. ქარხანა ერქვა, თორემ სულ უბრალო რაღაც იყო: აგურის გამოსაწვავი ქურა და ფარდული. მოედანზე გაემართათ დაზგა, რომელზედაც აგურს აყრიდნენ. ფარდულში ეწყო: ერთი მაზიდარი, ორიოდე ბარი, ამდენივე ვედრო, ერთიც ჯილვდარი. მთელი ქარხნის მოწყობილობა ურემზე დაეტეოდა.

იმ ქარხანას მეორე სახელიც ჰქონდა: სააგურო, რაც მხართლაც შეეფერებოდა. სოფელს კი ქარხანა მოსწონდა. ეს სიტყვა უფრო სახეიმიოდ ჟღერდა.

ჩვენ, პატარა ბიჭები, ხშირად დავდიოდით ქარხანაში. ვუყურებდით, როგორ აკეთებდნენ აგურს. აგურის კეთებას „გამოჭრა“ ერქვა. სოფელში გამოჭრას სხვა სამუშაოებსაც ეძახდნენ. იყო ალერდის გამოჭრა, ტყის გამოჭრა. მაგრამ ბიჭები უფრო აგურის გამოჭრას ვეტანებოდით. ეს სამუშაო იმით გვიზიდავდა, რომ ფარდულში ათასი ცალი აგურის შეტანა აბაზი ღირდა. ამ საქმეზე ჩვენი სოფელი გლეხები მუშაობდნენ.

მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ჩვენც გამოგვიყენებდნენ ხოლმე, როცა ან სამუშაო იყო საშური, ან წვიმა იყო მოსალოდნელი. ათი-თორმეტი წლის ბიჭებისათვის ამ სამუშაოს ორმაგი ხალისი ჰქონდა. ერთი ისა, რომ დიდებთან ვმუშაობდით და ღვეამაყებოდა, თავს კაცებად ვთვლიდით. მეორე — აბაზით ბევრი რამის ყიდვა შეიძლებოდა: წითელყდიანი ქართულის რვეული, ლურჯყდიანი რუსულის რვეული და ფანქარი — თითოეული შაური ღირდა, კალამი — კაპიკი. ერთი ფუნთუშა, დიდი და რბილი — კაპიკი. კაპიკადვე ორი კამფეტი იყიდებოდა იქვე ახლოს, დუქანში. ეს ანგარიში ჩვენ კარგად ვიცოდით.

ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ მძიმე სამუშაო იყო აგურის გამოჭრა. შეგვეძლო მთელი დღე გვეყურებინა ამ სამუშაოსათვის და არ მოგვწყენოდა. ძალიან გვიზიდავდა, როგორ იცვლიდა სახეს მიწა ბარის დაკვირვან კალაპოტში გამოჭრამდე.

მუშა ბარით ამოთხრიდა მიწას, მიწით დატვირთავდა მაზიდარს; ამ მიწას ში
ზიდავდა ორმოსთან და ჩაყრიდა შიგ. ამ ორმოს საგანგებო დანიშნულება ჰქონდა
და—იგი ამოთხრილი მიწით უნდა აევსოთ. მერე იმ ორმოში ჩაასხამდნენ წყალს,
რომ მიწა დარბილებულიყო. მერე მუშა შიშველი ფეხებით ჩადგებოდა ორმოში
და დაიწყებდა ზელას. დიდხანს უნდა ეზილა, ძალიან დიდხანს, რომ კარგი ტალა-
ხი დამდგარიყო. დაზელვას მოათავებდა მუშა და ტალახს დაზგაზე ამოაგებდა
ლომივით. ამოგებულ ტალახს მუშამბას გადააფარებდნენ და ორი-სამი დღით ისე
დატოვებდნენ. ამას ეძახდნენ ტალახის დადინჯებას. დადინჯების შემდეგ დაიწყე-
ბოდა აგურის გამოჭრა.

ეს ასე ხდებოდა: მუშა აიღებდა კალაპოტს. კალაპოტს ხუთი თვალი ჰქონ-
და. ხუთივე თვალში ჩაახლიდა ორ-ორ მუქა ტალახს. შემდეგ გადაუსვამდა ლა-
ლას და ყველა თვალში მოქცეული ტალახი ერთნაირ ფორმას იღებდა.

ამის შემდეგ მუშა იმ კალაპოტს მოედანზე გადმოაპირქვავევდა და ეს იყო
ალიზი — გამოუწყავი აგური.

ეს ალიზი ორი-სამი კვირა უნდა ყოფილიყო მხეზე გასაშრობად. გაშრობის
შემდეგ ფარდულში დააწყობდნენ, ქარიან ადგილას. აქაც ერთი კვირა შრე-
ბოდა და ხმებოდა აგური. ამის შემდეგ აგურს ჩააწყობდნენ ქურაში და გამოწვა-
ვდნენ. ასე იქცეოდა შავი მიწა წითელ აგურად.

აი, ამდენი შრომა უნდა აგურის გამოჭრას. ამიტომ გვარიგებდნენ ხოლმე
მშობლები: შრომას პატივი ეცითო.

იმ დღეს ქარხანაში ერთი მუშა მუშაობდა, მშრალ აგურს ეზიდებოდა ფარ-
დულში. ვიცოდით, ამით თავდებოდა აგურის გამოჭრის პირველი ნახევარი. ერ-
თი კვირის შემდეგ გამოწვა დაიწყებოდა: გამოწვეარი აგურის გამოტანაში შეი-
ძლებოდა ჩვენც მონაწილეობა მიგველო. ამიტომ ხშირად სწორედ ქარხნის ახ-
ლოს ვთამაშობდით. ზაფხული იყო, სკოლაში არ დავდიოდით და დრო ბევრი
გვქონდა.

2

შუალდემ მოატანა. ცოტა აცივდა. სწორედ ამ დროს უნდა დაეჭირა სიცხე.
გავგვიკვირდა. გავხედეთ ცას შავი ზღვის მხარეს. წვიმა სწორედ შავი ზღვიდან
მოდიოდა. ეს ვიცოდით ჩვენ, რადგან უფროსებისგან ასე გავგვეგონა და ასეც
ხდებოდა. ქარხნის პატრონმაც ასე დაგვიდასტურა. მოვიდა, ვახედა ცას, დააკვი-
რდა შავი ზღვის მხარეს, გადააქნია თავი და თქვა:

— შეიცვლება ჰაერი. წვიმა მოვა.

იმუშამაც გახედა ცას და თქვა:

— თუ ქარი გურიისკენ წავიდა, შეიძლება წვიმის ღრუბელი იქით წაიღოს.

— შეიძლება, — დაეთანხმა ქარხნის პატრონი, — მაგრამ აჩქარება მაინც
საკიროა. თუ ქარი აქეთ წამოვიდა, უეჭველად გაწვიმდება. ბევრი დარჩა აგური
შესატანი?

— ორი ათსამდე.

ქარხნის პატრონი ჩაფიქრდა. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ბიჭებო, ტყუილად რომ თამაშობთ, იმუშავეთ თქვენც და იშოვეთ ფული.
ფულის შოვნას ჩვენს სოფელში შრომაში აღებულ გასამრჯელოს ეძახდნენ.

— კი, ბატონო, — ერთხმად ვუპასუხეთ ქარხნის პატრონს.

— ჰოდა, დატრიალდით! ათასი აგურის გადატანაში სამ შაურს მოგცემთ!

— სამ შაურს! — გადავხედეთ ერთმანეთს, — აკი აბაზი ღირს? მოგვეცით
აბაზი და ვიმუშავეთ.

— თქვენი ნებაა, — აიჩეჩა მხარი ქარხნის პატრონმა, — უთქვენოდაც გადართანს მუშა.

შემდეგ მიუბრუნდა მუშას და უთხრა:

— აბა, უჩქარე! უჩქარე! მართლა არ გაწვიმდეს...

პატრონი წავიდა. ცოტაც და, დასავლეთით, შავი ზღვისაკენ, ცა მოიღრუბლა, მოიქუფრა. ქარმა წამოუბერა ჩვენი სოფლის მიმართულებით. ასეთ ქარს ზღვაური ჰქვია: ის ზღვიდან ჰქრის და მოჰყავს წვიმა. სოფელში სწორედ ასე იტყოდნენ: „ზღვაურს წვიმა მოჰყავსო“.

ჩვენი სოფელი, ჭალადიდი, ათი-თორმეტი კილომეტრითაა დაშორებული ზღვას. იქ ხშირი წვიმა იცის. მხოლოდ ზაფხულობით დადგება დარი და მაშინაც, ხანდახან, მოწვიმს ხოლმე. მაგრამ ზაფხულობით ხანმოკლე წვიმა იცის, უუუუნა. ხან კი მთხივით მოფარდება, გადაივლის სოფლის თავზე და გაჰყვება ქარს.

მოხვია ხშირი წვიმაა, კედელივით მოდის. სწორედ რომ კედელივით. მას შორიდან ხედავს კაცი. შეიძლება ერთ კილომეტრზედაც დაინახო. ამ დროს ყოველი სულიერი საფარს ეძებს. ჩიტები ბუდეში სხდებიან, რემა და ნახირი ხეებს აფარებენ თავს, პეპლები სადღაც ჰქრებიან.

ახლაც ყველა სულიერი მიიძალა. ხეები ამრიალდა. საით წავა მოხვია? ჩვენცენ თუ გურიისკენ? ჩქარა მოვა თუ დაიგვიანებს? შავ ზღვამდე რაც მანძილია, ჩვენთვისაა დიდი, თორემ ქარისა და წვიმისათვის დიდი მანძილი არ არსებობს... ვდგავართ და ვუცდით: რა იქნება?

მუშა კი ეზიდება და ეზიდება აგურს. ძალიან ჩქარობს, მაგრამ მოასწრებს? მოეცათ ჩვენთვის აბაზი და მოეგლებოდა საქმეს. რაც უნდა თქვა, ერთი მუშა მაინც ერთი კაცია. ჩვენ კი, ხუთი ბიჭი ხომ ხუთი კაცი ვართ?

დაენანა ქარხნის პატრონს აბაზი? აი, მოვა წვიმა და ნახოს. რა მოხდება! ყველა ეს აგური ისევ ტალახად გადაიქცევა... ახიც იქნება პატრონზე...

ჰოდა, ვდგავართ, ვუცდით: რა იქნება?

უცებ, შორს, შავი ზღვის მხარეს, ცაზე ელვა გაიკლავა. გაისმა ქუხილი. ყრუ შრიალიც მისწვდა ჩვენს სმენას.

ჩვენ, სოფლის ბიჭებმა, ვიცოდით რასაც ნიშნავდა ეს შრიალი, — წამოვიდა ზღვაური და ააშრიალა ტყე. ჩქარა წვიმა მოჰყვება ამას. მოჰყვება და დაშლის აგურებს.

რას მოასწრებს ერთი მუშა ამდენი აგურის ფარულში შეტანას! აი, ჩვენთვის რომ მოეცა ქარხნის პატრონს აბაზი! მაშინ... მაშინ... ნამდვილად სხვანაირად წავიდოდა საქმე. ამდენი ნაჯაფი აგური არ დაილუპებოდა. მუშა-კაცმა ისევ თავიდან უნდა დაიწყოს აგურის გამოჭრა. ცოდვაა მუშა-კაცი. ნაკლები ცოდვა როდია აგური. შრომის აგური...

ერთმანეთს გადავხედეთ. რა ვქნათ? მოეცა ქარხნის პატრონს თავის ღრრზე აბაზი. ხომ არ დაილუპებოდა ამდენი შრომა?

— მოვა მოხვია, ყველაფერს გააფუტებს, — დაწმენებით თქვა ყველაზე უფროსმა ბიჭმა, კატაქამ. კატაქია იმას იმიტომ ერქვა, რომ თვალები ვარდკატაქას მიუგავდა.

ჩამოვარდა სიჩუმე. აქ, ჩვენს შორის ჩამოვარდა სიჩუმე, თორემ იქ, შორს, შავი ზღვის მხარეს ისევ ისმის შრიალი და ღმუილი. შრიალებს ტყე, ღმუის ზღვა. ვიცით, რომ წვიმაც აღარ დაახანებს. თითქოსდა გვიხაროდა წვიმის მოსვლა ამ რამდენიმე წუთის წინათ, სანამ დაიქუხებდა. ახლა კი, როცა საშიშროება ცხადი გახდა და აღამიანის ნაშრომს სიფათი დაემუქრა, ჩვენ ფიგურბენით, რომ უღარდელად ვერ დავრჩებოდით. შევაჩერდით ერთმანეთს.

— რა ვქნათ? ცოდვაა აგური!

კაქაჭიას მოციხფრო ლამაზი თვალეი აემღვრა და თვალეიბითვე უმცროსებს:

— ვუშველოთ!

— ვუშველოთ! — თვალეიბითვე ვუთხარით ერთმანეთს. ბავშვური ვაქაკ-ცობით, ყიყინით, შეძახილებით გავედით მოედანზე. გაჭკრა ელვამ და ქუხილ-მა შეაზანზარა ჰაერი. დაბერა ქარმა და გადაურბინა ხეებს. დადრკნენ ალვის ხე, ტირიფი, მურყანი. მხოლოდ მოედნის ბოლოს და-მმასავით გვერდი-გვერდ მდგარი მუხა და ჭადარი დგანან ამჟამად.

— ბიჭებო, მოდის მოხვია! მოდის ცოცხალი კედელივით, — ამბობს მუხა და თან იმედის თვალთ გვიყურებს ჩვენ.

ჩვენ კი მოგვაქვს და მოგვაქვს აგური ფარდულში. უფროსებს — ხუთ-ხუთი, პატარებს — სამ-სამი. მოგვაქვს და ვყვირით:

— მოვა და მოვიდეს! არ დავუთმობთ!

იკლავებოდა წითელი ელვა. ქუხილი არე-მარეს აყრუებდა. ღმუროდა აწყვეტილი ზღვაური და ზარ-ზეიმით მოდიოდა მხიარული წვიმა. ჩვენ კი, ხუთი შეუპოვარი, ხუთი მართალი ბიჭი მკერდით შევხვდით ელვასაც, ქუხილსაც, ზღვაურსაც, წვიმასაც. შევხვდით და ვიხსენით აგური, შრომის აგური.





ჩიჭუა

გაფართოებული

მოთხრობა

ვიწც დაინახავს ვიას, ყველა ეფერება.

ვიაც იციანის, ხარხარებს, დახტის, დაცუნცულებს. უფროს ბავშვებთან ისე თამაშობს, თითქოს მათი ტოლიაო. ისინიც ეფერებიან ვიას, ხან რით გაახარებენ და ხან რით!

აგერ ერთმა ბიჭმა ჩიტი მოუყვანა.

აქამდე ვია შორიდან ხედავდა ხოლმე ხან ცაში მოსრიალე, ხან ხეზე შემომ-
ჯდარ ჩიტებს.

ბიჭს უხაროდა ლამაზ ჩიტებს რომ უყურებდა. მხოლოდ უყურებდა და არა-
სოდეს უთქვამს, ჩიტი დამიჭირეთო. არ უთქვამს იმიტომ, რომ ჯერ არც კი ენახა,
ჩიტი ხელში ჰყოლოდა ვინმეს. იცოდა, ძნელი დასაჭერი რომ იყო და ფიქრობდა,
ალბათ, ვერც ვერავინ დაიჭერსო. ახლა კი ხელში უჭირავს და აღარ იცის, სიხა-
რული როგორ გამოსატოს.

ჩიტს გაფრენა უნდა, მაგრამ ვია არ უშვებს, ეფერება:

— ჩემი ჩიტი, კარგი ჩიტუნია!

— ბიჭო, ვია, რას უშვრები მაგ ჩიტს? — ეკითხება დედა.

— როგორც თქვენ მეფერებით, მეც ისე ვეფერები ამ პატარა ჩიტუნიას.

— მაგას ის უფრო გაუხარდება თუ გაუშვებ, მადლობას გადაგიხდის.

— მერე ჩიტმა მადლობის გადახდა იცის?

— იცის, აბა!

ახლა ვია ეკითხება ჩიტს:

— გაგიშვა?

ჩიტი გასაფრენად იწევს, ვითომ ეუბნება: ჰო, გამიშვიო.

— მერე მადლობას მეტყვი?

ჩიტი ისევ გასაფრენად მიიწევს, ვითომ ახლაც უპასუხა, გეტყვიო.

მაშინ გიამ ხელი მაღლა აიქნია, ჩიტი გავუშვა. გახარებულმა ჩიტმა ფრთა გაშალა და ჰაერში ისარივით გაიჭრა. ისე შორს წავიდა, რომ... გიამ ველარ დაინახა. ბიჭმა კინალამ ტირილი დაიწყო:

— ჩემი ჩიტი დაიკარგა, აღარ მოდის, რატომ მომატყუე, დედიკო, მაღლობას გეტყვისო.

— აუცილებლად მოვა, თავის ამხანაგებსაც მოიყვანს და შენზე ეტყვის, ამა ბიჭმა გამათავისუფლაო.

გავიდა ცოტა ხანი.

სახლის წინ რომ თუთა დგას, მის ერთ განზე გაშვერილ ტოტზე რამდენიმე ჩიტი შემოკვდა.

გიამ იყვირა:

— აი, წინ რომ ჩიტი ზის, ეს ხომ ის ჩიტია, მე რომ გავუშვი. ის არის, ის! დაბრუნდა და თან მოიყვანა თავისი ამხანაგებიც. ჭიკჭიკებს, თავის ენაზე ლაპარაკობს ჩემზე, — მერე გიამ დედას ახარა, — ჩიტმა მაღლობა მითხრა!



მამი ჭიჭო



მომხრობა

— გაიცანი, ეს ჩემი ძმია, სოსო, — უთხრა ანუკიმ ერთ შავტუხა ბიჭს.

— შენი ძმია? — ამრეზილად გადახედა შავტუხა ბიჭმა მეორე ბიჭს.

— ჰო! — უპასუხა ანუკიმ.

— არ მინდა შენს ძმასთან თამაში! — თქვა შავტუხამ.

— არ გინდა და ნუ გინდა. წამო, სოსო, — ხელი ხელს ჩაჰკიდეს ანუკიმ და სოსომ. ბალისკენ გაუდგნენ გზას.

სოსომ თავისი წაბლისფერი მაიმუნი, ჭიჭო, უფრო მაგრა მიიყრა გულზე. შავტუხა ბიჭის ქერა მაიმუნზე დარჩა თვალი.

— არ უნდა და ნუ უნდა... მაგრამ რატომ არ უნდა? ცუდი ბიჭია? — იკითხა სოსომ.

— არ ვიცი, — უპასუხა ანუკიმ.

— არც მე ვიცი, არა? — ჩაეკითხა თავის მაიმუნს სოსო.

ჭიჭოს დიდი ყურები აქვს. ერთი ყურრიდან მეორე ყურამდე წვდება პირის ნახევრი. სულ უცინის დაჭყეტილი თვალები. ახლაც შესცინა სოსოს.

ბალი დილია. ბევრი ლამაზი ყვავილია

ბაღში. ასეთი მალღები ნეტავი როგორ გაიზარდნენ ეს ალღები და ცაცხვები. ისეთი მალღები, თუ შეძლებ და კენწე-როზე აძვრები, იქნებ მთვარესაც კი მიწვდეს... ასე, ალბათ, ჭიჭო ფიქრობს, თორემ სოსომ ძალიანაც კარგად იცის, მთვარის ხელის მოვლემა იოლი საქმე არ არის. ხეზე კი არა, მთაწმინდაზე რომ ახვიდე, მერე სატელევიზიო ანძაზე აძვრე და თითონ წვერებზეც კი დადგი, სულ ერთია, ვერ მიწვდები მთვარეს.

თუმცა, ჭიჭოსთვის ყველაფერი იოლია. ძილიც იოლია, ჭამაც იოლია. იტყვის ჭიჭო, არ მინდაო — არ შეჭამს! აბა, რანაირად შეჭამს — პირი წითელი ძაფითა აქვს ამოკერილი თუ ამოქარგული.

როცა ანუკი და სოსო ავტობუსში აღიან, სოსო ჭიჭოს წინსაფრის ჯიბეში ისვამს. უჰ, როგორ არ უყვარს ეს წინსაფარი, მაგრამ... გაიზრდებიო, მერე რაა, რომ ბიჭი ხარო... მერე რაა! ადვილი საქმელია. ანუკიმ სოსოს ჭიჭო რომ უყიდა, ჭიჭოსაც ეკეთა წინსაფარი. სოსომ მოაცალა... ჭიჭო მაინც იყოს უწინსაფაროდ... ისიც ხომ ბიჭია!

როცა სოსო ჭიჭოს ჯიბეში ისვამს, ანუ კენგურუს ეძახის სოსოს და ორივენი იციინიან.

ისეირნეს, ისეირნეს და ისევ შეხვდნენ ერთმანეთს — სოსო, ჭიჭო, ანუკი, შავტუხა ბიჭი და მისი ქერა მაიმუნი.

ანუკი სკამზე ჩამოჯდა, სოსომ ჭიჭო ჩამოსვა. შავტუხა ბიჭი ჯერ გარშემო უვლიდა. მერე ჭიჭოს გვერდით მიუსვა თავისი ქერა მაიმუნი.

ჭიჭომ ქერა მაიმუნს გაუღიმა და თავი-თავზე მიაღო. გაუკვირდა შავტუხა ბიჭს, სოსოს ჩააცქერდა.

— შენია?

— ჩემია! — უპასუხა სოსომ.

— ვინ გიყიდა? — დაინტერესდა შავტუხა.

— ანუკიმ.

— ვაი?! მეც ანუკიმ მიყიდა, — გაიკვირვა შავტუხამ.

— ჩემმა დამ?! — ჰკითხა სოსომ.

— არა, ჩემს დას ჰქვია ანუკი... შენს დასაც ანუკი ჰქვია?

— ხო... მაიმუნს რა ჰქვია — ჭიჭო? — ჰკითხა სოსომ.

— ალბათ... ალბათ, ყველა ანუკი თავისი ძმისათვის ჭიჭო მაიმუნს ყიდულობს, — გაეცინათ ბიჭებს. ადგნენ და მეორე ანუკის სანახავად წაიყვანეს ორი ჭიჭო.



ზიკია სევა

მოთხრობა



მამაჩემს ჰყავს ერთი კარგი მეგობარი, რომელსაც ჰქვია უჩვეულო სახელი— სევა. ვის მამას არ ჰყავს მეგობარი, მაგრამ ისეთი უცნაური კაცი, როგორც ბიძია სევაა, დედამიწის ზურგზე მეორე არ მეგულება. ეს რომ ცარიელი სიტყვები არ გეგონოთ, ნუ დაიზარებთ და ცოტა ხანს მომისმინეთ. მე გაიმბობთ, როგორ მოდის ხოლმე იგი ჩვენთან სტუმრად, გაიმბობთ, რატომ გვიხარია მამას და მე მისი მოსვლა და რატომ არ უხარია დედას... მოკლედ, დავიწყეთ.

მე ვცხოვრობ ერთი ძველი ტაძრის პირდაპირ, იმ ორსართულიან ლამაზ სახლში, რომელშიაც რვა წლის წინათ დავბადებულვარ. ტაძრის ეზოში კი, პატარა, ლურჯ აიენიან სახლში, ოცდაცამეტი წლის წინათ დაბადებულა და დღესაც ცხოვრობს მამაჩემის მეგობარი, ბიძია სევა.

მამაჩემს თურმე კარგად ახსოვს, როგორ დაძვრებოდა ხოლმე პატარაობისას სევა მაღალ სამრეკლოზე, როგორ დასდევდა და ვერ იჭერდა მას ბებერი მნათე, და რა ოსტატურად ხმარობდა პატარა სევა თავის შურდულს, რის წყალობითაც იგი მთელი ქალაქის მეშუშეების უსაყვარლესი ბავშვი ყოფილა. იმასაც კი ამბობენ, როცა სევა გაზრდილა და დაჰკვიანებულა, მათ თურმე მეშუშეობისთვის თავი მიუწებებიათ და ზოგს ღურგლობა, ზოგს კი ხაბაზობა დაუწყია. თვითონ სევას შუშეების მტკრევის ნაცვლად სახლების შენებისთვის მიუყვია ხელი და მამაჩემსაც, საბოლოოდ, სწორედ ხარაჩოებზე დამეგობრებია.

და აი, ერთ სრულიად ჩვეულებრივ სადამოს ჩვენს ოთახში ისმის ზარის ხმა. მამა იხსნის სათვალეს, განზე სდებს გაზეთს და იყურება სადარბაზო კარისკენ, რომლის შუშებზე ჩამოფარებული თეთრი ფარდები დედას გასარეცხად ჩამო-

უსხნია. გარეთ, კარების წინ, არავენ არის. შუშის იქით მოჩანს ქუჩა, ქუჩის იქით — ტაძარი, ტაძრის ეზოში — პატარა ლურჯაივნისანი სახლი.

კვლავ რეკავს ზარი.

— მეზობლის ბავშვებმა სისხლი გამიშრეს! — ამბობს დედა, — რეკავენ და გარბიან! იქამდე არ მოისვენებენ, ვიდრე მილიციაში არ განვაცხადებ!

— ცოტენე! — მეუბნება მამა წყნარად და თან უღვაშებში ელიძემა, — წადი. გაულე კარი ბიძია სევას!

დედა ჭერს უყურებს და ოხრავს. მე გახარებული გავრბივარ კარის გასაღებად, ვალებ და... თუმცა ეს მოულოდნელი არ არის ჩემთვის, მაგრამ მაინც შეშინებული მოვრბივარ უკან, მამისკენ. ღია კარებში მოჩანს ბიძია სევას მსუქანი სახე, მაგრამ იმ სიმაღლეზე კი არა, სადაც უნდა იყოს, არამედ ბევრად უფრო დაბლა, სულ დაბლა. ბიძია სევა ოთხი ფეხით შემოდის დერეფანში და ბოხი ხმითა ჰყვებს:

— ვავ! ვავ! ვავ! საღამო მშვიდობისა, ვავ!

მამა სიცილით იგუდება. მე ტახტზე გვგრობობ, ფეხებს ვიქნევ და დიდხანს ეხარხარებ. დედა არც კი იღიმება.

— ბავშვი ნუ გადაშირიე! — მკაცრად ეუბნება იგი ბიძია სევას, — გეყოფა მაიმუნობა!

ბიძია სევა ორ ფეხზე დგება, დათხვილ მუხლებს აუჩქარებლად იბერტყავს და ამბობს:

— საღ გინახავთ მაიმუნი, რომელიც ძალივით ყვფს?

მე ვსარგებლობ იმით, რომ ბიძია სევა ჩემკენ ზურგით დგას, ვეპარები მას და ზურგზე ვახტები. ბიძია სევა თავბრუდამხვევი სისწრაფით დამაჭენებს მაგილის გარშემო და ცხენივით ჭიხვინებს, მერე ტლინკებს ჰყრის და ისე დახტის, რომ მთელი სახლი ზანზარებს. მერე ბიძია სევა მე ტახტზე მაგდებს და ჰკვიანად ჯდება სავარძელში, მამის გვერდით. იწყება საქმიანი საუბარი, დედა ფარდებს აუთოებს.

— გაიგე, კაცო?! — უამბობს ბიძია სევა მამაჩემს, — იმ ჩვენს კოლეგას, არქიტექტორ აცაცაშვილს რვაასათუღიანი სახლი აუშენებია და კიბეების გაკეთება კი დავიწყებია!

— მერე! — უკვირს დედას, — როგორ ადის ხალხი ზედა სართულებში?

— როგორ და, სახლის წინ ალვის მაღალი ხეები ჩაუტრავთ და დაძვრებიან ზევით-ქვევით ჭიანჭველებივით! — იცინის ბიძია სევა.

მამაც იცინის.

ოთახში დამწვრის სუნი ტრიალებს: დედა პირდაღებული უსმენდა ბიძია სევას და ქათქათა თეთრ ფარდაზე უთომ მუქი ყავისფერი დაღი დატოვა. დედაშ ლამის იტიროს, მაგრამ ისევ ბიძია სევა ამშვიდებს:

— არა უშავს რა! — ამბობს იგი, — ყველაფერს ეშველება! მომეცით მაკრატელი!

— მაკრატელი? — უკვირს დედას, — რისთვის?

— ახლავე გაიგებთ! — ამბობს ბიძია სევა და მარჯვე პარიკმახერივით აჩხაკუნებს მაკრატელს, რომელიც მე მივუბრუნებინე.

ცოტა ხნის შემდეგ დამწვარი ადგილი, ფარდის შუაგულში, ამოჭრილია და იქიდან მოჩანს ბიძია სევას სასაცილოდ დაჰყანული სახე.

— ჭიტააა!!!! — იძახის იგი.

— ეს რა ჰქენი, სევა? — ეკითხება დედა.

— რა და, ახლა, როცა თქვენს სადარბაზოს ვინმე მოადგება, ფარდის გადაწვევა აღარ დაგჭირდებათ!

— თუკი ყველა ოთხი ფეხით მოვა, ისე, როგორც დღეს — შენ, მაშინ ვერც
ეს ამოჭრილი უშველის საქმეს! — იცინის მამა.

— მაშინ, იცით რა?! — ამბობს ბიძია სევა და არ იცინის, — კარებზე ^{საქუჭნაოს} ~~საქუჭნაოს~~
რაც შეიძლება! ეს სულ არ არის ძნელი! ცოტნე! მომიტანე ხერხი!

თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ ჩვენი საკუჭნაოსკენ. დედა თურმე ფეხდა-
ფეხ მომდევს და, როცა მე შიგ შევდივარ, გარედან ურდულით მიკეტავს კარებს.

— ახლა ბრძანდებოდე მანდ, ვაჟბატონო! ვიდრე ჭკუას არ ისწავლი და სხვიან
სისულელეს აღარ აჰყვები! — მესმის მისი ხმა.

მე ხმამაღლა და გულმოდგინეთ ვღრიალებ.

— ცოტნემ რაღა დააშავა?! — მესმის ბიძია სევას აღშფოთებული ყვირი-
ლი, — მთელი ქვეყნის მშრომელთა სახელით მოვითხოვ მის დაუყოვნებლივ გა-
თავისუფლებას!

— მაშინ ნამდვილი დამნაშავე უნდა დაისაჯოს! — იცინის მამა.

— თანახმა ვარ! — ყვირის ბიძია სევა, — დამაპატიმრეთ!

იღება საკუჭნაოს კარები და ჩემს ადგილს იკავებს ბიძია სევა. თუმცა ეს მას
სულაც არ ეადვილება: მისი ვეებერთელა ღიბი ძლივს ეტევა ჩვენს პატარა საკუ-
ჭნაოში. დედა ისევ კეტავს ურდულს და კმაყოფილი უბრუნდება საუთობელს.
მამა გაზეთის კითხვას განაგრძობს. მე საკუჭნაოს კარს არ ვცილდები: მინდა ჩემი
ყურით მოვისმინო, როგორ შეახარამუნებენ ვირთაგვები ბიძია სევას. მალე მარ-
თლაც მესმის ხრამხარუშის ხმა და მიკვირს, რომ ბიძია სევა ხმასაც არ იღებს.

ცოტა ხნის შემდეგ საკუჭნაოდან გვესმის:

— ღრუტ-ღრუტ! კარი გამიღეთ! ღრუტ-ღრუტ! გავძეხი!

დედა შუბლში ირტყამს ხელს და ელდანაკარავივით ხტება ზეზე:

— ეს რა დამემართა! როგორ შეიძლებაოდა სევას შეშვება საკუჭნაოში?! იქ
ხომ კომპოტებს ვინახავთ!

დედა აღებს კარს და სიბნელიდან გამოდის სახეგაბადრული ბიძია სევა; ხელ-
ში ჭილა უჭირავს, მაღიანად ილოკავს გატკბილიანებულ ტუჩებს და ამბობს:

— მამატივთ, მაგრამ მეოთხე ჭილას ველარ მოვერიე, ნახევრამდე ძლივს და-
ვიყვანე. დანარჩენს ცოტნე მოუვლის. — და მიწვდის ჭილას, — შესანიშნავი
თეთრი ბალია!

მე სიამოვნებით შევექცევი კომპოტის ტკბილ ნარჩენს.

— ცოტა დამიტოვე! — მთხოვს მამა და მე, რა თქმა უნდა, ვუსრულებ თხო-
ვნას.

დედა „ვალერიანს“ ისხამს პატარა ჭიქაში და წვეთებს ითვლის.

— რა მშვენიერი საკუჭნაოა! — აღტაცებულია ბიძია სევა, — ის თევზის კო-
ნსერვები საიდანღა გაქვთ? ნაყიდი თუ ისიც თქვენი ნახელავია?

— რაო? ნუთუ თევზიც შეჭამე? — აღშფოთებულია დედა.

— არა, არა! — ამშვიდებს ბიძია სევა, — თევზი არ მიყვარს, იმიტომ რომ
გემის გემო აქვს!

მე ვუყურებ ბიძია სევას უზარმაზარ მრგვალ მუცელს და არ მიკვირს, რომ
კაცს შეიძლება გემის გემოც ჰქონდეს გასინჯული. გააჩნია გემს და კაცსაც გააჩ-
ნია! ბიძია სევასგან კი ყველაფერი უცნაური ადვილი მოსალოდნელია.

— ბიძია სევა! — ვეხვეწები მე, — მიაბზე, როგორ შეჭამე გემი!

— დიდი სიამოვნებით! — მიპასუხებს იგი და მამის გვერდით, სავარძელში,
მოხერხებულად იკალათებს; მე კალთაში ვუჭდები.

მამა ათავენს კომპოტის ჭამას, ცარიელ ჭილას იატაკზე დგამს და სმენად იქ-
ცევა. დედაც კი მზად არის ამ უცნაური ამბის მოსასმენად, თუმცა ცდილობს,
რომ ეს არავინ შეამჩნიოს.

— ჰოდა, ერთხელაც... უცაბედად.. — იწყებს ბიძია სევა, მაგრამ თვალები
ნელ-ნელა ელულემა, ლოყები ებერება, თავი მკერდზე უვარდება და... —
ქხხხ! — თთანში ისეთი ხვრინვა გაისმის, თითქოს ვიღაცამ ელექტრონების
შავაო.

— არიქა! — ყვირის დედა, — მიშველეთ! სევა იძინებს! არ მისცეთ ამის ნე-
ბა! დავილუბებით! მაგას ვილა გააღვიძებს?!

მე ყურებში ვაფრინდები ბიძია სევას და, რაც ძალი და ღონე მაქვს, ვანჯღ-
რეც, მამა გვერდებში უღიტინებს. დედას კი ცივი წყალი მოაქვს და დასაუთო-
ებელი სარეცხავით ნაშავს მიძინარე ბიძია სევას. მაგრამ ყველაფერი ამოა! ბი-
ძია სევა უკვე ხვრინავს და ზანზარებენ ჩვენი ოთახის სქელი კედლები, ზრიალე-
ბენ ფანჯრის მინები, საქანელასავით ქანაობს დიდი ჭალი დაბზარულ ჭერზე.

... და ვიდრე ტკბილად სძინავს ამ უცნაურ ადამიანს, რომლის მსგავსიც დე-
დამიწის ზურგზე არ იმეგულება, ვიდრე მას ესიზმრება რვასართულიანი უკიბეე-
ბო სახლი და ერთხელ უცაბედად შეჭმული ნამდვილი გემი, გირჩევთ იჩქაროთ
ძველი ტაძრის პირდაპირ მდგარი ჩემი სახლისკენ, რომლის სადარბაზო კარის ფა-
ნჯარებს უკვე ამშვენებს შუაგულში ამოჭრილი თეთრი ფარდა. შემოიჭყიტეთ შიგ
და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც მე გიამბეთ, სრული სიმართ-
ლეა, და როცა გაიღვიძებს, მე გაგაცნობთ მას, ნამდვილ, ცოცხალ ბიძია სევას.
უცნაურ კაცს, რომელსაც უყვარს თეთრი ბლის კომპოტი, ბევრი სიცილი და პა-
ტარა ბავშვები.



გვიანად გვივიდა



მოთხრობა

გზის პირას, მწვანე ფერდობზე, ერთმა გვირილამ თეთრი გვირგვინი გადაშალა და მზეს შესცინა.

თავი მოჰქონდა, მზის მოდგმისა ვარო!

— უი, რა ლამაზია! — შეჩერდა გზაზე მზექალა, სურა ბალახში ჩადგა და ყვავილთან ჩაიმუხლა, ალერსი დაუწყო. ყვავილი თითქოს შეირხა — ხელი არ მახლოო.

— ნუ გეშინია, დედა არ მომიკვდება, თითსაც არ დაგაკარებ! — ხელი გაშალა გოგონამ, — მაგრამ აი, თინას კი ვერ გადაუარჩები. დიდდამ ჭრელი სურა უყიდა და წამდაუწუმ წყაროზე გამოვრბის. დაგინახავს თუ არა, მოგთხროს. უმალ ქოთანში ამოგაყოფინებს თავს! კი ნუ შეშინდები, შენს თავს იმას დავანებებ?

— აი, როგორი „სასახლე“ მოგიტანე! ნიავიც ვერ შემოგეპარება, — მზექალამ გვირილას ძირგავარდნილი პატარა კასრი ჩამოადგა და ზემოდან ჩახედდა. — ველარც ქიტესას დრუნჩა ზაქი მოგიდგება... არ მოიწყინო, მოვალ ხოლმე. წყაროზე სულ ამ გზით დავდივარ!

— დილა მშვიდობისა, გვირილავ! — კასრს გადაეყრდნო მზექალა მეორე დილით.

გვირილას თავი ჩაექინდრა.

— უიმე, რა მძინარა ყოფილა! — ფეხი აიკრიფა გოგონამ და უჩუმრად გაეცალა, ვიდრე წყაროდან ამოვბრუნდები, გაიღვიძებსო.

გვირილა კი სასოწარკვეთით ჩურჩულებდა: მიშველეთ, ვინ ხართ ღვთისნიერნი, სულ მგებუბება, წყურვილით ვიხრჩობიო...

— გვირილა, ჭიტა! — მიესიყვარულა მზექალა ყვავილს.

სადღა იყო კეკლუცი გვირილა! მთლად ჩამქვნიარყო, თეთრი გვირგვინი მოსთელოდა.

ბევრი უალერსა მზექალამ ყვავილს, სურის წყალიც აპკურა, მაგრამ „მძინარა გვირილამ“ აღარ გაიღვიძა.

სამაგიეროდ, მწვანე ფერდობზე გვირილების თეთრი ლაშქარი გაშლილიყო.





კოჯიზი

მონოგრაფია

ირგვლივ აყვავებული ტყემლებისა და ალუბლების სურნელი ტრიალებდა. აბიბინებულ კონინდარში ყვითელ-ყვითელი, ბრტყელნისკარტა იხვის ჭუჭყულები დასდევდნენ თავიანთ დედინაცვალს — ჯაჭვედა კრუხს. წითელი მამალი ამაყად დააბიჯებდა, ზოჩოლა კი... ზოჩოლას ნულა იკითხავთ: ცმუკავდა, ზოგჯერ გაირინდებოდა, მერე აკუნტრუშდებოდა, ანგელოსებს უფრთხობდა კლდაპრეხილ ვოჭებს, ფხორია ინდაურებს, მშიშარა დედლებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით გულად მამალსაც კი.

კლდმაკრატელა მერცხლები საამოდ ეღურტულებდნენ.

როცა ირგვლივ სიხარული სუფევს, მოწყენა შეიძლება? თურმე შეიძლება. მარტო კაცი იყო მოწყენილი და ის კაცი ნატოს კეთილი, მუდამ ხალისიანი. ყოველთვის ენაწყლიანი ყაფლან ბაბუა გახლდათ.

სახემოქლფრულმა, დაღვრემილმა ყაფლანმა ჭიშკარი შემოალო და ეზოში შემოვიდა. ბახურამ ერთი-ორი ყასიდად შეუყეფა, მერე მისკენ გაექანა, ჯერ ფეხებში გაუგორდა, შემდეგ აეტორილა.

თქვენ მტერს, მოხუცმა მას დღე აყარა, — ისეთი გამეტებით ამოარტყა წიხლი, ბახურას კი არა, შორიდან მაკეჭრალს ეტკინებოდა. იმიტომ იყო, საწყალი მყეფარი წკაეწკავით გაეცალა და სახლის ლაფაროში მიიმალა.

გაუკვირდა ნატოს. გაუკვირდა, მაგრამ ბაბუას მაინც ღმილით მიეგება.

— რატომ გაარტყი, ბაბუ, ბახურას?

— ძალმაც კი უნდა იცოდეს, რა ხასიათზეა პატრონი! — მიუგო მოხუცმა მწყრალად. თოხი და სარწყავი გვერდზე მიყარა და თუთის ძირას მორზე ჩამოგდა, ცხვირსახოცი ამოაფრიალა ჯიბიდან, ქუდი მოიხადა და ოფლი მოიწმინდა. თავი ხელებში ჩარგო. დანა პირს არ უსხნისო, რომ იტყვიან, სწორედ ისე იყო.

ნატო შორი-ახლო დადგა გაბუტულივით. ხედავდა, კეთილი ბაბუა რაღაცას აელეღვებინა და ვერ ისვენებდა გოგონა. ჯერ წარბებქვემოდან შეათვალიერა მოხუცი, მერე გაუღიმა, ახლოს მივიდა. ისევ გაუღიმა და გვერდით მიუსკუპდა, ხელი გადახვია საყჭარელ ბაბუას.



— ვინ გაგაჯავრა, ბაბუ?

მოხუცმა გვერდელად გამოხედა, ისე, როგორც დიდად გასაკვირველი რამის გაგონებისას იციან. მერე გაიფიქრა: ან იმ ჩემმა ერთგულმა ბახურამ ვა, რომ მოვიმდურე, ან ამ ჩემს ახტაჯანა გოგონას რას ვერჩიო... გაიფიქრა და წვერზე იმ ფოცხივით ჩამოისვა ხელი, იქვე, ბოსტნის კართან რომ იყო აყუდებული.

— იცი, რატომ ვარ გაჯავრებული?

— აბა, რა ვიცი, ბაბუ.

— ე, იმ ტილმა კობიტნარმა გამაბრაზა!

— რატომ?

— მივედი, ნარგავებს ძირს მოვუთოხნი, წყალს დაეუსხამ-მეთქი. მივედი და ელდა მეცა: ყველა გამხმარა.

— რას ამბობ, ბაბუ!

— შენ ნუ მომიკვდები!

— რა უნდა ქნა ახლა?

— მაგან დამაფიქრა მეც. ვის გაუუხილო, ამდროულა კაცს მესამე წელია ნარგავები მიხმება და მისი მალამო ვერ მომიძებნია-მეთქი!

შარშანწინ იყო და ეკვალბტი გადახმა. შარშან ფიჭვი ვცადე, არც იმან დამიფასა შრომა და ამაგი. კაკალი თუ არ გამახარებდა, ეს კი ნამდვილად არ მეგონა. რას იტყვის ხალხი?

— არაფერსაც არ იტყვიან!

— იტყვიან, შვილო, იტყვიან. ოღონდ ხალხს საბაბი მიეცი და თქმას დაგამაღლებენ?

— შენზე არ იტყვიან!

— ადღგომა და ხვალეო! მაგასაც ვნახავ... „არა, აბა, რა უნდა დამერგა: კაცმა რომ თქვას, რა იხარებდა?“ — ფიქრებში წავიდა მოხუცი, თან თავს აქნევდა სინანულით...

ერთხანს ორივე დაფიქრებული იჯდა, მერე ნატომ დაარღვია ღუმილი:

— რად გინდა, ბაბუ, ის ქარსაფარი?

— როგორ რად მინდა, შვილო, კობიტნარში იცი, რა მიწაა? მაგრამ რა გინდა, ჩაყრი მარცვალს მიწაში, ამოვა, თვალს გაგიხარებს და მერე ქარტილა გულს აგიტირებს. მანდ რომ ქარის საწინააღმდეგო რამე ახარო, იმდენი მოსავალი მოვა, იმდენი! ახლა? ახლა არაფერიც არ მოდის, — კვლავ დაღუშდა მოხუცი. ნატოც ჩაფიქრებული იყო, ირგვლივ კი თავში რომ მოგახსენეთ, ისეთი სიხარული სუფევდა.

— ბაბუ, რა ჰქვია იმ ადგილს, სადაც შენ კაკალი დარგე?

— რამდენჯერ უნდა გითხრა... კობიტნარი!

— ჰოდა, ბაბუ, კობიტი დავრგოთ, მეც მოგეხმარები! ალბათ, ერთ დროს იმ მიდამოებში კობიტი ხარობდა და იმიტომ დაარქვეს კობიტნარი.

მოკუთვრულ ზეცას ღრუბლები რომ შემოეცლება და თანდათან მზეც თავს დააღწევს შავ საფარს, ისე ჩამოეცალა ყაფლანს სახიდან დაღვრემილობა.

— შენ კი გენაცვალე, ჩემო ჰკვიანო გოგო! — შესძახა მოხუცმა და გულში ჩაიკრა შვილიშვილი, — თუ გინდ კობიტმაც არ იხეიროს, შენ რომ ასეთ ზრუნვას და დაკვირვებას იჩენ, ესეც მეყოფა სიხარულად. არა, ნამდვილად გამოფიქრ-ჩეტებულიარ, რატომ მე ვერ მოვიფიქრე ეგ ამბავი?

მერე ყაფლან ბაბუას ეზოში მხოლოდ ბახურადა იყო მოწყენილი და მალე ისიც გაახარა მოხუცის მხიარულმა ძახილმა.



იხვავასუკული პოვსკავსი

გრიგოლ ხახუნიძე

გრიგოლ ხახუნიძე

ათიოდე წლის წინათ ქრიგოლ აბაშიძეს მკითხველი საზოგადოება იცნობდა, როგორც მოწინავე საბჭოთა პოეტს: უკანასკნელ ხანს საოცრად გაფართოვდა მისი შემოქმედებითი დიაპაზონი. მან თავის ლექსებსა და პოემებს მიუმატა ორი სქელტანიანი ისტორიული რომანი — „ლაშარელა“ და „დიდი დამე“. რამდენიმე მოთხრობა, დრამატული პოემა „ციხის ლეგენდა“ და პიესა „მოგზაურობა სამ დროში“. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ მის მშვენიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ჩვენს წინაშე წარმოდგება გამრჯე, დიდად ნაყოფიერი, ფართო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ინტერესების შემოქმედი და მოქალაქე.

გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება ემყარება ერთიან იდეურ-ესთეტიკურ კონცეფციას, რაც გულისხმობს თანადროულობის მახვილ შეგრძნებას და ეროვნულობის ჭანსად გაგებას.

გრიგოლ აბაშიძეს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა ახალ ეპოქაში, როცა ქართველი ხალხი დიდი საბჭოთა აღმშენებლობის გზაზე იყო დამდგარი და ამის კვალობაზე მხატვრულ ლიტერატურასაც განსაკუთრებული ამოცანები

ბი უნდა გადაეჭრა. იგი უნდა ყოფილიყო ახალი იდეების მხურვალე მქადაგებელი, ახალ ადამიანთა კეთილშობილური და გამირული საქმიანობის ამსახველი. ეპოქისა და მწერლობის თანხმეობის აზრს სწორად ჩასწვდა ახალგაზრდა პოეტი და ამის მიხედვით ჩამოყალიბდა მისი ესთეტიკური მრწამსი განხლებული სამშობლოს სამსახურისა. პოეტმა იმთავითვე იგრძნო ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედების საჭიროება და ამ წყურვილით ამოძრავებულმა გულწრფელად წარმოთქვა: „ყველა რაღაცას უმატებს-სახლ-კარს, მე დიდ ქვეყანას რამეუმატო!“ სულ მალე კი თავის ძალებში დარწმუნებულმა გვამცნო: „მე ჩემი დროის ძლიერ ქარავანს არც ჩამოვრჩები, არც გავეცლები“.

სამშობლოს ბედ-იღბალზე ფიქრი ყოველთვის იყო ქართული პოეზიის უწმინდესი მოწოდება. პოეტების ლექსებსა თუ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში მძლავრად გამოსტყვიოდა სამთავროებად დაყოფილი, დაქსაქსული ქვეყნის გაერთიანების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, ხალხის მშვიდობიანი ცხოვრებისა და შრომის სანუკვარი იდეები.

თანამედროვე ქართული მწერლობის

საპატიო და უპირველესი მისიაა პოეტური სიტყვის ძალით ნათელჰყოს და განამტკიცოს ხალხის საუკუნოვანი კეთილშობილური ოცნებების რეალურ სინამდვილედ გადაქცევის ფაქტი, ქართული ერის მთლიანობისა და თავისუფლების დამკვიდრების სისხარული.

გრიგოლ აბაშიძის პოეზიაშიც ერთგვანი სიამაყის გრძნობის ამოსავალია მშობელი ქვეყნის ერთიანობისა და ბედნიერების შეგნება. ამ განცდასა და აზრს იგი ხატავს ორიგინალურად მიგნებული მძლავრი სახეებითა და ბუნებრივი ასოციაციებით. ლექსში „მდინარეების სიმფონია“ ქართველი თავნება ფეოდალების ურთიერთ ქიშბი და განკერძოება შედარებულია ჩვენი მდინარეების დაუოკებელ და ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით უსარგებლო სრბოლასთან („და საქართველოს ერისთავებიც შმაგ მდინარეებს ჰგავდნენ ბუნებით“, ან „ერისთავები ქსნის და არაგვის, არაგვზე მეტად ბობოქარები“, „მაგრამ არ იქნა მათი ალაგმვა, ვით მდინარეთა — ერთად მოკრება“).

გავიდა ზანი. ახალმა ყოფამ, ჩვენმა თანადროულობამ შეამტკიცა, გააერთიანა სამთავროებად დაყოფილი საქართველო და შმაგი, ბობოქარი მდინარეები ამ ახალი, აღორძინებული ქვეყნის აღმშენებლობითს სამსახურში ჩააყენა:

და როგორც ქართლმა ურჩი ტომები
შემომტკიცა ამერ-იშერთა,
მდინარეები დაუდგრომლები
მტკვარმა ყოველმხრივ შემოიერთა.

მათი ძალ-ღონე მზედ გვიბრწყინდება,
ეს ლექსი მათი ალავერდია,
მთლიან სამშობლოს ჩვენი დიდება
და მდინარეთა ძალას ერთიანს!

საქართველოს თანამედროვე ცხოვრება, დღევანდელობის მხურვალე პათოსი გრიგოლ აბაშიძის პოეზიაში გვესახება არა როგორც ამ თემისადმი უბრალო ვაჟის მოხდის და ფაქტების ჩვეულებრივი ხატვის საგანი, არამედ ავტორის მხატვრული აზროვნების სისწლხორცეული, შინაგანი აუცილებლობით შეპირობებუ-

ლი მოთხოვნილება, რაც პატრიოტიზმია ჩვენულ, ახალ გაგებას ეფუძნება.

გ. აბაშიძის პოეტური კონცეფციები მხედვით მხატვრულ ნაწარმოებში უნდა აღსაზნოს ცხოვრების არა ყოველდღიური წვრილმანი ფაქტები, არამედ ის მნიშვნელოვანი ძვრები, რომლებიც გარკვეულ კვალს ამჩნევენ, წინ სწევენ საზოგადოებრივ განვითარებას და, ამდენად, სინამდვილის განმარტადებელი ნიშნებით არიან აღტურველნი. ასეთი თვალსაზრისით გვისურათებს პოეტი ჩვენს თანამედროვეობას. მისი მხატვრული წარმოსახვის სფეროში ხვდება ის ძირითადი და ღირსშესანიშნავი მოვლენები, რომლებსაც ხალხის შემოქმედებითი შრომის ბეჭედი ატყვიათ და ჩვენი ეპოქის ძირითად ტენდენციებსა და შინაარსს გამოხატავენ.

მაგალითად, ლექსში „გამოღვიძება“ პოეტი გადაგვიშლის უკაცრიელი და მტერთაგან შრავალგზის გადაბუფული სამგორის ველის მკვდრეთით აღდგომისა და აყვავების რეალურ პერსპექტივას. ორიგინალობას მოკლებული არაა ასეთი სახე-შედარება: უკვე გაჭირილი არხი (ქარქაში) უცდის, თუ როდის ჩიიგებს სატევრად მოელვარე ივრის წყალს. „ფოლადის სიმღერა“ ახალი ქვეყნის დიდი აღმშენებლობისადმი მიძღვნილი ამ აღლებული ხოტბაა, ოღონდ ეს აღმშენებლობა მხატვრულად განზოგადებულია მხოლოდ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის საფუძველზე: სახელდობრ, ახალი, მძლავრი ინდუსტრიული კერის — რუსთავის შექმნის მაგალითზე. ლექსში გამოყენებულია ისტორიული ფონი, რაც ჩვენი ავტორისათვის, საერთოდ, ძალზე დამახასიათებელი მხატვრული ხერხია. „ძველი ქალაქი აღსდგა ძლიერი, ვახაროთ ქართლის ნაქალაქარებს“, — მღელვარებით ამბობს პოეტი, — „ვახაროთ მკედელთ ძველთა ხალიბთა... ვახაროთ მათ ძვლებს: კერა ქართული კვლავაც ფოლადით ხდება განთქმული“.

თანამედროვე ქართველი პოეტისა და მოქალაქის შემოქმედებითი შთავონების

ერთ-ერთი უპირველესი წყაროა შეგნება იმისა, რომ საქართველო მოძმე საბჭოთა ქვეყნისა ერებთან ერთად ძლიერი და უძლეველია. ეს დიდი პოლიტიკური სინამდვილე, ჩვენი ცხოვრების წარმმართველი იდეა ნამდვილ პოეტურ ნაწარმოებებში გამოხატულია არა მშრალი, უფერული, დეკლარაციული საშუალებით, არამედ გულწრფელი და მკვეთრი მხატვრული მეტყველებით. ასეთი პატრიოტულ-პოლიტიკური ლირიკის ნიმუშებია გ. აბაშიძის ლექსები, რომლებიც აღნიშნულ თემას მიეძღვნებიან. საკმარისია დავასახელოთ „ისტორიის გაკვეთილი“. ეს ლექსი რუსეთ-საქართველოს ისტორიული საბრძოლო თანამეგობრობის იდეას გამოხატავს და თურქ დამპყრობთა მიმართ მკაცრ გაფრთხილებად გაიხმის. საქართველო უძლეველია: „რადგან ერთგული სამშობლოს ფიცის ქართლს იცავს მოძმე ხალხთა მხედრობა“. სოციალისტური პატრიოტიზმის გრძობითაა გამსჭვალული აგრეთვე ლექსი „უკრაინაში“.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ გ. აბაშიძის პოეტური აზროვნებისათვის მეტად დამახასიათებელია თანადროულობის თემატიკის ვაშლა ისტორიული წარსულის ფონზე. ეს მხატვრული ხერხი მას ეხმარება უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგინოს დღევანდელი ყოფის სიდიადე, რაც წარსულის ბრძოლებისა და ოცნებების საფუძველზე დანახორციელა ჩვენმა თაობამ. ჩავუყვირდეთ ისეთი ლექსების შინაარსს, როგორც არის: „უჯარმის ნანგრევებზე“, „ველარ გვინატრონ მამულეკებად“, „მეხსის სიმღერა“, „ზედარგნის ღამე“, „თბილისი“ და სხვ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ „თბილისი“. იგი ზემოხსენებულ მხატვრული ხერხის მშვენიერი ნიმუში და ამავე დროს ჩვენი ქალაქისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსია ქართულ პოეზიაში:

ნუ დაუჭერებ ზღაპრად მოთხრობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი:
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი,
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

მე ისე ლექსს რა გამაბედვინებს,
გულში თუ ტრფობის ქარი არა ქრის.
მიწა სკამს ყველა ჯალალედინებს, ^{მარკინეული}
მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქს ^{ქალაქთუქვა}
და დილით, მზე რომ გააღებს ცისკარს,
ერთს სხივს ჩემსკენაც გამოაგზავნის,
მე მზის სხივის და თბილისის ხნის ვარ,
მეც გაჩენილი ვარ გორგასლანის.

ამ პოეტურ აღსარებაში გრიგოლ აბაშიძეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი სისრულით აქვს ნაპოვნი თავისი თავი, როგორც ხელოვანს და როგორც ლირიკულ გმირს. აქ იგი ხელოვანია, როგორც მხატვრული ნაწარმოების გამომქანდაკებელი, ლექსის ოსტატი, ხოლო ლირიკული გმირი — თავისი მაღალი და ღრმა განცდებით. მაგრამ ნაწარმოებში გამოვლენილი ეს ორი მომენტი ერთმანეთს გულსხმობს, ავსებს და მთლიანი სახითაა მოცემული. მეტად ემოციური და მომხიბვლელი სახე-მედარებაა „მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი, და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი“. ამ სიმბოლურ ნათქვამთან ერთად, ნაწარმოების ძირითად აზრსა და განწყობილებას ქმნის შთამბეჭდავი ტროპული კონტექსტი: „მიწა სკამს ყველა ჯალალედინებს, მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქს“.

ამის შემდეგ ზუნებრივია და აუცილებელიც, ცოტა რამ მაინც ითქვას ისტორიული წარსულის თემებზე დაწერილ ლექსების ციკლზე. ხსენებულ თემას გ. აბაშიძის პოეზიაში განსაკუთრებული ზეგდრითი წონა აქვს დამისი წარმოსახვა სავსებით გარკვეულ მხატვრულ მიზანქმედებაზე. პოეტისათვის წარსული არ არის მარტოდენ გარდასული დრო. რაც მრავალი საინტერესო ამბით გვიზიდავს. იგი ცოცხალი სინამდვილეა, რომელიც დღესაც არ ჰკარგავს თავის სურნელებასა და მნიშვნელობას. ლირსშესანიშნავი შორეული მოვლენები მხოლოდ ისტორიის საკუთრებას როდი წარმოადგენენ. ისინი, თავისებური მხატვრული წარმოსახვის წყალობით, ჩვენი დღეების კუთვნილებად იქცევიან და თანამედროვეთა ესთეტიკური აღზრდის საპატიო სასახურში დგებიან. ამაში მქდავანდება

წარსულისა და აწმყოს მჭიდრო ურთი-
ერთობა. ამ შემოქმედებითს მეთოდს წა-
რმატებით იყენებს გ. აბაშიძე თავის
მხატვრულ ნაწარმოებებში.

ისტორიულ თემებზე შექმნილი ლექ-
სები ნათელყოფენ, თუ რა ღრმად, რო-
გორი გამჭრიახი თვალთ იყურება პოე-
ტი წარსულში და რა მტკივნეულად გა-
ნიცდის თავისი ქვეყნის ძველ ჭრილო-
ბებს. ეს არის არა მარტო ორგანული შე-
გრძნება სამშობლოს გარდასულ დროთა
შავებდობისა, არამედ ნაიარევების მზის
სინათლეზე გამოტანა და მათზე მალამოს
დადება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს
ისტორიის გათანამედროვეობასთან, ამ
სიტყვის თავისებური, არამექანიკური
გაგებით. „შვიდასი წელი“, „სამცხის სა-
მარხზე“, „ჯაჭვგაუხდელი“, „შეშლილი
ხარი“, „მამულუკების გახსენება ეგვიპ-
ტში“, „უღუ დავითის დაბრუნება“,
„ძევას პიტიასშ“, „ტაო“, „შვიდი მეცი-
ხოვნე“, „თელავის ციხის ლეგენდა“,
„ნოსტეს ღრუბელი“, „უდე“, „სვენწყის
ჩვენება“, — აი ის არასრული სია ლექ-
სებისა, რომლებიც ისტორიულ წარ-
სულს მრავალმხრივ ასახავენ და შეკავ-
შირებული არიან ავტორისათვის დამა-
ხასიათებელი ერთიანი შემოქმედებითი
კონცეფციით.

პირველყოფლისა, თვალში გვეცემა ავ-
ტორის წადილი, აღნიშნული მოვლენე-
ბით გვიჩვენოს ამა თუ იმ ეპოქის მთავა-
რა შინაარსი, ჩვენი ქვეყნის ისტორიის
მხატვრულად განზოგადებული სურათი.
მაგალითად, ლექსებში: „სამცხის სამარ-
ხზე“ და „ჯაჭვგაუხდელი“ დახატულია
საქართველოს ძველ მკვიდრთა ნიშან-
დობლივი, გამოკვეთილი სახეები, რომ-
ლებიც სახელოვან წინამორბედთა თით-
ქმის ყველა ძირითადი თვისებით არიან
შემკულნი. ერთ მათგანს: „კაცისოდენა
ხმლები ჰქონია, სახლისოდენა — საწნა-
ხელები“, მას „არ აშინებდა ხმალში არ-
ავინ, არც ლანგ თემური, არც შაპ-თამა-
ზი“. მეორე ლექსში კი პოეტი ამბობს:
„თანდაყოლილი დედის მუცლიდან ყვე-
ლგან თან ჰქონდა ქართველს ფარ-ხმა-
ლი“, ან კიდევ: „ტაძარს აგებდა — ეც-

ვა წვრილოვალა, ვეფხის წიგნს სწერდა
ჯაჭვგაუხდელი“.

ასე ღრმად ითვისებს თანამედროვე
პოეტი ისტორიის და ობიექტურად წარ-
მოსახავს მას. გ. აბაშიძეს აქვს თავისი
საკუთარი პოეტური სამყარო. მის მხატ-
ვრულ წარმოსახვას და მეტაფორულ-სა-
ხეობრივ წყობას ატყვია ნამდვილი ორი-
გინალობის ბეჭედი. მისი პოეტური აზ-
როვნება მთლიანად ქართულ ნიადაგს
ემყარება. იგი ეკუთვნის პოეტთა იმ თა-
ობას, რომელსაც არ განუცდია სიმბო-
ლიზმის, ფუტურისმისა თუ სხვა მოდერ-
ნისტიული მიმართულებების გავლენა
და ამიტომაც მისი ლიტერატურული გე-
მოვნება, მხატვრული სტილი და შეტყ-
ველება, უმთავრესად, ეროვნული სამყა-
როთი საზრდოობს.

ყოველ ნამდვილ პოეტს აქვს შერჩეუ-
ლი თავისთვის განსაკუთრებულად ახ-
ლობელი და საყვარელი საგნები, მოვ-
ლენები თუ სახელები, რომელთა მეო-
ხებითაც უპირატესად, აყალიბებს მხა-
ტვრულ სახეებს. გავიხსენოთ, თუ გნე-
ბავთ, გალაკტიონის: ლურჯა ცხენები,
ატმის ყვავილები, თოვლი, მერი და სხვ
შერჩეული სინამდვილისმიერი მასალა
აქვს გრიგოლ აბაშიძესაც. სხვა მოვლენ-
ათა შორის, ჩვენი დაკვირვებით, პირ-
ველყოფლისა, ესენია ვენახი და მთა —
აგრერიგად დამახასიათებელი ქართული
ბუნებისათვის. ბევრი მხატვრული სახე,
მეტაფორა თუ შედარება აქვს გამოკვე-
თილი პოეტს ამ მასალისაგან და ბევრ
თავის ჩანაფიქრს, განწყობილებასა თუ
ემოციას გვიმქვიავენებს მათი საშუალებით.

ზოგადი გააზრებითაა წარმოდგენილი
ქართული ვაზი, მაგალითად, ცნობილ
ლექსში „შეშლილი ხარი“, რომელიც
თემურ-ლენგის დამარბეველი ლაშქრო-
ბების გახსენებაა. „მაინც ვერ მოსპე პა-
ტარა მხარე, პატარა ვაზი მაინც ვერ
ძლიე“, — მიმართავს პოეტი მრისხანე
დამპყრობელს. „ქვეყნად რომ ერთიც
დარჩეს ქართველი, აკვნებს გამართავს.
ვაზს გაახარებს“. როგორც ვხედავთ, ვა-
ზი აქ ქართველი კაცის გამარჯვებისა და

სიკოცხლის ზოგადი გამოხატულებაა. მიწის გამოღვიძებისა და მომავალი გაზაფხულის სიმბოლურ სახელაა წარმოდგენილი ვაზები სტრიქონებში: „ვაზებს კი სძინავთ, თოვლის ქვეშ სძინავთ დესისმრებათ მწიფობელები“. ბუნების შესანიშნავ სურათს ქმნის შედარება: „ალანის ველზე ვაზი ურიცხვი ჩამწყვრივებულა როქის სპასავით“.

ვაზისა თუ ვენახის მხატვრული სახეებით სავსეა გრიგოლ აბაშიძის პოეზია. იქნებ ეს ვითარება თავისებური, პოეტური გამოძახილი იყოს ჩვენში მძლავრად ფეხგადგმულ ვაზის კულტისა და აგრეთვე იმ ცნობილი მეცნიერული მოსაზრებისა, რომელიც ვაზის სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევს.

ვაჟა-ფშაველას შემდეგ მთა ქართულ პოეზიაში დამკვიდრდა მთელი თავისი სიდიადით. პოეტთა შემდგომმა თაობებმა მხატვრულ სიტყვაში მთა გამოიყენეს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა აზრების გამომსახველად. განსაკუთრებული იდეურობითა და შინაარსით ხასიათდება მთის მხატვრულ სახეთა სიმბოლიკა თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსებში. მთების პოეტურ სახეში ამჟამად იგულისხმება არა მარტო ჩვენი წარსულის შეუდრეკლობა, არამედ თანამედროვე გმირული ცხოვრების მაღალი ჰორიზონტები, ჩვენი სამშობლოს სიმტკიცისა და უძლეველობის ურყევი აზრი. ამგვარი უნივერსალური მხატვრული შემეცნებითაა წარმოსახული ქართული მთები გრიგოლ აბაშიძის პოეზიაში.

„მღლისკენ ლტოლვას, მღლისკენ სწრაფვას მე ვეჩვეოდი იმ მთების ცქერით“, — ამ სიტყვებში უქვევლად არის კეშმარტების დგრიტა, რამდენადაც გრიგოლ აბაშიძის სავალი გზა მწერლობაში შეუწელებელი მიზანსწრაფვის მაგალითია. „და მე მეგონა პატარას მაშინ, — იმ მთებთან იყო სამყაროს ბოლო“, — ამბობდა შემდეგ პოეტი, ან კიდევ „უშველებელ კლდეს ჩემი სოფელი ეხურა, როგორც პატარა ქუდი“ — ეს ორი, წმინდა ბავშვური თვალთა და

გულუბრყვილობით ნაგრძნობი წარმოდგენა შემდგომში გაიზარდა და მთების მომხიან სიმღერად გადაიქცა. უშუალოდ განიცადა, თუ როგორ დაილენა იმ მთებზე ჯაჭვების ხუნდი, მიჩუმდა ამირანის კენესა და „წითელმა დროშამ დილოს შექივით გადმოაწათა სამავარდნოდან“. აი ზღაპრული უშმა, რომელიც მიუღგომლობისა და მაღალი ოცნების გამოხატულებაა — „უშმა სამყაროს მომღერებია და შორს გამდგარა გოლიათივით“. ამას დაევმატოთ ბიბლიური მოტივზე შექმნილი საუცხოო შედარება-სურათი: „მთის ფლატეებზე სვანთა სოფლები გვანან წარღვნისგან გამოირყულებს“. ხალხი შესევია თვალწვიდენ კლდეებს, რომ მათ გულში ახალ-ახალი სიმდიდრე აღმოაჩინოს, „რომ მწვერვალები უფრო მაღალი ნახონ საკუთარ ფეხქვეშ გართხმული“, მაგრამ მარადიულია ქართველ ხალხში მთის სიყვარული და ქება:

ვით არ გვიყვარდეს მთები ჭალარა,
ჩვენი უკვდავი ერის აკვანი,
მას, ვინც ამ მთებში ფუძე ჩაჰყარა,
ჩვენი ლექსი და ჩვენი თაყვანი!

და პა, მოვდივარ, გამიხსენ მეგრიდი,
მთათ, ლავვარდის დამადნობელი!
სიყმრიდან მმართველ სიმღერა ერთი,
სიმღერა — მთების საშადლობელი!

„მთები და კლდეები“

ერთ-ერთ ნაწარმოებში ვენახისა და მთების მხატვრულ სახეთა მთლიანობაში წარმოდგენით პოეტი საქართველოს ბუნების დამახასიათებელ სურათს წარმოსახავს: „საქართველოს მთა-გორების ხორტში, ვაზი ვაზზე ლერწმბ-გადალასტული“. ეს არის სტრიქონები ლექსიდან „ოცნება უფლისწულისა“, რომელიც საერთოდ სხვა მოტივზე, კონკრეტულად, სამიჯნურო ტრფიალების გრძნობაზეა აგებული.

ქართულ სატრფიალო პოეზიას უმდიდრესი ტრადიციები მოუპოვება. გ. აბაშიძე თავისებურ ელფერს ჰმატებს და აგრძელებს ამ ტრადიციას. ვანცდის ამალგებულნი და სიტლანქისაგან სავსებით თავისუფალი ტონალობა წარმართავს

მისი სამიჯნურო ლირიკის საერთო ქედ-
რადობას.

პოეტმა, რასაკვირველია, კარგად იცის
სიყვარულის საიდუმლოებით მოცული,
ამოუხსნელი და მიზეზიანი ბუნება. მისი
ლექსების ლირიკული გმირისათვის უც-
ხო არაა არც ტრფიალებით აღძრული სი-
ხარული და არც მისგან გამოწვეული სე-
ვდა და იჰვი. მაგრამ, რაც არ უნდა იყ-
ოს, ყველაფერს სძლევეს ბედნიერების
მომნიშვნელი შეგრძნება სიყვარულისა.
პოეტი ამბობს: „და ჩემი სულის სიღრ-
მე უძირო შენდამი ტრფობით არის ნა-
თელი“ და ჩვენ გვჯერა ამ ნათქვამის
გულწრფელობისა; გვჯერა, რომ არსება-
თა განუყრელი და წმინდა კავშირის გა-
რეშე მას სიცოცხლე მართლაც არ წარ-
მოუდგენია. ამასთანავე, გატაცების ობ-
იექტის მიმართ მკლავდდება უაღრესი
მოკრძალება და ვაჟკაცური კომპრომისი,
როცა ეს საჭიროა. ამ კუთხით საინტერე-
სოა ლექსი „გამოსალმება“. ლირიკული
გმირის ფაქიზი ნატვრაა სატრფოს მა-
ციოცხლებელ ჩრდილქვეშ ყოფნა: „მზის
მომღერალი და მზეჭაბუკი, მარტო შენს
ჩრდილში გავიხარებდი“ თუმცა თანაგ-
რძნობას მოკლებულ ჭაბუკს მეტად უმ-
ძიმს, მაგრამ მაინც რაინდულად გადაწ-
ყვეტს: „საკუთარ იღბალს თვითონ და-
ვცინებ და ჩუმად გავალ შენი ჩრდილი-
დან“. აქ შეიძლება შორეულად ამოტივ-
ტივდეს ასოციაცია ბარათაშვილისეული
გრძნობისა, რომელიც გულგადაღუღულა
ოცნებობდა სატრფოს საყურის ჩრდილ-
ქვეშ საამურო გარინდებს.

მშვენიერებისა და სიყვარულის უკვ-
დავი შეინაარსი ეტოლება და ეფიბრება
ამქვეყნიურ ყოველგვარ სიკეთეს, მის
ფეხქვეშ მუხლს იღრეკს შიში და ბორო-
ტება, ოგი ამაყადაა აღმართული მარა-
დიულობის კვარცხლბეკზე და მზიურ
მუქს აფრქვევს გარემოს:

ღვახარ ნანგრევზე შუქით მოსილი
და მართლა ჰგავხარ სიტურფის ღმერთქალს,
ქებში ყვეილი ხარ ამოსული
და შენ ვარშემო სიცოცხლე ფეფავს.

ირგვლივ ხვავი და მხოლოდ სურთა,
შენ კი მზით სუნთქვე ბნელ აკლდამაზე —

და მჯერა მართლა უსასრულოა
ქვეყნად სიცოცხლე და სილამაზე.



„შენ რომ არ იყო ჩემ გვერდით“

აი, თუ ვნებავეთ, სიყვარულის კუთხით
დანახული მთელი სამყარო, თავისი სი-
ძველითა და სიახლით, დაუოკებელი წი-
მსწრაფვითა და სიცოცხლის ხალისით,
რომელსაც ქმნის და აღამაზებს აღამი-
ანი.

პოეტი ნიადავ ფიქრობს აღამიანის ამ-
ქვეყნიურ დანიშნულებაზე, ეამთა სვლის
საკითხებზე, ცხოვრების შეინაარსზე და
მომავალზე. მის სიტყვას აშკარად ატყ-
ვია ფილოსოფიური პრობლემებისადმი
შეუწელებელი ინტერესი და ისიც მხატ-
ვრული აზროვნების საშუალებით ცდი-
ლობს თავისებური პასუხი გასცეს ამ
პრობლემებს.

ფილოსოფიურ საკითხთა წამოჭრითა
და ავტორისეული გააზრებით ყურად-
ღებას იქცევს ლექსი „ავანთოთ შუქი
ჩვენ-ჩვენი ხვედრი“. გარდა ბუნების მო-
ვლენათა მოძრაობისა და სახეცვლილე-
ბის ახსნის ცდისა, აქ მოცემულია სამი
მხატვრული ფორმულა კაცობრიობის
ცხოვრების ძირითად კატეგორიებზე. ეს-
ენია სიყვდილ-სიცოცხლის, სიყვარული-
სა და ხელოვნების მარადიულობის სა-
კითხები. პოეტი მათ კითხვანარევი კა-
ტეგორიული ფორმით აყალიბებს: „მი-
სთვის, რომ სოფლად ადრეც ცხოვრობ-
დნენ, სოფელზე ხელი ვის აუღია!“, შემ-
დეგ: „მისთვის, რომ ადრე სხვასაც უყ-
ვარდა, ჯერ სიყვარულზე ვინ სთქვა
უარი!“ და მესამეც: „მისთვის, რომ ად-
რე სხვებშიც მღეროდნენ, სიმღერა დღემ-
დის ვის დაუგმია!“ შექველია, ასეთი და-
სკვნები სიცოცხლის განვითარებაზე, ის-
ტორიის მსვლელობაზე ღრმა დაკვირვე-
ბის შედეგია და დამაჯერებელიც.

გრიგოლ აბაშიძის ფილოსოფიური
ლირიკა, მისი ლექსები: „დედასთან“,
„შავ ზღვაზე თქმული თეთრი ლექსი“,
„კაკლის ხეები“, „პირამიდებზე“, „სფი-
ნქსი“, „ტუტანხამონის აკლდამაში“ და
სხვ., ბევრი საინტერესო ფილოსოფიუ-
რი პრობლემის მხატვრული გადაწყვე-
ტის ცდას შეიცავს.

პირდაპირ უნდა ითქვას, თანამედროვე ქართული პოეტური ეპოსი მხარს ვერ უსწორებს ლირიკას. თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი პოემები, რომლებიც თავინათი იდეურ-მხატვრული და ჟანრობრივი ღირსებებით მკითხველთა ყურადღებას იმსახურებენ. გრიგოლ აბაშიძე პირველთაგანია, ვინც ასე თავგამოდებით იღწვის აღნიშნული ჟანრის გასამდიდრებლად და იროვნული ეპიკური პოეზიის მძლავრი ტრადიციების ასაღორძინებლად. მის კალამს იუკუთვნის პოემები: „ძლევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“ და „გიორგი მეექვსე“, რომლებიც სხვადასხვა თემას ასახავენ და სხვადასხვაგვარი ჟანრობრივ-კომპოზიციური თვისებებით ხასიათდებიან.

„ძლევის ქედი“ გარშემო საკმაოდ ბევრია ნათქვამი ლიტერატურულ კრიტიკაში. სავსებით ნათელია მისი იდეურ-შინაარსობრივი მიზანდასახულება და აქტუალობა. ნაწარმოები იწერებოდა სამშულო ომის მრისხანე დღეებში, როცა ჭრ კიდევ არ გადაეცლო შვინვარე ექოს, რაც გაისმა კავკასიის დაცვისათვის ძნელ ბრძოლებში.

კავკასიისათვის ბრძოლა პოემაში ასახულია, როგორც საბჭოთა ქვეყნის დიდი გამათავისუფლებელი ომის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი რგოლთაგანი, სადაც სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება:

ორი მდინარე ჰქუხდა ზღაბრული,
და ქვეყნის ბედი წყდებოდა ორგან,
მთელი მსოფლიო სულგანაბული
მისჩერებოდა თერგსა და ვოლგას.

ნაწარმოებში, რასაკვირველია, ძირითადია ფრონტის მხატვრული ჩვენება, მაგრამ მაინც მასში აშკარად შეიმჩნევა ორი პლანი — მშვედობიანი ცხოვრება და მოულოდნელად ამტყდარი ომი. ამ გარემოებას აქვს თავისი მიზანი. იგი ნათელს ხდიდა უდიდეს კონტრასტს ომსა და მშვიდობას შორის, ცხადყოფდა საშინელი სისხლისღვრის გამანადგურებელ ძალას და ამავე დროს ნერგავდა საბჭოთა ხალხის სამართლიანი ბრძოლის

აზრს, ამტკიცებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მისიას მსოფლიო მშვიდობისა და მომავალი ბედნიერების საქმეში.

პოემაში თანადროული ამბები, ფრონტული ცხოვრება წარმოდგენილია არა ზედაპირულად, არამედ მთელი თავისი სიმკაცრით, ნაივნივანია ბატალური სცენები, მოთხრობილია ამაღლვებელი და გულდასაწყვეტი ამბავი, ორი ქართველი ახალგაზრდის — გიორგისა და ქერათმიანი გოგონას თავგადასავალი.

როგორი მხატვრული საშუალებებითაა ყოველივე ეს ხორცშესხმული თხზულებაში?

ავტორის ცდა, ეპიკური პოეზიის თავისებურ ფორმაში ზამოეკეთა საკუთარი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი, დამლულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ეს ნაწარმოები არ შეიძლება მივიჩნიოთ კლასიკური პოეტური ეპოსის ნიმუშად ამ ცნების ტრადიციული გაგებით. „ძლევის ქედი“ ლირიკული პოემაა. სხვა პერსონაჟთა შორის, აქ თვით ავტორსაც ვხვდებით ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირობად. იგი ძველი მეგობარია მთავარი გმირისა. ისინი ერთმანეთს ხვდებიან თბილისში იმ დღეს, როცა გიორგი კავკასიის დასაცავად მიემგზავრება. ბედი თუ შემთხვევა მათ შეახვედრებს საველე ჰოსპიტალში, სადაც დაჭრილ გიორგის მიიყვანენ. მეგობრებს კვლავ ერთად ვნახულობთ ნაწარმოების ფინალში, სადაც ისინი ისევ შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს.

როგორც აღინიშნა, „ძლევის ქედი“ ლირიკული პოემაა. ავტორს სწორედ ასეთი სახის ნაწარმოების შექმნა დაუსახავს მიზნად, რისთვისაც წარმატებით მიულწვებია კიდევაც. ერთს კი შევნიშნავდით: შემთხვევითობის მომენტს პოემაში, ჩვენი ფიქრით, გადამეტებული ადგილი და მნიშვნელობა ენიჭება.

მთავარი გმირი გიორგი და მისი თანამემამულეები ჩვენი ხალხის ბუნების გამომხატველნი არიან. გიორგისა და ქერათმიანი გოგონას სატრფიალო თუ საბრძოლო თავგადასავალი განვითარებულია მეტად თბილ, ლირიკულ ტონებში.

ნაწარმოების სიუჟეტურ ფოკუსში მოქცეულია ბრძოლის ველზე გიორგისა და მისი სატრფოს შეხვედრის მომენტი, როცა გოგონა ცეცხლის ხაზიდან გამოიყვამს დაჭრილ მიჯნურს, თვითონ კი მტრის ტყვიის მსხვერპლი გახდება. ამ სურათის დახატვისათვის ავტორს არც გრძნობა დაუკლია და არც საღებავები. ასე ოსტატურად დაწერილ ადგილებს პოემაში ბევრს შეხვდებით. აქ, პირველყოვლისა, უნდა დავასახელოთ მთელი ორივე ბატალური სცენები. მაგალითად:

მაშინ მეხით და ცეცხლით ძაფთან,
უცებ ქარიშხლად მტერზე დამტყდარი
კავკასიონის ვეფხი გაუხდათ
და შეაღწა კლდეებს აფთარი.

ამ სტრიქონებში პოემის ძირითადი იდეა არის გამოხატული, რამდენადაც სათაური „ძლევის ქედი“ კავკასიონის ძლევა მოსილებას, მტერზე მის გამარჯვებას გულისხმობს. იგივე აზრია გამოთქმული სხვა ადგილასაც: „მტერმა შემდრკალმა და დაღწილმა კავკასიის ქედს ზურგი აჩვენა!“ ხოლო ჯერ კიდევ ლაზარეთში მყოფი დაჭრილი გიორგი თავის უდიდეს სიზარულს პოემის ავტორს შეხდევნიარად უზიარებს: „ხედავ? მრისხანე შავი ღრუბლები, როგორ სტოკებენ თეთრ კავკასიონს?!“

პოემაში დასტურდება ავტორისათვის საერთოდ დამახასიათებელი მხატვრული მეთოდი — საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს დაუკავშიროს აწმყო და წარსული. თბილისთან მოახლოებული საფრთხის დროს წინაპარ გმირთა აჩრდილები დედაქალაქის დამარსებლის — გორგასალის მეთაურობით, ამხნევებენ ფრონტზე მიმავალ ლაშქარს.

„ძლევის ქედი“ ქართულ პოეზიაში რჩება, როგორც უშუალოდ სამამულო ომის თემაზე დაწერილი უაღრესად საინტერესო პოემა.

„ზარზმის ზმანება“ საცხებით ორიგინალური და მეტად საყურადღებო მოვლენა თანამედროვე ქართული პოეტური ეპოსისა. მის ასეთ მნიშვნელობას განსაზღვრავს ერთმანეთთან მჭიდროდ და-

კავშირებული რამდენიმე ფაქტორი იდეურ-მხატვრული ხასიათისა. ესენია: მოჭრილ პრობლემათა სიღრმე ვალმზრივობა, მხატვრულ სახეთა სირთულე და ნაწარმოების სიუჟეტურ-კომპოზიციური აღნაგობა.

გამსახილველი პოემის სათაური სიმბოლურია და ორმაგ აზრს შეიცავს: ერთი გულისხმობს წმინდა ეროვნულ საკითხს, ხოლო მეორე — პირადულს ცნებას „პირადულს“ აქ პირობითი გაგებით ვიყენებთ, რამდენადაც მას საფუძვლად უდევს დედა-შვილური ურთიერთობის მტკივნეული პრობლემა, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სახალხო-ისტორიულ მოვლენასთან — დიდ სამამულო ომთან.

ნაწარმოების სიუჟეტური განვითარების ძირითად ხაზს წარმართავს დედა-შვილობის მოტივი, უმთავრესად გამოვლენილი სამ ზმანებაში, რომლებიც, რეალურ სინამდვილეს ემყარება. აუცილებელია მოკლედ გავისვენოთ ეს ამბავი: ქართველ დედას შვილი ომში დაღუპული ჰგონია, ყირიმში წავა, მითითებულ სამარეს გათხრის და ცხედარს ზარზმაში გადმოასვენებს. დაღუპულად მიჩნეული გოლეითანი სამშობლოში უვნებლად ბრუნდება. ირკვევა, რომ დედას სხვისი შვილის ნეშტი ამოუღია საფლავიდან. აქ ეს უნებლიე, სამწუხარო შემთხვევა ქმნის მძაფრ დრამატულ კოლიზიას.

ამ ძირითადი სიტუაციის გახსნა პოემაში მნიშვნელოვანწილად დაკისრებული აქვს სიზმარეულ სინამდვილეს. როგორც ფსიქოლოგიაშია ცნობილი, ობიექტური სინამდვილე სიზმრის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. დედა სიზმრებიც მძაფრი რეალური მოვლენების შედეგია. პირველ ზმანებაში დედა ცეცხლით გადაბუგულ მიდამოს ხედავს. გათხრილ სამარეში ტყვიისაგან დაცხრილი ვაჟაკი წევს, რომელიც მის შვილს ჰგავს. მეორე ზმანება: შეწუხებული დედა ცრემლს აფრქვევს დაჭრილ მეომარს, მაგრამ ეს მისი მემკვიდრე არა ყოფილა, შვილი ცოცხალი წამოიმართება დედის წინაშე. გახარებული მშობე-

ლი გულში ჩაიკრავს მას, ისინი ერთად გადიან ტაძრის ეზოდან, სამარეში დარჩენილი მომაკვდავი კი მუდარით მისძახის: „აქ რად მოგყავდი, აქ რად მმარბავდი, თუ დამტოვებდი ბოლოს ჟეცრემლოდ!“ მესამე ზმანება გამოხატავს დრამატულ კულმინაციას, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი კვანძის გამხსნელია: დედა ისევ სევასტოპოლში აღმოჩნდება, ხედავს, შავებით შემოსილი უცხო ქალი დასტირის უცხედროდ დარჩენილ ღია საფლავს, რომელშიც მის შვილი ესვენა. გამწარებული ქალი წყევლა-კრულვით მოიხსენიებს სამარის ამომთხრელს და მანდილოსანს ევედრება: „უჭირისუფლო თუ ნახო მკვდარი, — ცრემლის დაფრქვევა არ დაიზარო“. ქართველი დედა ვეღარ გაუძლებს ამ შემადარსებელ სურათს, ფეხქვეშ ჩაუვარდება შვილის ცხედრის მძებნელ მშობელს და პატიებას თხოვს უნებლიე დანაშაულისათვის.

ამგვარად, ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი შემფოთებული, ორი თავისებური სიმართლით აღსავსე ქალის ჩვენებით. ავტორმა მძაფრად წარმოსახა დედა-შვილური სიყვარულის ღრმა შინაგანი არსი. ეს ადგილები ნაწარმოების ყველაზე უფრო დაძაბული ფსიქოლოგიური სიტუაციებია. ავტორს მოცემული აქვს მათი სწორი მხატვრული მოტივაცია. ამას ამტკიცებს თუნდაც ის, რომ დედის ზმანებებში ყველა ძირითადი სიზმარეული წარმოდგენა ასრულებს გადაწყვეტ როლს, იქნება ეს მხედველობითი, სმენითი თუ შეხებითი. მთავარი მაინც ისაა, რომ ძირითადი აზრი წარმოსახულია სიზმარეულ და ობიექტურ სინამდვილეთა ურთიერთკავშირის პოეტურადაც. როგორც აკადემიკოსი დ. უზნაძე აღნიშნავს, ობიექტური სინამდვილე სიზმრის არა მარტო ერთ-ერთი ნაბაბია, არამედ: „შესაძლებელია იგი სიზმრის შინაარსში მნიშვნელოვან, ზოგჯერ დომინანტურ ელემენტადაც შედიოდეს“ (დ. უზნაძე, „ზოგადი ფსიქოლოგია“, 1940, გვ. 475). ასეთი დომინანტური და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

„ზარზმის ზმანების“ სიზმრის სამყაროში რეალურ სინამდვილეს.

ახალ ზარზმას და მის ძველსავე ტყაძარს აქვთ თავიანთი სიხარულიც და საფიქრალიც. მესხეთ-ჯავახეთში ისევ ქართული ყოფა-ცხოვრება აღორძინებულია. გოლეტიანის ოჯახი თვალსჩინებით უვლის ყირიმიდან ჩამოსვენებული უცნობი ვაჟაკის სამარეს. ომში დაღუპული გმირის სახელს სიყვარულით იხსენიებენ:

— უცხოს შვილისთვის როცა სწევს სასმისს, თუ ილოცება ტაძარიც ზარზმის?!

— ზარზმაც მათ ძმობას ეთავყანება.

გაურღვევია შავი ღრუბლები, ზარზმა ზარს რეკავს, ხედავს ზმანებას და ესოზრება თავის ტუპებში.

ზარზმას არ ასვენებს და მწარედ აფიქრებს სამშობლოსგან ძალით მოწყვეტილი ტაო-კლარჯეთი, ოშკი და ბანა, ხანძთა და ტბეთი. ასეთი მხატვრული ორიგინალობით ერწყმის უკვე განხილულ პროზაში ერთგული თემა მოცემულ პოემაში. ბედნიერი სამცხის მკვიდრნი დიდი მომავლის იმედით არიან აღსავსენი.

„გიორგი მეექვსის“ ავტორს ისტორიულ წარსულში შეეყავართ. ამ ნაწარმოებში ასახულია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე პერიოდი, XIV-XV საუკუნეების მიჯნა, თემურ-ლენგის შემოსევათა ერთი ხანა. მაშასადამე, პოემის ძირითად თემას განსაზღვრავს ჩვენი ხალხის თავგანწირულ ბრძოლა მოძალადე დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ დროს საქართველოს ტახტზე იჯდა გიორგი მეშვიდე, ბაგრატ მეხუთის ძე (პოემის მიხედვით, გიორგი მეექვსედ წოდებული). მემბტიანის თხრობით, გიორგი მეფე შემმართველი და უშიშარი პიროვნება ყოფილა. იგი არ შემდრკალა მრისხანე და ძლიერი დამპყრობლის წინაშე და პირველი შებმის დროს სასტიკადაც დაუმარცხებია მტერი.

ეს ისტორიული მოვლენები და თვით გიორგის პირადი ცხოვრების ერთი აზრები უდევს საფუძვლად განსახილვე-

ლი ნაწარმოების შინაარსს. აღნიშნული კერძო მოვლენა გიორგის თავგადასავლოდან საკუთრივ ავტორის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია. ასეთი გამოწვევის ჩართვა ისტორიული ხასიათის თხზულებაში დასაშვებადია მიჩნეული ლიტერატურის თეორიის მიხედვით, ოღონდ ერთი პირობით: მწერლის მიერ შეთხზული სიტუაციები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეპოქის სულს, გამოწვევის ამბები თუ პერსონაჟები უნდა გამოხატავდნენ თავისი დროის შინაარსსა და ტენდენციებს. ამ თვალსაზრისით პოემაში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ყველაფერი თავის რიგზეა. გიორგისა და მისი ძუძუმტის — გვარამ მარგველის ინტერესთა შეჯახება ნათიასადმი მათი სიყვარულის საფუძველზე საინტერესოდია განვითარებული. ასეთი რამ მართლაც შეიძლება მომხდარიყო, თუმცა ზოგიერთი მომენტი სამიჯნურო კონფლიქტისა შეიძლება მეტ მხატვრულ დასაბუთებას მოითხოვდეს. მაგალითად, როგორ მოხდა, რომ ისეთმა სამაგალითო მამულიშვილმა, როგორც მარგველია, ნებისყოფის სიმტკიცე ვერ გამოიჩინა და ვერ ალაგმა თავისი ვნებათაღელვა მას შემდეგაც კი, როცა გაიგო, რომ თანშეზრდილ ძმაკაცს კანონიერ ცოლად და, მამასადამე, დედოფლად უნდოდა ნათია. ან კიდევ, როგორ უნდა ავხსნათ გიორგი მეფის ამკარად ვერაგული საქციელი, როცა იგი, პირადი გრძნობით დაბრმავებული, წინასწარი ბოროტი განზრახვით მტრის ბანაკში სასიყვდილოდ აგზავნის გვარამს.

თავისუფლების დასაცავად აღმდგარი ხალხი, გიორგი მეექვსე და ავტორის მიერ გამოწვევის პერსონაჟი გვარამ მარგველი ნაწარმოების მთავარი გმირებია. ისინი გამოხატავენ ქვეყნის საბედისწერო მდგომარეობას, არ უდრკებიან საშინელ ვანსაცდელს, ნგრევასა და აოხრებას და იმედის თვალით უყურებენ მომავალს. ამას ადასტურებს, თუნდაც, ნაწარმოების ფინალი, სადაც ნათიასა და გვარამის დაღუპვითა და ცეცხლმოდებული გარემოს ხილვით შემფოთებული მფე გიორგი შურისძიებით აღტყინებული

ლი გასცქერის დამპყრობთა ბანაკს. საინტერესოდ გაშლილი სახალხო-ისტორიული მოვლენის გამოხატულებით უყუერი, გამოკვეთილი ტიპაჟი და კომპაქტური კომპოზიცია ნაწარმოებს ჩამოყალიბებული ეპიკური ყანრის სახეს აძლევს. იგი ძალზე უახლოვდება კლასიკური პოემის ნიმუშს და ამ მხრივ მისაბაძი მოვლენაა თანამედროვე ქართულ პოეტურ ეპოსში.

ამას უნდა დაემატოს, რომ პოემა 1942 წელსაა დაწერილი და თავისი პატრიოტული და საბრძოლო ყღერადობით უშუალოდ ეხმაურება დიდ სამამულო ომს. ეს დიდმნიშვნელოვანი მომენტი ავტორს გამოყოფთ აქვს აღნიშნული პოემისათვის დართულ პოეტურ ბოლო-თქმაში, სადაც წინაპართა მოწოდება: „მტერს აღარ მისცეთ კარგი მამული, არ შემოუშვით კართან მომდგარი“ — თანამედროვეთა ენერგიულ პასუხს იღებს: „არ აოხრდება ჩვენი მთა-ბარი, მზე და ნათელიც არ ჩავკეჭება“. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, ცხადი გახდება, რომ „გიორგი მეექვსე“ მრავალმხრივ საინტერესო, თანამედროვეობის დიდი სურსატებით გაყენებული პოეტური ნაწარმოებია.

* * *

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ბოლო ხანს გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებითი დიპაზონი შესამჩნევად გაფართოვდა. უკანასკნელ წლებში იგი მოგვევლინა, როგორც თავისებური, საინტერესო ბელეტრისტი და დრამატურგი. მართო მისი ორი ვრცელი ისტორიული რომანი „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“ იძლევა საყურადღებო მასალას მრავალმხრივი და ღრმა კრიტიკული ანალიზისათვის, რისი საშუალებაც, ბუნებრივია, ჩვენ ამჯერად არა გვაქვს.

„ლაშარელას“ და „დიდი ღამის“ აკავშირებს საერთო ქვესათაური: „XIII საუკუნის ქართული ქრონიკა“. მართლაც, ისინი ქრონოლოგიურად და სიუჟეტურად ერთმანეთს ავსებენ და მხატვრული პროზის უნით მეცამეტე საუკუნის

ვრცელი მონაკვეთის საქართველოს რთულ საშინაო თუ საგარეო ვითარებას ასახვენ, ამ გაგებით ისინი ერთ მთლიან, ორტომიან ფართო პანორამას ქმნიან.

ცნობილია, თუ რა უაღრესად სერიოზული წინასწარ მოსამზადებელი და ძნელი შემოქმედებითი შრომა უნდა გასწიოს ფართო და მრავალბლანდანიანი ისტორიული თხზულების ავტორმა. ასეთ დამატულ სამუშაოს, რა თქმა უნდა, ვერ ასცდებოდა გ. აბაშიძე. მან ძირფესვიანად შეისწავლა არა მარტო მე-13 საუკუნის, არამედ მისი მომდევნო ეპოქების ქართული სინამდვილე, რომელიც ასახულია მრავალ ძველ გადმოცემაში თუ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში. მწერალს მოუხდა უამრავი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეკონომიური, სოციალური, გეოგრაფიული თუ სხვა სახის მასალის გაცნობა-დამუშავება. გარდა ამისა, ავტორს უნდა შეესწავლა ბევრი არა მარტო მოსაზღვრე, არამედ შორეული ქვეყნის ისტორია და ყოფა-ცხოვრება, წყობა და ადამიანური, საქართველოსთან მათი დიპლომატიური თუ სხვა ხასიათის შეხვედრის მომენტები, შეჯახებები და კოლიზიები. მხოლოდ ამგვარი შრომატევადი სამუშაოს ჩატარების შემდეგ შეძლო ვრცელ აბაშიძემ დასახელებული ისტორიული რომანები დაეწერა.

ამთავითვე უნდა ითქვას, ავტორის მიზანდასახულობა — ეჩვენებინა მე-13 საუკუნის ქართული სინამდვილის მართალი მხატვრული სურათი, ძირითადად მიღწეულია. მკითხველი თვალნათლივ ხედავს ხალხის იმეამინდელ ყოფა-ცხოვრებას, სოციალურ დიფერენციაციას და საზოგადოებრივ ფენათა ურთიერთდაპირისპირებას, გრძნობს, რა მავნე ჭია შეჰპარვია საქართველოს სახელმწიფოს მძლავრ ორგანიზმს, როგორი შეუწყლებელი ტემპით მიექანება იგი დაღმართზე და ბოლოს, როგორ ეცემა ცოტა ხნის წინათ ესოდენ ვავლენიანი და ძლევამოსილი ქართული სამეფო. ქვეყნის ასეთ უბედურებაში თანაბარი როლი მოუძღვით როგორც ძველი დიდებით გაყოფი-

ჩებულ მეფის კარსა და პირადი ინტელიგენციით აღჭრულ დიდგვაროვან დიდებულებს, ისე ცალკეული სამეფო-სამთავრო-ურთიერთ ქიშხს და ხალხის ინტერესების უგულვებელყოფას. ქვეყნის მმართველობამ ალლო ვერ აუღო მსოფლიოს მამინდელ საერთაშორისო ვითარებას, დიდ ისტორიულ ძვრებსა და კატაკლიზმებს, რის შედეგადაც გამოუვალ კრიზისში მოექცა. ამგვარად, ბაგრატიონთა დიდ ოცნებას — გაეთავისუფლებინათ ქრისტიანული აღმოსავლეთი და საქართველო ახალ რომელ ექციათ — არამცთუ ასდენა ეწერა, არამედ თვით ჩვენი მიწაწყალი გახდა უმოწყალო შემოსევებისა და ხალხის მშვიდობიანი ყოფაცხოვრების ნგრევისა და აოხრების ასპარეზი.

ავტორის ასეთი ისტორიულ-შემოქმედებითი კონცეფცია სწორია და ძნელი მას რამეში შეედავო.

როგორც „ლაშარელას“, ისე „დიდი ლამის“ მთავარ პერსონაჟებად გვევლინებიან არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ აღმოსავლეთსა, ბიზანტიასა, უეროპასა და წინა აზიაში ცნობილი ისტორიული პიროვნებები, რომლებიც წარმართავენ ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბალს, ქმნიან სავარყო თუ საშინაო პოლიტიკის ამინდს. ამიტომ მათი პირადი, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმიანობის სწორ მხატვრულ წარმოსახვაზე დიდადაა დამოკიდებული ნაწარმოებთა ძირითადი შემოქმედებითი თვალსაზრისის განვითარება.

„ლაშარელას“ მთავარი გმირია სრულიად საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა, დიდი თამარის ძე, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სავსებით გარკვეული, დამოუკიდებელი კვალი დატოვა. ლაშას პიროვნებისა და მეფობის შესახებ მხოლოდ ორი ქართული საისტორიო წყარო მოგვითხრობს: ლაშა გიორგის დროინდელი მატანე და ჟამთაღმწერელი, რომლის თხზულება დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგაა შედგენილი. ამათგან პირველი ლაშას მხოლოდ ქება-დიდებათ იხსენიებს, მეორე კი და-

დებოთ მხარეებთან ერთად მისი ხასიათის უარყოფით თვისებებსაც აღნიშნავს, უფრო ვრცელია და საინტერესო ამბების შემცველი, მაგრამ მეცნიერებაში ეჭვია გამოთქმული: ხომ არაა იგი ლაშას მოწინააღმდეგეთა ფრთის თვალსაზრისის გვიანდელი გამოძახილი? (ივ. ჯავახიშვილი). ასეა თუ ისე, ლაშას ცხოვრების შესწავლისათვის იგი დიდად ანგარიშგასაწვევი წყაროა.

რომანის ავტორი ორივე აღნიშნულ წყაროს ითვალისწინებს, მაგრამ აშკარად და უპირატესად მეორეს ენდობა და ემყარება. ამას გარდა, მწერალი სამეცნიერო ლიტერატურასაც ჭარბად იყენებს და ყოველივე ამის საფუძველზე ვაწვდის თავისებური ფანტაზიით შექმნილ ლაშა გიორგის მხატვრულ პორტრეტს.

რამდენად ჰვავს ეს პორტრეტი ისტორიული წყაროებიდან გამომხიარულ მეფის სახეს?

არსებითად და ძირითადად ორივე მემატთან და ამდენად რომანის ავტორიც ერთი აზრისანი არიან: ლაშა იყო სახელოვანი მეფე, ქვეყნისათვის თავდადებული, გულადი და კეთილმოზილი რაინდი. მაგრამ ქართლმწერელი ყოველივე ამას უმატებს: „არამედ უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთათა“ („ქართლის ცხოვრება“, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1959, გვ. 154). ხელი მიჰყო მემთვრალეობასა და მრუშობას, რამაც ვაზირნი და სამღვდელეობა დიდად გაანაწყინაო. რომანის ავტორმა, ვფიქრობთ, მეტისმეტი ნდობა გამოიჩინა ამ უკანასკნელი ცნობების მიმართ და, არამეტუფრო გააღრმავა, გაამუქა მეისტორიის ისედაც მიძიმე ბრალდებები.

ნაწარმოების შინაარსის მიხედვით გიორგი ლაშა ცოლს წაჩხატა ცეხს არა ვინმე უცნობ ველისციხელს, როგორც ეს ქართლმწერელს აქვს აღნიშნული, არამედ თავის უერთგულესსა და მისანდობყმას — ლუხუმ მიგრიულს. ლაშამ ლუხუმი ლაშარის ხატობაში გაიციწო, მოე-

წონა ლომგულოვანი, შემდარებელი/და გულუბრყვილო გოლიათი და თავის პირად მცველად აიყვანა. იმ დღიდან ^{გამაყვანილი} ლუხუმი გიორგის გვერდიდან არ მოშორებია, მეფის ფიზიული, თავდადებული გულშავი იყო და სამაგალითო ვაჟკაცის სახელიც მოიხვეჭა. უფრო მეტიც, მიგრიულმა პირადი თავგანწირვით ორჯერ იხსნა ლაშა გარდაუვალი დაღუპვისაგან: ჯერ რინდებთან ბრძოლის დროს. ხოლო მეორედ განძასთან ომში, როცა მეფეზე მოქმედ მახვილს ელვის უსწრაფესად თვით შეეგება და საშინლად დასახიარდა კიდევაც.

გიორგიმ ლუხუმს ერთგული სამსახურისათვის აზნაურობა და დიდი ადგილ-მამულიც უბოძა, მაგრამ რა გამოვიდა: თავისი მსახურის ლამაზი მეუღლის ნახვისთანავე გონება დაკარგა, ყველაფერი დაივიწყა და მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა. მეფე ლუხუმს სასიკვდილოდ იმეტებს. მისი სურვილის შესასრულებლად ლუხუმს ოროტის ბრძოლის ყველაზე საშიშ უზანს მიუჩინენ უეჭველი იმედით, რომ მიგრიული ხელჩართულ ბრძოლაში მტრის მახვილს ვერ გადაურჩება. მაგრამ გამარჯვების მახარობლად თბილისში შემოქცეულ მიგრიულს თავისი ცოლი მეფის თანამეცხედრედ დაუხვდება. ლუხუმს დილეგში ავადებენ, მის ადგილ-მამულს კახეთის ერისთავი ეპატრონება. ასე გაუბედურდება მეფის თავყანისმცემელი ვაჟკაცი, ასე დაიქცევა მისი ოჯახი. ამ ამბავს დიდი საერთო აღშფოთება მოჰყვება, ეკლესია სჯულის კანონის მიხედვით ჯვარს არ დასწერს ლუხუმის ნაცოლარსა და ვიორგის, თავის მხრივ არც დიდებულებს სურთ აზნაურის ცოლყოფილის გადედოფლება. ამ მომენტში მეფე სახელმწიფო მართვა-გამგეობას თითქმის სრულიად ჩამომორდება, უნებისყოფობასა და უბრინციბობას იჩენს. ლუხუმი-სადმი ასეთი უსამართლობის გამო სამეფო კარზე და ხალხში უკმაყოფილება, აჯანყდა ფხოვი და ერთიანად მთითღეთი. ლუხუმს საპყრობილედან ათავისუფლებენ, ისიც მძლავრ რაზმს შეკ-

რავს და სამეფოს წინააღმდეგ ენერგიულად მოქმედებს. ერთი სიტყვით, სახელმწიფოში სრული ანარქია სუფევს. ბოლოს მიგრიაულის რაზმსა და აჯანყებულ ფზოვს სისხლში ახრჩობენ. ასე უპირისპირდება ერთმანეთს ლაშა მეფე და ხალხი.

ეტყობა, ავტორმა იფიქრა, რომ ნაწარმოების ამ ტონალობაში დამთავრება არ შეიძლებოდა და მისთვის იმედიანი ფინალი მიუცია. ლილეს დაღუპვისა და გამოვლოვების შემდეგ მეფე გონს მოეგება, მამა-პაპის სარწმუნოების ერთგული ხდება და კვლავ საქართველოს ლაშქრის სათავეში დგება მონღოლთა წინააღმდეგ ამხედრებული.

გიორგი ლაშაზე მსჯელობისას აუცილებელია გვახსოვდეს ისტორიული წყაროების ცნობილი და სანდო მონაცემები. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე გვეუბნება, იგი იყო: „ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მწყურარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა“ („ქართლის ცხოვრება“, I, 1955, გვ. 370). ჟამთააღმწერელს დაცული აქვს დიდებულითა მიერ გიორგი მეფისადმი მიმართული შემდეგი სიტყვები: „დიდი ნუტევიმინისცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გიორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი“. ლაშას აუგად მახსენებელი თვით ჟამთააღმწერელი იძულებულია აღიაროს: „რამეთუ იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ და არავისთვის მოზურხნე, მლოცველ, მმარხველ, და განმკითხველ და მოწყალე“. ან კიდევ, აი რას ამბობს დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი: „პირადად ლაშა-გიორგი გულადი და კარგი მეომარი იყო... მეფემ თავისი დიდებული დედის თამარის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების დაცვა და ყმადნაფიცთა ურჩობის ყოველგვარი ცდის ალაგმვა შესძლო... დედისაგან ლაშა-გიორგის გულკეთილობა და გულწრფელობა ჰქონია დამკვიდრებული“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მესამე, 1949, გვ. 21, 22). დაბოლოს, რომანის ავტორიც ხომ ლა-

შას „კეთილშობილსა და ბოროტებისაგან შორს მდგარს“ უწოდებს, რასაც არაერთი მაგალითით გვიჩვენებენ მწიგნობრომანშიც („დიდი ღამე“), ზვარაზმელებისა და მონღოლთა კირთების ქამს, სხვადასხვა პერსონაჟის პირით არაერთხელაა გამოთქმული გიორგი ლაშას მეფობის ნატვრა.

ვფიქრობთ, ავტორმა კიდევ ერთხელ გულდინჯად უნდა გადახედოს რომანს, დათმოს, რაც დასათმობია, გაათავისუფლოს ხელოვნურად შექმნილი სიტუაციებისაგან. ხომ კარგად წაადგა ნაწარმოებს იმ ზოგიერთი ადგილის ამოღება, რაც მის პირველ ვარიანტში გვხვდებოდა! გვჯერა, სრულიად საქმარისი და კონფლიქტის თვალსაზრისითაც საინტერესო იქნება იმ სამიჯნურო თავგადასავლის გავრცობა და მხატვრული ფანტაზიით გაშლა-განვითარება, რასაც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს ველისციხელთან დაკავშირებით. ამით მეფეს მოეზსნება ბოროტი და ვერაფერი პიროვნების თვისებები, რაც მას ნაწარმოებში უნებლიეთ მიეწერა და რაც სამშობლოსა და შთამომავლობის წინაშე მისთვის გამოუსწორებელ დანაშაულად დარჩება. ჟამთააღმწერელი, კიდევაც რომ მართალი იყოს, ლაშას ხასიათის მხოლოდ ცალკეულ სუსტ მხარეებზე მიუთითებს და მათი ასეთი გაზვიადება და განზოგადება არ შეიძლება.

ვანსახილველი ნაწარმოები, საერთოდ, მეტად საგულისხმო და შეუხელებელი ინტერესით საკითხავი წიგნია. მასში მხატვრული ოსტატობითაა წარმოსახული იმ დროის მრავალი მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოვლენა, ხელშესახებადაა გაცოცხლებული ბევრი ისტორიული პიროვნება, მათ გვერდით ისახება აგრეთვე რეალურად უცნობი, ავტორის მიერ შეთხზული მოვლენები და პერსონაჟები, რომლებიც ორგანულად ექსოვებიან რომანში განვითარებულ მოქმედებას.

„ლაშარელა“ მაღალმხატვრული ნაწარმოებია. მასში გვხვდება ზოგიერთი ისეთი მძლავრი პოეტური პასაჟი, რომე-

ლიც ყოველ ისტორიულ რომანს დაამშვენებდა: მაგალითად, პირველივე თავი, რომელშიც ლაშარის ხატობა ცხოველი და მრავალფეროვანი საღებავებითაა დახატული და სადაც ყოველ გმირსა თუ პერსონაჟს თავთავისი კუთვნილი ადგილი აქვს მიჩნეული. ასევე მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს დრამატული სცენა, როცა გამარჯვების მახარობლად დაბრუნებული ლუხუმი მეფის გვერდით სადედოფლოდ მორთულ საკუთარ ცოლს იხილავს.

„ლაშარელას“ სათანადო შეფასებისასათვის მართო ისიც კმარა, რომ მასში მხატვრული სახეების მეშვეობით აღდგენილია თამარის მომდევნო ხანის საქართველოს ისტორიული ვითარება, ლაშარის სამეფო კარი, მისი მეთაურობით ბრძოლა ქვეყნის ძლიერებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

უფრო რთული ამოცანის წინაშე დადგა გ. აბაშიძე, როცა მხატვრული ასახვის საგნად რუსუდანის მეფობის ადრეული ხანა აირჩია და „დიდი ღამის“ წერას შეუდგა. ეს პერიოდი ჩვენი ისტორიისა ერთ-ერთი, ყველაზე უფრო მძიმეა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რომანის ცენტრში, როგორც მოსალოდნელი იყო, მეფე კი არა, ხალხი და მისი ღირსეული წარმომადგენლები დგანან. ესენი განასახიერებენ საქართველოს, რომელსაც თავს დაატყდა დიდი უბედურება — მრისხანე ხვარაზმელი სულთანის ჯალალედინის და მონღოლთა ულმობელი თარეში. სწორედ ხალხის თავგანწირული ბრძოლის, მისი ბედუკულმართი ცხოვრების ჩვენებაა ამ რომანის მთავარი მხატვრული დანიშნულება.

ისტორიის შემოქმედი ხალხი, მისი სახელოვანი შვილები, მიწისმოქმედნი, მეომრები, მატერიალური და სულიერი კულტურის შემქმნელნი პოეტური მიგნებით არიან გაცოცხლებულნი, ხორც-შესხმულნი და სულწაღმგმულნი, ისინი ცხოვრების ორომტრიალში თავთავიანუ საპატიო საქმეს ასრულებენ. ბევრი მათგანი მხატვრული განზოგავების თვისებებითაა აღჭურვილი. გოჩი მუხასძე,

მაგალითად, შემკრებლობითი სწავლებელი ხუროთმოძღვრებისა, რომელთაც აშენდა ჩვენი დიდებული ტაძრები, სასახლეები და ციხე-კოშკები. ასევე, დემეტრე და ვაჩე მხატვრები ამ შესანიშნავ ქმნილებათა გამამშვენებლებსა და ბრწყინვალე ფრესკების შთაგონებულ ავტორებს ასახიერებენ. მამუკა ოქრომჭედელი ოპიზართა განსაცვიფრებელი ისტატობის სახელოვანი გამგორძელებელია. პავლია წინამძღვრის (კუტის) სპეტაკ სახეში შევიცნობთ ჩვენი წარსულის ჩუმ, უბრეტუნზიო მოღვაწეს, რომელიც ღამეებს თეთრად ათენებს და დიდი რუღუნებით ადგენს ქვეყნის ისტორიას, რათა შთამომავლობას არ დაუკარგოს თანამედროვეთა სახელოვანი საქმეების, ერის მძიმე, მაგრამ გმირული ცხოვრების ამბავი. პავლია ქართლის ცხოვრების შემსტიანეთა ტიპური სახეა. ახლა თურმან თორელი! ეს არის პოეტური ცეცხლით შთაგონებული და მშვენიერებით გაბრუებული ვაჟკაცი, რომელსაც კალამი და ხმალი ერთნაირად უჭირს. ყველა ესენი ავტორის მიერ წარსულის შემოქმედებითი ხილვით შექმნილი სახეებია.

„დიდი ღამეში“ ცხოვრილი ისტორიული პირებიც მოქმედებენ. „ლაშარელას“ პერსონაჟებიდან აქ გადმოდიან რუსუდანი, ივანე ათაბაგი, შალვა და ივანე ახალციხელები და სხვანი.

„დიდი ღამის“ გმირების მთავარი საზრუნავი სამშობლოს დაცვა, მის მომავალ ბედ-იღბალზე ფიქრია. ისინი ამა პრაქტიკულადაც ასრულებენ და მსჯელობაშიც ამქავენებენ. უაღრესად საინტერესოა პავლია წინამძღვრისა და თურმან თორელის საუბარი:

„— მაშ დაღუპულა საქართველო, თუ აღარც მეფე ჰყავს მზრუნველი და აღარც ერის მთავარი, — ამბობს ხვარაზმელთა ტყვეობიდან ექვსი წლის მერე დაბრუნებული თურმანი, — იმის მაგიერად, რომ დაგვეცვა და შეგვენახა საქართველოს ძლიერება, ქვეყანა დავამხეთ და დავაუძლურეთ?

— მერე გვაპატიებს, ღვანა, შთამომავ-

ლოზა? ვინ იცის, იქნებ სამუდამოდ საწყევად ვუტოვებთ ჩვენს სახელს შვილთა და შვილიშვილთ.

— ძლივს გამობრწყინდა საქართველოს სახელი და ჩვენნივე უგულურებით დავაბუნებთ. ზალხი ამბობს, ცისკარი ერთხელ იხსნებაო და, ვაითუ, ჩვენს მიერვე დახშული ცისკარი კვლავ არასოდეს აღარ გაიღოს საქართველოსათვის.

— მაშინ ჩვენს სახელს უკუნითი უკუნიისამედ წყევლით მოიხსენიებს შთამომავლობა.

— ახლა მთელ დედამიწის ზურგზე ისეთი ძალები ამობრავდნენ, ისე დიდი გრივალუბი დაიძრნენ, რომ ჩვენისთანა ერს ძალთა დიდი მოკრება და გონიერება მართებს, რათა თავი შეინახოს და გადაირჩინოს.

როგორც ვხედავთ, ამ საგულისხმო დიალოგში არა მარტო პავლიას, თურმანისა და მათი თანამედროვეების აზრია გამოთქმული, არამედ იგრძნობა შორეული თაობების გულისტკივილი და მღელვარე ფიქრი სამშობლოს მომავალზე, იმაზე, თუ როგორ შეაფასებს მათს ღვაწლს შთამომავლობა.

„დიდი ღამე“ სიუჟეტებისა და მოვლენების სიუხვით ხასიათდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს სიუჟეტური ხაზები ზოგ შემთხვევაში გაიოლებული და ადვილად მისახვედრი გზით მიემართება. მაშასადამე, საკმარისი არაა მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება. საჭიროა ეს დაკავშირება მოთულოდნელი და რთული მხატვრული ექსპრესიის გზით წარიმართოს.

„დიდი ღამე“ შეუხვედრელი გულისხურობით იკითხება თხრობის ავტორისეული მაღალი ოსტატობის მეოხებით. მარტო ზალხის შრომისა და ბრძოლის ასახვა, დამპყრობთაგან გავერანებულნი ქვეყნის გულსაკლავი სურათების ჩვენება სავსებით ამართლებს ნაწარმოების შემეცნებითსა და მხატვრულ დანიშნულებას. თუ საჭირო იქნებოდა რომანის მაღალმხატვრული ადგილების დასახელება, მივუთითებდით, მაგალითად, გარნისის ბატალიონზე, ავრეთვე დაჭრილი ვა-

ჩეს მიერ ჯალალედინისათვის დამიხსნე-
ბული ისრის ტყორცნაზე, რომელიც მრ-
სისხლე დამპყრობელს ასცდა. ^{ზურგის უკუნი}
ლურ მონღოლთაგან პავლია წინამძღვე-
რის ცოცხლად დაწვის შემადრწუნებე-
ლი სურათი, სადაც პავლიას უდიდესი
სულიერი სიმხნევე და მოწამეობრივი
მოთმინება ვლინდება, მკითხველზე დი-
დი ძალით მოქმედებს და ღრმა შთაბეჭ-
დილებას ტოვებს. ბევრის მოქმელია ნა-
წარმოების ფინალი. თურმანის ვაჟის —
შალვას გამოჩენა თავისი რაზმით, ქარ-
თული დროშით სიმბოლურად გულისხ-
მობს ბოროტების დათრგუნვას, დამპ-
ყრობთა განადგურებას და საქართვე-
ლოს თავისუფალ, ბედნიერ მომავალს.

უთუოდ ბევრად უფრო ძნელი იყო ავტორისათვის დამპყრობელთა მხარის მხატვრული ჩვენება. აქ საჭირო იყო სრულიად უცხო სამყაროს, უცხო ხასიათებისა და სახეების წარმოსახვა. უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი ჯალალედინის მოხეტიალე ბრბოების სისხლიანი თარეშის ამბავს. აღსანიშნავია, რომ ისტორიაში გულმხეცობითა და გაბედულებით ცნობილი ხვარაზმელი სულტანი რომანის ფურცლებზე თითქმის მთელი სისრულით, თავისი ხასიათის მთელი შეუბრალებლობით ისახება. ჯალალედინი ორგანულადაა ჩართული ნაწარმოების საერთო ქარგაში, მასთან ბევრი ამბავი, ბევრი ფაბულური ხაზია დაკავშირებული და, ამდენად, იგი ერთერთ მთავარ პერსონაჟად გვევლინება. შედარებით უფრო ნაჩქარევადაა მოცემული მონღოლთა ბატონობის მძიმე პერიოდი. ავტორს, ეტყობა, სდომებია ერთ ნაწარმოებში, ერთბაშად წარმოესახა საქართველოს ისტორიის ეს ორი სრულიად სხვადასხვა და უადრესი ძნელბედობის ეპოქა. ამიტომაც, რომ მონღოლთა სასტიკი თარეშის ამბები ასე ეპიზოდურად და ეყრანისებური სიჩქარით ვითარდება ვფიქრობთ, გამართლებული იქნებოდა რომანის შეწყვეტა ჯალალედინის წასვლისა და ზალხის ღიროვებითი ამოსუნთქვის მომენტში. მონღოლთა უმოწყალო ბატონობა საქართვე-

ლოში იმდენად ხანგრძლივი და მძიმეა, იმდენ უჩვეულო მოვლენასთანაა დაკავშირებული (მარტო კონტა-გორის შეთქმულება რად ღირს?), რომ ერთი დიდი მხატვრული ნაწარმოების შექმნა მასზე აუცილებელიცაა. ჩვენი ჩრევა და სურვილია, ეს საპატიო ამოცანა თავს იდოს გრიგოლ აბაშიძემ და ბოლომდე მიიყვანოს მე-13 საუკუნის საქართველოს ძირითადი მოვლენების შემოქმედებითი აღქმისა და მხატვრული წარმოსახვის საქმე. მით უმეტეს, რომ შესაფერისი გამოცდილება მას უკვე მოეპოვება, მასალა შესწავლილი აქვს და კალამიც გააფუთული. შედეგად მივიღებდით დიდ პოეტურ ტრილოგიას, რომლისთვისაც სრულიად თავისუფლად შეგვეძლო დაგვერქმია „მეცამეტე საუკუნის საქართველოს მხატვრული მატთანე“.

გ. აბაშიძის ბელეტრისტული შრომა მარტოოდენ ისტორიული ჟანრით არ შემოიფარგლება. მას გამოქვეყნებული აქვს თანამედროვე თემატიკის ამსახველი ორი მოთხრობა: „ქვევრში“ და „ცხოვრება წინ არი“.

„ქვევრში“ ნამდვილად ქართული ნაწარმოებია. მოთხრობას საფუძვლად უდევს ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ კვამარითად ცხოვრებისეული ფილოსოფია: აღამიანი იბადება, შრომობს, იღწვის, ივლის სხვადასხვა გზაზე და ბოლოს ისევ თავის ბუდეს უბრუნდება, სადაც ასრულებს კიდევაც სიცოცხლეს. ამ თვალსაზრისის განვითარებას ემსახურება მოთხრობის ემირის, ელიზბარის სახე.

ელიზბარი ორი ეპოქის მიჯნაზე მდგარი აღამიანია. უფრო სწორად, იგი რევოლუციამდე მოღვაწე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც თავისი პატიოსანი შრომა ჩვენს დროშიც განაგრძო. ელიზბარის საქმიანობას, მის პირად-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ქართველი კაცის წმინდა მოქალაქეობრივი სინდის-ნამუსი, ხალხისადმი ერთგული და სასარგებლო საქმიანობა განსაზღვრავს. სხვადასხვა ხელობას მოეკიდა ელიზბარი, მას თითქოს ყველაფერი კარგად გამოსდითოდა, მაგრამ ბოლოს მის არსებაში ახალ-

გაზრდობიდანვე დაბუდებულმა ხელოვნების სიყვარულმა სძლია და მოღვაწეობის ასპარეზად მსახიობის ქვეყანა აირჩია. თავისი ნიჭიერებითა და მომსმყოფარეობით მალე ხალხის უსაყვარლესი მსახიობის სახელი მოიხვეჭა; პირად ცხოვრებაში განცდილი მძიმე ტრავმის (ვაჟიშვილი დაეღუპა) მიუხედავად, იგი თავის საყვარელ თეატრს არ ჩამოშორდა.

ვაკაცური ბუნებითა და არტისტული ხელოვნების ზოგიერთი ნიშნით იგი დიდი აქტიორის ლადო მესხიშვილის მხატვრულ ორეულად გვესახება. მესხიშვილი ელიზბარის პროტოტიპი არ არის, მაგრამ თავისი პერსონაჟის სახის გამოკვეთის დროს ავტორს, უეჭველია, სახელოვანი შემოქმედის მიმზიდველი იერიც შთააგონებდა.

ორიგინალურადაა მოფიქრებული ნაწარმოების ლოკალური გარემო. მთელი ამბავი ქვევრში იწყება და ქვევრში მთავრდება. უზარმაზარ, მიწაში ღრმად წასულ სამოციკოკიან ქვევრს რეცხავს ელიზბარი: „სამოცი წლისა ელიზბარი. საოცარი დამთხვევაა: სამოცი კოკა ჩადის ამ ქვევრში და სამოციანს ეძახიან“. ქვევრის რეცხვის დროს გაირბენს ელიზბარის წარმოუდგენაში მთელი მისი თავდადასავალი. იქ, მიწაში ღრმად ჩასული, ქვეყნისაგან თითქოს წუთით მოშორებული, ფიქრობს იგი თავისი ცხოვრებისა და, საერთოდ, სიცოცხლის რთულ საკითხებზე. ქვევრის რეცხვა და საწნახელში დგომა უყვარდა ახალგაზრდობიდანვე ელიზბარს ყველაზე მეტად და ახლაც, მიუხედავად მრავალი ხეწვნისა, არავის ანდო ეს საქმე. თითქოს ბედისწერამ ჩაიყვანა იგი ღრმა ქვევრში, მშობლიური მიწის წიაღში, რომ იქ დაემთავრებინა თავისი სიცოცხლე. ფიზიკურ შრომას გადაჩვეულ ელიზბარს გულმა უმტყუნა: „ნუთუ კვდება?! ამის ვაფიქრებამ შეეკრთო, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, წამით ვამოფხიზლდა, დაიძაბა. რამდენჯერ უნატრია შვილის დაღუპვის შემდეგ სიკვდილი, და ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა სიყვ-

დილი მისი ნატვრის შესასრულებლად მოსულა, უცებ გაიღვიძა მის არსებაში სიცოცხლის სურვილმა: გარეთ მზესა და უნაპირო ლაყვარდი, როველი და სიხარული, გარეთ ბავშვები ბურთს თამაშობენ და რა იქნება, რომ მანაც უყუროს კიდევ ცოტა ხანს, თუნდაც ერთ-ორ წელიწადს, ცხოვრების ამ სიხარულს“.

აი აქ იხსნება ნაწარმოების კვანძი. აქ მკლავდებმა სისრულით ვმირის ფსიქოლოგიური სამყარო, მისი შეხედულება ცხოვრებაზე, მისი სიცოცხლისმოყვარეობა. ყოველივე ამაში ვლინდება მოთხრობის ფილოსოფიურ-იდეური შინაარსი, რაც ზემოთ აღვნიშნეთ და რაც ავტორს დამაჯერებლად, ორიგინალური მხატვრული საშუალებებით აქვს წარმოსახული.

„ცხოვრება წინ არი“ ჩვენი თანამედროვეობის მეტად საჭირობოროტო საკითხის ასახვას ეძღვნება.

სახელმძოვნილი ჰიდროენერგეტიკოსი, პატიოსანი და საქმის ერთგული მუშაკი, შესანიშნავი ვაჟაკი — არჩილ ვაშაძე ცილისწამების მსხვერპლი გახდა. მას სამშობლოს ღალატი და ხალხის მტრობა დააბრალეს და თავის ახლადშექმნილ საყვარელ ოჯახს მოსწყვიტეს. მაგრამ დასახლებული ნაწარმოების ძირითად სიუჟეტურ ხაზს ეს ამბავი კი არა, მისგან გამომდინარე დრამატული სიტუაციები შეადგენს.

მოთხრობის ცენტრში დგას ქართველი ქალი ყუყუნა, არჩილის მეუღლე, რომელიც სულით არ ეცემა, გაჭირვების მიუხედავად, ოჯახს, ვაჟიშვილს ვაჟაკურად უფლის, ქალურ პატიოსნებას შეუბღალავად ინახავს და თანაც დაკარგული ქმრის საბოლოოდ და გამოსახსნელად დაუხარებლად ირჩება. მთელი ამ მოზრდილი მოთხრობის მხატვრული სიმართლის წარმატებაც იმაშია, რომ აქ ცოცხლად და რელიეფურად, ქალის ფსიქოლოგიური სამყაროს ჭეკოვანი ცოდნით. თანმიმდევრულად განვითარებულია ყუყუნას სახე-ხასიათი, ნაჩვენებია მისი ცხოვრების გზა, უდარდელი ქალიშვი-

ლობიდან დაწყებული, უღარეს დრამატულ პერიპეტეიებამდე მისიული.

მთელი თავისი შემოქმედებით მსხვერპლბობა, როგორც პროზაიკოსისა, მუქი ფერებით უწვად დატვირთული პალიტრა, ავტორს მოუშარჯვებია იმ ეპიზოდების ხატვის დროს, როცა ყუყუნა გაიგებს მეუღლის ადგილ-სამყოფელს, რის ვაი-ვაგლახით შორეულ ალტაის მხარეში ჩააღწევს (ნუ დაგვაფიქვდება, ეს უკვე ომის დროა) და ოცნებაში ისევ ვაჟაკად წარმოადგენილი მეუღლის ნაცვლად ფიზიკურად და სულიერად გამოფიტული, მიხრწნილი და დავრდომილი არჩილი დახვდება. აქეთობას მგზავრობის დროს მატარებელში არჩილი გარდაიცვლება. და აი წარმოიდგინეთ კუბეში მიცვალბულთან მარტო დარჩენილი ქალის უმწვავესი განცდები და ფიქრები, ტრაგიზმამდე ასული მისი სულიერი მდგომარეობა. ამ მომენტებში მკლავდება ყუყუნას ძლიერი ქალური ბუნება, მისი ხასიათის სიმტკიცე. იმის ნათელსაყოფად, თუ რას გაუძლო ყუყუნამ და როგორ ხატავს მწერალი ამ მომენტებს, გავიხსენოთ მოთხრობის ზოგიერთი ადგილი:

„ყველაფერი გათავებულნი იყო. აღარავითარი შველა აღარ შეიძლებოდა.

უცებ შეაჟრჟოლა, აკანკალდა და თითქოს გონს მოვიდა.

ტრემლი ლაპალუბით წამოჰყარა და თმაში ხელბეწვავლებულმა განწირულად ამოიძახა:

— მი-ი-შვე-ე-ლე-ეთ!..

თავისივე ყვირილმა გამოარკვია.

არავინ გაიგონსო, შემინდა და უმაღლე ხმა გაკმინდა... კვილი რომ გაიგონ და შემოვიდნენ, მკვდარს მატარებლით აღარ წააყვანინებინ. პირველსავე სადგურზე ჩამოსცამენ და მერე ან მკვდარ ქმარს რა უნდა მოუხერხოს, ან ცოცხალ თავს?“

შემდეგ: „აი, აგერ, ორი მგზავრობა, ერთი ცოცხალია და თითქოს მის გატანჯულ მოგზაურობას აზრი და მიზანი აქვს; მეორე მკვდარია და მატარებლით ქროლვას მისთვის აღარავითარი აზრი

აღარ აქვს. მას აღარც მიზანი გააჩნია.

მაგრამ ყუყუნას კი გააჩნია მიზანი? როგორ არა! ბავშვის აღზრდა, ოჯახისათვის ზრუნვა...“

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები ამგვარ ტრაგიკულ თემას აძახავს და მძიმე ტონებში ვითარდება, მისი მხატვრული დანიშნულება არა სიკვდილისა და გაწირულების გარდუვალობის ქადაგება, არამედ, პირიქით, სიძნელეთა გადალახვის მოწოდება, ადამიანის საბოლოო გამარჯვებისა და ცხოვრების წინსვლის აზრის დამკვიდრება. ეს ძირითადი იდეა მოთხრობისა სავსებით მკაფიოდ იგრძნობა სხვადასხვა სიტუაციებში და პერსონაჟთა გამონათქვამებში. „მატარებელი მიდის, ცხოვრება გრძელდება“, რეფრენივით გამოყენებულ ამგვარ ფრაზებშიც ეს აზრი უნდა ამოვიკითხოთ; ხოლო ნაწარმოების ფინალი ამ იმედიანი ფიქრის დადასტურებაა: არჩილის ნეშტი კრასნოვოდსკის მიწას მიაბარეს. ყუყუნა თავგამეტებული გლოვობს, მეუღლის სამარეს აღარ შორდება. „— გეყოფა... ახალგაზრდა ქალი ხარ... შვილი გყავს... ცხოვრება წინა გაქვს...“ ანუ გეშვებს ყუყუნას იმ მძიმე წუთებში მისი ერთადერთი მეგობარი, მატარებლის გამყოლი კეთილი რუსი ქალი ვარვარა.

„შვილი გყავს... ცხოვრება წინა გაქვს...“, — ჩაეჭვდა ეს სიტყვები გონებაში; თითქოს მხნეობა მოუბრუნდა, გაავებულმა მიმოიხედა და ფეხზე წამოდგა“.

დაბოლოს, მოთხრობის სათაურიც ხომ ამას გვეუბნება.

* * *

განსახილველი დაგვრჩა გრიგოლ აბაშიძის ორი დრამატული ნაწარმოები: პიესა „მოგზაურობა სამ დროში“ და დრამატული პოემა „დედა“ („ციხის ლეგენდა“). დასახელებული ნაწარმოებების როგორც იდეური ჩანაფიქრი, ისე მხატვრული ხორცშესხმის ფორმა გვიკარნახებს, რომ ისინი სიმბოლური დრამის ყანარს მივაკუთვნოთ, რამდენადაც მათში

დაშვებულია მრავალი პირობითობა. გარდა ამისა, მოქმედ პირებზე განწყობილია უსახო და განყენებულ ცხოვრებათუ წარმოდგენები, მაგალითად, სასოწარკვეთა, ნიავი და სხვ.

„მოგზაურობა სამ დროში“ შედგება სამი მოქმედებისაგან, სადაც თითოეული მათგანი ცალ—ცალკე სამ დროს განასახიერებს—აწმყოს, წარსულს და მომავალს. ამ სამ დროში ცხოვრობს და მოგზაურობს თანამედროვე მხატვარი გურამი, რომელიც აწმყოს უქმსაყოფილოა, რადგანაც ჰგონია, რომ მისი შემოქმედება თანამედროვეთ არ ესმით და არ აფასებენ. პიესის ძირითადი აზრი ნათელია — დამატკიცოს ჩვენი დროის, აწმყოს უპირატესობა წარსულთან. შორეულ მომავალში კი გურამი უცხო, გაუგებარი და გასაკუთრებელი მეცნიერული დაკვირვების საგანი აღმოჩნდება. ხუთი საუკუნის შემდეგდროინდელ ცხოვრებაში იგი იგრძნობს თავისი დროის, თავისი ეპოქის იმირულ რომანტიკასა და აღმშენებლობითს პათოსს და გულწრფელად ნაწილობს მის დატოვებას. იგი მიხვდება, რომ მომავლის ამ დიდ გამარჯვებებს სწორედ მის დროში ეყრებოდა საფუძველი. გრიგოლ აბაშიძე თავისი უმთავრესი შემოქმედებითი ინტერესის ერთგული რჩება დრამატულ პოემამდეც „ციხის ლეგენდა“.

პიესა, მართალია, ისტორიულ წარსულს წარმოსახავს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მასში შთამომავლობას ეთმობა სიტყვა, რომელიც თავის თანაგრძნობასა და პირუთვნელ აზრს გამოხატავს ვიბრ წინაპართა მიმართ. მეტად საგულისხმოა და კიდევ ერთხელ ნათელყოფს ავტორის შემოქმედებით თვალსაზრისის წარსულისა და აწმყოს ორგანულად დაკავშირების აუცილებლობის თაობაზე. მწერალი თანამედროვეობის პოზიციებიდან აფასებს ძველი თაობების ცხოვრებისა და ბრძოლის აზრს.

ნაწარმოები გულწრფელ ხარკს უხდის თბილისის პირველმშენებელთა და დამცველთა პატრიოტულ თავდადებას. აქ თემაც შედარებით უფრო ახალია და მი-

სი წარმოსახვის ფორმაც მეტად თავისებურნი, საინტერესო. თვით დრამატული პოემის უნარი და მოქმედების განვითარებაში სიმბოლური ხერხებისა და საშუალებების უხვად გამოყენება, რისთვისაც ავტორს შეგნებულად მიუმართავს, ამისი თქმის შესაძლებლობას თავისუფლად იძლევა.

დრამის ძირითადი სიუჟეტური ხაზი, ისევე, როგორც ყველა მისი შენაჯიდი და მხატვრულ სახეთა ნაირფეროვნება, თავს იყრის ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის გარშემო: ესაა საქართველოს ახალი სატახტო ქალაქის მშენებლობისა და მტრის შემოტევისაგან მისი თავდასწორული დაცვის ამბავი. ხალხი, მისი სახელოვანი შვილები, სიმბოლური მხატვრული სახეები (ნიავე არწივი), ერთი სიტყვით, ყველაფერი ამ ცენტრალური მომენტის გარშემოა კონცენტრირებული. ყოველივე ამის ნათელი გამოსატყულება კი ნაწარმოებში არის ქართველი დედა — ხალხის დაულავი შრომისა და მამაცური ბრძოლის სიმბოლური სახე.

აი ახლა უკვე შესაძლებლობა გვეძლევა გამოვყოთ და დავადგინოთ გ. აბაშიძის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მიმზიდველი თემი: ქართველი დედის, საერთოდ, ქართველი ქალის მხატვრული პრობლემა, მისი ჭეშმარიტად ემირული ღვაწლი ჩვენი ისტორიის მთელ მანძილზე. ჩვენ უპირატესად ვგულისხმობთ იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც ქალის სახე წარმართავს თემატურ-მხატვრულ შინაარსს, ნაჩვენებია მისი სულიერი სიწმინდე და ხასიათის სიმტკიცე ყველაზე უფრო რთულსა და მძიმე ვითარებაში. ასეთ ნაწარმოებებად, პირველყოფლისა, მიგვაჩნია: „ზარზმის ზმანება“, „ცხოვრება წინ არი“ და დრამატული პოემა „ციხის ლეგენდა“, თორემ ქართველ ქალთა საინტერესო სახეები სხვა თხზულებებშიც ბევრი ჰყავს ავტორს გამოყვანილი.

„ციხის ლეგენდა“ ისეთ ამბავს მოგვითხრობს, სადაც ქართველ დედას მოქმედების მსვლელობაში გადამწყვეტი და

ტრაგიკული როლი აქვს დათმობილი. სამშობლოს თავისუფლებას მისი ქამრი შვილი შეეწირა. კენტად დარჩენილი სამაგალითო ვაჟიშვილის, ხუროთმოძღვარ დაჩის გეგმითა და ხელმძღვანელობით ხალხი თბილისის უმტკიცეს, მიუღვრემელ ციხე-სიმაგრეს აშენებს, რომელიც მტრის აღყვანილი მოექცევა. ციხის მცველთა უმრავლესობა ბრძოლაში ეცემა. დარჩენილ მეთმართა რაზმს აბჯარასხმული დედა მეთაურობს. დაჩის გაუფრთხილებული ნაბიჯის შედეგად მტერი საიდუმლო ზურვოს მიაგნებს და ციხე გარდაუვალი დაცემის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. სრულიად უნებლიე შეცდომის ჩამდენი ხუროთმოძღვარი ხალხს გამცემაში ჰგონია და მას ქვევით ჩაჰქოლავს. დაჩის უღმობელ ჩაქოლვაში დედაც მონაწილეობს. ამ მომენტში ინასკვება დრამატიზმის ჯაჭვი და კოლიზია უმალლეს საფეხურზე აღის. აქ არ შეიძლება არ გავგანსხვავდეს ხევისბერის ვაჟი ონისე. ისიც ხომ უნებლიე შეცდომის მსხვერპლი გახდა და მამამ თავისი ხელით მოკლა. ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ გოჩამ იცის, ვისაც ჰქოლავს, დედა კი მხოლოდ ბოლოს ვაიგებს ჩაქოლილის ვინაობას. მაგრამ ეს ტრაგიზმის სიმძაფრეს არ ანელებს. როგორც ონისე, ისე დაჩი, რასაკვირველია, არ იყვნენ ხალხის მოლატეები.

„ციხის ლეგენდა“ ძნელად დასადგმელი პიესაა. მისი სიმბოლური ხასიათის, მოქმედ პირთა თუ წარმოდგენათა უჩვეულო კონტრასტის, თავისებური პროლოგისა და ეპილოგის სცენურ ნიღაბში ფარდასახვა მეტად ძნელ, ორიგინალურ რეჟისორულ შრომასა და მიდგომას მოითხოვს. საჭიროა თეატრებში კიდევ ერთხელ სცადონ მისი სხვაგვარი მხატვრული ინტერპრეტაცია და თავისებური გასცენიურება. მაყურებელი კმაყოფილი დარჩება თუ სცენაზე იხილავს თბილისის პირველ მოქალაქეთა პატრიოტულ თავდადებას, ქართველი დედის უკვდავ და შთამავარსებელ სახეს; რომლის ბაგითაც ჩვენი გმირული ისტორია მეტყველებს.



გრიგოლ აბაშიძე თავისი შემოქმედებითი მრწამსით და მსოფლშეგარებით უაღრესად თანამედროვე, უპირველესად ჩვენი თანადროული ცხოვრების გულმსუტრვალე მომღერალია. რომ აღარაფერი ვთქვათ დღევანდელიაზიისადმი მიძღვნილ მის ნაწერებზე, ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებშიც იგი თანამედროვეობის თვალსაზრისით ხელმძღვანელობს და ჩვენი დროისათვის აქტუალურ პრობლემებს ამუშავებს. მას, როგორც მხატვარს, წარსულში უმთავრესად ის დინამიზმნილოვანი სახალხო მოვლენები და სახელოვან წინაპართა სახეები იზიდავს, რომლებიც თავიანთი შინაარსითა და ხასიათით ან რომელიმე კუთხით უკავშირდებიან ჩვენს გმირულ ეპოქას. ამიტომაც, როცა გ. აბაშიძის ისტორიულ თემაზე აგებულ ნაწარმოებს ვკითხულობთ, გვეუფლება ისეთი შეგრძნება, თითქოს თანამედროვე ადამიანი შესულიყოს შორეულ სინამდვილეში, იზიარებდეს მის ძნელბედობას, სიხარულს თუ ოცნებას და ეს ყოველივე მზარუნველი ხელით ვადმოჰქონდეს ჩვენი დროის სინათლეში, შთამომავლობის დასახნად და გასაგებად.

გ. აბაშიძის შემოქმედების მთელ ში-

ნაარსს განსაზღვრავს თანამედროვეობის უაღრესად მასხვილი, ორგანული მხედობა, წარსულის, აწმყოსა და მომავლის სწორ ისტორიულ პერსპექტივაში მხატვრული აღქმა და განჭვრეტა. ყოველივე ეს კი განათებულია საბჭოთა პატრიოტიზმით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით:

თვითონ არ ვიცი, ასე რად ხდება,
სადაც კი ვნახე ლამაზ მთა-გორებს,
სადაც ლამაზი მთა-ბარი მხედება,
ჩემს საქართველოს რატომ მაგონებს.

მისი ხატება, როგორც ლამპარი,
მინათებს გზას და თან დაეატარებ,
თუ სადმე მხედება ტურფა მთა-ბარი,
ჩემი სამშობლოს მთა-ბარს ვაღარებ.

და მე არც მინდა სხვა ნეტარება,
თუნდ დავიარო მთელი სამყარო,
ალბათ ვერ ეპოვებ სხვა შედარებას,
მხარე ლამაზი რომ შევადარო!

გრიგოლ აბაშიძე თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო და ტონის მიმცემი ოსტატია. მან ეს საპატიო სახელი დაიმსახურა თავისი ერთობ თვითმყოფადი და ნაპდვილი მხატვრული ოსტატობით აღბეჭდილი შემოქმედებით.





შალვა ხილაქაძე

მხოლოდ რაქონივე შენიშვნა

შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის საიუბილეო თარიღმა გააცხოველა საზოგადოებრიობის ინტერესი და გაამახვილა მეცნიერული ყურადღება „ვეფხისტყაოსნისა“ და მასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი. იუბილე, როგორც ცნობილია, ფართო მასშტაბით ჩატარდება. მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცევა ქართული კულტურის უდიდესი წარმომადგენელი, გენიალური პოეტი და მოაზროვნე.

საიუბილეო მზადებამ წამოჭრა საკითხები, რომელთა მნიშვნელობა თავისთავად ცხადია.

საკმარისია დაისვას კითხვა კვლევის დღევანდელი დონისა და შედეგების განმსაზღვრელ მიზეზებზე და ნათელი გახდება, რომ ეს შედეგები მიღებულია პრობლემათა ისეთი გაღრმავებითა და მათი გადაწყვეტის საფუძვლების ისეთი გაფართოებით, რაც მეცნიერების მხოლოდ სპეციალიზაციის ნიადაგზე შეიძლებოდა. სპეციალიზაცია შედეგია რუსთველოლოგიის ხანგრძლივი და თანდათანობითი განვითარებისა. რუსთველოლოგია დღეს აერთიანებს მრავალ და ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ მეცნიერულ დისციპლინას. რა თქმა უნდა, მათ აქვთ საერთო საფუძველი (ეს საფუძველი რუსთაველი და მისი შემოქმედებაა) და მსგავსებაც, მაგრამ თითოეულ მათგანს

გააჩნია კვლევის განსაზღვრული საგანი და განსხვავებული მეთოდი. სხვადასხვაა, მაგალითად, რუსთაველის ენის თუ მხატვრული მეტყველების საკითხები და მისი მსოფლმხედველობრივი, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი.

კვლევა-ძიების დღევანდელ პირობებში რუსთაველს იმდენი მეცნიერება სწავლობს, რამდენი ასპექტიცა აქვს მის პოემას (ცხადია, გარდა წმინდა ბიოგრაფიული ფაქტებისა). თითოეული ეს მეცნიერება შეისწავლის საკითხთა იმ კომპლექსს, რაც რუსთაველის შემოქმედების მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს. ამავე დროს ყოველი ამ მეცნიერების წარმომადგენელი არა მარტო უნდა ამოვიდეს რუსთაველის შემოქმედებიდან, როგორც შესწავლის ობიექტიდან, არამედ შეიარაღებული უნდა იყოს გარკვეული მეცნიერული ცოდნით და ამ მეცნიერებაში შემუშავებული კატეგორიებით (ზოგადი საყრდენი ცნებებით). რუსთაველის შემსწავლელი ვერც ერთი მეცნიერება ვერ შემოიფარგლება მხოლოდ რუსთაველით და მისი პოემით. ასეთი შემოფარგლა არა მარტო ეწინააღმდეგება საერთოდ მეცნიერული ძიების ლოგიკას და მეტყველებს კვლევის პრიმიტიულ დონეზე, იგი შეუფერებელია რუსთველოლოგიისათვის.

ცნობილია, რომ რუსთაველის შემოქმედების კარდინალურ თავისებურებას ჰუმანიზმი წარმოადგენს. რუსთაველი, პირველყოფლისა, საყოველთაოადა აღიარებული ერთ-ერთ უდიდეს და უპირველეს ჰუმანისტად მსოფლიოში. ამით უსწორდება ქართველი პოეტი მსოფლიო კულტურის კორიფეებს და ამით შეიტანა საქართველოში — ინგლისელი მკვლევარის ბოურას სიტყვით რომ ვთქვათ — „უნიკალური წვლილი“ მსოფლიო კულტურაში.

ცნობილია ისიც, რომ ჰუმანიზმი მხოლოდ რუსთაველის დამახასიათებელ თავისებურებას არ წარმოადგენს, და თვით ჰუმანიზმის ცნება, შემუშავებული მსოფლიო ჰუმანიზმის ფაქტების საფუძველზე, ეკუთვნის მსოფლიო მეცნიერებას და გამოიყენება რუსთაველოლოგიაში, როგორც მეცნიერული შემეცნების კატეგორია. ამდენად, რუსთაველის კვლევის დროს წამოიჭრება რუსთაველოლოგიის ფარგლებს იქით გასვლისა და თვით ამ საყრდენი ცნების შინაარსის სწორი დადგენის აუცილებლობა, მაგრამ ჰუმანიზმის ცნების შინაარსისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრა დამოკიდებულია არა მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე, არამედ სხვადასხვა მკვლევარისა და სკოლის მეთოდოლოგიურ თვალსაზრისზე. მაგალითად, დასავლეთში ცნობილი ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, რენესანსი და ჰუმანიზმი უკან გადადგმული ნაბიჯია შუა საუკუნეებთან შედარებით; ჰუმანიზმმა, ამ შეხედულების მიხედვით, დაანგრია კაცობრიობის ისტორიის იდეალური ეპოქა და „კაცობრიობის საუკეთესო ხანა“ მიიყვანა მეფეთა აბსოლუტიზმამდე, ხოლო თვით მეფეები — ემფოტამდე (ფრ. შლეგელი). დღევანდელ დასავლეთში საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ ჰუმანიზმის ეპოქა იმდენად შუა საუკუნეების უარყოფა არაა, რამდენადაც მისი ბუნებრივი გაგრძელება და აპოთეოზი (ფ. ბერენსი, ყ. შვეალიე). არის შემთხვევები, როდესაც ჰუმანიზმი საერთოდ დაყვანილია ჰუმანიზმობისა და კაცთმოყვარეობის მარტივ წარმოდგენაზე;

კერძოდ, რუსთაველის ჰუმანიზმი გაცილებულია არა როგორც მისი პოემის ერთ-ერთი შინაარსი, არამედ, როგორც მთლიანად პირადი თვისების გამოხატულება...

ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ჰუმანიზმის გაგებას პრინციპული, მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება. და ცხადია, სხენებული შეხედულებანი რუსთაველის კვლევისა და სწორი შეფასებისათვის არ გამოდგება. რუსთაველის ჰუმანიზმის გაგების პირველი აუცილებელი პირობა თვით ჰუმანიზმის სწორი განსაზღვრაა, რომლის მიხედვითაც ჰუმანიზმი შუა საუკუნეების იდეოლოგიის პირველ სერიოზულ რღვევას და ახალი დროის პირველ და ადრინდელ გამოხატულებას წარმოადგენდა (თავისთავად იგულისხმება, რომ ჰუმანიზმის ისტორიული მნიშვნელობის მასშტაბები სხვადასხვა იყო კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით). პროგრესული მნიშვნელობა ჰუმანიზმისა მისი შუა საუკუნეების აზროვნებასთან მსგავსებით კი არაა განსაზღვრული, არამედ იმიზე, რითაც ის შუა საუკუნეების აზროვნებისაგან განსხვავდება და რითაც მას უპირისპირდება.

აღნიშნულ გარემოებას ჩვენთვის ამჯერად სხვა მნიშვნელობა აქვს: რუსთაველის შესწავლა აუცილებელი გახდა მსოფლიო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, ხოლო თვით რუსთაველის შემოქმედება მსოფლიო კულტურის ისტორიის საკუთრებად გადაიქცა.

ანალოგიური მდგომარეობაა რუსთაველის ჰუმანიზმის ფილოსოფიური საფუძვლების, მისი ფილოსოფიური შეხედულებების კვლევისას. იმისდა მიუხედავად, ფილოსოფიური მოძღვრების რა იდეებს დავინახავთ „ვეფხისტყაოსანში“ და რომელი ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლად მივიჩნევთ რუსთაველს — ნეოპლატონიზმის, პანთეიზმის თუ სხვა — ერთი ცხადია: რუსთაველოლოგია ამ საკითხების გადაწყვეტას ვერ შეძლებს მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიის შემსწავლელი მეცნიერების გარეშე. რუსთაველის ფილოსოფიური მსოფ-

ღმებედველობის საკითხის გარკვევა შეუძლებელია მხოლოდ რუსთაველის პოემის საფუძველზე, ფილოსოფიის ისტორიაში დადგენილი იმ ცნებების შინაარსის სწორი განსაზღვრის გარეშე, რომლებიც ნეოპლატონიზმსა და პანთეიზმს, მათ ისტორიულ მნიშვნელობას ეხება.

მეტნაკლებად ასეთივე მდგომარეობაა რუსთაველის შემოქმედების სხვა მხარეების, სხვა საკითხთა კომპლექსების შესწავლის დროსაც. რუსთველოლოგიას ყველგან და ყოველთვის უხდება ცალკეულ მეცნიერებათა მონაცემებისთვის ანგარიშის გაწევა და ხშირად, გარკვეულ პირობათა გამო, ამ მეცნიერებათა აქტიური მონაწილეა.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ რუსთველოლოგია კარგავს თავის მნიშვნელობას და იჩრდილება საერთო საფუძველი, რომელიც სხვადასხვა მეცნიერებას აერთიანებს. ყოველივე, რაც ითქვა, მხოლოდ პირობაა, საშუალებაა და არა პირდაპირი მიზანი რუსთველოლოგიისათვის. ჰუმანიზმის ცნების სწორი დადგენა აუცილებელია და საჭირო, რომ რუსთაველის ჰუმანიზმის საკითხები გადაწყდეს; ნეოპლატონიზმისა და პანთეიზმის სწორი გაგება აუცილებელია რუსთაველის ნეოპლატონიზმისა თუ პანთეიზმის გასარკვევად და ა. შ.

ამ მხრივ რუსთველოლოგიის წინაშე დგება მეორე ამოცანა, — განსაზღვრული რუსთაველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, ს პ ე ც ი ფ ი კ ი თ, რუსთაველისთვის დამახასიათებელი იმ კონკრეტული თავისებურებებით, რომლებშიც ვლინდება მისი ჰუმანიზმი, ფილოსოფიური შეხედულებანი თუ მისი შემოქმედების სხვა მხარეები და ღირებულებანი. რამდენადაც რუსთაველის შემოქმედება მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს სფეროს ეკუთვნის, ამდენად რუსთაველის შესწავლა მოითხოვს პოემის იდეური შინაარსის, მხატვრული ხორცშესხმის თავისებურებათა გარკვევას, პოემის ესთეტიკური ღირებულების (რაც „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ მთავარ ღირსებას შეადგენს) შესწავლას. რამდენადაც მისი

შემოქმედება ძირითადად ქართული კულტურული გარემოთია ნასაზრდოები და ქართულ კულტურაზეა აღმოცენებული, ამდენად პოემის შესწავლა გულისხმობს შუა საუკუნეების ამ კულტურული და სააზროვნო გარემოს საფუძვლიან შესწავლას და, განსაკუთრებით, მის განზოგადებულ გააზრებას რუსთაველის შემოქმედების ძირითადი პრობლემების თვალსაზრისით. რუსთაველის აზროვნება ლოგიკურ და ისტორიულ მიმართებაში იმყოფება გარკვეულ განწყობილებებთან, შეხედულებებთან, იდეებთან. ეს იდეები თანდათან ვითარდება ქართული კულტურის ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე და მხოლოდ გარკვეულ პირობებში (საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და იდეოლოგიური მდგომარეობა რუსთაველის დროს) მწიფდება ნიადაგი იმისათვის, რომ ქართული საზოგადოებრივი აზროვნება რუსთაველის ჰუმანიზმში გადაიზარდოს. ეს გარემოება ბუნებრივად მოითხოვს მისი წყაროების ძიებას. ეს ძიება მეტნაკლები ინტენსიურობით მიმდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ რთული და მრავალფეროვანი პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ჩვენ არ ვისახავთ მიზნად სრული პასუხი გავცეთ კითხვას — რა მდგომარეობაშია დღეს რუსთველოლოგია და რა ამოცანების წინაშე დგას იგი? სირთულე გამოწვეულია თვით „ვეფხისტყაოსნით“, იგი მრავალ ასპექტს შეიცავს და პრობლემატიკის არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა: რუსთაველის ჰუმანიზმი და მისი გამოვლენა სხვადასხვა კერძო შემთხვევაში; რუსთაველის ფილოსოფიური და რელიგიური მსოფლმხედველობა; სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი; პოემის მხატვრული კომპოზიცია და პოეტური მეტყველების თავისებურებანი: პოეტური სახეები, რითმა, რიტმი; პოემის დამოკიდებულება ხალხურ პოეზიასთან და მისი ხალხურობის პრობლემა; რუსთაველის დამოკიდებულება ქართულ კულტურასთან და სხვ.

რუსთაველის შემოქმედება შეიძლება

შევადართო ზღვას, სადაც მთელი ქართული კულტურული შემოქმედების მდინარეებანი იყრიან თავს. მეცნიერებისათვის ის, პირველყოვლისა, პრობლემათა ზღვაა, რომელსაც ხანგრძლივი და რთული კვლევა-ძიება სჭირდება და რომელმაც ბუნებრივად მიიყვანა რუსთველოლოგია მეცნიერული შრომის განაწილებამდე. მეცნიერული შრომის განაწილება დღეს რუსთველოლოგიაში მხოლოდ ფაქტი როდია, ეს მოთხოვნილებაა და მეცნიერების წინსვლის აუცილებელი პირობა.

მნიშვნელოვანი შედეგების მიუხედავად, რუსთველოლოგიაში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. მრავალ დებულებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პრობლემის დაყენების თვალსაზრისით.

დებულებათა ნაწილი მხოლოდ განვლილი ეტაპის გამოხატულებათა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში განაგრძობს არსებობას. არის დებულებები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, თავიდანვე იყო მოკლებული საფუძველს და სხვ. დებულებათა ასეთი მრავალფეროვნება გასაკებია, თუ გავითვალისწინებთ ამ მეცნიერების სპეციფიკას და მხედველობაში მივიღებთ საერთოდ ჭეშმარიტების ძიებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

მაგრამ პრაქტიკულად დებულებათა ასეთი მრავალფეროვნება მაშინ იღებს განსაკუთრებულ ხასიათს და რთულდება, როდესაც ჩვენს წინაშე კონკრეტულად დგება ამ რთულ ვითარებაში გარკვევის ამოცანა. დგება საკითხი რუსთველოლოგიის პრობლემების და მათ შესახებ არსებული მრავალგვარი და ხშირად ერთიმეორის გამომრიცხავი შეხედულებების მეცნიერული შეფასებისა. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე რუსთაველის მთელ შემოქმედებას ეხება და მეცნიერული შეფასების საგანი მთელი რუსთველოლოგიის შედეგებია, შეუძლებელია მეცნიერების სახელით მისი ერთი ან ორი წარმომადგენელი გამოდიოდეს.

ერთ-ერთი ამოცანა, რაც დღის წესრიგში დგას და რუსთველოლოგიის ახლან-

დელი ვითარების გათვალისწინებას საჭიროებს (ამავე დროს იგი გამოადგება ელი ამოცანა), მდგომარეობს ისეთი ნაშრომის შექმნაში, რომელმაც უნდა მისცეს ქართველ, რუს და უცხოელ მკითხველს მაქსიმალურად სწორი, დახვეწილი, სრული, ყოველმხრივი და მეცნიერულად დასაბუთებული წარმოდგენა რუსთაველზე. ამ ამოცანის შესრულება, ცხადია, არ არის დამოკიდებული მხოლოდ რომელიმე ავტორის კეთილ სურვილებზე.

ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მთელი რუსთველოლოგიის შეჯამებას, ხანგრძლივი, დეტალური ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების სინთეზს, და, ამავე დროს, უნდა იღვეს თანამედროვე მეცნიერების დონეზე. ეს მოითხოვს იმდენად საფუძვლიან მეცნიერულ ორიენტაციას რუსთველოლოგიის მრავალრიცხოვან და მრავალგვაროვან საკითხებში, რომ აქ არც ცალკეული ავტორის მეცნიერული ერთეული იქნება საკმარისი. გარკვევით შეიძლება ითქვას: ავტორი იძულებული იქნება „შეიჭრას“ ისეთი საკითხების სფეროში, რაც სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს და სულ სხვა დარგის კვლევის საგანს წარმოადგენს. სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი ასეთი „შეჭრის“, მეტი რომ არ ვთქვათ, არასასურველი შედეგები.

ერთადერთ შესაძლებელ და რეალურ საშუალებად ისეთი ნაშრომის შესაქმნელად, რომელიც ობტიმალურად უბასუხებს მის მიზანსა და დანიშნულებას, ჩნება, ჩვენი აზრით, ავტორთა კოლექტივი და თითოეულს ამ ავტორთა შორის დაევალება იმ საკითხების გაშუქება, რომლებიც მისი კვლევის საგანს შეადგენს. მხოლოდ მეცნიერთა ასეთი თანამშრომლობით შეიძლება ამოცანის გადაჭრა. ესაა სიმწიფეების დაძლევისა და ნაშრომის მოსალოდნელ ნაკლოვანებათა თავიდან აცილების ერთადერთი რეალური გზა.



რუსთაველის წინა ეპოქის პოეტური კლტურა

ქართული კაცის შემოქმედებითი უნარი, მისი მხატვრული აზროვნების სიღრმე და სიტყვის დიდოსტატობა მთელი სისრულით „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლინდა. „ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო რუსთაველის გენიალობის აშკარა გამოვლენაა, არამედ მდიდარი ლიტერატურული ტრადიციის დადასტურებაც.

რუსთაველის წინა ეპოქის თხზულებები დღესაც გვნიბლავენ თავიანთი მხატვრული სრულყოფით. იაკობ ცურტაველის შესანიშნავი მოთხრობა ქართული მწერლობის განვითარების თავისებურ საფუძველს ქმნის. ამ უძველეს ქართულ თხზულებას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებს მდიდარი მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები. იაკობისათვის საესებით უცხოა ენის ორნამენტულობა, კაზმულობა; ის ზვიადობა და ხელოვნურობა, რაც ასე დამახასიათებელია, საერთოდ, აგიოგრაფიისათვის.

ცურტაველის თხზულებას ახასიათებს ფრაზის უკიდურესი შეკრულობა; ცურტაველი ისწრაფვის უბრალო, გაუვრცობელი წინადადებებისაკენ. ამასთანავე, მის თხზულებაში მკვეთრად შეიმჩნევა თითოეული სიტყვის „ხვედრითი

წონა“. სხვა აგიოგრაფთა გრძელი, რთულად აგებული პერიოდებისაგან განსხვავებით, ცურტაველის ფრაზა მუდამ დინამიურია, უბრალო, ზუსტი და აზრის ამომწურავად გადმომცემი. ფრაზის უაღრესი სიმოკლე და მოკვეთილობა, ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციები, აღწერის სიზუსტე, სიტყვიერი ფერების ერთგვარი სიძუნწე კი არ აღარბებს ავტორის გამომსახველობით საშუალებებს; არამედ, პირიქით, მის თხრობას და აღწერას განტვირთავს ხელოვნური გაკვიანურებისა და „წიგნურობისაგან“. თხზულება დაწერილია ძარღვიანი, ხალხური ენით.

იაკობ ცურტაველი დიდი სინატიფითა და ფაქიზი გემოვნებით ქმნის ორიგინალურ და უაღრესად სახიერ მეტაფორათა მთელ სისტემას. მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს შუშანიკის გულწრფელი გოდება ფიზიკური მშვენიერების დაკარგვის გამო. ეს გოდება გამოხატულია მეტად მდიდარი სახეებით, შესანიშნავი მეტაფორული მეტყველებით: „მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უკამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსოთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააქნო, მშვენიერებაჲ

სიკეთისა ჩემისა და დაბნეულა და დიდებაჲ ჩემი დაამდებლა“. ციტირებული ნაწყვეტი შეუდარებელია არა მარტო განცდათა სიღრმითა და სიფაქიზით, არამედ იმიტაც, რომ ეს განცდები უაღრესად ხატოვნად და მრავალფეროვნადაა გადმოცემული. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება არა ფერმკრთალი, ცხოვრების ხალისდაკარგული ასკეტის ლანდი, არამედ სიცოცხლით სავსე, უაღრესად მომხიბვლელი გარეგნობის ახალგაზრდა ქალი, რომელიც დასტირის თავისი ფიზიკური მშვენიერების უღროოდ დაკარგვას.

ცურტაველს შესწევს უნარი ერთი, მაგრამ მეტად ზუსტი მეტაფორით მთელი სურათი დაგვიხატოს. მთელი გვერდის მანძილზე რომ მოეცა ავტორს განრისხებული ვარსკენის დახასიათება, ამაზე თვალნათლივ მაინც ვერ წარმოგვიდგენდა მას: „ვარსკენი იბრდღუენდა მისთვის (შუშანიკისათვის, რ. ბ.)“. ეს უკვე სურათია და საკმაოდ ნათელი სურათიც. ამ ერთი, მოხდენილად შერჩეული ზმნით — „იბრდღუენდა“ დახატულია ვარსკენის გაშმაგებული ბუნება.

ცურტაველი დიდი მომჭირნობითა და უაღრესი სიზუსტით ხმარობს ყოველ სიტყვას, რის გამოც მასთან არ გვხვდება გამეორების, გაზვიადებისა თუ გაჭიანურების არც ერთი შემთხვევა. ავტორი მოხდენილად იყენებს სინონიმებს, რითაც ამდიდრებს და ახალისებს თხრობას.

ვარსკენმა ციხეში მოათავსა შუშანიკი და ვასცა განკარგულება „რაათა სიყმილითა მოკლან იგი“. აქცენტი მოდის „სიყმილზე“. ეს ტანჯვის ფორმა გამოგონილია ვარსკენის მიერ. ავტორი ამ ფაქტის გაკვრით აღნიშნით არ კმაყოფილდება, მასზე კვლავ აჩერებს მკითხველის ყურადღებას, ისევ შეგვახსენებს შუშანიკის მძიმე მდგომარეობას, მაგრამ ამჯერად იმავე ცნებას სხვა სინონიმური სიტყვით აღნიშნავს: „რამეთუ შიმშილითა უფროისხლო მოკლუდების“. ამ კონტექსტშიც რომ კვლავ „სიყმილი“ ეხმარა, სურათი გაფერმკრთალდებოდა,

ფრაზა დამძიმდებოდა და სტილი სტილურად გაღარიბდებოდა, ამიტომ იგი შეცვალა ადეკვატური, მაგრამ ახლგაზრდად მკლერი სიტყვით და ამით თხრობა გაამდიდრა.

ცურტაველისეული შედარებები გამოირჩევა სიმკვეთრითა და ემოციურობით; ავტორს უნდა ხაზი გაუსვას ცხოვრების წარმავლობას და ორიგინალურ შედარებას იშველიებს: „ესე ყოველი ცხოვრებაჲ, ვითარცა ყუაგილი ველთაჲ წარმავალ არს“. აქ თუმც მახვილი ცხოვრების წარმავლობაზეა, მაგრამ უყურადღებოდ არაა დატოვებული ცხოვრების მშვენიერება, მრავალფეროვნება და მიმზიდველობა. ასე რომ ავტორმა კარგად მიგნებული შედარების საშუალებით ერთდროულად მოვლენის სხვადასხვა მხარეს გაუსვა ხაზი.

იაკობ ცურტაველი თავის ხელოვნებას ბეგრწერაშიაც ამჟღავნებს; შუშანიკთან ვარსკენის მიერ მიგზავნილ სპარსს ავტორი ასე გვაცნობს: „ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსკენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას... ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვით იგი ზრახვამ მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“. ალიტერაცია აქ მარტო კეთილხმოვანების მიზნით არაა. მას გარკვეული შემეცნებითი ფუნქცია აქვს. ეგრძოდ, „ზ“ ზგერის ასე ხშირი და გაბმული გამეორება „ზაკვის“ მუდმივ ანაკიაცისა ქმნის. ამით ხაზს უსვამს ვარსკენის განზრახვასა და „სპარსის“ მიზანდასახულობას.

ასევე დიდოსტატურად აქვს შექმნილი მუსიკალურად მკლერი ფრაზა დევით გარეჯელის „ცხოვრების“ ავტორს: „კლდისაგან ზრქელისა წყარო უწყაროა“. იგი ქართული ენის ელასტიური ბუნების საფუძვლიანი ცოდნით თხზავს საინტერესო ფორმას „უწყაროა“, რომელიც ამავე დროს წინა სიტყვასთან კავშირში ალიტერაციულ ქდერადობას ქმნის. ალიტერაციის შესანიშნავი ნიმუშია აგრეთვე „რაჲსა იტყვ ტყუეობასა ტყუეთა მქსნელო“. ალიტერაციასთან ერთად თხრობას მუსიკალობას მატებს ძირეული პარონომასიის არა იშვიათა

გამოყენება: „დიდიბა ტირილითა ვტი-
როდეთ“, „თხოვასა ერთსა ითხოვდეს“,
ხოლო აბოს შესახებ ვკითხულობთ:
„უცხოჲ უცხოთა შჯულითა მოვიდა“.
რამე არსებითი მოვლენის ხაზგასმის
მიზნით ავტორი ერთსა და იმავე ზმნას
ან ზედსართავს ორჯერ, ნიუანსური სხვა-
ობითა და ფორმით ხმარობს. ძირეული
ზმნის სხვადასხვანაირი გადმოცემით
მწერალი მკითხველის ყურადღებას ამა-
ხვილებს სწორედ იმ მნიშვნელოვან ფა-
ქტზე, რისი ხაზგასმაც მიზანშეწონილად
მიაჩნია. პარონომაზიის გამოყენებამ გა-
ნსაკუთრებულ სრულყოფას მიაღწია
რუსთაველთან, გავიხსენოთ თუნდაც მი-
სი შესანიშნავი თქმა: „დარი არ დარობს
დარულად“. როგორც ვხედავთ, ერთი
ფუძიდან რუსთაველი აწარმოებს ზმნას,
სახელსა და ზედსართავს. ამ მხრივ რუს-
თაველის წინამორბედად ცურტაველთან
ერთად გიორგი მცირეს თუ მივიჩნევთ,
რომელიც პარონომაზიის ზომიერი და
დროული გამოყენებით დიდ მხატვრულ
ეფექტს აღწევს. სანიშნოდ დავასახე-
ლებთ რამდენიმეს: „ს ი ხ ა რ უ ლ ი მ ო -
ხ ა რ უ ლ თ ა თ ა ნ ა მოგუჭვით ჩუენ.
ტი რ ი ლ ი მ ტ ი რ ა ლ თ ა თ ა ნ ა მომიზ-
ღეთ ჩუენ“ ანდა „გ ა ნ ი ზ რ ა ხ ა გ ა ნ -
ზ რ ა ხ უ ა“, „უ მ დ ი ნ ა რ ე ს ნ ი მ დ ი -
ნ ა რ ე ნ ი“.

ხოლო ქართველ ჰიმნოგრაფთა მიერ
შექმნილი ალიტერაციული პარონომა-
ზიები რუსთაველური სტრიქონების ბუ-
ნებრივ ასოციაციას იწვევს.

პროფ. გ. იმედაშვილის მართებული
დაკვირვებით, ავთანდილის ლოცვის შე-
სიტყვება: „უცნაურო და უთქმელთ,
უფალო უფლებათაო“ გვაგონებს იოანე
მტბეფარისა და მიქელ მოდრეკილის სა-
გალობელთა სტრიქონებს:

რამეთუ მფლობელი ცათაჲ,
შემოქმედი ზღვათაჲ...
უფალი უფლებათაჲ, მთავარი
ზეცისა მთავრობათაჲ...
უფალი უფლებათაჲ და მთავარი
მთავრობათაჲ.

აღნიშნული სახე იმდენად დამკვიდრე-
ბულერ ყოფილა ჩვენს მწერლობაში, რომ

მას პროზაულ ძეგლებშიც ვხვდებით.
„ინინოს ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:
„ინება რა მეუფემან მეუფეთაჲსაჲდა
უფალმან უფლებათა მან“. მიქელ მოდ-
რეკილის ტაეპი: „და უძლურითა სძლე
მძლავრსა ძალითა ძლიერო“, ასევე მინ-
ჩხის „არამედ აღდგა უძლეველი ძალითა
და დასცა ძლევეთ ძალნი“ ერთგვარი ბი-
ძგის მიმცემი იქნებოდა რუსთაველისთ-
ვის, როდესაც ის ქმნიდა უაღრესად პო-
ეტურ სტრიქონებს „მძლეთა მებრძოლ-
თა მძლეობას“. მეცნიერთაგან მიგნებუ-
ლია რუსთაველის მხატვრული სახეების
არა ერთი და ორი პარალელი ადრეულ
ქართულ მწერლობაში. ასე მაგალითად,
რუსთაველის შესანიშნავი მეტაფორა:
„აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს
ბროლისა ცვარითა“, თავისებური გად-
მუშავებაა ქართული საგალობლების შე-
მდეგი სახისა: „ღრუბელნი სამყაროთანი
აცურევენ ცუარსა საღმრთოსა“.

ასეთი რთული და ამავე დროს მიმზი-
დველი მეტაფორული მეტყველება უც-
ხო არ არის ქართველ ავთოგრაფთათვი-
საც. გიორგი მერჩულე გლოვის სიღრმი-
სა და სიმძაფრის გადმოსაცემად ქმნის
შესანიშნავ მეტაფორას: „იქმნა ღელე
გლოვის მტერთა მათ უხილავთა და ხი-
ლულთა“. ამ შთამბეჭდავი სახით მკით-
ხველი გრძნობს, რომ მტერთა ცრემლთა
დენას საზღვარი არა აქვს, ის ადიდებ-
ულ ღელედ მოედინება. სახეში უსაზღ-
ვრობასთან ერთად ის ნიუანსიცაა გათ-
ვალისწინებული, რომ გლოვასა და მწუ-
ხარებაში ისევე შთაინთქმება მათი ბო-
როტება, როგორც მოხეტიალი და ადი-
დებული ღელე წალგავს ყოველივეს,
რაც კი გზად შეხვდება; მხოლოდ გლო-
ვის მასშტაბი რომ ჰქონოდა მხედველო-
ბაში, საკმარისი იყო ეთქვა: „ზღვა გლო-
ვისა“. მაგრამ ეს სახე ტრაფარეტულია,
არადინამიურია, ხოლო „ღელე გლოვი-
სა“ ერთდროულად მასშტაბურიცაა, ბი-
რქელში და ექსპრესიული. ყოველივე ამ-
ის გამო მკაფიოდ გამოხატავს საერთო
განწყობილებასა და სიტუაციას, რისი
გადმოცემაც სურს ავტორს.

გარსქენი მეტაფორათა მოშველიე-

ბით სახიერად გადმოგვიცემს თავის შეუ-
რაცხყოფილ მდგომარეობას: „შენ ჩემი
ხატი დაამკე, და საგებელსა ჩემსა ნაცა-
რი გარდაასხ“, — მიმართავს იგი მეუღ-
ლეს.

ქართველი ავიოგრაფები სურათს აც-
ოცხლებენ და განსაკუთრებულ სიმკვე-
თრეს ანიჭებენ მოხდენილი შედარებე-
ბით. საზეიმოდ, ფერად სამოსში გამოწ-
ყობილი და მთაზე შეკრებილი ხალხი
ყვავილებით მოფენილ მდელოდ აქვს ავ-
ტორს წარმოდგენილი: „აღივსნეს მთანი
იგი დროშაბოთა და ერთთა, ვითარცა ყუ-
ავილითა“.

ხოლო საქართველოში შემოჭრილი
მტერი, გაბოროტებით რომ თარეშობს
მშვიდობიან მცხოვრებთა შორის, რეა-
ლისტურად აქვს დახატული ექვთიმე ათ-
ონელს: „რამეთუ მტერი ჩუენი, ვითარ-
ცა ლომი მყურალი, მიმოვალს და ეძი-
ებს, რათამცა შთანთქა ვინმე ჩუენგანი“,
ხოლო მათი სიშმაგე და უსულგულობა
საგანგებოდ აქვს ხაზგასმული: „ხოლო
გულნი მათნი (სარკინოზთა) განფიცხე-
ბულ იყვნეს ვითარცა რვალნი და დაყე-
ნებულ ვითარცა სამყარო“.

რუსთაველის წინაპერიოდის ქართულ
მწერლობაში ხშირად ვხვდებით შედა-
რებათა მთელ სისტემას, როდესაც რაი-
მეს ნათელსაყოფად შესადარებლად იღ-
ებენ რამდენიმე საგანსა თუ მოვლენას
და მათი თანდათან ჩამოთვლით გამოკვე-
თენ შესადარებელ თვისებებს, რითაც
აძლიერებენ შთაბეჭდილებას. ექვთიმეს
მოღვაწეობის დასახასიათებლად გიორგი
მთაწმინდელი ქმნის შედარებათა რთულ
ჯაჭვს: „ვითარცა ხელოვანმა მენავეთ
მოძღუარმან, რომელსა მრავალნი უფს-
კრულნი განვეღინ და მრავალთა ღელვა-
თა ბრძოლა ეცის და ნავთ საყუდელისა
მიმართ მხიარული შესულად განემზა-
დის, გინა ვითარცა მხედარი ძღვევა შე-
მოსილი, რომელსა იგი ურიცხვნი სარ-
კინოზნი მოუსვრიან და მრავალნი ბრძო-
ლანი და ძღვევანი ექმნიან და ყოველსა-
ვე შინა გამარჯვებულნი მივალნ მეფისა
თჳსისა, ანუ თუ ვაჭარსა, რომელსა მცი-
რითა რამე საფასითა ურიცხვ სიმდიდრე

შეეკრიბის და საუნჯესა მიმართ თჳსის
მხიარული მისწრაფინ, გინათუ მუშავე
ორნატ სავსე ნაყოფთა ზედა თჳსთა მხს-
არულ არნ, ეგრეთვე წმიდა ესე... ამათ
ყოველთავე ზემო წერილითა მიემსგავ-
სა“. ექვთიმეს ნაყოფიერი მუშაობის ნა-
თელსაყოფად ავტორი იყენებს გამოც-
დილი მენავეთმოძღვრის, გულადი მხედ-
რის, მოვზაური დიდვაჭრისა და ნაყოფი-
ერი მშრომელის სახეებს და მათი მრავ-
ალფეროვანი და შედეგიანი საქმიანო-
ბის წარმოდგენით გვისურათებს ექვთი-
მეს მოღვაწეობას. კომპოზიციურად ასე-
თივე გაშლილი შედარებათა სისტემ-
აქვს რუსთაველს გამოყენებული, როდე-
საც აშბობს:

ვითა ცხენსა შარა გრძელი
და გამოცდის დიდი რბევა,
მობურთალსა — მოედანი,
მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მეღეჭესა —
ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა.

ავიოგრაფთა მხატვრული ოსტატობა
გამოვლინდა აგრეთვე ბუნების სურათე-
ბის აღწერაში. შესანიშნავად გვიხატავს
იაკობ ცურტაველი ჰერეთის პეიზაჟს. ეს
სურათი ყველასათვის ცნობილია, ამი-
ტომ ამჯერად ყურადღებას გავამახვი-
ლებთ „ნინოს ცხოვრებაში“ წარმოსა-
ხულ ბუნების სურათზე. წარმართულ კე-
რბთა მსხვრევას თავისებურ ფონს უქმ-
ნის ბუნების სტიქიური ძვრა: „აჲა ესერ
ცაა ქუხდა და ქუეყანაჲ იძვროდა, მთა-
ნი ჰკრთებოდეს, ბორცუნი იმღერდეს,
ზღუაჲ დგა, წყალნი აღმართ დიოდეს“.
ბუნების ეს გრანდიოზული სურათი: ცი-
სა და მიწის, წყლისა და ჰაერის თავისე-
ბური ამბოხი და სახეცვლა მაუწყებელი
და მიმანიშნებელია რალაც განსაკუთრე-
ბულად მნიშვნელოვანი და დიდი ცვლი-
ლებისა. წარმართული რწმენის ნგრევა,
კერბთა მსხვრევა და ახლის დაბადება
უშუალოდ ბუნების მოვლენებთან არის
დაკავშირებული. ბუნების ეს ტიტანური
სახეცვლა სიმბოლოა სარწმუნოებრივი,
მსოფლმხედველობრივი გარდტეხისა,
შემობრუნებისა. ამასთანავე, ეს დიდი

მსხვრევა და ახლის დაბადება საოცარი ექსპრესიითაა გადმოცემული.

რაოდენ დიდი ცოდნა, ბუნების ფაქიზი გრძნობა და ღრმა პოეტურობაა საჭირო, რომ ორიოდ სტრიქონში წარმოადგინო ასეთი ბუმბერაზული, დიადი სურათი. თითქოს მსოფლმხედველობრივმარეველსუცამ გადატრიალება მოახდინა თვით ბუნებაში: „წყალნი აღმართ დიდდეს“. ავტორი ამით ხაზს უსვამს, რომ ყველაფერი უწინდელის საპირისპიროდ წარმოართა, ყველაფერი არსებითად შეიცვალაო.

აღნიშნულ ძეგლში ბუნების საგნები თუ მოვლენები საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული მხატვრულ სახეებად. ავტორი ბუნებას წარმოსახავს მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და სიდიადით, ბუნების ცალკეული საგნისა და მოვლენის თვისების ნათლად გამოსაკვეთად პოულობს შესაფერ და სახიერ ეპითეტს. ავტორი ხაზს უსვამს ბუნების ყოველმხრივ, მთელი სისრულით შეცნობას: „რამათა სცნა და გულისხმა-ჰყო სიმართლჳ ცისაჲ და სინათლჳ მზისაჲ, სიღრმჳ ზღუჰსაჲ და საძირკუელნი მისნი. სივრცჳ ქუეყნისაჲ და საფუძველნი მისნი“. აქ ადვილად წარმოგვიდგება ბუნების უსასრულობა და ზღვარდაუდებელი სიმდიდრე. გემოვნებით შერჩეული ეპითეტები და მათი საგანგებოდ განლაგება წარმომსახველობასთან ერთად გარკვეულ რიტმულ ჟღერას აძლევენ ფრაზას.

რუსთაველის წინა ეპოქის პოეტური მეტყველება თანამედროვე მკითხველს ხიბლავს არა მარტო მდიდარი მეტაფორებით, დიდი გემოვნებით შექმნილი შედარებებით, მოხდენილი ეპითეტებითა და საერთოდ მიმზიდველი სახეებით, არამედ წინადადებათა თავისებური კონსტრუქციებითაც. რთულ წინადადებაში შემავალი ქვეწყობილი და თანწყობილი წინადადებები ისე ჩახრახნილად, სპირალურადაა ურთიერთგადაჯაჭვული, რომ ერთი მეორისაგან გამომდინარეობს და გრადაციულად ვითარდება. ასეთი კონსტრუქციის შესანიშნავი ნიმუში გვხვდება შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში:

„ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუნესა სათნოებანი და სათნოებასა შინა მეცნიერება და მეცნიერებასა შინა მითხვამა და მარხვასა შინა მოთმინება და მოთმინებასა შინა ღმრთის მსახურება და ღმრთის მსახურებასა შინა მმათ-მოყურება და მმათ-მოყურებასა შინა სიყვარული“. წინადადების ბოლოსა და დასაწყისში ერთი და იმავე სიტყვათა გამეორება უღარესად ამჭიდროვებს წინადადებებს და საგანგებო რიტმულობას ანიჭებს მათ.

საერთოდ, რიტმულობა რუსთაველის წინა ეპოქის პროზის უღარესად ნიშანდობლივი მხარეა. მანვილიან და უმანვილო მარცვალთა უღარესად კანონზომიერი და მოწესრიგებული განლაგება განსაკუთრებულ რიტმულ ჟღერადობას ანიჭებს ფრაზას. ამასთანავე, სიმეტრიულობა და პარალელიზმი, წყვილ-წყვილი თხზვები და განსაკუთრებულად თითოეულ არსებით სახელთან საგანგებოდ შედერი ზედსართავი სახელის შეხამებით თხრობის რიტმულობა იმდენად მკაცრადაა დაცული, რომ პროზაული სტრიქონები პოეზიის მიგნას უახლოვდება, ხოლო სიტყვათა ერთნაირი დაბოლოებანი რითმის თავისებურ ილუზიას ქმნის.

ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბანისძის შემდეგი სტრიქონები:

მუნ შუვა წარმოიხუნიან სიტყუანი
იგი ცხორებისანი,

მუნ სამებისა წმიდისა იგი

სარწმუნოებამა აღორძინდებიან,
მუნ სწავლანი იგი სიტკბოებისანი,
მუნ მოძღურებანი იგი მადლისანი
მამათ მთავართა იგი შუენიერებამა,
წინაწარმეტყუელთა იგი დიდებანი,

მოციქულთა ქადაგებანი,
მოწამეთა მათ მოლუაწებამა,
ქრისტჳსი იგი თავს-დებამა
ჩუენთჳს ვნებამა.

ასევე უღარესად რიტმული დინებით ჩამოთვლის მერჩულე ხანძთელისა და მის მოწაფეთა ღირსებებს:

თქუენ ხართ სიწმიდისა ნაყოფი,
მცენარენი სულნენნი,
ვარდნი შუენიერნი,
ფინიკნი კეთილნი და
ზეთისხილნი ნაყოფსავსენი.

ერთი მხრივ, ანაფორული წყობა და,
მეორე მხრივ, მახვილიან ტერფთა თანა-
ზომიერი განმეორებები თითქმის თეთ-
რი ლექსის შთაბეჭდილებას ახდენენ.

რიტმულობის ჩინებული ნიმუშია პა-
რხალის ხელნაწერში დაცული ერთი ქა-
დაგების ფრაგმენტი:

შენი არს ცაჲ და საძირკუელი მისი,
შენი არს მუჴ და ბრწყინვალეჲაჲ
მისი,

შენი არს მთოვარჴ და ნათელი მისი,
შენი არიან ვარსკვლავნი და
ელვანი მათნი,

შენი არს აერი, რომელი ზრდის
ყოველთა,

შენი არს ქუეყანაჲ და ნაყოფი მისი,
შენი არს ზღვაჲ და რომელი მისგან
შობილ არიან,

შენნი არიან, რომელნი არიან და
რომელნი კუალად მოსლვად არიან.

ეს პოეტური ფრაგმენტი მრავალნაი-
რად ხიბლავს მკითხველს. ჯერ ერთი,
მკაცრად დაცული ანაფორული წყობა
ამახვილებს ყურადღებას გარკვეულ ფა-
ქტზე; ამასთანავე, ყველა არსებით სა-
ხელს თანხლებული გავრცობილი მსაზ-
ღვრელები ზუსტად გამოკვეთენ მათ ნი-
შანდობლივ თვისებას და მუსიკალურო-
ბის თვალსაზრისით ძირითადი ტონის
გაშლას, განვითარებას წარმოადგენენ.
ამ უაღრესად მუსიკალურ ფრაგმენტს
კრავს ეპიურად და მრავალხმიანად მქლე-
რი პოეტური ფრაზა: „შენნი არიან, რო-
მელნი არიან და რომელნი კუალად მოს-
ლვად არიან“.

დაბოლოს, გავიხსენოთ დიდი ქართვე-
ლი მჭევრმეტყველის, იოანე ბოლნელის
მიძღვნა სიყვარულისადმი:

სიყვარულსა არაჲ შურნ, არა

მალლოვინ, არა განლადნის,

არა სარცხვნელ იქმნის, არა ეძიებენ
თავისა თვისასა.

სიყვარული არა სადა დაეარდის;
სიყვარულმან მოყვასსა ბოროტნი
სადა უყვის.

ეს ღრმა ჰუმანური და თავისი უშუა-
ლობით, მომხიბვლელი პოეტურობით
მქლერი სტრიქონები ერთგვარი პრელუ-
დიაა ამ ამამაღლებელი გრძნობის რუს-
თველური ჰიმნისა.

ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში
უფიქრიათ ქართველ მწერლებს ქალის-
მოქალაქეობრივ მდგომარეობასა და ხე-
დრით წონაზე საზოგადოებრივ ცხოვრე-
ბაში.

თუმცა ადრეულ საუკუნეებში არაე-
თარი სოციალური და პოლიტიკური სა-
ფუძველი არ არსებობდა ქალთა ემანსი-
პაციისათვის, მოწინავე მოაზროვნეთა
წინაშე თეორიულად დგება პრობლემა,
ჩნდება საკითხის პრინციპულად დასმის
თავისებური ტენდენცია. ამ თვალსაზრი-
სით მრავლისმეტყველია შუშანიკის მე-
ბრძოლი, ინდივიდუალობით აღსავსე სა-
ხე, რომელიც ცურტაველმა დაგვიხატა.
შუშანიკში ილვიძებს პირადი ღირსების,
პიროვნული თავისუფლებისა და შეუ-
ვლობის გრძნობა. ის ოცნებობს სოცი-
ალურ ურთიერთობაზე, „სადა არა არს
რჩევა მამაკაცისაჲ და დედაკაცისაჲ“. მართალია, შუშანიკს ეს იმ ქვეყნად მი-
აჩნია მისაღწევად, ამ ქვეყნად მისთვის
რეალურ საფუძველს ვერ პოულობს, მა-
გრამ საკითხის პრინციპულად დასმაც
თავისთავად დიდმნიშვნელოვანია.

მეხუთე საუკუნის მწერალი ამჩნევს
ქალში პიროვნების თავისუფლებისათ-
ვის, საკუთარი უფლებისა და შეუვლო-
ბისათვის ბრძოლის ტენდენციას. ქალში
ილვიძებს სურვილი მამაკაცთან თანას-
წორუფლებიანობისა. მართალია, ეს ჯე-
რჯერობით სარწმუნოებრივ ასპექტში
ხდება, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი,
რომ წინარუსთაველური ეპოქის მწერ-
ლობაში თანდათან ამკვიდრებენ აზრს:
„არა არს მამაკაცი და არცა დედაკაცი,
არამედ თქუენ ყოველნი ერთი ხართ“ —
ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, მით
უფრო, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ
მტკიცედაა ფეხგადგმული აზრი: „დედა-

თა ბუნებად იწრო არს“. ამ თითქოსდა საყოველთაო შეხედულების ფონზე მკვეთრად გამოირჩევა და გვხიბლავს თავისი პროგრესულობით შუშანიკის ოცნება და ძიება „სადა არა არს რჩევა მამაკაცისაჲ და დედაკაცისაჲ“. ქალთა უფლების აღიარებისა და გამოვლენის ეს ელემენტები განავითარა და სრულყო რუსთაველმა; ცურტაველის მიერ დასმული მამაკაცთა და ქალთა „საიჭიოზი“ სწორუფლებიანობის საკითხი რუსთაველმა „სააქაოს“ ჩამოიტანა და რეალურ სინამდვილესთან დაკავშირებით შესანიშნავი ფორმულის სახით ჩამოაყალიბა: „ლევკი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

„ძუ ლომის“ სახე, როგორც ქალის ძლიერების, მამაკაცთან მისი ტოლძალოვნების, სწორუფლებიანობის გამოხატვის სიმბოლო ადრეულ მწერლობაშიც გვხვდება. ნინოს ღირსების, მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით აგიოგრაფი ქართველ მოციქულს ძუ ლომს აღარებს: „გხედავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალასა ძუჲსა ლომისასა, რომელი იხაზებნ ყოველსა ზედა ოთხფეხსა“. „ძუ ლომის“ სახის მოშველიებით ავტორი ნათელყოფს, რომ სამსიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული რთული დაბრკოლებების გადალახვა ნინომ იმიტომ შეძლო, რომ სულიერი და გონებრივი ძალების სიმტკიცით მამაკაცით სრულფასოვანი იყო.

„ვეფხისტყაოსანში“ იგრძნობა უშუალო კავშირი ძველ ქართულ მწერლობასთან. აშკარაა, რუსთაველი ზედმიწევნით იცნობდა მდიდარ ეროვნულ მწერლობას და ეს შესანიშნავი ლიტერატურული ტრადიცია თავისი განუმეორებელი ოსტატობის წყალობით დიდებულად განავითარა. რუსთაველის ბრწყინვალე სახე: „ვითა ვერხვი, ქართაგან ირხევის და იკეცების“ ბუნებრივ ასოციაციას ვეჭმნის მისი წინაპრის, სიტყვის დიდოსტატის იოანე საბანისძის მიერ შექმნილი ასევე ემოციური სახისას: „დო ირყვიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

ილარიონის ცხოვრებაში ვკითხულობთ: ილარიონმა „ვითარცა ვეფხვი სურველმან წყაროდ მიმართა წყალსაჲსა, ეგრეთ აღგზნებულმან სურვილთა სადთოჲთა, მეყსეულად მისწრაფა ტაძრად წმიდათა...“ ეს შესანიშნავი სახე ფოლკლორული იერის მქონეა და სახიერად გამოხატავს რაიმეს წვდომის დიდსა და თავშეუქცევებელ სურვილს. ამ სახეში ერთდროულადაა წარმოდგენილი გრძნობის სინაზე, დაბრკოლების გადალახვა დიდი შინაგანი ძალა და დინამიურობა. სწორედ ამის გამო რუსთაველს განსაკუთრებულად უყვარს ეს სახე და არაერთგზის ხმარობს სხვადასხვა კონტექსტში. „გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“ ანდა „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“ . ორივე შემთხვევაში გვხიბლავს გრძნობის სინატიფე და წვდომის ექსპრესულობა. ემოციურობას აძლიერებს ისიც, რომ წყარო მაცოცხლებელი, მაგიური ძალის მქონე სიმბოლოა.

რუსთაველის წინა ეპოქაში შექმნილი მიმზიდველი პოეტური სახე „ვეფხისტყაოსანში“ კიდევ უფრო მეტი სიდიდით გამოვლინდა. მან შეიძინა მეტი პაეროვნება, განცდათა სიღრმე და გამომსახველობითი სიმკვეთრე; რუსთაველმა ამ მომაჯადოებელ სახეს უჩვეულო რეზონანსი მისცა, იგი თანამედროვეობამაც აიტაცა და მეოცე საუკუნის სიტყვის დიდოსტატმა გალაკტიონ ტაბიძემ მის დამატყვევებელ უღერადობაში კიდევ ერთი ახალი და საკმაოდ მდიდარი ნიუანსი შეიტანა: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო აწკარა“.

ადრეულ მწერლობაში შექმნილი პოეტური სახეები თავისებურად შეისისხნობორცა, დახვეწა და სრულყო რუსთაველის პოეტურმა გენიამ. ამასთანავე, ადრეული ქართული მწერლობის ზემოთ მოყვანილი ნიმუშებიც წარმოდგენას იძლევიან იმისა, თუ რაოდენ მაღალ დონეზე იდგა პოეტური კულტურა რუსთაველის წინა ეპოქაში.

პირობი პაპუნი

«ნინო და პეტრე»

რუსთველოლოგიაში ერთ-ერთი მთავარია „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული შედგენილობის, მოცულობის საკითხი. ნაწარმოებმა საუკუნეთა მანძილზე ბევრი ცვლილება განიცადა. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიდან ჩანს, რომ გადამწერთა უმრავლესობა ცდილობდა რაიმე „შეემატებინა“ რუსთაველისათვის. პოემაში შეჰქონდათ ახალი სტროფები, ეპიზოდები და ზოგჯერ ახალი სიუჟეტური ციკლებიც კი. შევსების სურვილი განსაკუთრებით დიდი ყოფილა მე-16-17 საუკუნეებში. მას რომ აღვილი ექნებოდა ადრეც, მე-13-15 საუკუნეებში (თუმცა ნაკლები კადნიერებით), საეჭვო არ არის.

ასეთი ჩამატებებით და დამატებებით პოემა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ნაწარმოების ღირსებას მისი მოცულობა ხომ არ განსაზღვრავს. ამ ინტერპოლატორთა და გამგრძელებელთა თავგამოდებულმა შრომამ მხოლოდ ჩრდილი მიაყენა რუსთაველის სახელს, რადგან კომპოზიციურად, აზრობრივად და მხატვრულად შეკრული ლიტერატურული ძეგლი შეირყვნა მიმბაძველთა სუსტი ლექსებით. ერთ ასეთ მელექსეზე სამართლიანად შენიშნავდა მეფე-პოეტი არჩილი: „ნაწუჩას რუსთველის ნათქვამში

ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აღმღვრევია“.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველმა გამოცემელმა და მკვლევარმა ვახტანგ მეექვსემ სცადა პოემის გაწმენდა ჩანართებისა და დანართებისაგან და მისი მიახლოება პირვანდელ ტექსტთან. აქედან დაწყებული დღემდე გრძელდება მეცნიერული დავა ამ საკითხზე. ცალკეულ მკვლევართა და გამომცემელთა შეხედულებების სხვადასხვაობის გარდა, მხოლოდ სპეციალური კომისიების გადაწყვეტილებებიდანაც ჩანს, ეს დავა და აზრთა განსხვავება რამდენად მნიშვნელოვანი და პრინციპულია: ვახტანგ მეფის სწავლულ კაცთა კომისიამ რუსთაველისეულად ცნო 1587 სტროფი. მწერალთა კომისიის მიერ მომზადებულ გამოცემაში (1886 წ.) შევიდა 1576 სტროფი, ხოლო 1937 წლის საიუბილეო გამოცემა შედგებოდა 1669 სტროფისაგან.

მხატვრული ნაწარმოებისათვის ასეთი ცვლილება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალო არითმეტიკული ანგარიში; აქ საქმე გვაქვს მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ-კომპოზიციური შედგენილობის ცვლილებასთან, პოეტის მხატვრული აზროვნების, მსოფლმხედ-

ველობისა და შემოქმედებითი მეთოდის შეცვლასთან.

ახლა, როცა შესწავლილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობა, გარკვეულია მათი ტექსტოლოგიური მნიშვნელობა და ურთიერთდამოკიდებულება, შესაძლებელია უფრო ზუსტად გადაიჭრას სადავო საკითხთა უმრავლესობა, ხოლო რაც ხელნაწერებით ვერ აიხსნება, უნდა გაიკვეთს შესაბამისი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების, იდეოლოგიის, სამწერლო ტრადიციების, ენისა და თვით პოეტის ფილოსოფიური და მხატვრული თვალსაზრისის გათვალისწინებით.

არა გვეგონია მოითხოვოს ვინმემ, რო. „ვეფხისტყაოსანში“ არ იყოს არც ერთი ძნელად გასაგები ადგილი. მაგრამ ასეთი დიდი მოაზროვნისა და შემოქმედის თხზულებაში არ უნდა იყოს ლოგიკური და ფაქტობრივი წინააღმდეგობები, ერთმანეთის გამომრიცხველი მსოფლმხედველობრივი და ეთიკური დებულებები. იმ ტექსტში კი, რომელიც ამჟამად გვაქვს, ასეთი ადგილები საკმაოდ არის. ასეთი ადგილები არის 1712 წელს გამოცემულ ტექსტშიც, რომელიც მნიშვნელოვნად მოკლეა შემდეგ დაკანონებულ ტექსტთან შედარებით.

მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ ვახტანგის მიერ შედგენილ სწავლულ კაცთა კომისიას ხელთ ჰქონია პოემის ვრცელი ხელნაწერები, რომლებშიც საკმაოდ ყოფილა გვიანდელი ჩანართები და დანართები. სწორედ ამ ხელნაწერებიდან შევიდა ვახტანგისეულ გამოცემაში სტროფები: 191, 193, 222, 339, 655, 968, 1275¹, რომელთა სიყალბე დღეს ეჭვს არ იწვევს.

ეს სტროფები ვერ მოხვედრილა რამდენიმე ადრეულ და შედარებით სანდო ხელნაწერში, რითაც საბოლოოდ და დამაჯერებლად მტკიცდება, რომ ეს მზა-

მზარეული მეტაფორებითა და ჰიპერბოლებით შეზავებული ლექსები რუსთველს არ ეკუთვნის (ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციები, 1963. გვ. 5-8; 52-53).

როცა რომელიმე ხელნაწერს აკლია ესა თუ ის სტროფი, ეს თავისთავად ეჭვქვეშ აყენებს ამ სტროფს, ვინაიდან გადაწერის დროს გამოტოვება თითქმის გამორიცხული იყო, ხოლო დაზიანებულ ადგილებს ვადამწერები სხვა ხელნაწერებიდან ავსებდნენ, არც ის უნდა იყოს სადავო, რომ ყველა ხელნაწერში სტროფის ან ცალკეული გამოთქმის არსებობა არ ნიშნავს აუცილებლად მის რუსთველისეულობას, რადგანაც არ ვიცით, რა დაემატა ნაწარმოებს ოთხი საუკუნის მანძილზე (მე-13-16 ს. ს.). რასაც მე-17 საუკუნის უმოკლესი რედაქციები გვათავაზობს, უეჭველად წარმოადგენს რუსთაველის ხელიდან გამოსული პოემის უკვე გავრცობილ ტექსტს. ამის მაგალითად შემდეგიც კმარა: ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავი სრულად დაცულია ყველა ხელნაწერში. უდავოა, რომ ეს ადგილი ყოფილა იმ ხელნაწერებშიც, რომელთაც ვახტანგისეული გამოცემა ემყარება (ამ გამოცემაში შესულია სტროფები: 1561-1563, 1567, 1577, რომლებიც აუცილებლად გულისხმობს ინდო-ხატაელთა ამბავს). მაგრამ ისიც დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ინდო-ხატაელთა ამბის ნახევარზე მეტი დაკარგული ადგილის აღდგენას ან შედარებით მოკლე ეპიზოდის გავრცობასა და გადამუშავებას წარმოადგენს. (ე. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები. 1961, გვ. 29-31, 88-91; ა. შანიძე, ვახტანგის დედანი „ვეფხისტყაოსნისა“ (ერთვის 1712-1937 წ. გამოცემას); ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 310-348; ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია, 1956; მისივე, ახალი მასალები და „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი, „ცისკარი“ 1957, № 1).

ცალკე აღებული ესა თუ ის სტროფი შესაძლებელია არ გამოირჩეოდეს სი-

1 სტროფების ნუმერაცია და ციტატები ყველგან დამოწმებულია 1957 წ. გამოცემის მიხედვით (სარედ. კოლეგია: ალ. ბარამიძე, ე. კეკელიძე, ა. შანიძე).

ყალბის მამხილებელი განსაკუთრებული ნიშნებით, მაგრამ ყოველი სტროფი განხილულ უნდა იქნას მოცემულ კონტექსტში, როგორც მთელის შემადგენელი ნაწილი. ასეთი განხილვისას კი ჩანს, რომ ნაწარმოებში ჩართული გამეორებანი, გავრცობანი, უადგილო სენტენციები და სოფლის სამღურავი არღვევს აზრის თანამიმდევრულ, ლოგიკურ განვითარებას, თიშავს ერთმანეთის მიმყოლ მომენტებს, ანელებს მკითხველის ყურადღებას და ამით ხელს უშლის მოვლენებისა და სიტუაციების სრულად აღქმას.

ჩვენ გვინდა შევეხებით „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ადგილს, რომელთა ეჭვქვეშ დაყენებისათვის საკმაო მიზეზი არსებობს.

აი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ კეთდება ინტერპოლაცია. ნაწარმოებში დახატულია დიდებული სურათი ლომისა და ვეფხვის შეხვედრისა:

იმა ქედსა გარდავადეგ, იგი შამბნი
მომეარნეს;

ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს,
ერთად შეიყარნეს,

ჰგვანდეს რათმე მოყვარულთა,
მათი ნახვა გამეხარნეს,

მათ რა უყვეს ერთმანერთსა,
გამიკვირდეს, შემეზარნეს. (907)

პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე
მედგრად წაიკიდნეს*

თვითო ტორი ერთმანერთსა ჰკრეს,
სიკვდილსა არ დაჰრიდნეს;

გამოჰრიდა ვეფხემან გული, —
დედათამცა გამოჰრიდნეს! —

ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ
დაამჰვიდნეს. (909)

ლომსა დავუგმე ნაქმარი... (910,1).

მოქმედება მძაფრად და ლოგიკურად ვითარდება, რაც ქმნის ფსიქოლოგიურად და სანახაობრივად დასრულებულ სურათს, მაგრამ უცნობ ვადამწერს მოსურვებია ეცადა თავისი პოეტური ნიჭი ამ მიმზიდველი სცენის დახატვაში, შეუქმნია კიდევაც ერთი სტროფი და ჩაურთავს ამ საინტერესო ეპიზოდში. აი ეს „შენაძენი“:

ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხნი

მოვიდეს ერთგან რებულნი,
სახედ ვამსგავსე მიჯნურთა,
ცეცხლნი დამეცნეს დებულნი
შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს
გამწარებულნი,

ლომი სდევს, ვეფხი მიუბრბის, იყენეს
არ ჩემგან ქებულნი (908).

ამ სტროფის სიყალბე თავის დროზე ამხილა ალ. სარაჯიშვილმა (მოამბე, 1897 წელი, № 11). ს. კაკაბაძეც ნართაულად თვლის მას და აღნიშნავს, რომ იგი არღვევს ბუნებრივ კავშირს 907-ე და 909-ე სტროფებს შორის („ვეფხისტყაოსანი“, 1927 წ.). ჩვენ მოკლედ შევახსენებთ მკითხველს ზოგიერთ შეუსაბამობას, რაც შეუძლებელს ხდის ამ სტროფის არსებობას მოცემულ ეპიზოდში.

სადავო სტროფის ყოველი სტრიქონი ნასესხებია ზემოთმოტანილი ადგილიდან; შეადარეთ: 907,1-2 და 908,1; 907,3 და 908,2; 909,1-2 და 908,3; 909,3-4, 910,1 და 908,4. მიმბაძველი აქ ოდნავადაც ვერ სცილდება იმას, რაც უკვე იყო ნათქვამი. თან სრულიად გაუგებარია, რატომ წყვეტს ტარიელი ამბავს სწორედ საინტერესო ადგილზე და რატომ იწყებს ხელახლა იმის მოყოლას, რაც ავთანდილმაც და მკითხველმაც უკვე იციან. (ასეთ გამეორებაში რაიმე მხატვრულ ხერხზე ლაპარაკი კი ზედმეტია). ამავე დროს პირველივე წინადადება აშკარად ეწინააღმდეგება ერთი წუთის წინათ ნათქვამს: 907-ე სტროფში ტარიელი ამბობს, ქედიდან დავინახე, რომ ლომი და ვეფხი შეკრბეს (სხვადასხვა მხრიდან მოვიდნენ), ერთად შეიყარნეს, 708-ში კი იმავე მომენტს ასე გადმოგვცემს: „ლომ-ვეფხნი მოვიდეს ერთგან რებულნი“. „ერთგან რებულნი“ ნიშნავს ერთად მოართულთ (როგორც თ. ბაგრატიონმა განმარტა), მაგრამ თუ „შეკრბეს. ერთად შეიყარნეს“, მაშინ შეუძლებელია ერთად მოართულნი ყოფილიყვნენ.

ხელნაწერებში ეს ადგილი რამდენიმე ვარიანტით არის: ერთად; ერთგან; ერდგან; ორგნით. „ორგნით რებულ-

ნი“ იმ წინააღმდეგობის გამოსწორების ცდა უნდა იყოს, რასაც ქმნის „ერთგან (ერთად) რებულნი“-ს მიმართება წინა სტროფთან. მაგრამ „ორგანით რებულნი“ აშკარად ხელოვნური და ნაძალადევი ფორმაა, ამიტომ მისი დამკვიდრება დღემდე ვერ გაბედა ვერც ერთმა მკვლევარმა თუ რედაქტორმა, და აზრის გაგება მკითხველს მიანდეს: რომელიც გენეზით, ის დაიჯერეთ, გინდა: „შეკრბეს, ერთად შეიყარნეს“, გინდა: „მოვიდეს ერთგან რებულნი“, ორივე რუსთაველის დაწერილიაო...

როდესაც ვკითხულობთ: „შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი“ (908,3), გაუგებარი რჩება, მანამდე რით ჰგავდნენ „მოყვარულთა“, რაც საგანგებოდ იყო აღნიშნული წინა სტროფში და რაც გამეორებულია აქაც „მიჯნურთა“ სახელით.

ასევე ამ ბრძოლის აღწერის შემდეგ თავის მნიშვნელობას კარგავს მომდევნო სტროფის დასაწყისი: „პირველ ამოდ ილაღობეს“, რაც 907-ე სტროფის პირდაპირი ვაგრძელებაა. მათ შორის ახალი სტროფის ჩართვით ეს კავშირი გაწყდა და ახლა გონებას ძალა უნდა დავატანოთ, რომ მოქმედების თანამიმდევრობა აღვადგინოთ, რაც თავისთავად იწვევს 908-ე სტროფის უგულებელყოფას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ სხვა ნიმუში ინტერპოლატორის ღვაწლისა.

ტარიელი უამბობს ავთანდილს: ინდოეთის მეფეს მემკვიდრე არ ჰყავდა, მე ამიყვანეს შვილად და სამეფოდ მზრდიდნენო. ეს პერიოდი პოემაში ასეა გადმოცემული:

...საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა
ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლელად
ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;
მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა
თვალად, ლომსა ნაკვთად. (319)
ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა
ჩემგან ამბობა ცილისა.

ხუთისა წლისა შევიქმენ
მსგავსი ვარდისა შლილისა;

ქირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა,
მართ ვითა სირისა;
არა ჰგაოდის ფარსადანს ^{არქონესუმი}
მისი არა-სმა შეილისა. (320)

ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა
ფერ-მიხდილისა,
მზესა მე ვსჯობდი შენებით, ვით
ბინდსა ჟამი დილისა;
იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მსგავსია
ედემს ზრდილისა“.
აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ
ოდენ ჩრდილისა. (321)

მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა
დედოფალი... (322,1)

ამ ადგილმა ადრევე მიიქცია მკვლევა-რთა ყურადღება. ალ. სარაჯიშვილს მოჰყავს ულოგიკობის აშკარა ფაქტები. მაგალითად, როცა 319-ე სტროფში ტარიელი ამბობს, „მოვიწიფე“, ეს სრულასაკონუნებას ნიშნავს და მასთან ხუთი წლის ასაკის ხსენება უაზრობაა. ამავე დროს ეს ადგილი ეწინააღმდეგება 328-ე სტროფს, სადაც ლომების ხოცვა იხსენიება. როგორც ვაჟაყვისათვის სასახელო საქმე. მკვლევარი საერთოდ ამ ეპიზოდში ხედავდა უადგილო თავის ქებას და ტრაზახს ტარიელისას. ამის გამო მან 320-ე და 321-ე სტროფები ყალბად მიიჩნია (მოამბე, 1896, № 3).

ალ. სარაჯიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სტროფი გამოაცხადა ყალბად და ამით მკვლევართა უნდობლობა დაიძაბურა. როგორც ჩანს, მის აზრს არც ამ შემთხვევაში გაუწიეს ანგარიში და აღნიშნული ადგილი უცვლელად იბეჭდება დღემდე არსებულ გამოცემებში.

ხელნაწერთა ჩვენებები სადავო სტროფებზე ასეთია: 10 ძირითად ხელნაწერს გვერდები აკლია და ამის გამო მათში ეს ადგილი საერთოდ არაა. იმ ხელნაწერებიდან კი, რომლებშიც დაცულია ეს ეპიზოდი, 320-ე სტროფი არ გვხვდება ოთხ ხელნაწერში (CJLT), მაშინ როცა 321-ე სტროფი ყველა სრულ ხელნაწერშია შეტანილი. ამდენად, არ შეიძლება ერთი საზომით მივუდგეთ ორივეს. აღნიშნულ ხელნაწერებში 320-ე სტროფის

არარსებობა კი შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ეს ფაქტი და აგრეთვე მისი აზრობრივი შეუფერებლობა ნაწარმოების საერთო შინაარსთან საკმაო საბუთია ამ სტროფის ჩანართად მისაჩვენად. მაგრამ ზოგიერთს, როგორც ჩანს, ძალიან ნიბლავდა ლომების მხოცველი ხუთი წლის გმირის არსებობა ქართულ ლიტერატურაში. (ჩვენი სასახლო ამირანიც კი, რომელსაც ჭაბუკობისას თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ძალა და დაქანებული ზვავის შეუღრეკელობა ჰქონდა, პატარაობისას ჩვეულებრივი ბალდი იყო, ობოლი და საწყალი).

ილუზიით გატაცებას სჯობს ანგარიში გავუწიოთ თვით ნაწარმოებში მოცემულ ფაქტებს. დროებით ავირიდოთ თვალის ხუთი წლის უჩვეულო გოლიათს და წარმოვიდგინოთ ტარიელის, როგორც პერსონაჟის, სახის განვითარება. იგი სასახლეში იზრდება ტანტის მემკვიდრედ. ბრძენი ასწავლიან სახელმწიფო ზნეთა. „მოიწიფა“ და დაემსგავსა „ლომსა ნაკეთად“ (319), უკვე სრულსაკოვანი ვაჟკაცია. იგი სილამაზით მზეს სჯობია, რითაც მნახველნი გაკვირვებულნი რჩებიან (321). აქ მოკლედ გადმოცემულია სასახლეში აღზრდის პერიოდი, რასაც შემდეგ უფრო დაწვრილებით ვეცნობით. ამგვარად კი ტარიელი ისევ ბავშვობის ხანას უბრუნდება და ნესტანის დაბადებას იხსენებს:

მე ხუთისა წლისა ვიყავ,

დაორსულდა დედოფალი (322,1).

ტარიელი და ნესტანი ერთად იზრდებიან (325). „შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი“ (327,2). ამ დროს ტარიელი 12 წლისაა. გავიდა ხანი, ალბათ 2-3 წელი მაინც.

„იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო

შესლვა ომსა;

მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა

ქმნისა მწთომსა,

მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ

ამა ზომსა;

ვპურთობდი და ვნადირობდი,

ვით კატასა ვზოცდი ლომსა. (328)

როცა ნესტანის მოწიფულობაზე და მეფობის შესაძლებლობაზეა საუბარი (328,1-2), აქ იგულისხმება 10-12 წლისა ასაკი მაინც. ტარიელი, სულ ცოტა, 15 წლისა მაინცაა და მხოლოდ ახლა შეუძლია ომში შესვლა! ახლა ლომებსაც ხოცავს „ვით კატასა“. ესაა ბუნებრივი დახასიათება ფეოდალური ეპოქის გმირისა.

მაგრამ როგორ გავიგოთ საგანგებოდ ნათქვამი: ხუთი წლისას ლომის მოკვლა არ შეუძლებოდაო. თუ ასე იყო, რატომ ვერ შეძლო ომში შესვლა თხუთმეტ წლამდე? რა არის ეს, გმირის აშკარა სიცრუე თუ უადგილო ჰიპერბოლა?

ეს დაუგერებელი ამბავია, მაგრამ სიცრუედ არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ასეთ ამბებში „ვეფხისტყაოსნის“ გმირები არ ტყუიან. არც რუსთაველის ფანტაზია სცილდება ადამიანური შესაძლებლობისა და ზომიერების ფარგლებს (ერთადერთი გამოწკლისა გრძნეული მონის არსებობა, რაც სიუჟეტის განვითარებისათვის იყო აუცილებელი). ამიტომ ეს საჩოთირო ფაქტი ან საერთოდ არ უნდა ეთქვა ტარიელს და, თუკი თქვა, მაშინ სინამდვილედ უნდა მივიღოთ, რაც მის დამწერს სასახლეოდ ვერ ჩათვლიდა: რუსთაველს არ უნდა გაძნელებოდა თბრობის ისე წარმართვა, რომ მკითხველს 15 წლის ვაჟკაცი 5 წლის ბავშვისაგან განესხვავებინა.

შუა საუკუნეების (როგორც ევროპის, ისე აღმოსავლეთის) მწერლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია გმირის ფიზიკური ძალის გაზვიადება, არაჩვეულებრივი ამბების მიწერა მისთვის. ამავე დროს ნაკლები ყურადღება ეთმობა გმირის სულიერ განცდებს, მისი აზრებისა და გრძნობების ცვლილებას.

ნიშამის „ხსროვშირინიანში“ გვხვდება ასეთი მაგალითი ნადრევი სიბრძნისა და სიძლიერისა. ექვსი წლის ხოსროვი ექვსი განზომილების გაგებას ცდილობს. ცხრა წლისამ სწავლა დაასრულა და „გველუშაბებთან და ლომებთან შეეძლო ბრძოლა“. ათი წლისამ კი ოცდაათი წლის დევგმირი დაამარცხა. თორმეტი

წლისა უკვე დაბრძენებული იყო (ხოსროვი და შირინი, 1964, თბილისი).

აქაც საკმაო გაზვიადებაა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, თავიდან აღებული ტონი ბუნებრივად გრძელდება და ასაკის მომატებასთან ერთად გმირი ფიზიკური და გონებრივი სრულყოფის ახალ-ახალ საფეხურზე აღის. „ვეფხისტყაოსნის“ მოცემულ ეპიზოდში კი ეს ადვილი და სავალდებულო წესიც არ არის დაცული. აქ არა გვაქვს პერსონაჟის სახის ბუნებრივი განვითარება და დახასიათება. რუსთაველს რომ მკითხველის გაკვირვება ნდომებოდა გმირების ძალ-ღონით, მაშინ შეიძლება ეთქვა: 5 წლისა ლომებს ხოცავდა, ხოლო 15 წლისა მთებს ანგრევდა და ათ სპილოს ერთად ახრჩობდაო (იქნებ ამასაც დაიჯერებდა ფანტაზიის მოყვარული ზოგი მკითხველი). მაგრამ რუსთაველი არ არის ამ ტიპის შემოქმედი და არც მისი პოემაა დაწერილი ასეთი იოლი ხერხით. ჩვენი აზრით, ასეთი გულბრწყელო ფანტასტიკის მიწერა დამკვირვება დიდი პოეტის სახელისა.

აღარ გავაგრძელებთ მსგავსი სადავო ადგილების განხილვას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ასეთი შეუსაბამობანი „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ბევრია, რამაც ზოგიერთ მკვლევარს საფუძველი მისცა, ერთი და იმავე მომენტების ვარიაციებით გადმოცემა რუსთაველის პოეტური ხელოვნების დამახასიათებელ მოვლენად და ერთ-ერთ მხატვრულ ხერხად მიეჩინა.

ცნობილია, რომ რუსთაველი ხშირად მიმართავს სიტყვის გამეორებას და ამით სათანადო მხატვრულ ეფექტსაც აღწევს (ამ საკითხზე რამდენიმე გამოკვლევაა დაწერილი). დამახასიათებელია, მაგალითად, სიტყვის ლექსიკური ფორმისა თუ სინონიმურ შესატყვისთა გამეორება:

მ ზ ე ა ღ ა რ მ ზ ე ო ბ ს ჩ ვ ე ნ თ ა ნ ა,
და რ ი ა რ და რ ო ბ ს
და რ უ ლ ა დ! (820,4)

არც ისაა მოულოდნელი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სიტყვების განმეორებანი (მაგალითად, პოემაში „რკმა“ მდენჯერზე მეორდება ტარიელის თავგადსავალი და მისი ძებნის ამბავი, რასაც რამდენადმე მაინც მოითხოვს ნაწარმოების კომპოზიციური აგებულება).

მაგრამ არაერთხელ ვხვდებით სტროფის ან ცალკეული ტაეპის თითქმის სიტყვასიტყვით გამეორებას, რომლის გამართლება მხატვრული თვალსაზრისით მეტისმეტად საეჭვოა. ისიც საგულისხმოა, რომ ასეთი გამეორებისას ყოველთვის შეინიშნება ძალისძალად შეკოწიწება მთელი სტროფისა, რომელიც არ შეიცავს რაიმე ახალ და აზრობრივად საჭირო მომენტს, ხოლო სადაც „სიახლეა“, იგი აშკარად უადგილოა, როგორცაა, მაგალითად, ხუთი წლის ბავშვის მიერ ლომების ხოცვა (320), შერმადინის ხსენება 70-ე სტროფში და მისთ.

პოემაში არის აგრეთვე რამდენიმე ადგილი, რომელიც „უშლის აზრის მიმდინარეობას“, თხრობას აჭიანურებს და ხშირად არ ეთანხმება მწერლის ზოგად ფილოსოფიურ თუ საზოგადოებრივ მრწამსს.

სავსებით შესაძლებელია ასეთ ადგილებში იყოს ყალბი სტროფები, რომელთაც გადამწერები ქმნიდნენ ცალკეული ეპიზოდის შინაარსისა და რუსთაველის მიერ შექმნილი მხატვრული სახეების გამოყენებით და ურთავდნენ ნაწარმოებში მისი „სრულყოფის“ მიზნით (ისევე, როგორც მოხვდა პოემის ტექსტში დღეისათვის უძველეს ჩანართად ცნობილი სამასზე მეტი სტროფი).

ასეთ შემთხვევებში ინტერპოლაციის ტიპური ნიმუშებთან გვაქვს საქმე თუ რუსთაველის შემოქმედებითს თავისებურებასთან, ამის გარკვევა აუცილებელი და საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“ ავადმიური ტექსტის დადგენისათვის.



ღეიღა ლათიაში

ერთი სიტყვის გეგმისათვის «ვეფხისტყაოსანში»

ტარიელის საძებნელად წასულ ავთან-
დილს მოულოდნელად გაუღიმა ბედმა:
შემთხვევით წააწყდა ვეფხვის ტყავით
მოსილი უცნობი ჭაბუკის კვალს, ჩუმიად
მიჰყვა სადგომამდე და მოთმინებით და-
ელოდა მასთან შეხვედრის ხელსაყრელ
ჟამს. მთელი ღამე გაატარა ავთანდილმა
მომავალი ძმადნაფიცის სამყოფელთან
და მეორე დღეს, დილაადრიან, ასმათისა
და ტარიელის გულთბილი გამოთხოვე-
ბის მოწმე გახდა. წასვლისას ტარიელმა
სულ ახლოს გაუარა ფოთლებში საიმე-
დოდ შეფარულ ავთანდილს, რომელმაც
მის ძებნაში თითქმის სამი წელი გაას-
რულა და სწორედ მაშინ იპოვა, როცა
დაქანცული და სასოწარკვეთილი თითე-
ბზე ითვლიდა თინათინის მიერ „უცხო
მოყმის“ საქმეებზე მიცემული დრო-
იდან დარჩენილ დღეებს. და აი:

ავთანდილ ახლოს კვლა ნახა
სახე მისივე კაცისა,
ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო,
ნუთუ მზეო, — თქვა, — ცისა?
ეყნოსა სული ალვისა,
ქართაგან მონატაცისა
ასრე უჩნს მოკვლა ლომისა,
მართ ვითა ლომსა ვაცისა.

მოცემულ სტროფში ჩვენ დავინტე-
რესდით ერთი შეხედვით ადვილად ასახ-

სნელი, მაგრამ „ვეფხისტყაოსანთან“
დაკავშირებით დღემდე ჯერჯერობად განუ-
მარტავი სიტყვით — „წვერ-გამო“. ამ
ორცნებიანი კომპოზიციის პირველი ნა-
წილი ყველასათვის ნათელი და გასაგე-
ბია, მეორე კი შეიძლება გრაფიკულად
მის მსგავს თანდებულში აგვერიოს... მა-
გრამ უმჯობესია ჯერ გადავხედოთ ამ
სიტყვის ახსნის ცდებს.

ქართველ მეცნიერთაგან ხსენებული
კომპოზიციის ლექსიკური მნიშვნელო-
ბის განმარტება პირველად მოგვცა განს-
ვენებულმა პროფ. იუსტინე აბულაძემ
(„ვეფხისტყაოსანი“ * 1926, გვ. 292).
„წვერ-გამო“ მას ესმის როგორც „უწვე-
რული, პირტიტველა“. იუსტ. აბულაძე-
სეული თარგმანები უცვლელადაა გა-
მეორებული „ვეფხისტყაოსნის“ ლექსი-
კონდართულ თითქმის ყველა გამოცემა-
ში. დღემდე არ არსებობს ამ კომპოზი-
ციის სხვა მეცნიერული ინტერპრეტაცია.
ასე რომ, „ვეფხისტყაოსანის“ ეს სიტყვა
„უწვერულის, პირტიტველას“ გაგებით
არის დამკვიდრებული პოემის ყველა ქა-
რთველი გამოცემის ცნობიერებაში.

საინტერესოა, რა შესატყვისი აქვს
„წვერ-გამოს“ უცხოურ თუ საბჭოთა
თარგმანებში.

პირველ რიგში ყურადღებას შევაჩე-

რებთ მარჯორი უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანზე (1938 წ. გამოც.), სადაც „წვერ-გამოს“ ვაგება **ოუსტ. აბუ-**ლაძისეულ განმარტებას ემთხვევა. მარჯორი უორდროპისათვის, ეჭვი არაა, „წვერ-გამო“ ძნელად გასაგები სიტყვა იქნებოდა. ცხადია, ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება იმ ქართველ კონსულტანტს, რომელიც ინგლისელ ქალს ეზმარებოდა პოემის თარგმნისას.

ეტყობა, „წვერ-გამოს“ გაურკვევლობის გამო აუარეს გვერდი პოემის რუსულ თარგმანებში **გ. ცაგარელმა** და **ქ. ბალმონტმა** (1937 წ.); ეს სიტყვა არ არის ნათარგმნი **დ. გულიას აფხაზურ** (1941 წ.), **მ. შავლოხოვის ოსურ** (1943 წ.), **ი. იედლიჩკას ჩეხურ** (1958 წ.) და **ს. წულაძის ფრანგულ** (1964 წ.) გამოცემებში.

ფრიად საინტერესო ვზა განვლო „წვერ-გამოს“ ვაგებამ პროფ. **შ. ნუცუბიძესთან**, პოემის ერთ-ერთ მთარგმნელთან. ჩვენს ხელთაა მოსკოვის 1941 წლის ორი გამოცემა. თავისთავად საგულისხმო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რომ მათში სხვადასხვაგვარადაა მოცემული ის სტრიქონი, რომელსაც მითითებული სიტყვა ეკუთვნის. პირველში, რომელიც დასაბეჭდად უფრო ადრეა ჩამოვებული (22. 11. 1940 წ.), 227-ე სტროფის მეორე სტრიქონი ასეა ნათარგმნი:

«Лишь пушок усов виднелся.
То не солнце ль блещет златом?»

როგორც ვხედავთ, „წვერ-გამოს“ ბადალი არაფერი ჩანს. აქ მოხსენიებულია მხოლოდ ულვაშები. იმავე წლის მეორე გამოცემაში შეცვლილია ამ სტრიქონის ვაგება და მასში „წვერ-გამოსათვის“, ასე ვთქვათ, კუთვნილი ადგილია მიჩნეული: «борода, усы виднелись...» (გვ. 57). შეესაბამება თუ არა „წვერ-გამოს“ „борода“, ამაზე ჩვენ შემდეგ ვიმსჯელებთ, მაგრამ ნათელია, რომ თუმცა კომპოზიტის ზუსტი შესატყვისი ვერ მოძებნა მთარგმნელმა, სიტყვა „წვერი“ მაინც არ დაკარგა. უკანასკნელი ვარიანტი დატოვა პროფ. **შ. ნუცუბიძემ** „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის წლის გამოცემაშიც.

„წვერ-გამოს“ გააზრებას, როგორც „წვერიანისას“ მხარს უჭერენ ჰუგო ჰუპერტისეული გერმანული (1955 წ., გვ. 72) და ვოროშ შანდორის მიერ უნგრულად შესრულებული თარგმანები პოემისა (1954 წ., გვ. 47).

უკრაინელი პოეტი მიკოლა ბაჟანიც „წვერ-გამოს“ ტრადიციულ ვაგებას ეყრდნობა და მას „უწვერულის“ მნიშვნელობით თარგმნის.

სხვათა შორის, ხსენებული სიტყვა ამგვარადვე აქვს გააზრებული პროფ. **ს. ყაუხჩიშვილსაც** (თუმცა არა „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში, მაგრამ ექვმიულტანელია, რომ ამ შემთხვევაში პოემის ინტერპრეტატორთა ვავლენას აქვს ადგილი), რომელმაც იგი გამოიყენა ლათინური სიტყვის — „imberbis“ ასახსნელად. ლექსიკოგრაფი ასე განმარტავს მას: imberbis, e — უწვერული, წვერგამო (ლათინურ-ქართული ლექსიკონი, 1961 წ., გვ. 186).

აქ წარმოდგენილი მიმოხილვიდან ჩანს, რომ „წვერ-გამო“ ქართველებს და არაქართველთ ორგვარად ესმით: ზოგი მას მიიჩნევს „უწვერულის“ ანუ „პირტიტველას“ აღმნიშვნელ ცნებად, ზოგს კი, პირიქით, „წვერიანის“ შესატყვისად მიაჩნია.

სანამ საკითხს სხვა კუთხით მივუდგებოდეთ, საჭიროა თვით პოემაში მოვძებნოთ ამ ორი სიტყვის — „უწვერული-სა“ და „წვერიანის“ (ანუ „წვეროსანის“) ხმარების შემთხვევები და ვნახოთ, რა სიტუაციაში იყენებს მათ რუსთაველი.

სიტყვა „უწვერული“ რუსთაველს პოემაში ნახშიარი აქვს ორჯერ. პირველად იგი გვხვდება ავთანდილის გარეგნობის დახასიათებისას. ვავიხსენოთ ეს ადგილი:

ავთანდილ იყო სპასპეტი,
ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მგობი ნაზარდი,
მსგავსი მზისა და მთვარისა,

ჯერო უწვერული, სადარო
ბროლ-მინა საცნობარისა.

პოეტი გვამცნობს, რომ მზისა და
მთვარის მსგავსი ავთანდილი სრულიად
ახალგაზრდაა, ჯერ წვერ-ულვაში არა
აქვს, ე. ი. უწვერულია, პირტიტველა.
მგოსანი მეორე შემთხვევაშიც სიყმაწვი-
ლის აღსანიშნავად იყენებს ამ სიტყვას:

ორთა კაცთა წვეროსანთა
ყმა მოჰყვანდა უწვერული.

აქ უკვე აზრობრივი დაპირისპირება-
ცა გვაქვს: წვეროსნებს მოჰყავდათ
უწვერული ვაჟი. პოემაში „წვერი-
ანის“ ანუ „წვეროსანის“ ხმარების ერ-
თადერთი შემთხვევა გვაქვს ზემოთ მო-
ყვანილ სტრიქონში. ასე რომ, რუსთა-
ველი „უწვერულის“ და „წვერიანის“
აღსანიშნავად იმ სიტყვებს იყენებს, რო-
მელთაც იდენტურად ვხმარობთ.

„წვერ-გამო“ კი პოეტს სხვა აზრითა
და მნიშვნელობითა აქვს მოცემული.

ჩვენთვის საინტერესო სიტყვა გვხვდებ-
ა „ქილილა და დამანას“ ტექსტში ჩარ-
თულ ლექსში: „წვერ-გამო ყმასა
ვამსგავსე მასა, მშვენიერებით ტურფა
და სრულსა“.

ამ სამიოდე წლის წინათ ეს სიტყვა
მართებულად ახსნა ე. მეტრეველმა.
1962 წელს გამოქვეყნებულ სულხან-სა-
ბა ორბელიანის თხზულებათა მეორე
ტომზე (მეორე ნაკვეთი) დართულ ლექ-
სიკონში იგი ასე განმარტავს მას: „ახ-
ლად წვერგამომავალი“, „ვისაც წვერი
ამოსდის ახლად“ (გვ. 380).

მაშასადამე, „წვერ-გამო“ იხმარებო-
და ისეთი წვერის აღსანიშნავად, რომე-
ლიც სულ პირველად ამოსდის ყმაწ-
ვილს.

როგორც ქართული ორიგინალური
მწერლობითა თუ ნათარგმნი ძეგლებით
დასტურდება, „წვერ-გამო“ მუდამ ამ
მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქარ-
თულ ენაში. ნათქვამის დასამოწმებლად
რამდენიმე ნიმუში გამოგვადგებოდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახე-
ლოთ „მარტვილობა დავით და კონსტან-
ტინესი“, სადაც აგიოგრაფი გვაძლევს
წამებული დავითისა და კონსტანტინეს

პორტრეტებს: „რამეთუ იყო დავით უწ-
უცეს დლითა და ჰაეროვან დასაქვამკ
კორცითა, მოწაბლე თმითა, მშვენიერ
გუამითა, და კშირ წუეერიითა (ხაზი
ჩვენია — ლ. დ.). ხოლო კონსტანტი მუ-
ენიერ გუამითა, მოწაბლე თმითა და
წუერ-გამო (ხაზი ჩვენია — ლ. დ.)
და ორნივე სავსე სულთა წმიდითა“.
ხსენებული ლიტერატურული ძეგლი შე-
ტანილია ძველი ქართული ლიტერატუ-
რის ქრესტომათიაში (1946, გვ. 235). ამ
ქრესტომათიაში დართულ ლექსიკონში
სიტყვა „წვერ-გამო“ კითხვის ნიშნის
ქვეშ არის ახსნილი, როგორც „უწვერუ-
ლი“. ცხადია, ლექსიკონის შემდგენელი
მ. ჭაბაშვილი საეჭვოდ ხდის „წვერ-გა-
მოს“ ტრადიციულ განმარტებას, რომე-
ლიც ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ ტე-
ქსტთან იყო დაკავშირებული.

სხვათა შორის, მოცემული ეპიზოდის
დეტალური ანალიზის შედეგად შესაძ-
ლო იყო ამ სიტყვის მიახლოებითი ახს-
ნა მაინც, რადგან აქ დაპირისპირებულია
პორტრეტები უფროსი თაობის წარმო-
მადგენლის, ხშირწვერიანი დავითისა და
პირმშვენიერი კონსტანტინესი, რომელ-
საც სახეს ახალაშლილი წვერი უმშვენი-
ბდა.

„წვერ-გამოს“ ხმარების ორი შემთხ-
ვევა გვაქვს ეფრემ მცირის მიერ ბერძ-
ნულიდან გადმოთარგმნილ ორ თხზუ-
ლებაში. უპირველესად აღსანიშნავია პე-
ტრე იბერის ნაშრომი „ზეცათა მღვდელ-
თმთავრობისათჳს“, სადაც ჩვენთვის სა-
ინტერესო სიტყვა ასე გამოიყურება:
„ხოლო ჭაბუკ წუერ-გამოობითა
ჰასაკთაჲთა — მარადის აღორძინებუ-
ლებასა ცხოველობითისა ძალისასა“...
(პეტრე იბერიელი, შრომები, 1961, გვ.
145). როგორც ვხედავთ, „წვერ-გამო-
ბა“ აქ ასაკის მისათითებლადაა გამოყე-
ნებული.

„წვერ-გამო გვხვდება აგრეთვე „მიქა-
ელ საბაწმიდელის წამების“ ანუ „აბუ-
კურად“ სახელდებული ძეგლის ბერძ-
ნულ რედაქციაში, რომელიც ეპიზოდის
სახით არის ჩართული ემესელი ეპისკო-
პოსის ბასილის აგიოგრაფიულ თხზუ-

ლებაში „თეოდორე ედესელის ცხოვრება“. „წვერ-გამო“ ეფრემის მიერ ნახმარია „წამების“ იმ ნაწილის თარგმანში, სადაც საბაწმიდელი ბერის, მიქაელის პორტრეტის აღწერაა:

(აბდ-ალ-მელიქ ამირ-მუმლის მეუღლეს, სეიდა დედოფალს ძალიან მოეწონა ახალგაზრდა მონაზონი საბაწმიდის მონასტრისა), „რამეთუ იყო მიქაელ მკვრცხლ სახითა და კეთილად ვრძელ პასაჟითა და აწ ოდენ წუერ-გამოთბითა ყუავილოვან“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. VI, 1960, გვ. 32).

ბოლო სტრიქონის სიტყვასიტყვით თარგმანი ბერძნული ენიდან ასეთი იქნება: „ახლად აყვავებული (ახლად ამოსული, ახლად ამწვანებული) წვერის მქონებული“. მაშასადამე, მართო ამ თხზულებაში მოცემული ნიმუშითაც შეგვეძლო დაგვემტკიცებინა, თუ რა მნიშვნელობით, რა შემთხვევაში იხმარებოდა სიტყვა „წვერ-გამო“ და რას აღნიშნავდა საერთოდ „წვერ-გამოთბა“.

აქ „წვერ-გამო“ კულმოკვეცილი ფორმით განვიხილეთ. XVII საუკუნის ძეგლში, „რუსუდანიანში“, იგი სრული სახითაა მოცემული. დავიმოწმებთ მაგალითებს:

„მსცემურეული კაცი ერთ ყოშუმად იდგენ... მართლა დროს კაცნი, რომ არც ბერნი იყვნეს და არც ვაჟნი, ისინი იდგენ და იმათ ყველას ფრინველი უსხდა. ახალ წვერგამომავალი ერთად იდგენ და იმათ ყველას ფრინველი უსხდა“ („რუსუდანიანი“, 1957, გვ. 304).

ამ ეპიზოდში „დავით და კონსტანტი-

ნეს მარტილობის“ ანალოგიური შეზღვევისპირება გვაქვს, მხოლოდ აქ ^{მსხვერპლი} მსხვერპლობაა წარმოდგენილი: „მსცემურეულნი“ ანუ ჭადაროსანნი, საშუალო ასაკისანი და ახალგაზრდანი, რომელთა სახეზეც პირველად ამოსული წვერი შეიმჩნეოდა.

მეორე მაგალითი: „ერთი კაცი მოვიდა, ახალ წვერგამომავალი და ეგრე მითხრა: ვაი, რა ყმაწვილი ხარო“ (იქვე, გვ. 446).

„რუსუდანიანის“ ხსენებულ გამოცემას თან ახლავს ლექსიკონი, სადაც ხაზგასმული სიტყვა სწორად არის განმარტებული. ამ შემთხვევაში მისი ახსნა, რა თქმა უნდა, ძნელი აღარ იყო, რადგან დასრულებული, გასაგები სახითაა წარმოდგენილი. ამდენ ხანს „წვერ-გამოს“ სწორ ახსნა-განმარტებას სწორედ მისი კულმოკვეცილობა აფერხებდა, რადგან კომპოზიტი რაღაც შეუცნობელი და ერთგვარად დაუზუსტებელი მნიშვნელობისად ესახებოდათ.

„ვეფხისტყაოსნის“ 227-ე სტროფში სიტყვა „წვერ-გამო“ რუსთაველს ნაზმარი აქვს არა „უწვერულის“ ანუ „პირტიტველას“ ან „წვერიანის“ გაგებით, არამედ ისეთი სახის აღსანიშნავად, რომელსაც სიჭაბუკის, სიხალგაზრდავის მაუწყებელი პირველი ღინდლი ფარავს, წვერი ახალშლილი აქვს.

ასე რომ, ავთანდილს ტარიელი წარმოუდგა „ულვამ-აშლილ“, ახლად წვერგამომავალ ჭაბუკად, რომელსაც „ასრე უჩნს მოკვლა ლომისა, მართ ვითა ლომსა ვაცისა“.





Handwritten signature or title in Georgian script

ღამო გუდიაშვილი:

შეგრძობი და ცხოვრება

ახალგაზრდა ლიტერატორი თინა კობალაძე სახელოს-
ნოში ეწვია რუსთაველის პრემიის ლაურეატს, საქართვე-
ლოს სსრ სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს და ესა-
უბრა მას. ვაჭვეყნებთ საუბრის ჩანაწერს.

— ხომ არ გამოყოფდით თანამედროვე ქართული მხატვრობის ძირითად ხაზს.

— ეს, ჩემი აზრით, ჯერ ძნელია. ჩვენ ჯერ არა გვაქვს ქართული ფერწერის
სკოლა, როგორცაა, მაგალითად, იტალიური, ფრანგული, რუსული. ამას სჭირ-
დება დრო, დიდი ტრადიციები (ცხადია, მე არ ვგულისხმობ ჩვენს ფრესკულ
მხატვრობას). მხატვრობაში უნდა გამოჩნდეს ეროვნული სახე, ხასიათები, ბუნე-
ბა, ფერადოვნება. დიას, ფერადოვნებას აქვს თავისი სახე! ეს ყველაფერი ჩვენ-
თან ჯერ გამოკვეთილი არ არის. თუმცა, რა თქმა უნდა, გვყავს შესანიშნავი და
ძალზე საინტერესო მხატვრები. მაგალითად, დავით კაკაბაძე. იგი ერთ-ერთი ფუ-
ძემდებელია თანამედროვე ქართული მხატვრობისა. როცა მის პეიზაჟებს უყუ-
რებ, ცხადად გრძნობ, რომ ჭეშმარიტად ქართულია. ეს იმდენად კარგი და თავის-
თავადია, რომ აღმოჩენას ჰგავს. მე ვფიქრობ, ფუძემდებლობა მხატვრობაში ქარ-
თული პეიზაჟის აღმოჩენისა დავით კაკაბაძეს უნდა მიეკუთვნოს. რაც შეეხება
სხვა თანებს, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

— თქვენ ბევრი გიმუშავიათ ქართული ფრესკების რესტავრაციაზე. რა კონკ-
რეტული გავლენა მოახდინა ამ საქმემ თქვენს შემოქმედებაზე?

— რა თქმა უნდა, ეს იყო ჩემი უმალღესი სასწავლებელი. მე გავიცანი და
საკუთარი თვალთ ვნახე ქართველი ოსტატების ნამუშევრები — თავისუბური,
ძვირფასი და იშვიათი ხელოვნება, რომელსაც თავისი ადგილი აქვს მსოფლიო ხე-
ლოვნების საგანძურში.

ამ კითხვასთან დაკავშირებით გაიმბობთ რამდენიმე ეპიზოდს ჩემი ცხოვრე-
ბიდან. აკადემია 1914 წელს დავამთავრე. იმ დროს ხშირად ეწყობოდა ექსპედი-
ციები ძველი მატერიალური კულტურის ძეგლების რესტავრაციისა და შესწავ-
ლის მიზნით. თითქმის საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი მაქვს ნანახი

და შესწავლილი. ყველაზე უფრო დამაინტერესო მცხეთამ. იქ ვხატავდი ფრესკებს, რომლებიც ეთნოგრაფიული საზოგადოების მიერ იყო მინიშნული. ყველაზე საინტერესო ექსპედიცია მაინც სამხრეთ საქართველოში მოეწყო გამოჩენილი ისტორიკოსის ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ჩემი შემოქმედებითი გზის დასაწყისში ამ დიდ ადამიანთან მომიხდა მუშაობა. ეს ძალიან კარგი და შინაარსიანი ექსპედიცია იყო. შევისწავლეთ და აღწერეთ ხახული, იშხანი, ბანა, ოშკი. გამოიცა მოზარდილი ტომი ამ ექსპედიციის მუშაობაზე. მე ოშკის წინა ფასადზე მიწის გადასუფთავებისას ვიპოვე წმინდანების ჩამოცვენილი თავები. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჭიაურელი, მე, ამზომველი ილია ზდანევიჩი და არქიტექტორი კალგინი. მეტად ძნელი იყო ამ ძეგლების აზომვა. ილია ჯამბაზივით დაძვრებოდა და დიდი საქმეც გააკეთა. დაწვრილებით შევისწავლეთ ფრესკები, ბარელიეფები, წარწერები, დავაღვინეთ თარიღები. მარტო ბანა რომ ვახსენო, ისიც კმარა. ჩუქურთმები არაჩვეულებრივი გემოვნებით არის შესრულებული. სამწუხაროდ, ძალიან იყო დაზიანებული. ბევრ ტაძარს ჭერიც ჰქონდა ჩამოხრეული. ამ ფრესკებმა, ვიმეორებ, დიდი როლი ითამაშა ჩემი შემოქმედებითი სახის პოვნაში. ეს იყო დიდი შთაგონება. მთელი ეს მასალა ამჟამად სახვითი ხელოვნების მუზეუმში ინახება. მსგავსი სამუშაო ჩავატარე ოციოდე წლის წინათ, მოზაიკის აღდგენის მიზნით, ბიჭვინთაშიც. ძეგლი უკვე ინგრაოდა. იატაკი, კედლები სულ მოზაიკით იყო მოპირკეთებული. გადმოვიღეთ ქალაქზე, ნაწილიც ამოვეჭერთ.

ერთი პატარა ეპიზოდი მახსენდება. საღამო ხანი იყო. მე და მხატვარმა ოთარ სულავამ უცებ ორი კაცი და ერთი ქალი დავინახეთ. ერთი მათგანი ჩემკენ წამოვიდა და მითხრა: ესენი ფრანგები არიან, ცოლ-ქმარი; ძალიან უნდათ ეს ძეგლი აჩვენოთ. მე მივიწვიე, მობრძანდით-მეთქი. ველაპარაკე ფრანგულად. ძალიან გაეხარდათ, გაცოდნენ, ასეთი მდიდარი მოზაიკური ხელოვნება იშვიათად გვინახავსო. გამოთხოვებისას მკითხეს, ხომ არ იცნობდით, მხატვარი იყო, გვარად გუდიაშვილი, ამბობენ, ცოცხალი აღარ არისო. საწყალი, როგორი კარგი მხატვარი იყოო. სულავა ვაოცდა. მე ვდუმდი. არ ვიცოდი, რა მეთქვა. ბოლოს, მანქანაში რომ ჯდებოდნენ, ვუთხარი: ნება მომეცით მოგესალმოთ, მე თვითონ გუდიაშვილი ვარ-მეთქი...

— გთხოვთ რამდენიმე სიტყვით პარიზში ყოფნის პერიოდზეც გვიამბოთ!

— საფრანგეთში 1919 წელს ჩავედი. პარიზში მქონდა პატარა სახელოსნო. ძნელია, იქ რომ კაცი წესიერად მოეწყოს, — ორმოცი ათასი მარტო საკუთარი მხატვარი ჰყავთ, მერედა ჩასულები! სურათები ხშირად გამქონდა გამოფენებზე. ამ დროს პარიზში იყვნენ დავით კაკაბაძე, შალვა ჭიქოძე, ელენე ახვლედიანი და ქეთო მალალაშვილი. ასე ვთქვათ, პატარა ქართული კოლონია იყო. შემდეგ, როგორც ხედავთ, ამ კოლონიამ თავი არ შეირცხვინა! გამოფენის დროს ცნობილმა ხელოვნებამცოდნემ მორის რეინალმა ჩემზე მონოგრაფია დაწერა. ამ მონოგრაფიაში მორის რეინალს აქვს ასეთი გამოთქმა: „უცხოელები რომ ჩამოდიან, თავიანთ თავს არ უნდა ჰკარგავდნენ, არ უნდა ხდებოდნენ ეპიგონები ფრანგული მხატვრობისა, თორემ მათგან არც ფრანგი გამოვა და თავიანთსაც დაჰკარგავენო“. ეს გონებაში ჩამრჩა და დღემდე არ ვღალატობ ამ აზრს. ვფიქრობ, ჩვენს ახალგაზრდობასაც გამოადგება ეს შეგონება.

ბევრ რამეს სიამოვნებით ვიხსენებ. მქონდა საინტერესო შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. მაგალითად, ესპანელ მხატვარ იგნასიო სულოაგასთან, რომელიც მაშინ საქვეყნოდ განთქმული იყო და კლასიკოსად ითვლებოდა. ხან პარიზში ცხოვრობდა, ხანაც — მადრიდში. ერთ-ერთ სალონში გამოფენაზე ჩემი

სურათი ეყიდა და გამეცნო. დიდხანს ვიბაასეთ. მიამბო თავისი ბიოგრაფია. წარსულში ტორედორი ყოფილა. წასვლის დროს შეიძინა ჩემი ნამუშევრები და მაგიდაზე ფული დამიყარა. ძალიან შევწუხდი, უარი ვთქვი. მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ორი ადამიანი თუ დამეგობრდა, მათ შორის ფულზე ლაპარაკი არ შეიძლება-მეთქი. მითხრა: მეც ღატაკი ვიყავი, აიღეთ, აიღეთ, თქვენ ეს ახლა გქირდებათო. დაიხურა ქუდი და წავიდა. ისე დაბნეული და გახარებული ვიყავი, ამდენი ფულისთვის არ ვიცოდი რა მექნა. დავიხურე ქუდი და გავიქეცი კაფეში. ვნახე, ჩემი ქუდი სტუმარს დაუხურავს. დავედევნე. მობრუნდა, რა მოხდაო. მე ავუხსენი, თქვენს თავზე ჩემი ქუდი და ჩემს თავზე თქვენი-მეთქი. ეს ამბავი უფრო დაწვრილებით არის აღწერილი მწერალ ლადო ავალიანის მოთხრობაში.

გავიხსენებ ამედრო მოდილიანთან შეხვედრას კაფე „როტონდამი“. მაშინ მისი სახელი არავინ იცოდა. ღარიბი იყო. კაფეში მხატვრები იყრიდნენ თავს. იქვე გამოფენებიც ეწყობოდა. პირველად იქ ვნახე. სურათები მოიტანა. ხელში ჩანახატების ალბომი ეჭირა. მოწყენილი იყო. მის წინ ქალი და კაცი ისხდნენ. ვადაშალა ალბომი და ის ქალი ჩახატა. როგორც ჩანს, არ მოეწონა. მეორედ ჩახატა და ქალს გადასცა. ქალმა თქვა, ეს მე არ ვარო და უკან დაუბრუნა. „ო, ეს ქალები, არაფერი რომ არ ესმით“... ჩაილაპარაკა და მე მომცა ნახატი: შენ გქონდესო. ამასწინათ ერთი ფრანგი იყო აქ. ნახა ეს სურათები, ძალიან მოეწონა.

აქვე ვხვდებოდი პიკასოს, ანრი დერენს, ლუი არაგონს, ფილიპ სუპოს, ანდრე ბრეტონს... ერთხელ ჩარლი ჩაბლინიც ჩამოვიდა. იგი წყნარად იჯდა მაგიდასთან და ხალხს ათვალთვრებდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მხატვრების ცხოვრებაზე აპირებდა ფილმის გადაღებას. იცნეს. ბოლოს გაეცინა და წავიდა.

პიკასოს რამდენიმეჯერ შევხვდი. ისიც „როტონდამი“ გავიცანი. გამოიარა თავისი პატარა თეთრი ძაღლით და ჩემს გვერდით მაგიდასთან დაჯდა. მერე ჩემკენ მოტრიალდა და მკითხა, რომელი საათიაო. არაფრანგული აქცენტი მქონდა ალბათ და ჩემი ვინაობით დაინტერესდა. მე პიკასო ვარო, მითხრა და მთლიანად მოტრიალდა ჩემკენ. გამომკითხა — როგორ ხარ, გამოფენებში თუ იღებ მონაწილეობასო. კი-მეთქი. გაეცინა, შენ უკვე წინ წასულხარო. მერე გამაფრთხილა: არ დაიჩაგრო, აქ პარიზიაო.

ყოველ კვირა დღეს მხატვრები ჰყენდნენ სურათებს ბულვარზე. პიკასოც მოიტანდა ხოლმე. იდგა თავისი ჩიბუხით. დილის ექვსი საათიდან იყრიდა თავს ხალხი. მაშინვე დადგებოდა რიგი. იყო ერთი ამბავი. გამოლიოდა გამოფენის პროგრამა. ერთხელ ორივეს ერთ კედელზე მოგვიხდა გამოფენა. ხშირად გადმომძახებდა ხოლმე, რა ჰქენი, როგორ მიდის საქმეო. საერთოდ, პარიზში გატარებული წლები ნაყოფიერი იყო...

— ტექნიკის სწრაფი განვითარება, თქვენი აზრით, რა გავლენას ახდენს მხატვრობაზე?

— ახალი აღმოჩენები, ახალი ტექნიკა თავისებურ დინამიურობასაც ჰქმნის და მხატვრობაც მიჰყვება ამ ახალ აღმოჩენებს.

— როგორ ვესმით ნოვატორობა ხელოვნებაში?

— საკმაოდ სასიფათო საქმეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი ხელის მოქნევით გახსნა ახალი სამყარო. ნოვატორობა ბოლოსდაბოლოს ისაა, რომ შექმნა რაიმე ახალი და დამაჯერებელი. ისე კი, უმჯობესია ამ სიტყვის ნაცვლად სიახლე ვინმართ.

— ვინ არიან თქვენი საყვარელი მწერლები?

— ბევრი მწერალი მიყვარს: რუსთაველი, საბა, ბარათაშვილი... ბარათაშვილი ძალიან მალეღვებს, ხშირად მაგონდება, ვაჟა, გალაკტიონი...

— მუსიკა თუ გიყვართ?

— რა თქმა უნდა. მუსიკა წმინდს, ასუფთავებს ადამიანის სულს. მუსიკა ^{არა} და ც გამოუთქმელი საოცრებაა, რომელსაც უსასრულობაში გადაჰყავს ^{გველენება} და ც არის ნათქვამი, გემოვნება გონების გრაციააო. ეს მთლიანად მუსიკას ენება. როდენმა კარგად თქვა: როცა უსმენ გედს, საშინელი ხმა აქვს, მაგრამ მის მიხვრა-მოხვრას რომ შეხედავ, ეს არის რაღაც ესთეტიური, ამაღლებული ჩვენებაო. მუსიკა არის მასში, ხმაში კი — აღარ. მაგალითად, სახელდარს არც მოძრაობა აქვს ლამაზი და არც ხმა. ამიტომ იხსენიებენ ავად. მაგრამ მე მაინც პატივს ვცემ და ჩემს სურათებში გამოჩნდება ხოლმე, როგორც პერსონა გრატა.

— მორის რეინალს სად შეხვდით. როგორ დაიწერა მისი მონოგრაფია თქვენზე. შემდეგშიც ხომ არ გქონიათ მასთან ურთიერთობა?

— ეს იყო ერთ-ერთი სალონის გამოფენაზე. პოლონელი ამხანაგი მყავდა, ვვარად რომი. მან მითხრა, აი აქ არის ერთი ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე, შენი ნახატები მოსწონს და გაცნობა უნდაო. სახელოსნო იუგენსის ქუჩაზე მქონდა. იქ შეხვდით. ვესაუბრე საქართველოს წარსულზე, მის კულტურაზე. მითხრა, საქართველოს ვიცნობ, ზოგი რამ წამოიკითხავს მასზე, მაგრამ ამ ქვეყნის წარმომადგენელს ზირველად ვხვდები და, თუ ნებას მომცემთ, თქვენზე დავწერო. მადლობა გადაუხადე. ცხადია, გამიხარდა. მართლაც, ისე მახვილი თვალი მქონია, ერთი ნახვით დაუხსომებია ყველაფერი. წიგნი გამოვიდა 1925 წელს.

რეინალს შემდეგაც ვხვდებოდი ხოლმე სალონებში გამოფენებზე, ახლო ურთიერთობა კი არ გვქონია.

— როდის იგრძენით, რომ მხატვრობა თქვენი მთავარი მოწოდებაა?

— ზუსტად არ მახსენდება, მაგრამ ურთი ცხადია: მხატვრობა რომ გასართობი საქმე არ ყოფილა და მას რომ დიდი კანონები და მიზნები მქონია, ეს გვიან გავიგე. ვგონებ 1903 წელი იყო. ჩვენმა სამხატვრო სასწავლებელმა ექსკურსია მოაწყო ველათში. მე მაშინ მესამე კურსზე ვიყავი. როცა ტაძარში შევედი, საოცარი განცდა დამეუფლა. ფანტასტიკური სანახავი იყო, მზე საკმლიდან რომ უჭვრეტდა ღვთისმშობლის მოზაიკას. მზის სხივი ისე ანათებდა მას, რომ არასოდეს დამავიწყდება.

საერთოდ, გელათის ფრესკებმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. აქედან დაიწყო ყველაფერი. სურვილი, რომ ცოტათი მაინც ვყოფილიყავი ამ გზის გამგრძელებელი, დღემდე ცოცხლობს ჩემში.

— როცა სურათზე მუშაობას იწყებთ, გამიზნული გაქვთ თუ არა... მე მინდა გკითხოთ, ვყავთ თუ არა იდეალი, ვისთვის ან რისთვის ხატავთ?

— ეს საკითხი ცოტა რთულია. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჩემთვის. და კიდევ — საკუთარი ფანტაზიით შექმნილი იდეალისათვის, რომლისათვისაც ცოტას თუ მიუღწევია. საერთოდ, მხატვართა უმრავლესობა ქმნის საზოგადოებისათვის. მხატვარი სრულებითაც არ იმცირებს თავს, როცა მხედველობაში ჰყავს საზოგადოება და მისი გემოვნება. ყველა დიდი ნაწარმოები, რაც კი არსებობს, საზოგადოებისათვისაა განკუთვნილი, მაგრამ მათი შემოქმედნი, ჩემი აზრით, უპირველესად მაინც საკუთარი თავისა და თავისი ფანტაზიით შექმნილი მაყურებლისათვის ქმნიდნენ.

— რა აზრისა ხართ ექსპერიმენტებზე ხელოვნებაში?

— ექსპერიმენტი რომ არ ყოფილიყო, მე მგონია, ხელოვნება წინ ვერ წავიდოდა. ექსპერიმენტი მხატვრისათვის იგივეა, რაც მსახიობისათვის რეპეტიცია. ექსპერიმენტებით მხატვარს საშუალება აქვს ჩაატაროს პირობითი, ერთი შეხედვით, უჩვეულო ცდები, რაც ნამდვილ სურათზე მუშაობის დროს შეუძლებელია. ასეთი ცდა ზოგჯერ ესკიზის სახით უფრო ნამდვილი შემოქმედების ნიმუშია,

ვიდრე შემდეგ იმ ესკიზიდან დიდ ტილოზე გადატანილი სურათი. ვიღობ
მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ილუსტრაციები. ზიჩმა გააკეთა
ვარიანტი. პირველი — ესკიზის სახით, მეორე — ის, რომელიც წიგნში დაბეჭ-
და. ჩემი აზრით, პირველი ვარიანტი უფრო ფაქიზი და კარგია, ვიდრე სურათი.

მგონი ცოტათი კითხვას გადავუხვიე, მაგრამ ერთ მაგალითსაც მოვიყვან:
რუბენსი ხშირად უბრუნდებოდა ხოლმე ერთსა და იგივე თემას. განსაკუთრებით
პორტრეტებს და ის პირველი პორტრეტი, რომელსაც მოსამზადებელს უწოდებ-
და, პირადად ჩემზე უფრო მაღალ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე შემდეგ იმის
მიხედვით დიდი, მათემატიკური სიზუსტით შესრულებული პორტრეტი.

— თეატრის მხატვრობა თუ გაინტერესებთ?

— თეატრი ძალიან მიყვარს. მაგრამ მე პირადად არა ვარ თეატრის მხატვარ-
ი. ეს მხატვრობა მონუმენტურ პრინციპებთან არის დაკავშირებული, მე კი და-
ზგური ხელოვნების მოტრფიალე უფრო ვარ. აქვე ერთი მაგალითი მინდა მოვიყ-
ვანო (ამ შემთხვევაში — ჩემი სიტყვის საწინააღმდეგო). საფრანგეთში, ხშირად
არა, მაგრამ არც ისე იშვიათად, თეატრში მიიბატიყებდნენ ხოლმე, მაგალითად.
პიკასოს, რომელიც ახლოს არ არის თეატრთან. იგი სპექტაკლს თავისი უშუალო
შეგარძნებით აფორმებდა. ასევე იქცეოდა იაპონელი მხატვარი ფუჟიტა და სხვები.

მე თეატრში ძალიან ცოტა მიმუშავია (ასევე კინოშიც). მას თავისი სპეცი-
ფიური მხარეები აქვს და ვერ შევეგუე.

— სურათზე მუშაობას რომ ამთავრებთ, გაქვთ თუ არა გრძნობა, რომ იგი
დამთავრებულია?

— მუშაობის დროს არის პერიოდი, როცა გგონია, სურათი კარგი გამოვი-
და და კმაყოფილი ხარ (ცხადია, მე ჩემზე ვლაპარაკობ). შემდეგ დაობ საკუთარ
თავთან. ცოტა ხნის შემდეგ სულ აღარ მოგწონს. ამას თავისი გამართლება აქვს:
ემოცია, რომელიც გაიძულებს საქმის დაწყებას, მალე თავდება, იხარჯება. ამ
დროს გგონია, რომ კარგად გამოიყენე ენერჯია. შემდეგ კი გავა დრო და... მაშინ
შენ თვითონ ხარ მსაჯულიც, შემფასებელიც. იწყება ხელახლა მუშაობა. სხვა-
დასხვანაირად ხდება: ხან ისეა, ხან — ასე; ხან მაქვს გრძნობა, რომ დამთავრებუ-
ლია, ხან — არა.

— ახერხებთ თუ არა ნახატით სათქმელის მთლიანად თქმას?

— არა. ყველაფერს ვერ იტყვი. ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ძნელია.
მთლიანად რომ თქვა სათქმელი, ამას დიდი გამოცდილება და ხელოვნება სჭირ-
დება.

— სათაურებს როდის არკმევთ სურათებს?

— ზოგჯერ სათაურს იგონებ და სურათი მერე იწერება, ზოგჯერ სურათი
იწერება და სათაური არა ჩანს. ზოგჯერ სათაური აბნევს მაყურებელს, ზოგჯერ
სათაური ხსნის აზრს. მე მგონია, უმჯობესია სათაურები არ მიაწერონ სურათებს.
მაშინ მაყურებელს მიეცემა საშუალება, სურათს თვითონ გამოუგონოს სახელ-
წოდება. მაგალითად, ჩემს სურათებზე მაყურებელი ხშირად მეკამათება. ეს სა-
ხელწოდება ამას აკლებს მნიშვნელობას ან — არ შეეფერებათ. მაშინ თვითონ
ვეკითხები. იქნებ თქვენ მიკარნახოთ-მეთქი და ამ გზით ზოგჯერ ვაზუსტებ სა-
თაურს. ასეთი ურთიერთდაკავება მე საერთოდ მომწონს.

— მუშაობის დროს თუ უჩვენებთ სხვებს თქვენს ნამუშევრებს და თუ ახდენს
რაიმე გავლენას თქვენზე მათი აზრი?

— მე მგონია, არც ერთ მხატვარს არ ესიაზონება, დაუმთავრებელი სურა-
თი ვინმემ ნახოს, ასეთ დროს მითუმეტეს არასასიამოვნოა სხვისი შეხედულების
მოსმენა. შეიძლება მხატვარს მთლიანად შეეცვალოს აზრი, აეშალოს გუნება.
კვდილობ, უცხო თვალმა არ ნახოს ჩემი დაუმთავრებელი სურათი.



— გვიამბეთ, როგორ შეხვდით ნიკო ფიროსმანს?

— მე მას რამდენიმეჯერ შევხვდი. ის იყო მძალი. შექალაქებულნი ვართ და ნავ უკან გადავარცხნილი თმა ჰქონდა. მკრთალსა და მოტეხილ სახეს თან სდევდა იერი რაღაც სიღბილისა და სიწყინარისა, წვერი შეკრებილი ჰქონდა და უღვაშები — ქვევით დაშვებული. ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი და სქელი, საღებავებით დასერილი შარვალი.

მასსოვს, ერთხელ მხატვართა საზოგადოების კრებაზე შევიყვანეთ. გულზე ხელებგადაჯვარედინებული იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა. მისი სახე ფაჩულ სიხარულს და გაკვირვებას გამოხატავდა. ასე იჯდა მთელი სხდომის განმავლობაში და ხმა არ ამოუღია. სხდომის შემდეგ მას მხატვრები შემოეხვედნენ. პასუხს იძლეოდა მოკლედ. ლაპარაკობდა ცოტას.

— ჰოდა, რა გვინდა, ძმებო, იცით? — ამბობდა იგი, — უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხის სახლი, სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასათვის იყოს ახლო. შევიყაროთ ხოლმე, ვიყიდოთ სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე“.

მხატვართა საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა ნიკო ფიროსმანისათვის დახმარება გაეწიათ. გამოყვეს თანხა 200 მანეთის რაოდენობით. ფულის გადაცემა მე დამავალეს.

ნიკო ფიროსმანი კიბის ქვეშ ცხოვრობდა, სარდაფში. დამამახსოვრდა მისი პატარა ოთახი, კუთხეში მიყრილი ხელსაწყოები, მღებავისა და მხატვრის ვედრო, მუშაბა, საღებავები, ფუნჯები, დამამახსოვრდა მისი ნათქვამი:

„მუშაობა ასე უნდა. თქვენ კი კოსტუმებსა და პალტუხებში გამოწყობილნი მუშაობთ და გოლოვინის პროსპექტზე დასეირნობთ. არა, ეს არ შეიძლება. უნდა ჩაიცვა ძველი ფეშტამალი, ანთო ლამფა და მოაგროვო მჭვარტლი. უნდა დაჭკვა ფეხით კირი და გააკეთო უმარლი, აილო დიდი ფუნჯი და შეღებო კედლები თეთრი ან შავი ფერით, ძირიდან ჰერამდე. როგორ მოვიქცეთ, ავაშენოთ სახლი თუ არ ავაშენოთ!“

მას შემდეგ ვეღარ შევხვდი. ვეძებდი, მაგრამ ვერ ვნახე. საღაც, დიდუბის მიდებულ სარდაფში დალია სული. როდის მოკვდა, რა პირობებში ან ვინ დაჰმარხა, არავინ იცის.

— თქვენი აზრით, როგორი იქნება მხატვრობის მომავალი?

— ტექნიკის სწრაფი განვითარების გამო მხატვრობა უსათუოდ იცვლის სახეს, თემებს. ახალ მასალას სიუჟეტიც ახალი მოჰყვება. ხომ ხედავთ, როგორ იცვლება ცხოვრება. ისე შემოიჭრა ჩვენში კოსმოსის ამბები! ჯერ, ცხადია, ცოტა გვიძნელდება, გვიჭირს იმაზე მეტი ადგილი დავუთმოთ მას, ვიდრე ჩვენი ღღვანდელი გარემო და ცხოვრება მოითხოვს, მაგრამ ეს თანდათან მოხდება. სულის ემოციები ჯერ არ არის თემად გადაქცეული. მომავალში ერთ-ერთი მთავარი ადგილი, მე მგონია, ამ თემას დაეთმობა...

— რას იტყვით შემოქმედებით გავლენებზე?

— სანამ ხელოვანი ჩამოყალიბდება და მომწიფდება, იგი გავლენებს, ცხადია, ადვილად განიცდის. მერე უკვე იწმინდება, იხვეწება. გავლენა, საერთოდ, საშიში სრულებითაც არ არის. იგი დროებითია და დიდხანს არ ჩასახლდება ახალგაზრდა მხატვარში, თუ, რა თქმა უნდა, ის ნიჭიერია. ვიდრე შემოქმედი თავის წამდვილ სახეს იპოვიდეს, იგი ეძებს და გავლენების ქვეშაც ექცევა. შემდეგ თვითონვე თავისუფლდება.



პიოკი მიხანი

ხელახალი მთავარ მიხანს

ახალი თაობის კომუნისტური იდეებით — რევოლუციური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ლიტერატურას, თეატრსა და კინოს. მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებს აღზრდელობითი ფუნქციის შესრულება მაშინ შეუძლია, თუკი ეს ნაწარმოები გამსჭვალულია ეპოქის მოწინავე იდეებით და გამოხატავს კომუნისმის მშენებელი ხალხის სულისკვეთებას.

მე მსურს მკითხველებს გავუზიარო ჩემი ფიქრები და მოსაზრებანი საბჭოთა დრამატურგიის, თეატრისა და კინოს დიდებულ ტრადიციებზე, თანამედროვე ხელოვნების ზოგიერთ ტენდენციებზე.

ამ სამიოდე წლის წინათ ლიტერატურისა და თეატრის ზოგიერთი მოღვაწე სრულიად სერიოზულად ქადაგებდა „ეპოქის ერთიან სტილზე“. ამ, ასე ვთქვათ, ზოგადსაკაცობრიო მოვლენას დამცველებიც გამოუჩნდნენ. ცხოვრების რიტმს, კოსმიურ სიჩქარეებს, ჩვენი დროის სამოციანი წლების სრულყოფილ ტექნიკას, ატომის დაშლასა და სხვას ისინი არგუმენტებად იყენებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ „ეპოქის სტილი“ ერთნაირია ნიუ-იორკშიც, მოსკოვშიც, ბონშიც, რომშიც და სოფიაშიც. ორი სამყაროს იდეოლოგიური ბრძოლის ეპოქაში ამგვარად მსჯელობა მხოლოდ დასავლურ მოდას ბრმად ადაყოლილ ადამიანებს შეუძლიათ.

საკითხავია, გამოადგება თუ არა მოდა ლიტერატურასა და ხელოვნებას?

თუ მოსკოველი სტუდენტი ან ქარხანა „ქრასნი პროლეტარის“ ახალგაზრდა მუშა იმგვარად იცვამს, როგორც ამერიკელი ჭაბუკი ან ქალიშვილი, სულაც არ არის არაბუნებრივი და საკვირველი. მაგრამ საწყენია, როცა სცენაზე ან ეკრანზე ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან საბჭოთა ახალგაზრდისა და ბროდვეელი ყმაწვილის ხასიათები. ასევე გწყინს, წუხარ, როცა უყურებ სპექტაკლს, ან კითხულობ პიესას და უცებ აღმოაჩენ, რომ შენთვის საიდნადაც ნაცნობია ასე წერა, მიზანსცენების ამგვარად აგება, ნაცნობია ხასიათები, რომლებიც არამც და არამც არ ჰგვანან საბჭოთა ადამიანებს.

ხასიათი ადამიანის შინაგანი სამყაროა. მისი მსოფლმხედველობის არსი წარსული, აწმყო და მომავალია. ხასიათი საზოგადოებრივი წყობილების ნაყოფია. სამწუხაროდ, ზოგი ჩვენი ნიჭიერი დრამატურგი და რეჟისორიც კი ივიწყებს ამას.

მე, უწინარესად, მაშფოთებ ნიჭიერი ადამიანების დაბნეულობა. სწორედ მათ ხელეწიფებათ შექმნან საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და გმირობის ამსახველი ნაწარმოებები. მე ღრმად ვარ დაბნეულებული, რომ ადრე თუ გვიან ისინი ამგვარ დასკვნას თვითონ გამოიტანენ — საბჭოთა ცხოვრების ლოგიკა ასეთი. მაგრამ მათ დროულად უნდა დაენბაროს ჩვენი კრიტიკა, კი არ დააბნი-

ოს, როგორც ეს, სამწუხაროდ, ხშირად ხდება. მაგალითად, ჩვენ გავგახარა ახალგაზრდა დრამატურგის ე. რაძინსკის პირველმა პიესამ „თქვენ ოცდაორი წლისანი ხართ, მოხუცებო“, მართალია, ახალგაზრდა ავტორის ოსტატობა არ ჰყოფნიდა, მაგრამ ცოცხალი აზრი, თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებაში ძირითადის, ცხოველმყოფელის ხილვა გვაფიქრებინებდა, რომ ე. რაძინსკის ხელთ ჰქონდა სწორი იდეური კომპასი.

და აი, უცებ გამოჩნდა ე. რაძინსკის „მოღური“ ორიენტაციის ახალი პიესები: „ას ოთხი გვერდი სიყვარულზე“ და „იღებენ კინოს“. კრიტიკოსებმა ახალგაზრდა ავტორი კი არ გააფრთხილეს, კი არ აუხსნეს, რა საშიშროება მოელოდა დრამატურგს, თუ იგი ზოგიერთი მყურებლის მეშინაურ გემოვნებას აძყვებოდა, პირიქით, — ამ ნაწარმოებების ქებათა-ქებას მოჰყვენენ.

ჩვენს ხელოვნებას კი მუდამ ასაზრდოებდა და ასაზრდოებს მაღალი, კეთილშობილური იდეები და არა მოდა.

განა საბჭოთა თეატრისათვის მოდა იყო სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანიჩენკო, ე. ვახტანგოვი და ვ. მეიერხოლდი, კ. მარჩანიშვილი და თაიროვი? არა, მოდა არ ყოფილა. სცენის ამ უბედულო ოსტატებმა მაღალი იდეების, დიდი განზოგადებისა და რევოლუციური მგზნებარების თვითმყობადი ხელოვნება შექმნეს. თავიანთი შემოქმედებით არა მარტო ჩვენი საბჭოთა თეატრალური ხელოვნება გაამდიდრეს, არამედ მეოცე საუკუნის მსოფლიოს ყველა პროგრესული თეატრიც.

სამწუხაროდ, დღევანდელი პიესებისა და სპექტაკლების ბევრი გმირი ან „გაბრაზებული“ ახალგაზრდაა, ან გულნამცეცა ქონდრისკაცი, რომელსაც პირადი ცხოვრება ვერ მოუწყვია. განა ამგვარი „დევეროიზაცია“ მისადაგება ჩვენს იდეოლოგიასა და ცხოვრების სიმართლეს?

მოგიგონოთ გორკის პიესა „ფსკერზე“, სადაც ნაძირალებიც კი გმირებივით მეტყველებენ; ბევრ ჩვენს პიესასა და

სპექტაკლში კი გმირების ლაპარაკი რაღაც ქარგონული აბლაუბდაა და მეტწილად არაფერი. განა ეს სამარცხვინო ვარსებები განა შეგვიძლია გულგრილად ვუცქიროთ სცენას, სადაც თითქმის სულ მთლად მოისპო რევოლუციური ჰეროიკა, აქოდა „ჩუბჩული სცენიდან“ უკეთესიაო. „ჩუბჩულს სცენიდან“ მოდასაყოლილი რეჟისორები და კრიტიკოსები თავიანთი წერილებითა და გამოსვლებით დიდ რეკლამას უწევენ. ეს „ჩუბჩული“ კი თავიდანვე სპობს ყოველგვარ გმირულს. დიდი ვნებების გამოხატვა მითხოვს არა ჩუბჩულს, არამედ სმამლელა, მთელი ხმით ლაპარაკს სცენიდან.

უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციის შემდეგდროინდელმა სამხატვრო თეატრმა თავი ისახელა არა მარტო კლასიკური, არამედ გმირული სპექტაკლებითაც; „ჯავშნოსანი მატარებლითა“ და „ქრემლის კურანტებით“. მცირე თეატრმა საქვეყნოდ სახელი გაითქვა: „ლუბოვ იაროვაიითი“, „პორტ-არტურით“ და სხვა ჰეროიკული სპექტაკლებით. ოხლოპკოვის თეატრმა თავისი არსებობა დაგვიმტკიცა — „კოჩუბებით“, ჰეროიკული „ახალგაზრდა გვარდიითა“ და „სიმართლით“, ვახტანგოვის თეატრმა — „თოფიანი კაციით“, კამერულმა თეატრმა — „ოპტიმისტური ტრაგედიით“.

აი, ამგვარი სპექტაკლებით ზრდიდა საბჭოთა თეატრი ახალგაზრდა თაობის გმირულ სულს, აღვიძებდა ადამიანში გმირულ საწყისს. დღეს ჩვენი თეატრების სცენაზე, კინოეკრანსა და ლიტერატურაში იშვიათი როდია აპოლიტიკური, ცხოვრების უარყოფითი მოვლენების ამსახველი ნაწარმოებები. რა თქმა უნდა, მხატვარი გვერდს ვერ აუქცევს ცხოვრებისეულ ნაკლოვანებებს; ლიტერატურის, თეატრისა და კინოს მთავარი ამოცანაა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს ყველაფერს, რაც ხელს შეუშლის ჩვენს წინსვლას. სინამდვილეს დავამახინჯებთ, თუ შემოქმედების მთავარ თემად გავიხდით ცხოვრების მხოლოდ უარყოფით მოვლენებს.

ზოგიერთ კრიტიკოსს სურს გაამართ-

ლოს ამა თუ იმ მოდური დრამატურგის ნაწარმოები და ჩეხოვს იშველიებს — ჩეხოვი ცხოვრების მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე წერდაო. ერთი მიემართოთ თვითონ ა. პ. ჩეხოვს და წავიკითხოთ მისი პატარა ბარათი, მიწერილი ე. მ. შვეტროვისადმი 1891 წლის 16 სექტემბერს:

„ნიჭი, თუნდაც სემინარიელისა, ანათებს და ბრწყინავს უფრო, ვიდრე მელოტი თავი. თქვენ კი შეამჩნიეთ და ამოატივტივეთ მელოტი თავი, ნიჭი კი წყალში გადაადგეთ. თქვენ შეამჩნიეთ და ამოატივტივეთ აგრეთვე მსუქანი კაცი — ბრძრა! მსუქანია და ქონს გამოპყოფსო! მაგრამ სულ მთლად დაგვიწყდათ, რომ ის პროფესორია, ე. ი. ის არის კაცი, წლების მანძილზე რომ ფიქრობდა და აკეთებდა ისეთ რამეს, რამაც მილიონობით ადამიანზე უფრო მაღლა დააყენა. თავისმა შრომამ ყველა ვერიჩკაზე, ტაგანროგელ ყველა „გრეჩანკაზე“, ყოველნაირ სადილებსა და ღვინოზე უფრო ამაღლა. ნოეს ჰყავდა სამი შვილი: სემი, ქამი და მგონი იაფეტი. ქამმა მხოლოდ მამამისის ლოთობა დაინახა, ის კი დაევიწყდა, რომ იგი გენიოსია, რომ მან ააშენა კილობანი და კაცთა მოდგმა გადაარჩინა. კალმოსანმა ქამს არ უნდა მიბაძოს. ეს კარგად დავიხსოვრეთ“.

რა თქმა უნდა, ადვილია მაყურებელს გული აუჩუყო, შეაბრალო საწყალი, საცოდავი გმირი. მოუთხრო სცენიდან ბედისა და ყოფის უცნაურობაზე, სიყვარულზე, რომელიც ნაპერწკალივით ძნდება და ნელა ქრება, როგორც სტეარინის სანთლის პაწაწა ალი. გაცილებით ძნელია ისაუბრო, თუ რას ფიქრობდა გაგარინი კოსმოსში, სადაც მანამდე სულღერი არ ყოფილა.

გაივლის საუკუნეები, გაკვირვებულნი და მადლიერი შთამომავლობა უფრო აღტაცებით დაწერს გაგარინზე, ვიდრე დღეს კოპერნიკსა და გალილეიზე წერენ. კოსმოსის დამპყრობთა უბადლო გმირობა არის ერთი იმ ჰეროიკულ თემათაგანი, რომელსაც მხატვრებს ჩვენი სინამ-

დვილე გვაძლევს. ამგვარმა თემამ არ შეიძლება არ აანთოს ნამდვილი ხელოვნური ზოგჯერ მთავარი თემისაგან მსუქანი არიდებას მხატვრული აზროვნების თავისებურებითა და ტალანტის ორიგინალობით ამართლებენ. მართლაც, ცოტა როდი გვყავს ნიჭიერი რეჟისორი. ისინი ხელმძღვანელობენ მოსკოვისა და მოკაეშირე რესპუბლიკების თეატრებს. დავასახელოთ თუნდაც — ე. სიმონოვი, ბ. რავესკისი, ა. ეფროსი, გ. ლორთქიფანიძე, ი. ლიუბიმოვი და სხვები.

ნიჭიერება გულისხმობს მთელი რიგი თვისებების ერთობლიობას: სიმართლის მძაფრ გრძნობას, ემოციურობას, სახეებით აზროვნებას და ბევრ სხვა რამეს. მაგრამ მთავარია ტალანტის მიმართულება, მხატვრის იდეურობა. საწყენია, როცა ზოგიერთი კრიტიკოსი გვერდს უვლის ტალანტის ამ ძირითად თვისებას. არ უნდა დაგვივიწყდეს, რომ საბჭოთა თეატრი და დრამატურგია მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით როდი იყო ნოვატორული. სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისას მხატვრები თავიანთი ნაწარმოებებით ხალხს ეხმარებოდნენ ახალი ცხოვრების აშენებაში, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

მომავლის ხედვა, სინამდვილეს ნათელი და მართალი ასახვა — აი, რა ამაღლებდა, რა ამხედრებდა ჩვენს რევოლუციურ ხელოვნებას მოდასაყოლილთა წინააღმდეგ. ისინი ხომ ხელოვნებას მუდამ წვრილ-წვრილი ვნებებისაყენ, ურწმუნოებისაყენ, პესიმიზმისაყენ ეზიდებოდნენ.

შემოქმედისათვის ამოუწურავი მასალაა ჩვენი დროის გმირები, რომელთა შორისაც ვცხოვრობთ, რომელთა თანამედროვენი ჩვენს ვართ. ხმამაღლა ვილაპარაკოთ ჩვენს გამარჯვებაზე, ჩვენს დიდ დღეებზე — ეს ნიშნავს მხატვრულ სახეებში განვსახიეროთ კაცობრიობის ნათელი მომავლის იდეა. ხელოვნებაში იდეის ხორცშესხმა სოციალისტური რეალიზმის ძირითადი ამოცანაა.



გიუნთეკ შვინი

ათას ერთი საათი ლელვის ხის ჩრდილში

სტუმრად კეთილ მიგობრებთან
დიდებულ საქართველოში

აღმოსავლური საჭმელებით სავსე მა-
ჯიდას რომ შემოვუსხედით, მზე ჯერ კი-
დევ აფენდა ლელვის ფოთლების ჩრდი-
ლებს სუფრაზე, როცა წამოვდექით,
მზის მაგივრობას უკვე საქართველონ
ზღაპრული მთვარე გვიწევდა და სიახ-
ლის ბრწყინვალეობით ამკობდა ჩვენი მა-
სპინძლის მოკრძალებულ ოდას, სხვათა
შორის, სრულიად უპრეტენზიოდ რომ
იღვა იქვე. ასევე უპრეტენზიოდ იღვა
ბადის ფართო ჭიშკარი, რომლისკენაც
ახლა ფიქრებში ჩაძირული მივბიჯებდი.
მართლაც, ყველაფერი ძველი იყო ამ ბა-
ღში, ოდესღაც მამაბაბურ ყაიდაზე ნაყე-
თები და ნალოლიაგები. კოლმეურნეო-
ბის თავმჯდომარემ საიდუმლოდ გამან-
ლო, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, ჩვენს
მასპინძელ ქალს (სოფლის საავადმყო-
ფოს მთავარ ექიმს) და მის ქმარს (ეურ-
ნალისტს), კარგა ხანია, რაც ბინათმშე-
ნებლობის ამხანაგობის დახმარებით ახა-
ლი სახლი მიუღიათ. მაგრამ ახალ ბინა-
ში გადასვლა ჯერ კიდევ არ შეუძლიათ:
92 წლის მამა ძველი ქართული ჩვეუ-

ლებისამებრ მოითხოვს, რომ ოჯახმა მის
სიკვდილამდე წინაპართა სახლში იცხო-
ვროს.

„რასაკვირველია, ახალგაზრდა ცოლ-
ქმარს შეუძლია ეს წესი დაარღვიოს და
ახალ ბინაში გადავიდეს, — განაგრძობ-
და კოლმეურნეობის თავმჯდომარე, —
მაგრამ მოსუცის წყენინებას ვერ იდებიან
და ჩვეულებას არ არღვევენ. ასეა მიღე-
ბული მთელს საქართველოში: ჩვეულებ-
ასს იცავენ“.

ჩვეულებებს მარტო ფორმალურად
როდი იცავენ, ამას ბუნებრივი საჭირო-
ება მოითხოვს. ამაში მე დამარწმუნა
მრავალმა შემთხვევამ და, მათ შორის,
სოფელ აგუბჯაში ექიმ ციციხო ბარგან-
ძიასთან სტუმრობამაც.

სადღებრძელობები

როცა მასპინძლის ნაცნობ-მეგობრებ-
თან ერთად ეზოში ლელვის ქვეშ გაშ-
ლილ მაგიდას შემოვუსხედით, პირვე-
ლად ერთ-ერთი საბატეცემულო პირი
„თამადად“ აირჩიეს. მან ტრადიციული
ყანწი გაავსებინა, რომელშიც ორი თუ
სამი ჩაის ჭიქა ჩადის, მერე წამოდგა და
დაახლოებით თხუთმეტი წუთის განმე-
ლობაში ადღებრძელებდა ძვირფას გერ-
მანელ სტუმარს და მის სამშობლოს. სა-
ნამ თამადა ყანწს ცლიდა, დანარჩენები
მღეროდნენ, ინსტრუმენტები რომ არ
ჰქონდათ, ტურზე ხელებს მიიდებდნენ

ცნობილი გერმანელი მწერალი გიუნთერ შტა-
ინი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა)
მრავალი მოთხრობისა და რომანის ავტორია.

„ათას ერთი საათი ლელვის ხის ჩრდილში“,
რომელიც ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში დაბეჭ-
და მწერალმა, შარშან საქართველოში ყოფნის
დროს მიღებული შთაბეჭდილებებია.

და ხმამაღალ „ოჰ“ს გამოსცემდნენ. მეორე ყანწით თამადამ ჩემი თანმხლები რუსი სტუმარი აღდეგრძელა. შემდეგ ყანწი სუფრის მეორე პატივსაცემ პიროვნებას გაუწოდა და სთხოვა დაეღია მაგიდის წევრთა მშობლებისა და წინაპრების სადღეგრძელო. ამნაც, თამადის მსგავსად, ყანწი იმას გადასცა, ვისაც პატივს სცემდა და დაუმატა: მანდილოსნების სადღეგრძელო მიირთვიეთ.

ასე გადადიოდა ყანწი ხელიდან ხელში, და ვისაც კი იგი ხელთ ეპყრა, სადღეგრძელოს სვამდა, დანარჩენები კი ყურადღებით უსმენდნენ და კრიტიკულად აფასებდნენ მის სიტყვებს. თუ სადღეგრძელო ორიგინალური და გონებაშახვილური გამოვიდოდა, თანაც, შიგ თუ ცოტა ოუმორიც გამოერეოდა, ორატორს მჭუხარე ტამით აჯილდოებდნენ. ამრიგად, მოქეიფეთა შორის გაიმართა შეჯიბრი. ყველა ერთმანეთს უმასპინძლდებოდა. ღვინიანი ყანწის მაგიდაზე „დადგმა“ არ შეიძლება და აუცილებელია მისი გამოცლა; ამიტომ, ბუნებრივია, ძნელი იყო ამ სულიერ შეჯიბრში წინა ორატორზე გამარჯვება. შეჯიბრების ამ ძველი ჩვეულების წყალობით სუფრაზე საზეიმო განწყობილება სუფევდა, რაც, უნდა გამოვტყდე, გერმანიაში ბევრჯერ მინატრია ხოლმე.

ოპროს ღვინო

რასაც ჩვენ ვსვამდით, ბუნებრივია, წმინდა ქართული ღვინო იყო, ღვინო კახეთისა, რომელიც ვენახების მხარედ ითვლება. უკანასკნელ საერთაშორისო შეჯიბრებაზე (1965 წ. თბილისი) აქაურმა ღვინომ ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურა და უკეთესი შეფასება მიიღო, ვიდრე ესპანურმა, ფრანგულმა და იტალიურმა. ქართველებს ოდითგანვე ღვინის დაყენების თავიანთი საკუთარი მეთოდები აქვთ. ევროპაში ყურძნის დამუშავებისას მარცვლებსა და კლერტებს ერთმანეთს დააცილებენ, წვენს გამოწურავენ და ჩაასხამენ ხის კასრებში, რომლებსაც სარდაფებში დგამენ, ქართველები კი მთელ მტევნებს

კლერტებიანად, მიწაში ჩაფლულ ვაგებრთელა ქვევრებში ჩასწურავენ. მთლიანებისა და ჩენჩოებისაგან ცრტ-მოგვიანებით ქართულ „ჭაჭას“ — საუცხოო არაყს ხდიან, რომელზედაც საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნაა. ქართული მეთოდებით დაყენებული კახური ღვინო არასოდეს ძმარდება, ინებეთ და თვითონ გასინჯეთ!

კახეთის იყალთოს აკადემიის სწავლულები, რამდენადაც მე ამის დადგენა შევძელი, თავისი ქვეყნის დიდებულ ღვინოს მარტო წიგნებით როდი იცნობდნენ. უკვე მე-11 საუკუნეში მათ ამ ღვინოებით უამრავი ქვევრი ჰქონდათ საგსე თავიანთ მარნებში. მაგრამ ამან მე ნაკლებად გამაოცა. როგორც ცნობილია, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზეც მიირთმევდნენ ძვირფას წვეთებს მონაზვნები, ხოლო იყალთო მონაზვნების მიერაა აშენებული. მე ვიკითხე აშენების წელი:

„იყალთოს მონასტერი მეექვსე საუკუნეშია აგებული“, მიპასუხა მარნის დირექტორმა. „მეექვსე საუკუნეში?“ გაკვირვებულმა ხელახლა შევათვალე რე საქართველოს ლურჯი ცისკენ თეთრად ატყორცნილი შენობა. ამაოდ ვცდილობდი გამეხსენებია თუ როდის დაიწყეს ჩვენმა წინაპრებმა ქვითხურობა და მომავალად მხოლოდ, რომ რვაას წელს კარლოს დიდმა აახენში იტალიელების წაბაძვით სასახლე და ეკლესია ააშენებინა, ესე იგი — ორი საუკუნის შემდეგ! ასევე ითქმის ლიტერატურაზე: უძველესი ქართული ნაწარმოები მეოთხე და მეხუთე საუკუნეებს განეკუთვნება. საუცხოოა, — გავიფიქრე მე, — მაშასადამე, თქვენ მაშინ უფრო მარჯვედ ყოფილხართ, ქართველებო! მაგრამ დღეს?

მარნის დირექტორი ეტყობა მიმიხვდა და მითხრა: „ეს აკადემია ადრეული შუასაუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო, რომელშიც, სხვათა შორის, რუსთაველსაც უნდა მიეღო განათლება. იგი უკვე დანგრეულია, მაგრამ ხედავთ, ავერ, თანამედროვე

გრძელ შენობას? ის იყალთოს სახალხო უნივერსიტეტია!“

კვლავ წარსულისა და აწყმოს პარალელური განვითარება! მაგრამ იქნებ ეს პარალელური განვითარება კი არა, პარონიული შერწყმა?

სახალხო უნივერსიტეტი

შარნის დირექტორმა ამიხსნა, რომ ეს სახალხო უნივერსიტეტი სოფლის აკადემია როდია, როგორც ალბათ თქვენ გგონიათ. ეს კია, რომ აქ არის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი, სადაც კოლმეურნეები ცოდნას იმაღლებენ, მაგრამ, გარდა ამისა, აქვეა მედიცინის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტები. სწავლა სახალხო უნივერსიტეტში სადამოუბოთ ან შაბათ-კვირას მიმდინარეობს. ლექციებს კითხულობენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორები, ცნობილი მწერლები, მხატვრები და მედიცინის მუშაკები. უმაღლესი სასწავლებლის მსგავსად, აქაც სემესტრობით სწავლაა. ყოველი სემესტრის ბოლოს გამოცდებს აბარებენ და ფაკულტეტის დამთავრებისას დიპლომს იღებენ. ეს დიპლომი კონსერვატორიაში ან სხვა სპეციალურ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას იძლევა.

მხატვართა ქვეყანა

„რამდენი სტუდენტი სწავლობს ლიტერატურასა და ხელოვნებას?“ ეს კითხვა განსაკუთრებით მაინტერესებდა. 149 მსმენელიდან, რომელთაც 1965 წელს მიიღეს დიპლომები, 58-მა ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტი დაამთავრა. ეს ხელოვნების მოყვარულთა საოცრად მაღალი პროცენტია ამ განმარტობული კუთხისთვის. რატომ? ვეკითხები ჩემს თავს. ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. ცნობილია, რომ ხელოვნების დღევანდელი დონე საქართველოში წარსულისას არ ჩამორჩება. მხატვართა საქართველო კვლავ მხატვართა მხარედ დარჩა. და განა მართო ეს ითქმის? არ-

ქიტექტურაზე პირველი შთაბეჭდილება იყალთოში მივიღე. ქართულ ოქროსვედლობაზე — თბილისის ხელოვნების ტორიის მუზეუმში, განსაკუთრებით, ევროეფოდებულ „კასეტების“ დაბაზეში, სადაც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის უთვალავი ძვირფასი თვლებით შემკობილი და ოქროთი ნახელავი წმინდანებისა და მთავრების სურათების ნახვით გაოცებულმა კვლავ ვეკითხე: „როდის დაიწყეს თქვენმა წინაპრებმა ოქრომჭედლობა?“ უძველესი ოქროს თასამ „კასეტაში“ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეს მიეკუთვნება...

„პატარა პარიზი“

ვინც დღეს თბილისში დიდი ქადრებით დაჩრდილულ რუსთაველის პროსპექტზე მოსიარულე შავთმიანი ახალგაზრდა ქართველების გამხდარ, მხიარულ და ამაყ სახეებს შეხედავს, ვერც კი წარმოიდგენს იმ მწარე საუკუნეებს, როცა მათი წინაპრები უცხოელთა ბატონობის უღელქვეშ გმინავდნენ. ვინც შეავგვრემან, წითელი ფერის ტანსაცმელში გამოწყობილ, მოკლეკანიან ქართველ გოგონებს შეხედავს, უნებლიეთ პარიზი მოაგონდება. შემთხვევითი არ არის, რომ თბილისს „პატარა პარიზს“ უწოდებენ. გარდა ამისა, თბილისი ისევე სუფთა, არქიტექტურულად მიმზიდველი და მწვანე ქალაქია, როგორც ზაზნეშტადტი. მას შეუძლია მისაბაძი გახდეს დიდი ქვეყნების ბევრი ქალაქისათვის.

ქართველს რომ სამხრეთ საფრანგეთში ან ჩრდილო ესპანეთში შეხედდ, გაიკვირდება მისი გარჩევა ადგილობრივ მკვიდრთაგან. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იგრძნეს ფრანგმა სწავლულებმა, რომ 2,5 მილიონ ქართველს, უჩვეულო, ყველა ინდოევროპული ენისაგან განსხვავებული ენის მქონე ხალხს, სადაც, ქვეყანაზე, ნათესავი უნდა ჰყოლოდა. მათმა ვარაუდმა საბაბი მისცა საბჭოთა ენათმეცნიერს ნ. მარს საფუძვლიანი კვლევისათვის. ეს კვლევა რომ დამთავრებული იყოს, მაშინ შეიძლება დაგვემ-

ტვიცები საოცარი ვარაუდი; სახელ-
დობრ ის, რომ ქართველებს შორს, მით-
გან ათასობით კილომეტრზე გადასა-
ნული, დასავლეთ პირენეებში მცხოვ-
რები ბასკები ენათესავენბიან, რომელთა
რიცხვი (სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები
ბასკების ჩათვლით) სულ 930.000 კაცს
უდრის.

საქართველოს მწერალთა კავშირის
მდივანი, ლირიკოსი იოსებ ნონეშვილი,
პოეტი, რომლის გვერდით ქუჩაში გავ-
ლა შეუძლებელია, რადგან ყოველი
მხრიდან ესალმებიან და ადგილიდან და-
ძვრის საშუალებას არ აძლევენ, შარშან
პირენეებში ყოფილა. მან მიაშბო, რომ
მარის თეორიის სისწორე საკუთარი გა-
მოცდილებით დამტკიცა: ყოველდღიუ-
რი ცხოვრების ბევრი საგანი, ბევრი
ცნება და გამოთქმა ბასკურად ისევე
ჟღერს, როგორც ქართულად.

„ზოგ ადგილებში მე ბასკებს ჩემს
მშობლიურ ენაზე ვაკვირებინებდი“, მითხ-
რა ნონეშვილიმა სიცილით, „ალბათ, უფ-
რო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდი:
ჩვენს მშობლიურ ენაზე, ჩვენი საერთო
მშობლის ენაზე“.

ძართული სახელმწიფოებრიობა

ჩვენს წელთაღივცხვამდე VI-IV საუ-
კუნეებში თანდათანობით შექმნილი სა-
ქართველოს სახელმწიფო შემდეგში ას-
ევე თანდათანობით მოექცა რომის, ბი-
ზანტიის, სპარსეთის, არაბეთის და უფ-
რო გვიან — მონღოლეთის ბატონობაში.
ცარიზმის წლებში საქართველო ნახევ-
რადკოლონიური ქვეყანა იყო. მუდამ
უცხო ბატონობის წინაღმდეგ მებრძოლ
ამ პატარა ხალხს გამუდმებით უნდა ეზ-
რუნა თავისი ეროვნული თავისებურე-
ბისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნე-
ბისათვის. ამრიგად, ვისაც სურს გაიგოს,
თუ რატომ იცავენ ქართველები ჩვენთ-
ვის, ევროპელებისათვის, ნაწილობრივ
გაუყვებარ ძველ ჩვეულებებს, ცხადად
უნდა წარმოიდგინოს ამ ხალხის ცხოვ-
რების ისტორიული გზა. მაშინ ადვილ-
მისახვედრია, რომ ამ ჩვეულებებს
ღრმად აქვთ ფესვები გადგმული და თა-

ვინათი ისტორიული გამართლება აქვთ.
ქართველები ამაყობენ, თავიანთი ეროვნ-
ული თავისებურება მრავალმხრივ
ბრძოლაში რომ დაიცვეს. ამაყობენ იმი-
თაც, რომ რუსი ხალხის დახმარებით.
რომელსაც ქართველები დიდად უმად-
ლიან, შეძლეს მშობლიური ქვეყანა საბ-
ჭოთა ქვეყნის უმდიდრეს რესპუბლი-
კად ექციათ. დიდი მნიშვნელობისაა სა-
კუთარი მძიმე ინდუსტრია, რომელიც
საქართველოს ნახშირზე მუშაობს და მა-
ლაღვანეთთარებული მანქანათმშენებ-
ლობა. მაგრამ, პირველ ყოვლისა, უნდა
აღინიშნოს კოლმეურნეობათა და საბ-
ჭოთა მეურნეობათა სასოფლო-სამეურ-
ნეო პროდუქტები: ჩაი, თამბაქო, ფორ-
თოხალი, ბოსტნეული და ზეთისხილი.

საქართველოს მომგებიანი სასოფლო-
სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ჩვე-
ნთანაც მეტად ძვირად ფასობს, ეს არის
ჩაი. თუკი ვასულ საუკუნეში, ყინვიანო-
ბის გამო, ციტრუსებიდან მხოლოდ ლი-
მონის მიღება შეიძლებოდა განსაზღვ-
რული რაოდენობით და ფორთოხლის
მოსავალიც მეტად მცირე იყო, დღეისა-
თვის ჩაის პლანტაციებმა მოლოდინს გა-
დააქარბა: საბარგო მანქანები ვერც კი
ასწრებენ სურნელოვანი ტვირთის გადა-
ზიდვას, ხოლო ფორთოხალი უკვე აღარ
არის დეფიციტი. ჩაი საქართველოს ოქ-
როა...

სწორუპოვარი ბანათლება

შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებაც
საქართველოს ოქროა. ამ მხრივაც ქართ-
ველებს საამაყო მიღწევები აქვთ. სხვა-
თა შორის, მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს
ქართველმა მეცნიერებმა: ქიმიკოსებმა
მელიქიშვილიმა და პეტრიაშვილიმა; ფი-
ზიოლოგმა თარხნიშვილიმა; ფილოლო-
გებმა ჩუბინაშვილიმა, ცაგარელიმა, მარმა
და ხაჩანაშვილიმა; ისტორიკოსმა ბაქრა-
ძემ და პედაგოგმა გოგებაშვილიმა. რაც
ერთხელ, ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში,
იყალბოს აკადემიაში დაიწყო, სახელ-
დობრ — ქართული მეცნიერების ჩამო-
ყალიბება — გაავრძელეს ამ მეცნიერე-
ბმა და მათმა მოწაფეებმა, რომლებიც,



შეიძლება ეს სიმბოლოურიც იყო და... —
 გარკვეული რაოდენობით იყალთოს სა-
 ხალხო უნივერსიტეტებიდან გამოდიან.
 მე ვიცოდი, რომ განათლებას საბჭოთა
 კავშირში მეტად დიდი ყურადღება ექ-
 ცეოდა. მაგრამ როგორ გავვოცდი, როცა
 გავიგე: განათლების დონე, საბჭოთა კა-
 ვშირის ფარგლებს მიხედვით, ყველაზე
 დიდი საქართველოში ყოფილა: ყოველ
 1000 ქართველში 38 უმაღლესი განათ-
 ლებითაა! ეს ციფრი სამნახევარჯერ უფ-
 რო მაღალია დასავლეთ ევროპის ქვეყ-
 ნებთან შედარებით, სადაც ხშირად წინ-
 დაუხედავად მსჯელობენ აღმოსავლეთის
 მოჩვენებით წინსვლაზე.

„უშპნიშანი“

ყველაფერი ეს თავში მიტრიალებდა,
 როცა 1300 წელზე უფრო ძველი ჯვრის
 მონასტრის ეზოში ვიდექი და საქართვე-
 ლოს უძველესი დედაქალაქის — მცხე-

თის ვაკეს გადავცქეროდი. იქ, ქვეყნის
 სადაც მტკვარი და არაგვი ერთვის მდინარე
 პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიც-
 ხვამდე ქართველებმა ცხარე ბრძოლა გა-
 უმართეს რომელ სარდალს პომპეუსს;
 იქ, ქვეყით, დაიწყო ტანჯვის გზა ამ მა-
 მაცი ხალხისა. გაღმა მთაზე, საქართვე-
 ლოს სამხედრო ვზის ანლოს, თანამედ-
 როვეობის შუქნიშნად აღმართულა თე-
 თრი შენობების ლამაზი კომპლექსი —
 ატომბულის კვლევის ცენტრი.

„თქვენ უპალტოოდ შეგცივათ, — მი-
 თხრა მზრუნველად ჩემმა თბილისელმა
 გამყოლმა, — მხოლოდ ოცი გრადუსი
 სითბოა!“

ქეშმარიტად, აღმოსავლელი კაცისათ-
 ვის ეს ზამთრის ტემპერატურაა. მაგრამ
 მჯერა, ოცი კი არა, ორი გრადუსიც რომ
 ყოფილიყო, მე არ გავცივდებოდი ამ არა-
 მართო მამაც, მარჯვე და ჭკვიან, არამედ
 გასაოცრად გულთბილ ადამიანთა შო-
 რის.

თარგმნა რეზა ჯაფარიძემ.





ღამია ნოზაძე

სიტყვა და მწერალი

ქართული პროზის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სასიქადულო მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობის გულდასმით შესწავლას. უაღრესად ძნელია მწერლის დაოსტატების გზა, რთულია სახეების სისტემისა და ხასიათების შექმნის, სიუჟეტისა და კომპოზიციის აგების საიდუმლოებათა გამომხეურება. ძნელია, მაგრამ აუცილებელი, რადგან დიდი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში ღრმად ჩახედვა ახალგაზრდა შემოქმედთა დაოსტატების საწინდარიცაა.

ამ წერილში შევეხებით სამწერლო ოსტატობის ერთ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო მხარეს — სიტყვათწარმოებას, სიტყვასთან დამოკიდებულებას, მწერლისა და მწერლობის როლს სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და განვითარებაში.

ენა რომ ხალხის საკუთრებაა, ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია ცნობილია. ენას ხალხი, საზოგადოება ქმნის და ასაზრდოებს. განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ ტომებსაც კი აქვთ საკუთარი ენა, რომელიც არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის.

ხალხის განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საერთო სალიტერატურო ენის შექმნა. სალიტერატურო ენა სანიმუშოა, იგი დამუშავებული და დახვეწილია მხატვრული სიტყვის ოსტატების მიერ.

.....ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა. შეუმუშავებელი: ვიდრე, დაქლოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადააჩრჩევს, კარგსა უეარვისისაგან არ გაჰსწმენდს, არ გაამშუჭნიერებს და დიდებულებითა არ აღიყუანს სალიტერატურო სამფლობელოსში, მერმე იმ გალამაზებულსა ენასა გამშუჭნიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევ იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა, და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა...“ — წერდა გრიგოლ ორბელიანი (თხზ. სრული კრებული, თბილისი, 1959).

ბუნებრივია, ეროვნული სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრებაში უდიდეს როლს ასრულებენ მწერლები.

საერთო ხალხური ენის ლიტერატურული დამუშავება ყველა მწერლის საპატიო მოვალეობაა. მწერლის ენა სანიმუშო უნდა იყოს. ნიჭიერი მხატვარი არ-

ჩვეს ხალხური ენის ზღვა მარაგიდან ყველაზე ნათელ, მეტყველ და ტიპობრივ მასალას. სალიტერატურო ენაში დიალექტებიდან შემოაქვს ემოციური და სიცოცხლისუნარიანი სიტყვები, აღადგენს მივიწყებულს, ქმნის ახალს, იყენებს ენის უსაზღვრო გამომსახველობითს შესაძლებლობებს. გამოცდილი ოსტატის კალმით იცხრილება და სინატიფეს იძენს ენის ლექსიკა.

მშვენივრად ამბობს ვაჟა: „მწერალს, უპირველესად ყოვლისა, საკუთარა „ენა“ უნდა ჰქონდეს, ცინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვთქვათ, — მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“.

ქართული მხატვრული სიტყვის ჯადოქრის, მიხეილ ჯავახიშვილის ენა მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იყენებდეს მწერალი ხალხური მეტყველების დაუმრეტელ საუნჯეს. მის მოქნილ, უხვსა და ძარღვიან ენას ფესვები ღრმად აქვს გადგმული ხალხური ენის წიაღში. სიტყვები ბუნებრივად და მსუბუქად მისდევენ ერთმანეთს. მ. ჯავახიშვილის თხზულებებს კითხულობ თავისუფლად, ყოველგვარი დამაბულობის გარეშე, კითხულობ ისე, თითქოს თავზე გაწვიმს უამრავი ერთმანეთზე უფრო ლამაზი და ფერადი სიტყვა. მწერლის ენა ხან ზვიადი, შეუპოვარი და დაუნდობელია, ხან კი ხალვათი და ნაზი. ის კაცს აჯადოებს, იტაცებს, იპყრობს. კითხულობ დიდი მწერლის მხატვრულ ქმნილებებს და ექცევი რაღაც ახალ სამყაროში. გამჭვირვალე და კამკამა ფრაზების უკან დგებიან მწერლის გმირები. ნათლად და მკაფიოდ ხედავ მათ, ხედავ სწორედ ისეთ ადამიანებს, როგორებიც მწერალს უნდოდა დაეხატა.

ყველა ავტორი, რომელიც კი შეხებიდა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას, ხაზს უსვამს დიდი მწერლის მხატვრული ენის სიმდიდრესა და ხატოვანებას.

მ. ჯავახიშვილის ენის სინატიფე და სიმდიდრე შემთხვევითი როდია. მწერალი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ენ-

ის ცოდნას და ყველასაგან მოითხოვდა ენისადმი ფაქიზ მიდგომას. თავისი შეხედულებები ქართულ ენასა და მწერლის მოვალეობაზე მიხეილ ჯავახიშვილმა გამოთქვა წერილებში: „ქართული ენა“, „ქართული წიგნი და ქართველი მწერალი“, „ისევე ქართული ენის შესახებ“, „ლიტერატურული განცხადება“, „არც გამარტივება, არც გართულება“, „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“.

მ. ჯავახიშვილი ზედმიწევნით ფლობდა ქართული ენის სტრუქტურასა და უმდიდრეს ლექსიკას და ღირსეულად აფასებდა მას. „სიმდიდრე“, „მოქნილობა“, „ფერადოვნება“, „ღონე და გრიგალობა“, — აი ქართულის დამახასიათებელი ნიშნებიო, — აღნიშნავდა იგი. „ქართული ენა უმდიდრეს ენად ჩაითვლება“, — წერდა მ. ჯავახიშვილი 1928 წელს სტატიაში „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“.

მდიდარია ქართული ენა, მაგრამ მწერლის მართებული აზრით, იგი „დასრულებული და სამუდამოდ ჩამოყალიბებული რამ არ არის. იგი გამუდმებით განიცდის დუღილსა და ცვლილებას“.

„ხვალინდელი ქართული გუშინდელზე და დღევანდელზედაც უფრო მდიდარი და მტკიცე უნდა გამოდგეს“, — ასეთია მწერლის მოთხოვნა.

ვინ უნდა უხელმძღვანელოს ენის გამდიდრებისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საქმეს?

ამ კითხვაზე მ. ჯავახიშვილი სრულიად გარკვეულ პასუხს გვაძლევს: „ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა თავის ენა კულტად გადააქციოს და მისი ცოდნა-შესწავლა უპირველეს ვალად გაიხადოს“, მაგრამ მაინც „ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოს“. ენას სწავლობს და შერყვნისაგან იცავს გრამატიკა, მაგრამ დიდი მწერლის სიტყვებით, „მარტო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემოქმედიც, ან თავდაპირველად შემოქმედებ, რომელიც სანიმუშო დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის“.

მ. ჯავახიშვილი უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მწერალს. „საერთოდ მწერლობა ერის სულიერი კულტურის ერთ-ერთ დედაბოძად ითვლება. ასე იყო ყველგან და ყოველთვის. ასეა ჩვენშიც დღესაც“; „...იგი თავდაპირველად სოციალური საქმიანობაა, ხოლო მწერალი — პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურეა ერის“.

მ. ჯავახიშვილი გულსიტყვივით ლაპარაკობს მწერლებზე, რომლებიც სუსტად ფლობენ ენას: „ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა. იგი იოლად მიდის იმ „ცოდნით“, რომელიც გამოყოფს თავისმა პროვინციამ, და მისი სტილიც ამ პროვინციით განისაზღვრება... და ჩვენდა სამწუხაროდ, ეს აბასიათებს ჩვენ თანამედროვე მწერალთა დიდ უმრავლესობას. ყველა თავისი ქარგონით სწერს და ამ ველურ დრიანცელში იკარგება ის ენა, „რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა“; „ეს მტკივნეული ადგილი ყველამ უნდა დაინახოს, რომ შეჭზარდეს საკუთარი ნაწერი, და ენის განწმენდისათვის მომართოს თავისი ძალა და უნარი“.

იმისათვის, რომ მწერალი თავის სიმალეზე დადგეს, მ. ჯავახიშვილის აზრით, „ერთი პირობაა საჭირო: აკადემიური მუშაობა რამდენიმე ხნის განმავლობაში... ეს მისაღები უნდა იყოს იმითვის, ვისაც სწამს მწერლობა, როგორც ღვაწლი და უდიდესი პასუხისმგებლობა ერის წინაშე“.

მ. ჯავახიშვილი, თავისი ენის უდიდესი მცოდნე და პატრიოტი, აკრიტიკებს ყველას, ვინც ამღვრევს და ამახინჯებს ენას, მწერალი იქნება ის, ინტელიგენტი თუ რიგითი მოქალაქე. ქართული გადიტვირთა ბარბაროზმებით, ყარგონით. ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის ენა უმწეო და ღარიბია, შემოფარგლულია იმ კუთხის ლექსიკით, საიდანაც თვითონა გამოსული. ენა განსაცდელშია, მაგრამ „ნუთუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი, ილიასი, ავაკისა და ვაჟაი? დაუჯერებელია!“, — ასკვნის ავტორი.

ქართული ენა გამძლეა და ძარღვიანი.

ჩვენი ხალხის ენა „მოქნილია, მსუქანია, კონკრეტული, სისხლით სავსეა და მწველია“, ხოლო „ჩვენდა საბედნიეროდ, ნამდვილი ქართული ლიტერატურა და ხალხური სალაპარაკო ენა ღვიძლი ძმები არიან“.

მ. ჯავახიშვილი კარგად იცნობს ენის განვითარების კანონებს და სწორად ახასიათებს მწერლის როლს ამ საქმეში.

„ზოგი სიტყვა კვდება, ზოგი იბინდება, ზოგიც თითქოს ისვენებს და შემდეგ ხელახლად ბრუნდება. ჩვენც მათი გაცოცხლებისა და შენარჩუნების გზას უნდა გავყუდეთ და ფრთხილად გავამიდროთ ჩვენი ენა ხალხურითა და ზოგიერთი მივიწყებული სიტყვით“, — წერს იგი.

მწერალმა არა მარტო უნდა გააცოცხლოს და შეინარჩუნოს მივიწყებული სიტყვები, არამედ უნდა აწარმოოს ახალიც. „სრულიად ახალი, უძირო სიტყვა თითქმის არასოდეს ფეხს არ იკიდებს. სამაგიეროდ მეტად გვეჭირდება ახალი წარმოებული სიტყვები, აშენებული უკვე არსებული სიტყვის ძირზე, და ქართული ენის მუშაობაც სწორედ ამ გზას უნდა დაადგინენ“.

მ. ჯავახიშვილის თხზულებანი სადგეა ავტორის მიერ ნაწარმოები თუ აღდგენილი სიტყვებით, რომლებიც ფერადოვნებასა და ემოციურობას მატებენ მის მეტყველებას.

ქართული ენა ადვილად ქმნის კომპოზიციებს. ცალკეული სიტყვები ადვილად წყვილდებიან და ქმნიან ახალ ლექსიკურ ერთეულებს. ქართული ენის ეს სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურება მთელი სისრულით გამოიყენა მ. ჯავახიშვილმა. და თუ მისი მეტყველება არაჩვეულებრივად ექსპრესიული და შთამბეჭდავია, ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მწერლის ენაში უხვად მიმოხვეული რთული სიტყვებიც.

უკონტექსტოდაც ნათელია ისეთ კომპოზიციითა დიდი ემოციური ძალა, როგორებიცაა: ნ ა თ რ ე ვ ნ ა ხ ე ტ ი ა ლ ი, ქ ღ ა რ უ ნ - ხ რ ი ა ლ ი, გა ლ ე შ ი ლ ა ტ ა ც ე ბ უ ლ ნ ი, დ რ ი ა ლ - ს ი მ დ ე -

რ ა , ნ ა კ ბ ე ნ - ნ ა თ ე ლ ა ვ ი , წ კ მ უ - ტ უ ნ - დ მ უ ი ლ ი და მ რ ა ვ ა ლ ი ს ხ ვ ა (მაგალითები ამოწერილია მ. ჯავახიშვილის თხზულებათა უკანასკნელი გამოცემიდან, ტ. I-VI, თბილისი. 1958-1964).

მ. ჯავახიშვილის სიტყვათმეოქმედება არ სცილდება სალიტერატურო ენის ტრადიციულ ნორმებს. მისი კომპოზიტები ენაში არსებულ მოდელთა მიხედვითაა მიღებული. რაგინდ უცხოდ უნდა მოგვეჩვენოს ავტორისეული რთული სიტყვები, დაკვირვებას იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ აქ ქართული სიტყვაწარმოებისათვის უცხო არაფერია. სიტყვები ახლებურ სემანტიკურ ნიშნებს იძენენ მნიშვნელობათა კომბინაციის საფუძველზე. მაგალითად, ქართულისათვის ბუნებრივი პროცესია კომპოზიტის წარმოება ორი სახელისაგან. ამგვარ სიტყვებს აკაკი შანიძე ტოლადმურწყულს უწოდებს. ესენია: ბედ-იღბალი, თვალ-წარბი, წვერ-ულვაში, შიშველ-ტიტველი და სხვ. მ. ჯავახიშვილი ერთგულია ტრადიციისა, მაგრამ ნოვატორიცაა. ამ მოდელების მიხედვით ქმნის საკუთარ კომპოზიტებს: თ ვ ა ლ - კ ბ ი ლ ი („სადღაც და ოდესღაც შემხვედრია ეს თვალ-კბილი, მაგრამ სად?“); ტ ო მ - ვ ე ნ ა ო ბ ა („...ამით თავისი ტომ-ვინაობა დამიდასტურა...“); მ კ ლ ა ვ - მ კ ე რ დ ი („მას არსენას მკლავ-მკერდმა დიდი შრში მისცა, მაგრამ მაინც კუჭატნელს მიეშრო და ოქროს საათი მოიხსნა.“); კ ბ ი ლ - ტ უ ჩ ე ბ ი („ოოოჰ, ხათუთა-ქალო! შენი კბილ-ტუჩები!“); წ ყ ე ვ ლ ა რ ი ს ხ ვ ა („...დედ-მამამ წყევლა-რისხვის წერილი მისწერა...“).

განსაკუთრებულ დინამიურობას სძენს მ. ჯავახიშვილის თხრობას სახელზმნებით — საწყისებითა და მიმღობებით — შედგენილი რთული სიტყვები.

მ. ჯავახიშვილის თხზულებებში რთული სიტყვების ეს ტიპი მეტად მრავალრიცხოვანია. მისი საშუალებით ავტორი გადმოგვცემს ურთულეს ცნებებს. ერთი სიტყვით გვიხატავს მთელ სურათებს, გვამენიხებს ბრძოლის გამაყრუებელ ხმაურს და განგვაცდევინებს აღამიანის

სულის ძვრებს. სწორედ ამგვარი სიტყვების ხმარება აძლევს მწერალს საშუალებას, რომ მისი ფრაზა, როგორც თქვა ერთ-ერთმა კრიტიკოსმა, „პირდაპირ ხვდება მიზანში“.

მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მთელი მოქმედების ან სურათების ლაკონიური აღწერა, რასაც ავტორი ამგვარი სიტყვების გამოყენებით აძლევს. იგი აძლიერებს ემოციას, ფრაზას ანიჭებს მეტ გამომსახველობას, აზრტევადობას. „ხალხით სავსე გაკრიალებული ოთახი ქ დ ა რ უ ნ - ხ რ ი ა ლ ი თ პირდაპირ ყურხასკენ მოექანებოდა“. ქ დ ა რ უ ნ - ხ რ ი ა ლ ი ზედამოჭრილია სურათის ვადმოსაცემად. ან კიდევ: „...ეს ჩუმი ხმაური ცოლ-შვილის ს ლ უ კ უ ნ - წ უ წ უ ნ ა დ მელანდება“, „მთელი თავისი ქონება ...წ კ მ უ ტ უ ნ - დ მ უ ი ლ ი თ ნაშოგნი, ზედ ეკიდა“; „ლომბალო ჭყვირილ-ხარხარი თ ამოცოცდა ფანჯარაზე და ხელი კეტივით ამოფშოკა“; „რკინის მკლავები მომხვია... და გაცეხულ ცხენიდან წისქვილის მსგავსი რ ა ხ უ ნ - რ ა ხ რ ა ხ ი თ გადამიტაცა“; „მცირე დავა-ჩ უ რ ჩ უ ლ ი ს ზ ხეწნის შემდეგ ზედამდეგი შემოვიდა“...

ამგვარ კომპოზიტებში, ჩანს, მწერალი უმეტესად აერთიანებს ისეთ სახელ-ზმნებს, რომლებიც რაიმე ხმას (ჩურჩული, ჩიფჩიფი, ყიფინი, ხველა, შრიალი...) გადმოგვცემენ. საილუსტრაციოდ შეიძლება კიდევ დავასახელოთ უამრავი მაგალითი.

ზემოთ აღნიშნული ტიპის კომპოზიტთა თხზვისას მ. ჯავახიშვილი ზოგიერთ კომპონენტს განსაკუთრებით ხშირად იყენებს. მაგალითად, კ ი ვ ი ლ ი ათეულ სიტყვათმეორთებაში შედის პირველ ან მეორე კომპონენტად: კ ი ვ ი ლ - წ რ ი ბ ი ნ ი („როცა დაღამდებოდა, ღამის ფრინველი და ნადირიც მაშინ გაიღვიძებდნენ... და ამ უღრან ტყეს ღამის ჩამუნით, ფუსფუსით და კივილ-წრიპინით აცოცხლებდნენ“); კ ი ვ ი ლ - ქ ი ვ ი ლ ი („დვდაცაეები და ბავშვები კივილ-ქივილით გაცვივდნენ გაღავნიდან“); კ ი ვ ი ლ -

სიცილი („მარგო... ხან ფეხში ხელს წააგლებდა და კვილ-სიცილით დაითრევდა, ხან ჩაეკონებოდა“); სიცილ-კივილი („წიწილების, ჭუკების და ქათმების სიცილ-კვილი და ქრიაშული პაპაშას ხითხითსა და სტუმრების ხარხარს აწმობდა“); წყევლა-კივილი („იქიდან კიდევ კარგა ხანს ისმოდა მისი წყევლა-კვილი“).

ხშირად მეორედება კომპონენტებად აგრეთვე სიტყვები: სიცილი, ყვირილი, ქივილი.

რადგან ცალკეულ კომპონენტთა პროდუქტულობას შევხებით, აქვე უნდა მოვიხსენიოთ სიტყვები, რომელთაც მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით ხშირად მიმართავს სხვა ტიპის კომპოზიტებშიც. ესენი ძირითადად სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვებია. გული, მაგალითად, მრავალ კომპოზიტში გვხვდება: გულმოლოკილი („ვეყო, ამაზე მეტი რა გინდათ, — შევებით წამოიძახა გულმოლოკილმა ბატონმა და ბერს გადაეხვია“); გულმშრალი („გულმშრალი და ამაყი ქალია“); გულმარტივი („...მის ნაცვლად აღამიანური ალღო გაშიშვლდა — არსენსავით პირდაპირი, გულმარტივი და უმანკო“); გულხვადი („ვაჟი ვიყავ გულხვადი...“), გულმკვნესარი („დღღ-ხანს იჭდა დუქნის დირეზე... გულმკვნესარი თეიმურაზი“), გულშვებით („ისევ მობრუნდება თეიმურაზ ხევისთავი და გულშვებით გაიღიმებს“); გულისკვნესა („ზოგჯერ საქმეს გადაუხვევს და გულისკვნესით ამოიოხრებს“); გულთახშიერი („ეს გულთახშიერი მგოსანი და უთვალავი მკითხველი მუდამ ერთმანეთს ეჩურჩულებინან...“); გულძვირი („...ძმა შენიც აღარ იყოს გულძვირი შენთვის...“) და ა. შ.

ბევრ კომპოზიტს აწარმოებს სიტყვები: პირი (უმეტესად სახის მნიშვნელობით), ხელი, ფეხი, თავი, თვალი.

მაგალითები: პირგაყინული („აკი ვითმენ ამ გაჭირვებას, მეტი რა გინ-

და? — უპასუხებდა პირგაყინული მარგო“); „პირქუშიანი („შემწავს, მოწყვეტილი და პირქუშიანი“); პირსუფთა („ისეთი დედაკაცი არც უწინ მინახავს, არც მას შემდეგ შემხვედრია: მაღალი, სრული, პირსუფთა“); პირშეცვლილი („მახსოვს... წაღვერში ოდნავ ავად იყო — ოხრავს პირშეცვლილი დედა“); პირნერწყვი („პირნერწყვი მომდიოდა და ორივენი სიკვდილივით მძულდა“); ფეხსუსტი („აქა-იქ... ფეხსუსტი ქალებიც მოსჩანდნენ“); ფეხდათათხული (თეიმურაზი) „...ფეხდათათხულ ძაღლივით გამოტრიალდა“); თავაგლეჯა („ისინიც სიღონისავით ცახცახებდნენ და თავაგლეჯას ჰლამობდნენ“); ხელმარჯვება („...ხელმარჯვება და მუყაითობა გამოიჩინა“); ხელმარობა („ვინ მოსთვლის, ვინ ასწერს კვაჭის ხელმარობას“) და მისთ.

ზემოთ განხილულ საწყისებთან კომპოზიტებში ორივე კომპონენტი ხმების, ბგერების აღმნიშვნელი სიტყვები იყო. ბევრ შემთხვევაში მწერალი ხმისა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს აწყვილებს. ამგვარი კომპოზიტები გამოირჩევა სემანტიკური ტევადობით. მასში არა მარტო მოქმედება ჩანს, არამედ ისმის ხმაც, მოქმედებას რომ ახლავს თან. მაგ.: „მარტო კარბიჩა მოსხლტა და ტამბოველთა შორის ძვრენაჩურჩულს შეუდგა“. „არსენას ეზოში დათუნისა ყურში მიეგება... და ხტუნვა-წემუტუნით გაუძღვა შინისაკენ... „...ქალები შერცხვენინლ ხათუთას სირბილ-სიცილით მისდევენ“ და ა. შ.

საწყისებიან კომპოზიტებში ხშირია სინონიმური ან თანმიმდევარ მოქმედებათა აღმნიშვნელი სიტყვების დაწყვილება: ბორძიკ-ბარბაცი („ხევსურები ჯგუფ-ჯგუფად, ბოძიკ-ბარბაციით მოდიან მასპინძელთან და ენაბლულ ჰლულლულდებენ“); შემცირება-პატიება („ასტყდებოდა ჩივილი, ვაჭრობა, ღიჭინი, თხოვნა-მუდარა ორიოდე კოდი ხორბლის, ან რომელიმე ღალისა

და ვალის შემცირება-პატიებაზე“); და ა-ბ მ ა-მ ო წ ვ ე ლ ა („მას იღუპალი რამ თილისმა ჰქონდა ...ათთა და ასთა დაბმამოწველს, მათი გაკრეჭისა და გამოყენებისა“) და სხვ.

მ. ჯავახიშვილის სიტყვათშემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს მიმღეობათა დაწყვილებით მიღებულ კომპოზიტებს. მათი სიმრავლე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერლის ენას არაჩვეულებრივად დინამიურსა და ექსპრესიულს ხდის.

მიმღეობიან სიტყვათშეერთებაში ყურადღებას იქცევს პრევერბთა ხმარების თავისებურება. რთული სიტყვის კომპონენტები უმეტესად ზმნისწინიანებია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მიმღეობა არჩევს გეზსა და ორიენტაციას. საინტერესო ის არის, რომ ამისთანა კომპოზიტებში ზმნისწინებს შეძენილი აქვთ ახალი სტილისტიკური თუ სემანტიკური ფუნქცია, შეთხზულ რთულ სიტყვას მეტ ყდერადობას ანიჭებენ და სპეციფიკური შინაარსით ავსებენ.

რთულ სიტყვათა დიდი უმრავლესობის ორივე კომპონენტში მეორდება ერთი და იგივე ზმნისწინი, რაც სიტყვის სემანტიკას უფრო ინტენსიურსა და ემოციურს ხდის.

შედარებით ხშირად მეორდება: გ ა-, მ ო-, დ ა-, შ ე-ზმნისწინები. გვხვდება აგრეთვე რამდენიმე მაგალითი ჩ ა-, ა-ს გამეორებისა.

ამ ტიპის კომპოზიტთა გვერდით უნდა დავაყენოთ ნ ა-პრეფიქსით ნაწარმოებ მიმღეობათა დაწყვილებით მიღებული სიტყვათშეერთებანი, რადგან აქ ნ ა სტილისტიკურად იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც ზემოთ დასახელებული ზმნისწინები.

პრევერბთა გამეორების მაგალითებია:

1. გ ა-: გ ა თ ლ ი ლ-გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი („ალექსიმ ძალაუნებურად შეაღარა ერთმანეთს გათლილ-განათლებული კვაჭანტირაძე და ეს გაუთლელ-მოუხეშავი თათარი...“); გ ა ს რ ე ს ი ლ-გ ა ჯ ა ვ რ ე ბ უ ლ ი („და, ვასრესილ-გაჯავრებული, სწრაფად ჩაწვა ლოგინში“); გ ა-

წ ე წ ი ლ-გ ა დ ე დ ი ლ ი („გაწეწილ-გადედილი მარგო ხან ინისლებოდა“);

2. დ ა-:

დ ა ლ ე წ ი ლ-დ ა კ ე ც ი ლ ი („დალექსილ-დაკეცილი ავტომობილიც იმ სოფლისაკენ მიექანება“); დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ-დ ა ბ ნ ე უ ლ ი („შუბლს ისრესავდა, თითქო რაღაცას ჰფიქრობდა, თითქო დაკარგულს ეძებდა ან დაწყვეტილ-დაბნეულს ჰკრეფავდა“); დ ა მ დ ნ ა რ-დ ა კ რ უ ნ ჩ ხ უ ლ ი („ის ფეხები — ჩხირებივით დამდნარ-დაკრუნჩხული ფეხები — აღარაფერს ევითხებიან პატრონს“); დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ-დ ა ხ ლ ა რ-თ უ ლ ი („...ფიქრის ძაფი დაწყვეტილ-დახლართული, არეულ-დარეული მქონდა“)...

3. მ ო-:

მ ო ლ რ ე ც ი ლ-მ ო ძ ვ ე ლ ე ბ უ ლ ი („...ფეხსაცმელიც მოლრეცილ-მოძველებული ჰქონდა...“); მ ო ხ ა ტ უ ლ-მ ო ვ ლ ე ბ უ ლ ი („...მაგიდის ნაოჭიანი კალთები უწვრილესი არშიებით იყო მოხატულ-მოვლებული“); მ ო ქ ა რ გ უ ლ-მ ო ქ ს ო ვ ი ლ ი („— რას შეიტანს მართა? რამდენიმე მოქარგულ-მოქსოვილ ჩვარს“)...

4. შ ე-:

შ ე მ წ ვ ა რ-შ ე ფ ლ ე თ ი ლ ი („შემწვარ-შეფლეთილი ალამი თავის პირმშო ღვთისავარს გადასცა...“); შ ე მ ხ მ ა რ-შ ე ძ ვ ა ლ ე ბ უ ლ ი („ჩემს თვალწინ სამი მარჯვენა ხელი ჰკიღია — მარჯვბში მოჭრილი, ლორივით დაშაშხული და შემხმარ-შეძვალელებული“); შ ე რ ც ხ ვ ე ნ ი ლ-შ ე თ ხ უ პ ნ ი ლ ი („...ჩემი მარჯვენა, ვითომ შერცხვენილ-შეთხუპნილი, ანტონ აფთარიძეს უჭირავს მარწუხით“)...

5. ნ ა-:

ნ ა ვ ა ლ-ნ ა ც ა დ ი („მათ ნავალ-ნაცადი მთხრობელი იშოვეს“); ნ ა ს უ ქ ნ ა პ ო ხ ი („...ცხრა უღელი ნასუქ-ნაპოხი დევ-კამეჩი შემობით“); ნ ა თ რ ე ვ ნ ა ხ ე ტ ი ა ლ ი („ადამიანს კი, ისიც ჩემისთანა ნათრევ-ნახეტიალს, ისტორიის მეტი რაღა დარჩენია!“); ნ ა თ რ ე ვ-ნ ა ბ რ ძ ო ლ ი („...ნათრევ-ნაბრძოლი უძ-

ველესი დროშა, ...დავითს თავის სასახ-
ლეში ჰქონდა დაყუდებული“.)...

სხვადასხვა პრევერბიან მიმღეობათა
შეერთებისას წინა პლანზე დგება ახალი
საკითხი. მწერალი სიტყვის ემოციურობ-
ბას სიტყვათა შეერთების ორიგინალუ-
რი კომბინაციით აღწევს. მკითხველისა-
თვის მოულოდნელია ისეთ სიტყვათა
დაწყვილება, როგორცაა: არეული და
დაღონებული, კომპოზიტში არეულ-
დაღონებული („პაველ ისედაც
არეულ-დაღონებული იყო, რადგან წინა
ღამეს შვილებს ელოდებოდა და დიღამ-
დე თვალი არ დაეხუჭა“). ასეთი კომბი-
ნაციების ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ:
აშლილ-განაბული („თვალი მივაბ-
ჯინე და უცებ აშლილ-განაბული მხეცი
გამახსენდა“.); გაოცებულ-დამუნ-
ჯებული („...ყველა გაოცებულ-და-
მუნჯებული იყო“.); გაწეწილ-დაფ-
ლეთილი („უცებ ერთ ქოხიდან გაწე-
წილ-დაფლეთილი ქალი გამოვარდა“.)...

მორფოლოგიური შედგენილობის თვა-
ლსაზრისით ჯავახიშვილისეულ რთულ
სიტყვებში გამოიყოფა -უ რ -ულ სუფი-
ქსიანი სახელების შეერთებით მიღებუ-
ლი კომპოზიტები. ესენია: აღმოსავ-
ლურ-ფეოდალური („თეატრალუ-
რია, აღმოსავლურ-ფეოდალურია — გა-
ნაცხადა მან“); მუჟიკურ-სლავიკი-
ანური („...რასპუტინის რუსული უხვად
მეტად ბუნდოვანი მუჟიკურ-სლავიანურ
სიტყვებით იყო აფერადებული“); ცხენ-
ურ-ძაღლური („თავები მუხლებზე
დაუდეს და ცხენურ-ძაღლური თვალები
დარდით სავსე თვალებში ჩაუყარეს“);
ისტორიულ-ხელოვნური („გიდი
კვაჭის ისტორიულ-ხელოვნურ ძეგლე-
ბისაკენ ეწეოდა...“) კუდაბზიკურ-
აზნაურული („ესეც ჩვენი კუდაბ-
ზიკურ-აზნაურული მაიმუნობა ვახ-
ლავთ“);

ქართული კომპოზიტების დიდი ნაწი-
ლი მსაზღვრელ-საზღვრულის დაწყვი-
ლებით არის მიღებული. ამგვარი მაგა-
ლითები უხვად გვხვდება მ. ჯავახიშვი-
ლის ენაშიც.

მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებით

მიღებულ კომპოზიტებში ორგვარი რე-
გია:

1. მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს
ლირწაკცი („სამარცხენო საქმე
მოვიდა და უნდა დავმალო, თორემ იმ
ლირწაკცის მოკვლას არავინ მომიწო-
ნებს“); თოხლო-კაცი („შემდეგ და-
თუნა დაიბარა და, როცა ვაჟაკის ნაცვ-
ლად თოხლო-კაცს წააწყდა, გაიფიქრა:
„უენებელია, სჯობს მოვიცალო“.); ნა-
ხევარ-ქვრივი („თაველშეხვეულ-
მა არსენამ ახალციხისკენ გასწია და თან
ფეხმძიმე ცოლი, ჩაშავებული ქვრივი,
ნახევარ-ქვრივი ფიქრია... წაიყვანა“);
ხაფი-გრგვინვა („მისი ზაფი-გრგვი-
ნვისგან და ლომური ბუხუნისგან სო-
ფელს ზანზარი გაჰქონდა“).

მსაზღვრელ-საზღვრულიანი რიგის სი-
ტყვებიდან ცალკე ჯგუფად გამოიყოფა
ქონების აღმნიშვნელი კომპოზიტები. ეს
-იან სუფიქსიანი რთული სიტყვებია:
მრუდეკაბიანი („...სამივემ თვალი
გააყოლა: მუსიკის შუახნის მასწავლე-
ბელმა, ბინძურმა და დაუდევრად დავა-
რცხნილმა, მუდამ მტკრიან-შლიაპიანმა,
მუდამ მრუდეკაბიანმა“); წოწოლა-
თავიანი („...უკან კი ანტონა მისდევ-
და — მაღალი, გამხდარი, წელში მოხ-
რილი, წვრილკისერა და წოწოლა-თავი-
ანი“)...

2. მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს:
ჯანფულურო („ჯან-ფულურო მი-
ლიარდერი თავის ბანკებს ვინმე სისხლ-
მაჰარას დაუთმობდა...“); პირუკმე-
ხი („ბნელ კარებში მისი ცოლი ნატო
გამოჩნდა... პირუკმეხი, ძვლებისა და ძა-
რღვებისაგან ნაქსოვი“).

ამ ჯგუფს მიეკუთვნება კომპოზიტები,
რომლებშიც მეორე კომპონენტად მიმ-
ღეობაა გამოყენებული: გულყრილი
 („ხანგრძლივი დუმილისა და ყოყმანის
შემდეგ ჩურჩულებს გულყრილი“); სუ-
ლდამჯდარი („ეხლა სალომეს ნაც-
ვლად იმ სარკიდან ისევ წინანდელი სი-
დონია იხედება — ოღონდ უფრო თეთ-
რი, მოთელილი, ნამტირალი და სულ-
დამჯდარი“); ყინულნაკრავი („ყი-
ნულნაკრავი და ნაკბენი მარგო გაზეთს

თავში მიახლიდა...“); ბედნაკრავი („თემურაზიც დღითი-დღე ჰყიდდა თავის ბედნაკრავ ოჯახსა და ისტორიას“).

მსაზღვრელ-საზღვრულიან კომპოზიტებს უახლოვდება შინაარსით კუმბო-ჩადრისა და მუხა-ხევსურის ტიპის რთული სიტყვები. ამგვარ მაგალითებში სუბსტანტივის ატრიბუტივაცია მომხდარა და მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომპონენტი არსებითი სახელია, მაინც მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება გვაქვს კომპონენტებს შორის. რა თქმა უნდა, ეს არ არის გენტიური მსაზღვრელი. ამისთანა წარმოქმნა მ. ჯავახიშვილის სიტყვათშემოქმედებაში ერთ-ერთ მთავარ ადგილს იჭერს.

მაგალითები: ლოქო-კაცო („— ვიცი, ვიცი, — იღრინება ლოქო-კაცი“); ვარამ-ცხოვრება („...როგორ დამავიწყდება ის წუთები, რომელნიც, მიუხედავად ჩვენი ვარამ-ცხოვრებისა, ზოგჯერ საბრალო გულს სიამით გვივსებს და დარდს გვიქარბებს“); კოდალ-ცხვირი („კოდალა ცხვირმა სკამიდან წამოიწია“); ლობიო-თვალეზი („...მისმა ლობიო-თვალეზმა არსენასკენ გამოიხედეს“); ჭორჩიტი („და თემურაზმა ჯაყოს ლამბაქის ყურში ქალაქიდან მოფრენილი ჭორჩიტი ჩაუფრინა“).

შებრუნებული რიგი: ბედი-მდევიარი („ბედი-მდევიარი უკვე სთვლდა მიდიელთა დღეებს“); ბედი-მტერი („ბედია მეთქი, მაშ რა არის! — ბედი-მტერი“)...

ცალკე გამოიყოფა ქონების კომპოზიტები, რომლებიც — ა სუფიქსის ირთავენ და შედარებით მტკიცე ლექსიკურ ერთეულებს ქმნიან. ასეთებია: მალალ-ყელა („მარწყვს, ყოლოს, მაცვალს ან სხვა ხილს ისე არ ეტანებოდა, როგორც თეთრსა და მოზრდილ ყვავილს — მსუქანს, სუნთანს, მაღალყელას...“); თვალ-ეშმაკა, მალალფენა, შავულვაშა, თეთრკბილა, ცხვირკოდალა („...თან ვილაც მოიყვანა მაღალფენა, შავულვაშა, მოლიმარი, თეთრკბილა, ცხვირკოდალა, თვალეშმაკა, თმაქორი-

რა“); თვალცეცია, გრძელჯუბა („ცხადი გათავდა და ლეგენდა დაიწყო: ...დღესაც აბჯარ-ღაშნა-ჩაფხუტენდ, ჩაქმენდილი ხევსურები, ჯერ-ჯერობით ჯაყვის ხანაში რომ დაბორილებენ, და თვალცეცია, გრძელჯუბა, ჯაყობი“...).

ჩამოთვლილ მაგალითებში — ა სუფიქსის დართვით მწერალი ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და სინტაქსურ შესიტყვებათა ლექსიკალიზაციას ახდენს: მაღალი ყელი — მაღალყელა, ეშმაკი თვალეზი — თვალეზეშმაკა, მაღალი ფენი — მაღალფენა.

მსგავსი მოვლენა შეინიშნება სხვა მაგალითებშიც: შურის ძიება — შურნაძიები („შურნაძიები გამოვიდა“); ჩრჩილის შეჭმული — ჩრჩილნაჭამი („სწორედ იმ დროს თავისი სახლის ქერის თავზე სამი ყუთი აღმოაჩინა დამპალ და ჩრჩილნაჭამ გუჯრებით და ძველი წიგნებით გავსებული“); ფულის შოვნა — ფულნაშოვნი („...ფულნაშოვნი კვაჭი კი არხეინად უსტვენდა და მიალაჯებდა“); მენის თხლეშა — მენნათხლეში („მენნათხლეში ჯურნა ბურტყუნით ბრუნდება“)...

გვხვდება ისეთი მაგალითებიც, სადაც ლექსიკალიზაციის შედეგად ზმნური ნაწილი საწყისის სახეს იღებს, ხოლო სახელს ეკვეცება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: თავის აგლეჯა თავაფლეჯა („...ისინიც სიღონისავეთ ცახცახებდნენ და თავაგლეჯას ჰლამობდნენ“); თავის გაყადრება თავგაყადრება („ბატონების თავგაყადრება და მათი ყმის თავგასულობა უკვირს“).

მ. ჯავახიშვილის ლექსიკაში შედარებით მცირე ადგილს იჭერს რთული ზმნები. ამგვარ ზმნებში ძირითადად სინონიმური სიტყვებია შეწყველებული ერთი და იმავე პრევერბით: შეაბოლ-შეაწითა („მერმე რამდენჯერმე შეაბოლ-შეაწითა ბუნარში და განაგრძო“); გაიბერ-გამიანაურდა („...ცუცქია კი — გლეხის თუ მეჭლანის ქალიშვილი — გაიბერ-გამიანაურდა“).

რთული ზმნა ასეთ შემთხვევაში აზრტევადი სიტყვაა, გამოყენებული მიმდგ

სიტუაციებისა და პასაჟების გადმოსაცემად.

ცალკე უნდა შევჩერდეთ შერწყმულ სახელებზე, რომლებიც სიმრავლისა თუ კრებითობის გაგების მიღწევის მიზნითაა წარმოქმნილი. ამისთანა რთულ სიტყვებში პირველი კომპონენტი ფუძითაა წარმოდგენილი, მეორე კი — სრულად. მ. ჯავახიშვილის სიტყვათშემოქმედებაში ამგვარ სინტაგმებს ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს.

მაგალითები: მიწა-ბალახი („გამხლართული ხევსური ხარივით ხრიალებს და მიწა-ბალახს ჰგლეჯს“); ცოლ-სიდედრი („ჩემი ცოლ-სიდედრის მეგობრებს ვეცნობოდი“); ბამბა-ფარჩა („თეიმურაზი იყო ბამბა-ფარჩაში ნაზარდი“).

თუ ჩამოთვლილ კომპოზიტებს გავშლით, მათ შორის ყველგან და კავშირი გაჩნდება: მიწა და ბალახი, ცოლი და სიდედრი...

ყურადღებამს იქცევს ერთ სიტყვად გააზრებული შესიტყვებანი, რომლებიც, ცალკე აღებული, ჩვეულებრივი სინტაქსური წყვილებია. ავტორი მათ რთულ სიტყვად წარმოგვიდგენს, რათა აქცენტი გადაიტანოს ამ წყვილებზე. მაგ.: „მარტო დყოფნა უნდოდა, ჭიკელას ემალებოდა“; „...გრიბოედოვმა პოეზიას თავი მიანება და წელან-შეწყვეტილი საქმიანი საუბარი ალაღვინა“...

გონებამახვილური სიტყვათშეერთება მედილამვიდობებოდა. იგი მიღებულია მემღერება, მეცინებას ანალოგიურად ფრაზეოლოგიური ერთეულიდან „დილა მშვიდობისა“. „მაგრამ რა მედილამშვიდობებოდა“. რთული სიტყვის წარმოების თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე დიალექტური გაიქნება („დაჭიმულ ძაფებს მართლაც ვერ მოადუნებდა, სანამ სამიოდე

დიდ საქმეს არ გაიმასქნებდა“). გ. პრევერზიანი საწყისის სახით წარმოგვიდგინოდა კუთხური „იქნა“, რომელიც გაკეთების მნიშვნელობით იხმარება. მწერალმა საწყისის ფორმა მისცა გამოთქმას და ისე შემოიტანა პერსონაჟის მეტყველებაში, რითაც მის კოლორიტულობას მიაღწია.

მწერლის ინდივიდუალური სიტყვათხმარების მაგალითად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე კომპოზიტები: საღამოთსაღამომდე („სიერნეთ დილით-დილაამდე და იქეიფეთ საღამოთ-საღამომდე“); მიწით-ვარსკვლავამდე („წყვილიადმა და წყალმა მიწით-ვარსკვლავებამდე ყოველივე დაგვიმალეს“); ბინდი-შუალამდე („ორივენი ბინდით-შუალამდე ხანუმას სახლის წინ დადიან“). მოსალოდნელი ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად (მიწიდან ვარსკვლავებამდე...) ავტორი დღითი-დღის მსგავსად მოქმედებით ბრუნვას იყენებს. დაცული აქვს ტრადიციული გრამატიკული ნორმა.

მ. ჯავახიშვილი რთული სიტყვის ოსტატია. მწერლის თხზულებებში დამოწმებული რთული სიტყვები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ერთნია—საყოველთაო გავრცელების სიტყვები, მეორენი კი — მხოლოდ მწერლის თხზულებებში შეხვედრილი, ასე ვთქვათ, ჯავახიშვილისეული რთული სიტყვები. ჩვენი გულისყური უმეტესად მეორე რიგის მასალაზე გავამახვილეთ.

მ. ჯავახიშვილის სიტყვათწარმოება შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ფლობდეს მწერალი ენას და იყენებდეს მის დაუშრეტელ შესაძლებლობებს. მისი შესწავლა საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ მწერლის როლს სალიტერატურო ენის განვითარების, გამდიდრებისა და დახვეწის საქმეში.



ნიგნის საყურონი



ნიგნის ლაბალება

პ. ნატროშვილი — „თეთრი ხნული, შავი თესლი“. გამოც. „ნაკაღული“.

ბერიკაცი შეიღიშვილებს ესაუბრება, მათთან ერთად ხარობს და ერთობა. რა არ უნახავს, რა გაჭირვება არ შეხვედრია ძველ მესტამბეს, ვიდრე ეს მშვიდი სალამო დაუდგებოდა.

სრულიად ყმაწვილი კერძო სამქროში შევირდად იყო. სულხანს ათასი დამცირება და შეურაცხყოფა გადაუტანია მეპატრონისგან. წამოიზარდა და — თავისუფლებისთვის მებრძოლი — მეფის მთავრობამ გააციმბირა.

კეთილი ხალხი ყველგან დახმარების ხელს უწყვიდა — ბოლოს მიღწია საწადელს. რაც თავი ახსოვს, მხოლოდ სიკეთეს თესავდა ქვეყნად, მთელი სიცოცხლე ხის უჭრებში ჩაწყობილ და განაწილებულ ქართულ ანბანს ჩასცქეროდა, სტამბაში აღამებდა და ათენებდა, შეჰხაროდა წიგნის დაბადებას.

თავისი ხელობის სიყვარული შეილებსაც შთაუწერგა. ახლა შეიღიშვილს — თორმეტიოდე წლის ჯუნის თავდავიწყებით უყვება წიგნის დაბადების საოცარ ამბავს. მოხუცმა ჯერჯერობით იმდენად ვერ დააინტერესა შეიღიშვილი. პატარა ჯუნის გონება სულ სხვაგანაა — იგი ხან შორეულ ნაოსნობაზე ოცნებობს, ხანაც კოსმოსურ ხომალდში ზის

და იღუმალებით მოცულ ვარსკვლავეთისკენ მიექანება...

მწერალ გიორგი ნატროშვილის ახალი წიგნი — „თეთრი ხნული, შავი თესლი“. ქართველ მესტამბეთა საინტერესო, თავისებურ ყოფას ასახავს. წიგნი პატარა-პატარა, ნოველისებური თავებისაგან შედგება (ანოტაციაში, რატომღაც, ეს თავები მოთხრობების ციკლადაა გამოცხადებული) ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე გასდევს პაპა სულხანის კოლორიტული, ცოცხალი და ბრძნული სახემოხუცი მესტამბის გული თითქოს ცხოვრების სარკეა, სადაც ცხადად ჩანს ადამიანთა ავ-კარგი, მათი კეთილი საქმეები თუ შეცდომები. წაიკითხავთ ამ ნაწარმოებს და ავტორთან ერთად გჯერათ, რომ ჩვენი ერი სულხანისთანა წინაპრებმა, ასეთი რაინდული სულის ადამიანებმა გადაარჩინეს მორალურ და ფიზიკურ განადგურებას.

მოხუცის უმთავრესი და მოუწელებელი სატყვიარია შინომუსკლელ უფროს ვაჟზე — ზაქროზე ფიქრი. ზაქროც მესტამბე იყო და ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დასაცავად გაემგზავრა. ყირიმში ზაქრომ თან წაიღო საბეჭდი მანქანები და ქართული ანბანი — ტყვიის

შრიფტი, რომელსაც ტყვიანე მეტად უნდა გაეჭრა.

დღესა და ღამეს ასწორებდა, რათა ფრონტული გაზეთი დროულად გამოსულიყო, ფრთები შეესხა თავგანწირვით მებრძოლ თანამემამულეთათვის. და როცა ერთხელ ბედმა უმეხთლა — მტერმა დატყვევება დაუპირა, ძვირფასი იარაღი — ქართული შრიფტი ტბაში გადაყარა. გერმანელები მიუხვდნენ და მკერდი ავტომატით დაუტყბრილეს კაბუკს.

წიგნის ყველაზე ძლიერი და ამაღლვებული თავია „ყამიშ-ბურუნი“, სადაც სწორედ ზაქროს დაღუპვაზეა ლაპარაკი.

ყველაზე მეტად ამ თავში ჩანს გიორგი ნატროშვილის ოსტატობა, გმირის პორტრეტის დახატვის, მისი ხასიათის გადმოცემის უნარი:

„იმ ოთახში, სადაც პაპას ძინავს, კედელზე ჯარისკაცის სურათი კიდია. შეხედავ და თვალს ველარ მოსწყვეტ. მხედრული ქული, პილოტურას რომ ეძახიან, თუშური ქულივით კობტად მოუგდია გვერდზე და ანტურად იღიმება; თვალსაც იმიტომ ვერ აცილებ, რომ შენ გიღმის და, ასე გგონია, რაღაც კვიპატი უნდა გითხრას. ვერ იცნობ ამ ჯარისკაცს, მაგრამ რატომღაც გეჩვენება, რომ ათასჯერ შეგხვედრია, ქუჩაში გინახავს, სუფრასთან მჯდარა შენს ვვერდით, უმხიარულია, უციხია. რა ვიცი, ვერც მიხვდები, რად გიქეპრის ასე ახლობელივით ეს უცნობი მხედარი. იქნებ მართლაც გინახავს და აი, იმ პილოტურასა და ხაკის ხალათში ველარ გიცვინა“.

სურათიდან გაცოცხლებული ჯარისკაცი, ვინ იცის მერამდენედ, სიზმარში ეცხადება მამას.

არაჩვეულებრივი ადამიანური სიბოძო და ტკივილი იგრძნობა მამა-შვილის დიალოგში.

ზაქრო სიზმარშიც შერიგებულია თავის ბედს; იცის, რომ არც ერთი ოცნების ახლომა, არსად წასვლა არ უწყერია — სამუდამოდ უნდა დარჩეს ცივ სამარეში. მოხუც მამას მაინც მოუტანა შვება (დედას იგი ვერ ეჩვენება მკერდაცხრი-

ლული, დედა ჯერ კიდევ ვერ შეუღებია იმედს, უკვალოდ დაკარგული შვილის მოლოდინში).

„— აქაც, შენს სანახავად მოველ, მამი, ძალიან შემეცოდე.“

— შესაცოდე მე რა მაქვს, ბიჭო, მამი შენ რაღა უნდა თქვა, მიწაც არ გელირსა აქაური.

— მიწა იქაც გრილია, მამი! მიწა ყველგან მიწაა, ეს ტიალი. ტბის პირას ვმარხივარ. ძალიან ბევრნი ვართ, მამი. ოღონდ იქ ნუ ჩამოხვად, საფლავს, სულ ერთია, ვერ იპოვი...“

ძნელია, ამაზე ღრმად და ბუნებრივად გადმოსცე უბედურება, რაც ომმა დაატეხა თავს მილიონობით უბრალო ადამიანს. სულის სიღრმემდე შეძრული რჩები პირმომლიმარი ჯარისკაცის დაღუპვით, ვისაც ტყვია მხოლოდ შრიფტის ჩამოსასხმელად სწამდა და არა სიცოცხლის მოსასპობად.

სულხანის მეორე ვაჟიც — გურამიც (ჯუნის მამა) მშობლის კვალს გაჰყავა; იგი ერთ-ერთი საამქროს უფროსია. პატარა ჯუნი წამოიზარდა, უკვე რვაწლიდს ამთავრებს და ვერ გადაუწყვეტია, რა გამოვიდეს.

და აი, რისი გაკეთებაც პაპა სულხანმა და გურამმა ვერ შეძლეს, გააკეთა სულხანის ყოფილმა შეგირდმა — საამკინძო საამქროს ოსტატმა თენგიზ ლაფენიძემ.

თენგიზს აქვს საოცარი უნარი — თავისი პროფესია შეაყვაროს ადამიანებს. იგი ჯუნის სკოლაში ერთ-ერთ გამოსაშვებ საღამოს ესწრება. სხვებთან ერთად ესაუბრება ბავშვებს — თუ როგორ უნდა აირჩიონ ცხოვრების გზა. ჯუნი აღტაცებული ჩემენს ახალგაზრდა ოსტატის ყოველ სიტყვას, მის გონებაში თანდათან ისახება მომავლის მიზანი. კიდევ ერთხელ იზეიმა პაპა სულხანის მიერ დათესილმა სიკეთემ — მისმა აღზრდილმა ცხოვრების გეზი მისცა საყვარელ შვილიშვილს.

დგება გადამწყვეტი დღე. პაპა სულხანს სტამბაში მიჰყავს შვილიშვილი. ჯუნი გაოცებული შეჰყურებს მოგრიალე ვეება მანქანებს, რომლებიც წამში იტა-

ცებენ დიდ, სუფთა ქალაქს და წამში-ვე ფარავენ შრიფტის შავი ნაკვალევით. საკუთარი თვალით ხედავს, როგორ იწყობა სტრიქონები, როგორ აერთებენ ტყვიის პატარა ფირფიტებს და იბადება ვაჟსა, აკაკის, ლერმონტოვის ლექსები, იბადება წიგნი — ადამიანის დიდი მეგობარი.

უსახლდროა პატარა ბიჭის სიხარული:

„რა კარვად ხცოდნია მოსვლა წიგნს/აქვეყანაზე; გაზაფხულივითა ეს ცოდნია, ხმაურითა და შრიალით“.

გაიმარჯვა საქმის დიდმა სიყვარულმა, გაგრძელდა ძველი, კეთილი ტრადიცია; წინაპარი ხედავს — მის დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებს შთამომავლობა. ამით არის ადამიანი უკვდავი; ეს არის ცხოვრების აზრი და სიხარული.

მეზარ კვიტაიშვილი.

მდიდარი და მრავალუროვანი

მ. ლებანიძე — „ოცი წიგნიდან“. გამომც. „ნაკადული“.

წინასიტყვაობაში პოეტი წერს, „თუ რამ უკეთესი გამაჩნდა, ამ გარეკანში მოვაქციეთ“. და მართლაც, ეს წიგნი მ. ლებანიძის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

კრებულმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მურმან ლებანიძე ღირსეულად აგრძელებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი პოეზიის სახელოვან გზას. მისი ლექსები საესეა ღრმა ლირიკული განცდებით, მდიდარი და მრავალფეროვანი პოეტური ფორმებით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით.

რაზეც არ უნდა წერდეს პოეტი, ბუნების ფერებს აამეტყველებს თუ ისტორიის ღრმა ლაბირინთებში ჩაიხედავს, ჭაღარა მწვერვალს მიაპყრობს მზერას თუ ადამიანის სულს ჩაწვდება, იგი მუდამ ამჩნევს იმას, რაც სხვისთვის ძნელად შესამჩნევია.

პოეტი სათუთად ელოლიაება სამშობლოს ვმირულ წარსულს, „ვეფხისტყაოსანს“ და სვეტიცხოველს, ლილეოს და მრავალყამიერს, ჩვენი ხალხის მძალად მორალურ თვისებებს, ყველა იმ კარგს, რაც საქართველომ შექმნა თავისი არსებობის მანძილზე. ყოველივე ამას ერთ საერთო, დიდ აზრს უდებს საფუძვლად — ესაა სიცოცხლის უკვდავება. ადამიანის ყოვლისშემძლე აწმყოს მათ უკავშირებს და ამიტომაც იმედიანად

რომ შეპყურებს მომავალს, ხვალინდელ დღეს:

და შევძახებ: — ვაშა ახალს!
არც ხვალის დღეს ველი ნაკლებს,
მუხა უბერებელია
და უახლეს ტოტებს აპყრის.

ვინ მოგვიტანა საქართველო აქამდე? — კითხულობს პოეტი და თვითონვე უპასუხებს: გლეხმა, რომელმაც ჩაპყარა ვაზი, ხურომ, რომელმაც გამოწვა კირი, ადამიანმა, რომელმაც გამოჰყვარა და კლდეში გამოკვეთა ქალაქები... ამიტომაც, რომ ახალგაზრდებს მიმართავს:

ნუ დააგდებთ გაკვალულ ხნულებს,
ნუ დააცხრებით ცხოვრებას იოლს!
ჩემი რჩევაა, საყვარლებო, მამულში გადი,
აშენეთ დაბა-ქალაქები, ჩადექით ხნულში,
ხალხის შევილებო, — ხალხთანვე დარჩით.

დიდი გულწრფელობით დაწერილ ამ ვრცელ ლექსს აშკარად დაპყრავს დიდაქტიკური ტონი, რაც რამდენადმე ანელებს ემოციურ ზემოქმედებას.

მშობლიური ბუნების სიმშვენიერის პოეტური აღქმით გამოირჩევა ლექსები: „ახმეტას თითო ვაზზე“, „ქარი მუხებს არიალებს“, „გადაყვიოლდა კახეთს ზვრები“ და სხვა. ამ ლექსებში მკაფიოდ ჩანს ბუნების კოლორიტული, თავისებურად დანახული სურათები.

პოეტს აქვს საოცარი ძალა აამეტყვე-
ლოს ერთი შეხედვით თითქოს არატრის-
მთქმელი საგანი თუ მოვლენა:

თეთრია ირგვლივ
რცხილა და მუხა,
თეთრია ირგვლივ
სამშობლო მხარე,
მხოლოდღა ცხელი
ბუხრები ბურღავს
საქართველოს ცის
გაყინულ ჰაერს.

არ შეიძლება ამ პოეტურმა ნათქვამმა
არ გამოიწვიოს ზამთრის ასოციაცია, არ
გაგრძნობინოს მისი მომხიბვლელობა,
სწორედ „სითბო“ და არა „სიცივე“. აი,
მეორე მაგალითიც:

მზემ საწოლი დატოვა და
მთებს გადაღმა გადმოვარდა —
ვანათა სამოვრები
ცაბა, მთათა
სანაპირო...

ბუნების ტრფიალმა, სივრცისაკენ
სწრაფვამ, რომანტიულის ხილვის წყურ-
ვილმა, როგორც ბევრი სხვა შემოქმედი,
მურმან ლებანიძეც მთაში, სვანეთში მი-
იყვანა. პოეტის სასახელოდ უნდა ითქ-
ვას, რომ საქართველოს ამ თავისებურ
კუთხეში მან მხოლოდ უშბა და ენგური,
მხოლოდ გარდასულ დღეთა სურათები,
„კარგი“ და „ავი“ ტრადიცია როდი და-
ინახა. მან პოეტური ალღოსა და მახვი-
ლი ხედვის წყალობით უშბის გვერდით
დღევანდელი სვანეთი დაინახა, ძველი
ტრადიციებით გამაგრებული, ახალ
ცხოვრების შუქით განათებული და გან-
დიდებული „მარე“ — ადამიანი შეიყ-
ვარა.

კრებულში განსაკუთრებული ადგილი
უკავია ციკლს: „მამა, ბავშვობა, გოგო-
ლის ქუჩა“.

ბევრ პოეტს უმღერია მამისთვის. ძნე-
ლია იბოვო ლექსი, სადაც არ ჩანდეს დი-
დი ტკივილი, სინანული იმის გამო, რომ
მშობლის მამაკაცური თავდაჭერის მიღ-
მა შეიღმა თავის დროზე, მამის სიცოცხ-
ლეშივე, ვერ შეიცნო და ვერ „გაბედა“
მამის სიყვარული, ვერ „მოიცალა“ მისი

პატივისცემისათვის. ეს ტკივილი მ. ლე-
ბანიძის ამ ციკლშიც ჩანს.

საქართველო
სამშობლო

ჩუმსა და უთქმელს, მართალს და
მას მხოლოდ ჩემთვის გაუმხელია, —
რომ ამაოა ყველა ქონება,
რომ სიცრუეა დიდება ყველა,
რომ მხოლოდ ხალხის დიდი გონება,
ხალხის სიმართლე ბრწყინავს და ელავს.

ლექსში ფილოსოფიურადაა გააზრე-
ბული „ქვეყნის ტრიალის“, სიკვდილი-
სა და სიცოცხლის მარად აქტუალურ-
და გადაუჭრელი პრობლემა.

სიტყვამ მოიტანა და აქვე გვინდა აღვ-
ნიშნოთ, რომ მურმან ლებანიძეს თავის
ლექსებში თამამად შემოჰყავს რეალუ-
რად არსებული ადამიანები. ისინი ჩვეუ-
ლებრივი, უბრალო „მოკვდავი“ ადამი-
ანებია, მაგრამ თავიანთი კეთილშობილუ-
რი სულით უკვდავებას იმსახურებენ
(„მამიდაჩემი“, „გახსოვს გივი“, „გვაშა-
ყან“, „ტებერდა“...).

და მართლაც, რატომ არ უნდა ვთქვათ
ჩვენი თანამედროვე ადამიანის ქებათა-
ქება. განა დასაძრახია, რომ დღესვე, სი-
ცოცხლეშივე მიეუზღოთ კაცს თავისი,
ვთქვათ მასზე კეთილი, გულითადი სიტ-
ყვა? გოეთეს უთქვამს: რა ბედნიერი იქ-
ნებოდა ადამიანი, სიკვდილის შემდეგ
საფლავზე მიტანილი ყვავილების ნაწი-
ლი მაინც სიცოცხლეშივე რომ მიგვეძ-
ღვნა მისთვისო.

ცხოვრებიდან აღებულ სურათთა და-
ხატული გურამ თიკანაძისადმი მიძღ-
ვნილ შესანიშნავ ლექსშიც. სვანეთის
მთებში მომხდარი ტრაგედია პოეტს თა-
ვისი თვალთ უნახავს, მეგობრის დალუ-
პვით განცდილი ტკივილი ასე გამოუთქ-
ვამს:

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაუშვების მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია
ვოი — ვოი, — გურამი მომკვდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია,
ჩაუქი მკვდარიც ჩაუქია —
ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა.

გურამ თიკანაძე ჩვენს შორის დადიო-
და, ვიცნობდით, ვეყვარდა და ახლა,
როცა მ. ლებანიძის ამ სტრიქონებს კით-

ხულობ, გიხარია, რომ პოეტმა „ხელთ-
უქმნელი ძეგლი“ აუგო შენს თანამედ-
როვეს, უბრალო, მაგრამ დიდი სულისა
და ვაჟკაცობის ახალგაზრდას.

მ. ლებანიძის ბევრი ლექსი ხშირად
ბიოგრაფიულ, კონკრეტულ ამბებზეა აგ-
ებული და ამდენად ისინი პოეტის ცხოვ-
რების თავისებური სარკეა („თეთრი ლე-
ქსი ფიქრისა“, „დათვები“, „მიცოცავს,
მიცოცავს გაზაფხული“...), მაგრამ პოე-
ტი ამ თითქოსდა უბრალო, სუბიექტურ
განცდებში მუდამ ზოგად ადამიანურს
ხედავს და ნამდვილ პოეტურ განზოგა-
დებამდე აპყავს იგი. მისი ლექსები ჰიპ-

ნია იმ მარად უკვდავი თემებისა, სიყვარ-
ული და მეგობრობა რომ ჰქვიათ. მათ
მუდამ ლებანიძემ ამ წიგნით კიდევ
ერთხელ დაადასტურა, რომ ქართულ
პოეზიას მისი სახით ჰყავს ისეთი ძალის
პოეტი, რომელსაც უნარი შესწევს მა-
ღალმხატვრულ სახეებში გადმოგვცეს
ჩვენი ეპოქის ადამიანის ურთულესი
ფსიქოლოგიური განცდები, მისი ფიქ-
რი, მისწრაფება, სიხარული და ტკი-
ვილი.

და თუ არა ეს, სხვა რაღაა ჭეშმარიტი
პოეტის ნიშანდობლივი თვისება!

ზურაბ ლეჟაშვილი.

მართალი სიყვანა

შ. ზვიგია — ლექსები. გამომც. „ლიბრატურა და ხელოვნება“.

შალვა წვიება აფხაზური ლიტერატუ-
რის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მი-
სი ლექსები ხასიათდება უბრალოებითა
და გულწრფელობით. ძალდაუტანებელი
და შთამბეჭდავი სტრიქონები ლექსებს
ბუნებრივ ქლერადობას ანიჭებს. ისინი
თავიანთი აქტუალობითა და მისწრაფე-
ბებით თანამედროვე ადამიანის სულიერ
სამყაროს გამოხატავენ.

სანამ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, ჩვენი
უპირველესი ვალია ვიყოთ თანადროუ-
ლობის პირნათელი შემოქმედნი, — ეს
აზრი წვიებას ყოველ ლექსში სასიცოცხ-
ლო ნერვივით ფეთქავს. რაზეც არ უნ-
და წერდეს პოეტი, ყველაფერში იგრძე-
ნობა სიცოცხლისადმი მოჭარბებული
ლტოლვა, რომელიც ხან სასაუბრო ინ-
ტონაციაში, ხან კი ფერწერულ სახეებში
ვლინდება.

შალვა წვიებას პოეტური თემა უმეტეს
შემთხვევაში აფხაზი ხალხის მითოლო-
გიას ეყრდნობა, მაგრამ იგი თანამედრო-
ვე ადამიანის თვალთახედვითა და ინტე-
ლექტითაა გადამუშავებულ-აღქმულა.
წვიება არასდროს არ ცდილობს თავისი

სათქმელი დატვირთოს ეპითეტებითა და
მეტაფორებით.

წვიებას ლექსები ადვილად ამახსოვრ-
დება მკითხველს სალექსო მოკლე ფრა-
ზით. ბუნებრივი რიტმითა და ზომიერი
იუმორით.

წვიებას პოეზიისათვის დამახასიათე-
ბელია მოქალაქეობრივი ქლერადობა,
რომელიც არასდროს არ გადადის პლა-
კატურობასა და პრიმიტივიზმში. მის ლე-
ქსებს გააჩნიათ ის აუცილებელი ზომიე-
რების გრძნობა, რასაც ჭეშმარიტი პო-
ეზია მოითხოვს.

ადამიანი ისევე ძველია და მარადიუ-
ლი, როგორც თვით ცხოვრება. ადამი-
ანთა უკან საუკუნეები დგას. ისინი უდ-
იდესი პრაქტიკული გამოცდილებითა და
გონებრივი განვითარებით ავსებენ დღე-
ვანდელობას. ავტორი ლექსში „სახლი“
გვეუბნება:

საუკუნენი აქ გაჩანადნენ,
მაინც სიცოცხლე არის მთავარი.
აქ ნაციხარზე სახლი ააგეს
და მაგარი აქვს სახლს ბალავარი.
მზეს ეჭიდება სახლი მაღალი
და ცისკარივით ელავს ნიადაგ.

ჩვენი წარსული და მომავალი
თითქოს ამ სახლში გაერთიანდა.

პოეტი უდავოდ მართალია, როცა ამბობს: ჩვენი წარსული და მომავალი თითქოს ამ სახლში გაერთიანდაო. ცხოვრებაში ყველაფერი ცვლილებას განიცდის, ე. ი. მოძრაობაშია. ეს ცხოვრების მყარი დიალექტიკაა. „აქ ნაციხარზე სახლი ააგეს“, წერს წვიება და სტრიქონებს მკითხველი შორეულ-წარსულში გადაჰყავს, როდესაც ჩვენი წინაპრები ხმლითა და ვაჟკაცური შემართებით უმკლავდებოდნენ შემოსეულ მტერს. შეკრული მუშტივით აღმართული ციხეები ჟამთავითარებაში გავერანდა, მაგრამ მათ ადგილას აღიმართა ახალი სახლები და სიცოცხლე ისევ გრძელდება.

წვიებას ყოველი ლექსი მოძრაობისა და დაუცხრომლობის შედეგია. პოეტს ღელე წარმოდგენილი აქვს ძიებისა და უკმარობის სიმბოლოდ. პატარა ღელე ცისა და მიწის წკრიალა სიმღერაა, რომელსაც უფრო დიდი სიმღერა და ძალა სწადია. სწორედ ამიტომ მიილტვის იგი ზღვისკენ:

გარბის, გარბის ღელე,
მღერის, ღელე მღერის, —
თითქოს ცას და ხმელეთს
უწკრიალებს ყელი.
და უთმობენ ხელად
გზას, კალაპოტს, ველებს...
აღბათ იცის ყველამ —
ზღვისკენ გარბის ღელე.

პოეტის ნიჭიერება მხოლოდ თემის მიგნებაში როდი ჩანს, აუცილებელია მისი განზოგადებაც. ბუნებრივად ნებისა და სურათებზე დაკვირვება პოეტმა უმიზნო მკვრეტელობად არ უნდა აქციოს. მის მიზანს უნდა წარმოადგენდეს მკითხველებს განაცდევინოს ალტაცება, სიხარული, ტკივილები, რასაც თვით შემოქმედი გრძნობს. ლექსში „ალვის ხე“ წვიებას უსულო საგნისათვის ადამიანური თვისებები მიუნიჭებია („ტანაშოლტილი ალვის ხე კვდება“, „წელთა მრავალთა დუმილის შემდეგ ალაპარაკდა ალვის ხე წამით“ და სხვ.). ლექსის მთელი განწყობილება ღრმად ემოციურია.

ლექსები „თქვი, ჩემო მეგობარო“, „მიდიოდა გემი“, „გზა“, „ამხანაგო“, „მოწაფე და არწივი“ ცხადყოფენ, რომ შალვა წვიება მძაფრი მოქალაქეობრივი და მგზნებარე ორატორული ინტონაციის მქონე შემოქმედი.

შალვა წვიებას ლექსთა ეს კრებული ამჟღავნებს პოეტის შინაგან განცდათა სიწრფელეს, მის სწრაფვას მხატვრული განზოგადებისაკენ. მეტყველი პოეტური ხერხებითა და ემოციურობით წვიება თავის ყოველ ლექსში გვაგრძნობინებს ცხოვრების ღრმა, ადამიანურ განცდებს, გვიხატავს მიმიზღველ სურათებს.

დავით ავაქიძე.

მოგზაურობა და... პოეზი

პ. ჩარკვიანი — „ფერადი მირიადინაები“ ზამოც. „ლიბერატორა და ხელოვნება“.

ჩვენმა საუკუნემ უადრესად გააფართოვა ადამიანურ შესაძლებლობათა სფერო. დღეს ჩვენი პოეტები მსოფლიოს თვალუწვდენელ გზებზე დააბიჯებენ. ეს მოგზაურობა ყოველთვის საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ შემოქმედნი მუდამ თავისებურად აღიქვამენ ხოლმე ამა თუ იმ ქვეყანას, თავისებურად წყვე-

ტენ უცხოეთის თემას. სერგეი ესენინმა „რკინის მირგოროდი“ უწოდა ნიუ-იორკს, ასევე თავისებურად დაინახეს უცხოეთი ვ. მაიაკოვსკიმ, გ. ტაბიძემ და სხვა პოეტებმა. უცხოეთზე დაწერილ ლექსებში პოეტი ყოველთვის თავისა შემოქმედებითი კრედოს ერთგული რჩება. სიმონ ჩიქოვანის ციკლში პოლო-

ნეთზე კარგად ვგრძნობთ მისივე ადრინდელი ლექსების თემატიკურსა თუ თვისობრივ გაგრძელებას.

ჯანსუღ ჩარკვიანის წიგნში შესული ლექსები არ არის, როგორც იტყვიან ხოლმე, ერთი პოეტური ამოსუნთქვით შექმნილი. ეს ლექსები წლების განმავლობაში იწერებოდა. ზოგი იწერებოდა უცხოეთში ყოფნისას მიღებული უშუალო, ჭერაც გადაუმუშავებელი და გადაუსინჯავი შთაბეჭდილებებით, ზოგი კიდეც დადინჯებული თვალთა და გონებით, მაგრამ ეს არ არის წიგნი მხოლოდ უცხოეთზე. ეს არის პოეზია და აქ ყველგან იგრძნობთ ავტორს, მის პოეტურ ბუნებას. ჯანსუღ ჩარკვიანი არ ღალატობს თავის თავს. ამით იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს პოეტი ყოველთვის ერთნაირად აღიქვამდეს საგნებსა და მოვლენებს. არა! ამ ლექსების კარგ თვისებად მიგვაჩნია ის, რომ პოეტი ხშირად არ იცვლის თავის, ასე ვთქვათ, „გამოსვლით პოზიციებს“. ჯ. ჩარკვიანს აქვს ერთი მკაცრად განსაზღვრული „სათვალთვალო კოშკი“, საიდანაც იგი ცხოვრებისეულ მოვლენებს აღიქვამს და გადმოგვცემს. ამიტომაცაა, რომ ბეთანიანზე ლაპარაკობს პოეტი თუ პარიზზე, სადაც „კომედიის ლამაზ თეატრთან კვდება პიუგო და მოლიერი“, მას ერთი მანერა აქვს, ერთი კეთილი გული და საღი აზროვნება. პოეტი მუდამ თავისი შემოქმედებითი ბუნებიდან გამოდის და ისე აღიქვამს უცხოეთის ქალაქებს, უცხო ადამიანებს და მათ ურთიერთობას.

აქ შეიძლება დაისვას ერთი კითხვა — რა მნიშვნელობა აქვს ჯანსუღ ჩარკვიანისათვის, როგორც პოეტისათვის, უცხოეთში მოგზაურობის ფაქტს და როგორ აისახება იგი მის შემოქმედებაში?

უცხოეთის ქვეყნებში „მოგზაურობა“ დაუსწრებლად შეიძლება: ყოველ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია შეისწავლოს ფრანგებისა თუ იტალიელების, უნგრელებისა თუ ავსტრიელების და რომელიც გნებავთ ხალხის ჩვევები, მაგრამ საკუთარი თვალთა დანახვა მაინც ერთგვარად აფართოებს ჩვენს ცოდნას

ამა თუ იმ ხალხზე. ადამიანი ბევრ შემთხვევაში ეცნობა აქ, ეცნობა იმას, რისი გავლენა და შესწავლაც სხვა წყაროებში არ შეიძლება, პოეტისათვის კი... პოეტისათვის ამას სულ სხვა, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ჯანსუღ ჩარკვიანს იტალიაში ჩაუსვლელადაც ეთქვა ასეთი პოეტური გულწრფელობით გამსჭვალული სტრიქონები:

როგორც მეგობრის სტრიქონებს ახალს,
შენს ლამაზ მკლავებს ისე ვკითხულობ...

ან კიდევ საფრანგეთის უნახავად შექმნა ლექსი, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ბუნების სურათი და სულიერი განწყობილება.

ისე ლამაზდ თოვს,
რომ მიკლავს ზამთრის წყურვილს,
გული რაღაცას მოხოვს,
ჩემი დაღლილი გული.
ისე ფაქიზად თოვს,
რომ სხეულს კრეოლად უვლის...
და ელოდება ტოლს,
ჩემი დაღლილი გული.

დიახ, ჯანსუღ ჩარკვიანს შეეძლო ამ ქვეყნების უნახავად დაეწერა ეს სტრიქონები, რადგან პოეზია უპირველესად საკუთარ ფიქრთა, ოცნებათა და განცდათა გამოსახვაა, მაგრამ უცხოეთის ქვეყნებში, თუნდაც მგზავრის თვალთ მათმა დანახვამ, პოეტში შეიტანა რაღაც ახალი, ამაღლევებელი. ტრიუმფალურ თაღის ხილვით მან უფრო ახლოს იგრძნო პარიზი და მტრედისფრად წარმოესახა იგი, უფრო მძაფრად განიცადა მანუნტას ბედი, რადგან

ქალაქ მარსელში,
მეზღაურთა ლამაზ ქალაქში,
მალაღ კედელთან
მიყუდდეს მანუნტას მამა,
მანუნტას მამა
იმ კედელზე უფრო მაღალი
მოკლეს და
წუთში უსაშველოდ მაღალი გახდა.

ასე შემოდის ერთი შეხედვით თითქოსდა უპრეტენზიო, უცხოეთის შთაბეჭდილებებზე დაწერილ ლექსებში მოქალაქეობრივი პათოსი, ასე იმაღლებს ხმას ჯ. ჩარკვიანი მანუნტას დახტვითი მკ-

მისა და პარიზის ქუჩებში მოხეტიალე „გომბიოს“, კოოლი მონჯისა და სხვათა დასაცავად.

„ხმელთაშუა ზღვის ნიქარები“, „მართალი გზებით“, „დუნაის მძივი“, „გამარჯობათ, ფრანგებო“ და „ჩემი მიწის ცისარტყელა“ — აი, ეს ციკლებია გაერთიანებული „ფერად მერიდიანებში“. აქ არის ლექსები იტალიასა და უნგრეთზე, ავსტრიასა და საფრანგეთზე და ბოლოს. მუდამ საოცნებო საქართველოზე.

პოეტს არც პარიზი აგონებს თბილისს და არც დუნაი მტკვარს, მაგრამ ჯანსუღ ჩარკვიანის პატრიოტულ სულისკვეთებას კარგად ვხედავთ კრებულის ერთერთ ლექსში, რომელსაც ჰქვია „შენ ჩემო სახლო“. ლექსი მიძღვნილია იმათდამი, ვინც დატოვა თავისი მშობლიური

ქვეყანა და უცხოეთის ცათამბჯენებს შეაფარა თავი. ამ ადამიანებზე ელაპარაკება პოეტი სამშობლოს: გომბიოსი

ვინც ცოცხალია და აღარ გეძებს
მწამს შუა გზაზე დააღამდება.
იცილე შენი ცოლდა აქვს მხრებზე
და გადაუხდის რაღაც განგება.

სამშობლოსა და ადამიანის სიყვარული ძლიერად რომ გამოხატო, თავად შენ უნდა შეგეძლოს სიყვარული. „ფერად მერიდიანებში“ კარგად ჩანს პოეტის პატრიოტიზმი. ამ წიგნს კრავს და ერთგვარ დასრულებულ სახეს აძლევს „ჩემი მიწის ცისარტყელაში“ გაერთიანებული რამდენიმე ლექსი. ეს არის პოეტის აღსარება, სიყვარულის გულწრფელი გამოცხადება სამშობლოსადმი.

ბურამ ბათიაშვილი.

პირველი ფიქრები პირველ ნიგნუ

ი. ქემერტელიძე — „მზა ფოთლებში“, გამომც. „ნაბაღული“

ამ პატარა წიგნით მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს კიდევ ერთ ახალ პოეტურ სამყაროს. ეს სამყარო ბუნებრივია და უშუალო.

ი. ქემერტელიძის ლექსები თავისუფალია თვითმიზნური ეგზოტიკისაგან. ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტისათვის ეფექტი შთაგონების მთავარ წყაროს წარმოადგენს. მოხვდება იგი სხვა გარემოში, სხვა ვითარებაში და მზად აქვს მთელი ციკლი ლექსებისა. მიზეზი? უსაზღვრო მარაგი ახალ განწყობილებათა და შთაბეჭდილებათა. შედეგი? გაოცებაზე დამყარებული, იაფფასიანი ლიტერატურული პროდუქცია, რომელსაც ღრმა ფიქრის კვალი კი არ ატყვია, არამედ დიდი კითხვა-ძახილის ნიშანი აზის. ქემერტელიძის შემოქმედება კი ის არის, რომ შენს ყოველდღიურობაში, იმაში, რასაც ჩვეულებრივად გრძნობ და განიცდი, იზოვო პოეტური, ამალეხული, იზოვო მხატვრული გასაღები პოეტური განწყობი-

ლების შესაქმნელად. ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის და არაჩვეულებრივში ჩვეულებრივის პოვნა კი საკმაოდ ძნელი საქმეა.

სასიამოვნოა, რომ იორამ ქემერტელიძის პოეტურ სურათებში არსად არ იგრძნობა ლექსის ფორმით მოჩვენებითი კეკლუცობა და მყვირალა ფერწერულობა. მისი ლირიკული ხატი მკაცრი და პირდაპირია:

და თვლემდა ეზო, და იდგა სენი
კაკლის ფოთლების, მთვარის და ჩალის.

(„ორი ლექსი მამას“).

მზეზე მოლაბლაპე ხალიბების რკინა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სინათლე არ უნახავს და დაუყვანავი ახლაც ასე ამყავდ ბრწყინავს, თავისთავად ნათელ პოეტურ სურათს წარმოადგენს. სწორედ ფრაზათა სიძუნწეში ჩანს ახალგაზრდა პოეტის მხატვრული ზომიერება.

ი. ქემერტელიძის თითქმის ყველა ლე-

ქსში იგრძნობა თანამედროვე კაცის
როტული ბუნება. ამ ლექსების ლირიკუ-
ლი გმირის განწყობილება გაპირობებულ-
ლია ღრმა, შინაგანი დრამატიზმით, ხო-
ლო ზოგჯერ შინაგანი ფილოსოფიური
სიმშრალისაგან, ლექსს საიმედოდ იცავს
მხატვრული არსენალი: სახეთა სირთუ-
ლე და სიუხვე, ლექსიკური და ემოციუ-
რი თვითმყოფადობა, საინტერესო პოე-
ტური ინდივიდუალობა.

ჩვენი საუკუნის ადამიანის წარმოდგე-
ნაში დედამიწა თითქოს დაპატარავდა.
კოსმოსური ზომალდიდან იგი ცისფერ
სათამაშო ბურთს წაავას, მაგრამ ჩვენი
პლანეტა ჩვენთვის დიდიცაა და დიადიც,
კეთილიც და მოსიყვარულეც. ამ საკითხ-
ზე დაფიქრებულა პოეტი და წერს: თუ
ციდან ჩვენი პლანეტა „ერთი ციდაა“, მე
მინდა არასოდეს ვუცქირო მას შორი-
დან, რადგან:

მსურს ვიყო ერთად, როგორც მანამდე.

არ გავითიშოთ ცით და სიშორით...

ახალგაზრდა ავტორს ეხერხება საინ-
ტერესო პოეტური წიადსვლით ჩვეულებ-
ბრივ მოვლენას ფილოსოფიური ძღერა-
ლობა მინიჭოს:

...თითქოს უბრალო წვიმა კი არა, —

საერთო ძილში ცას ღვიძავს მარტო

და სიმარტოვის ორომტრიალით

შეშინებული კაცს ეძებს სანდოს.

(„შუალამისას“).

ი. ქემერტელიძეს კარგად ესმის, რომ
განწყობილების ხელოვნურად შეფერა-
დება მხატვრულობის პრინციპის დარღ-
ვევაა. ცხოვრება იმიტომაა ცხოვრება,
რომ ახასიათებს მოწყენაცა და სიხარუ-
ლიც, სიკვდილიცა და დავიწყებაც. შესა-
ნიშნავად ამბობს ახალგაზრდა პოეტი მა-
მის საფლავზე დაწერილ ლექსში:

რად არის ასე — ყველაფრის შემდეგ.

შენ რომ დაბრუნდე ამჟამად სალი

და რომ შემეხო სახეზე, თმებზე, —

მე შემაშინებს ჩემივე სახე.

რად არის ასე... რად არის ასე

წლობით, თევობით, კვირიდან კვირით,

რომ ჟანგმოდებულ საფლავის რევეს

ვიწრო კარები ჭრიალებს რკინის.



ი. ქემერტელიძის მიერ დახატული გა-
რემო მკითხველისათვის ნაცნობი და ახ-
ლობელია. მისი პოეტური სამყაროს სა-
ყრდენი ამ უბრალო საგნებშია, რომელ-
თა ქცევა ქემმარიტი ლირიკული სურა-
თის დეტალზად უფაქიზეს მგრძნობე-
ლობას მოითხოვს. აქ არის იმედიაანი
მოძახილიც და მწარე ღიმილიც, სევდაც
და ხალისიანი იუმორიც. ლექსების უმე-
ტესობას მოქმედების ერთგვარი განვი-
თარება და შინაგანი სიუჟეტიც გააჩნია.

ამ ბოლო დროს ლირიკა დაყვეს ინტი-
მურ ლირიკად და სამოქალაქო ლირიკად.
ი. ქემერტელიძის ლექსებს ალბათ ინტი-
მური ლირიკის ნიმუშებს მიაწერენ. მაგ-
რამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლირიკის ასეთ
დაყოფას რეალური საფუძველი არ გა-
აჩნია. ქემმარიტი ლირიკა ყოველთვის
ინტიმურია, რადგან პოეტის სულის მო-
ძრაობის მხატვრული გარდასახვაა და
ამავე დროს ყოველთვის სამოქალაქოა,
რადგანაც ნამდვილი პოეზია მხატვრული
განზოგადების, მოქალაქეობრივი პათო-
სის გარეშე არ არსებობს.

ი. ქემერტელიძის ამ პირველ წიგნში
ყველაფერი რიგზე როდია. რამდენიმე
ლექსში შეიმჩნევა განწყობილებათა ნი-
ველირება. ზოგსტროფს კი ყალბი ინ-
ტონაციის და გულუბრყვილობის კვალი
აზის. მაგალითად:

ასე ხდება და... ეს არის ასე,

ღრონი და ღრონი წამოვლენ, წავლენ.

(„ხალდეგრძელი“).

და რომ არ იყოს სიკვდილი თურმე, —

ვერ დარჩებოდა ვერაფერ ქვეყნად.

(„ჩინგივი-ხანი“).

„მზე ფოთლებში“ ორიგინალური პო-
ეტური ხმის მოკრძალებულ, მაგრამ სა-
იმედო დასაწყისის წარმოადგენს.

რედაქცია მუშავდა 1950.

„ჰაერი ერთხანს ისე რეკდა, თითქოს ბროლის ჭიქები მიუჭახუნესო ერთმანეთს“...

სწორედ ეს, ორიათეული წლის წინანდელი, ტყვიით დაცხრილული ჰაერის რეკვა მომასმენინა წიგნმა, რომლის ყდასაც დაგლეჯილი მავთულწლართები ახატია. ძაფებივით გაბმულ წვიმის წვეთებში შენობისა და ხეების კონტურები მოჩანს და ამ ფონზე წარწერაა — „უკანასკნელი წვიმა“.

ამ წიგნმა, რომელიც სამამულო ომის დამთავრების ოცი წლისთავისათვის გამოსცა „ნაკადული“, ვაგვაცნო ახალი ავტორი — მიხეილ კაკაბაძე. მოთხრობების ციკლში ომის დღეების წარუშლელი შთაბეჭდილებებია გადმოცემული. საბრძოლო ცხოვრების მართალი სურათები უშუალო და მკვეთრი ფერებით არის დახატული. ამ მოთხრობებში ხელშესახებადაა გამოკვეთილი ერთი შეხედვით პატარა, უმნიშვნელო დეტალები. ისინი ნათლად გვაჩვენებენ და განვცადებენ ომს — ადამიანთა ამ უდიდეს ტრაგედიას.

გადაუღებლად მოდიოდა შემოდგომის გულსამაჟვრილებელი წვიმა. ბომბით ამოთხრილ უზარმაზარ ორმოში ჩამდგარი წყალი ადიდდა. „ორმოს ფსკერზე ცხენის ლეში ეგდო და მისი გაბერილი მუცლისაგან შექმნილი კუნძული თანდათანობით პატარავდებოდა“. წიგნში ხშირად გვხვდება ასეთი ზუსტი, მწერლის უტყუარი თვალით დანახული ადგილები.

კარგად არის აღწერილი საშტაბო თვითმფრინავის „უ-2-ის“ (ამ თვითმფრინავს ფრონტელები „კუტურუზნიკს“ ვეძახდით) ბრძოლა „მესერშიმდტებთან“. რომ გითხრან, „უკანასკნელი წვიმის“ გმირები დაასახელო, ის თვითმფრინავი უეჭველად გაგახსენდებათ. ავტორს ცოცხალ გმირად უქცევია ეს საოჯახო ნივთივით შეჩვეული, ურმისოდე-

ნა მანქანა, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს რომ გადაუფრენდა ხოლმე ათასეულის განლაგებას და ფრთების შერხევით მიესალმებოდა საბჭოთა მეზობლებს. ერთ დღეს მან ჩვეულებრივად აღარ შეარხია ფრთები და მეომრები მიხედნენ, რომ მას უკვე სხვა მფრინავი მართავდა.

ძველი მფრინავი კი დაჭრილი იწვა პოსპიტალში. ავტორი გვაჩვენებს სარეცელსმიკრულ, გონდაკარგულ მფრინავს და გვასმენინებს მის ბოდვას. ესეც სრულიად საეჭარისია, რომ მთლიანად დავინახოთ და ბოლომდე გავიცნოთ ლამაზი სულის ჭაბუკი, რომელიც „საიჭიოში ისე მიდის, რომ სიყვარული არ უგვრძენია, ქალის ალერსი არ განუტყდია“. ავტორი ოსტატურად გადმოგვცემს დაჭრილი მფრინავის სულიერ თრთოლვასა და ტკივილებს. საერთოდ, ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ვმირთა სულიერ განწყობილებას და კარგად იყენებს მას ხასიათების შესაქმნელად. მწერალი ერიდება მრავალსიტყვაობას. მისი ფრაზა ლაკონიურია და ამავე დროს ბევრის მოქმელი — ამა თუ იმ სურათსა თუ განწყობილებას იგი ხელშესახებად გადმოსცემს.

მოთხრობის პერსონაჟი — ზემდეგი ნიკო საჩანელი, ენაკვიმატი და პირდაპირი, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად გაუტეხელი კაცია. მომხიბლავია მისი თავისებური იუმორი. მას ყველაზე დამბულ დროსაც კი შეუძლია იხუმროს.

„— ბიჭებო, თოვს, — თქვა ვილაცამ. — თოვლში კარგია ომი, — უმაღლესმაურა საჩანელი, — რბილად ეცემა კაცი“.

მწერალი ძუნწად, სულ რამდენიმე ფრაზით ხატავს მოხუც ცოლ-ქმარს, გიორგი გიგაურის მასპინძლებს. გიგაურის ოცეული მეორე ეშელონში იდგა. ოჯახის სიტბოს მონატრებული ქართველი ლეიტენანტი ღვიძლი შვილივით მიიღეს

კეთილშობილმა რუსმა ადამიანებმა. და-
ბანეს, დაასვენეს.

ჭერიდან ჩამომვებულ თოკებზე და-
კიდებულ ყუთის აკვანში ბავშვი იწვა.
გიორგის ქამარი დაუვარდა და შეკრთა,
ბავშვს არ გაეღვიძოსო. „— მაგას არ გა-
ეღვიძება, — თქვა ბერიკაცმა“. თურმე
მათ შვილიშვილსაც მისწვდენოდა ომის
მძიმე ხელი—ბავშვი მომკვდარიყო. კუ-
ბოს ვერ იშოვიან და მას იმ პატარა აკ-
ვნითვე დაასაფლავებენ. პატარა ბავშვის
წამწამებზე ცრემლებივით ბრწყინავდა
წვიმის წვეთები. „რა პატარაა და უკანა-
სკნელად აწვიმს“. მის საფლავზე მეომ-
რების გაკეთებული ფირფიცარი რჩება
წარწერით: „აქ განისვენებს საბჭოთა მე-
ომრის ვაჟი ვოვა, რომელმაც სულ სამი
წელი იცოცხლა“.

გიგაურის ოცეული წინა ხაზზე გადის.
ჩვენს თვალწინ იბრძვიან გიგაური და
სტრეპიხევეი, ნიკო საჩანელი და დორო-
შინი, ნოდარ ბოგვერაძე და მანოშინი,
ზამთარაძე და ჭორფლიანი სანიტარი,
გვარდიის ლეიტენანტი და ელისო, —
სწვადასხვა თვისებისა და ბიოგრაფიის
ადამიანები. მათ ამოძრავებთ ერთი სა-
ერთო მისწრაფება — სამშობლოს სიყ-
ვარული.

ელისო მედიცინის დაა. იგი იმავე ნა-
წილში მსახურობს, სადაც გიორგი გიგა-
ურია. მათ ერთმანეთი უყვართ. აი ერთ
დღეს ჰოსპიტალში გიორგიმ დაჭრილი
მფრინავი ნახა და სთხოვა ელისოს, წადი
მასთან, მოუარე, ძალიან უჭირს და შე-
ნი ხელი გადაარჩენსო. ელისოც წავიდა
და მფრინავი მართლა გამოაბრუნა. გი-
ორგი ეჭვიანობს, ქალს მფრინავი არ შე-

უყვარდესო. გამართლდა კიდევ მოსტ-
ვი. ელისომ გიორგის ნაწილში დაბრუ-
ნებაზე უარი უთხრა.

სწორედ აქ გვაქვს ერთი შენიშვნა.
ჩვენი აზრით, შეუძლებელი უნდა ყოფი-
ლიყო ოცეულის მეთაურის სურვილით
ნაწილიდან ჰოსპიტალში და ჰოსპიტა-
ლიდან ნაწილში მედიცინის დის გადაყ-
ვან-გადმოყვანა. ჰოსპიტალში ელისოს
გარდა თითქმის სხვა არავინ ჩანს დაჭრი-
ლების მომვლელი და პატრონი. ამ ეპი-
ზოდს დამაჯერებლობა აკლია.

უკანასკნელ თავში ჩვენ ვხედავთ შინ-
დაბრუნებულ გიორგის, იგი უკვე დაო-
ჯახებულია და მშვიდობიანი ცხოვრების
სიკეთით ტყბება. გიორგი ზღვისპირა ქა-
ლაქში მოინახულებს ელისოს და პატარა
ქეთინოს — მათი ფრთხილი სიყვარუ-
ლის ნაყოფს. „ცა ქეთინოს თვალბი-
ვით ლურჯი, სუფთა და უძირო იყო“.

მხოცილ კაკაბაძემ ომგადახდილი კაცის
თვლით დაგვანახვა ლურჯი, სუფთა და
უძირო ცა. ამ ცას ვხედავთ უმანკო ბავ-
შვის თვალეში. გახარებული ბავშვის
თვალეში და უღრუბლო ცა ქმნის სიცო-
ცხლის ზეიმის ძლიერ შთაბეჭდილებას
და უნებურად ამოტივტივდება მოგონე-
ბებში ღრმად აღბეჭდილი სურათები:
დაღუბული ბავშვის აკვანი და მასზე
მოშხაბუნე უკანასკნელი წვიმის წვე-
თები.

ჩავეიკითხე წიგნი და კვლავ მის ყდას
დავხედე. მასზე დაგლეჯილი მავთულ-
ხლართები ახატია. არასოდეს რომ არ
განმეორდეს ომის საშინელება — ამი-
სათვის არის დაწერილი ეს პატარა, სა-
ინტერესო წიგნიც.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი.



თხილას თხავე

საინჟინერო მოხსენება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტთან დიდი ხანია არსებობს ფილოსოფიური სემინარი, რომელსაც პროფ. ვ. მამასახლისოვი ხელმძღვანელობს. აქ მრავალ საპრობლემო საკითხზე მოხსენებებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები. სემინარის წევრებმა უკვე მოისმინეს პროფესორების კ. ბაქრაძის, ა. ბარამიძის, პ. ქომეთიანის, დოცენტების ო. გიგინეიშვილის, მ. ზაალიშვილის და სხვათა მოხსენებები.

დიდი ინტერესი გამოიწვია აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მოხსენებამ „ქართული ენის ვინაობის შესახებ“, რომელიც ამასწინათ მოისმინეს სემინარზე.

— კავკასიის მიწა-წყალზე წარმოდგენილია რიგი ინდო-ევროპული ენა, რიგი თურქული, არის სემიტურისა და უნგრულ-ფინურის წარმომადგენელიც, — განაცხადა მომხსენებელმა, — ყველაზე მრავალრიცხოვანია იბერიულ-კავკასიური ენები. 33 ენა ოთხ ჯგუფს ქმნის: ქართველურს, აფხაზურ-ადიღეურს, ჩაჩნურსა და დაღესტნურს. ყველა ამ ენაზე 4.300.000-მდე კაცი ლაპარაკობს, აქედან ქართულად მოლაპარაკეა ნახევარზე მეტი (2.600.000).

ქართული ძველი სამწერლო ენაა; მის განვითარებას შეიძლება თვალი გავადევნოთ 15 საუკუნის მანძილზე (სხვა 11 სამწერლო ენა ახალია, მათი დოკუმენტაცია XVIII საუკუნიდან არის ცნობილი).

ქართული ენის ვინაობა-წარმომადგლო-

ბით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყვნენ დანტერესებული. შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებელი ბოპი ამტკიცებდა, ქართული ინდო-ევროპული ენააო. ნ. მარი ერთხანს დარწმუნებული იყო, ქართული არაბულ-სემიტურის მონათესავეაო. ფრ. მიულერი ქართულს და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებს ძველი მრავალრიცხოვანი ოჯახის ენათა ნაშთად თვლიდა, მსგავსად ბასკურისა დასავლეთში.

ბასკური პირინეის ნახევარკუნძულზე ინდო-ევროპულ ენათა გარემოცვაში იმყოფება, სულ მცირე, ორი ათასი წლის მანძილზე, მაგრამ ინდო-ევროპულ ენად არავის მიაჩნია. ბასკურს მორფოლოგიასინტაქსში ბევრი რამ აქვს საერთო ჩვენს ენებთან (ზმნის უღვლილებაში სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნის წესი, გარდამავალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობითში დასმა ანუ ერგატიული კონსტრუქცია და სხვა). ამგვარმა მსგავსებამ ჰუგო შუხარდტი ბასკურიდან კავკასიურ ენებთან მოიყვანა (კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ქართული).

რიგი სპეციალისტის ყურადღებას იქცევდა ქართულ-კავკასიურ ენათა მსგავსება წინა აზიის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, პროტოხეთურთან და სხვა). ამგვარად, ქართულის ვინაობის საკითხი შინაგანად უკავშირდება არა მხოლოდ მთის კავკასიურ ენებთან ურთიერთობის, არამედ წინააზიის ძველ

ენებთან და ბასკურთან ურთიერთობის საკითხსაც. ამას თავის დროზე ეხებოდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. მარი, რიგი უცხოელი მკვლევარი.

ამ დიდი კულტურულ-ისტორიული პრობლემის მეცნიერულად გადაწყვეტა კვლევა-ძიების სამ დონეს გულისხმობს: 1) ქართულის მთის კავკასიურ ენებთან ურთიერთობის გარკვევას (ამას მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური მონო-

გრაფია და ბევრი სხვა შრომა). 2) იბერიულ-კავკასიურისა და წინააღმდეგობა ენათა ურთიერთობის კვლევას (აქ იბერიულ-კავკასიურისა და ბასკურის ურთიერთობის შესწავლას. პირველი დონის პრობლემა არსებითად გადაწყვეტილია, ორი უკანასკნელი ჯერ კიდევ დიდ მუშაობას მოითხოვს, რომ სწორი აზრი მეცნიერულად დასაბუთდეს. ეს კი შესაძლებელია.

ნ. აბესაძე.

მეოთხედი საუკუნე

1941 წლის 2 მაისი თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დაბადების დღეა.

ომის დღეებში სასახლე მოსწავლეთა სულიერ თავშესაფარს წარმოადგენდა. აქ პოულობდნენ ნორჩები სიხარულს, სწავლობდნენ, როგორ დახვედროდნენ განსაცდელს, როგორ გამოეჩინათ მხნეობა, ამტანობა, სამშობლოს ერთგულება...

ქართველ პიონერთა და მოსწავლეთა რაზმები ეხმარებოდნენ მეზობლთა ოჯახებს, შრომობდნენ თბილისის ახლო რაიონების საკოლმეურნეო მიწებზე, აკეთებდნენ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეეძლოთ ნორჩ ხელებს.

ათი ათასამდე მოსწავლე ახლა ბედნიერების ამ სასახლის სრული ბატონ-პატრონია. მრავალ კაბინეტსა და ლაბორატორიაში იზადება პირველი ცდები, გაბედული ექსპერიმენტები. აქ ვითარდება ბავშვების ფანტაზია. მათ განკარგულებაშია ბავშვთა თეატრი, მხატვრული თვითმოქმედების მრავალი კოლექტივი. ბავშვები უშვებენ საკუთარ გაზეთს „გაზაფხულს“, რომელსაც თვითონვე ბეჭდავენ სტამბაში.

სასახლის კედლებში მრავალი სახელოვანი ადამიანი აღიზარდა. ისინი დღეს მოღვაწეობენ ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში: აშენებენ ხიდებს, თვალწივდენენ ტრამალებში გაჰყავთ რკინიგზა, ქმნიან ახალ მანქანებს, წერენ წიგნებს, ტილოებზე გადააქვთ სამშობლოს ფერები ან კიდევ ჯარისკაცის ფა-

რაჯები აცვიათ და ჩვენს მყუდროებას იცავენ...

აქ აღზრდილ სახელოვან ადამიანთა შორის არიან მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი და ტიგრან პეტროსიანი.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემენ ჩვენი სახელოვანი პედაგოგები. მათი მზრუნველობით ფრთებს ისხამს მოზარდი თაობა და მერე თამამად ეზმება ცხოვრების ფერხულში. სასახლის პედაგოგებს დაუფასდათ კიდევ ამაგი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდებანი — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწისა: მთავარ ქორეოგრაფ რუბენ ჭოხონელიძეს, კომპოზიტორ შოთა ჯოჯუას, სკოლის დამსახურებული მასწავლებლისა: თამარ ალავიძეს, ვახტანგ ქარსელაძეს... აღსანიშნავია ცნობილი მსახიობის, სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელის ნოდარ ჩხეიძის დამსახურება ჩვენი მოზარდი თაობის მხატვრულად აღზრდის საქმეში, რისთვისაც რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

საიუბილეო კვირეული, რომელიც გაიმართა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, დამთავრდა ივნისის დიდი ზეიმით თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში.

პიონერებსა და მოსწავლეებს მიესალმნენ საქართველოს ალკც ცენტრალური

კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქე-
ზია, საქართველოს კომპარტიის ცენტ-
რალური კომიტეტის მდივანი დ. სტუ-
რუა, განათლების მინისტრის მოადგილე
პროფესორი უ. ობოლაძე, ჟურნალ „დი-

ლას“ რედაქტორი პოეტი ჯ. ჩარკვიანი,
თბილისელ თანატოლებს მიესალმუნ
კიევის, ერევნის, რიგის, ორჯონიკიძის
ნორჩი წარმომადგენლები, ქუთაისელი
და გორელი პიონერები.

მ. თხარაძე.

ფესტივალის დაუჩეაზი

სამ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა
„ახალგაზრდული პოეზიის ფესტივალი“,
რომელიც საკავშირო ალკე ცენტრალურ-
მა კომიტეტმა და რადიომაუწყებლობი-
სა და ტელევიზიის სახელმწიფო კომი-
ტეტმა მოაწყო. ფესტივალში მონაწილე-
ობის უფლება ჰქონდათ ახალგაზრდა
პოეტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არ-
იან მწერალთა კავშირის წევრები.

10 მაისს ჩვენი ქვეყნის მილიონობით
ადამიანი უყურებდა საკავშირო ტელე-
ვიზიით დასკენითი ტურის მონაწილეთა
გამოსვლებს. ეკრანზე ერთმანეთს ცვლი-
ან რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, მოლ-
დაველი, ლიტველი პოეტები. აი ჟიური
მიკროფონთან იწვევს ახალგაზრდა ქარ-
თველ პოეტს დილარ ივარდავას და ქარ-
თული ხმაც ემატება მოძმეთა ხმებს.

კონკურსის ჟიურიმ (თავმჯდომარე —
ცნობილი საბჭოთა პოეტი სერგეი ნარო-

ვიატოვი), რომლის შემადგენლობაშიც
შედიოდნენ მწერლები, საკავშირო ალკე
ცენტრალური კომიტეტის, რადიო-მაუწყ-
ებლობისა და ტელევიზიის სახელმწი-
ფო კომიტეტის წარმომადგენლები, დას-
კენითი ტურის 24 მონაწილიდან ექვსს
მიენიჭა ფესტივალის ლაურეატობა. ლა-
ურეატთა შორისაა ქართველი დილარ
ივარდავა, კუიბიშვეელი ანატოლი არდა-
ტოვი, რიგელი მარცელიუს მარტინაიტე-
სი, ვოლგოგრადელი ვასილ მაკეევი, მოს-
კოველი ლარისა ტარაკანოვა, ტიუმენე-
ლი ივანე შულგინი.

ფესტივალის ლაურეატებს გადაეცათ
ფულადი პრემია და დიპლომები. მათი
ნაწარმოებები გამოქვეყნდება საკავში-
რო ჟურნალებში, ხოლო გამომცემლობა
„მოლოდია გვარდია“ ცალკე კრებულად
გამოსცემს მათ ლექსებს.

ს. ქართველიშვილი.

სენაკევიჩის ხსოვნის საღამო

მთელი მსოფლიოს პროგრესულმა კა-
ცობრიობამ აღნიშნა გამოჩენილი პოლო-
ნელი მწერლის ჰენრიკ სენაკევიჩის დაბა-
დების 120 წლისთავი. საზღვარგარეთის
ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურუ-
ლი ურთიერთობის საქართველოს საზო-
გადოების ლიტერატურულმა სექციამაც
მოაწყო საიუბილეო საღამო.

საღამო გახსნა ჟურნალ „მნათობის“
მთავარმა რედაქტორმა გრიგოლ აბაში-
ძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სენაკევიჩის
ნაწარმოებები მსოფლიოს სხვადასხვა ენ-
აზე 1800-ჯერ გამოიცა. ჯერ კიდევ მე-19

საუკუნეში არტურ ლაისტის რჩევით
გრიგოლ ყიფშიძემ თარგმნა სენაკევიჩის
ისტორიული რომანი „ცეცხლითა და მა-
ხვილით“.

ჰენრიკ სენაკევიჩის ცხოვრება და შე-
მოქმედება დამსწრეთ გააცნო თინათინ
კობლატაძემ. სიტყვით გამოვიდა თბილი-
სის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუ-
ტის ლექტორი სტანისლავ რავიჩი.

საღამოს ესწრებოდა პოლონური გაზე-
თის „პოიაზნის“ რედაქტორი მარეკ სენ-
კოვსკი.

ლ. თოდუა.



საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებამ კარგი საჩუქარი მიიღო: დაარსდა და გამოვიდა ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი ყოველთვიური ჟურნალი „სინათლე“ (რედაქტორი ჯ. კეშელავა. სარედაქციო კოლეგია: ლ. იოსელიანი, რ. მამულაშვილი, მ. მანტაკვა, ვ. მჭედლიშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, ვ. ძნელაძე).

ჟურნალი იხსნება სარედაქციო წერილით „ჩვენი სინათლე“. წერილში ნათქვამია ჟურნალის მომავალ ამოცანებზე, მიზანდასახულებზე, გეგმებზე, თუ რა გზით უნდა წარმართოს მუშაობა სარედაქციო კოლეგიამ ავტორთა კოლექტივთან ერთად.

აქვეა დაბეჭდილი ვ. სირაძის, მ. თოფურიძის, თ. ლაშქარაშვილის, ა. გიგომ-

ვილის, ბ. ზიმიანისა და შ. კულულაშვილის მილოცვები და სურვილები ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით.

ჟურნალი აქვეყნებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალებიდან 42 წლისთავისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიას.

მ. ლაშხიას წერილი „ორგზის ორდენოსანი საქართველო“, ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო, კულტურულ მიღწევებზე, მის მოწინავე ადამიანებზე გვესაუბრება.

ჟურნალში წაიკითხავთ მწერლების — ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, სერგი ჭილაიას მისალოც წერილებს.

დაბეჭდილია მოძმე რესპუბლიკების უსინათლოთა საზოგადოებებისა და ჟურნალების მისალმებანი.

დ. თომაშვილი.

ქვეა მხსოვან მეხნიერთან

ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს იულონ ნიკოლოზის ძე ლომოურს. ამჯერად არა ინტერვიუს ასაღებად. მას დაევალა „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით ღვაწლმოსილი მეცნიერისათვის მიელოცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

მეცნიერმა მხურვალე მადლობა გადაიხადა მილოცვისათვის, კეთილი სურვილებისათვის, შემდეგ კი... გადაშალა ჟურნალი, სადაც მოთავსებულია მისი ინტერვიუ. ი. ლომოურმა გვთხოვა გავგვესწორობინა რამდენიმე უზუსტობა, რაც საუბრის ჩაწერის დროს დაუშვა ჩვენმა კორესპონდენტმა:

— ძირითადად ყველაფერი სწორად ჩაგიწერიათ. მაგრამ, პრიანიშნიკოვის ნაცვლად ჟურნალში დაბეჭდილია „ბანიშევესკი“. შესანიშნავი მეცნიერი ფორტუნატოვი მემცენარეობას კი არა, სოფლის

მეურნეობის ეკონომიკას მასწავლიდა. სადაც წერია სიტყვები „შევქმენი“ და „ჩავაბი“, რასაკვირველია, უნდა იყოს: შევქმენით, ჩავაბით... განსაკუთრებით გთხოვთ გაასწოროთ ადგილი, სადაც დაბეჭდილია: „გამოსცა მეტად მდარე ხარისხის სახელმძღვანელო. წიგნში უზღულე-ბელყოფილია ანალიზი და სწორედ ამან განაპირობა მისი კონსპექტური სახე“. ასეთ რამეს მე ვერ ვიტყვოდი წიგნის ავტორებზე, რომლებიც ჩემი უშუალო მოწაფეები არიან. უნდა იყოს: „გამოსცა ძალიან შემოკლებული სახელმძღვანელო, რომელშიაც, მეტად კონსპექტური შინაარსის გამო, უაღრესად შეკვეცილია საგნის თეორიული მხარე და მიწათმოქმედების რთულ მოვლენათა ურთიერთობისი კავშირის ანალიზი“.

რედაქცია საგებით სამართლიანად მიიჩნევს და აკმაყოფილებს სახელოვანი მეცნიერის ამ სურვილს.



საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემია

მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, თეატრისა და კინოს მუშაკების წახალისებისა და დაინტერესების, საბჭოთა ახალგაზრდობის გმირული ცხოვრების ამსახველი მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებების შექმნის, აგრეთვე ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების მიღწევების პროპაგანდისა და პოპულარიზაციის გაძლიერების მიზნით საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტა დაწესდეს საქართველოს კომკავშირის სახელობის ოთხი პრემია ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის საძიებლად წარმოდგენილი ნაწარმოები უნდა იყოს მაღალიდეური, მაღალმხატვრული, შთამაგონებლად მოგვითხრობდეს ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა თაობის, მისი ავანგარდის — ლენინური კომკავშირის გმირულ საქმეებზე ჩვენი ქვეყნის კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, გვიჩვენებდეს ქალიშვილებისა და ჭაბუკების მდიდარ სულიერ სამყაროსა და მაღალ მორალურ თვისებებს, მათ მისწრაფებას ერთგულად და უანგაროდ ემსახურონ ხალხს, პარტიას, ლენინის საქმეს.

პრემიები ენიჭებათ:

— მხატვრული ლიტერატურის, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის (რომანი, მოთხრობა, პოემა, პიესა, სცენარი, ლექსების, კრიტიკული წერილების, ნოველების, ნარკვევების კრებული).

— სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის (მხატვრობა, სკუ-

ლპტურა, გრაფიკა, პლაკატი, დეკორატიული-ჰედური, მონუმენტური ხელოვნება)...

— მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის (ოპერა, ბალეტი, მუსიკალური კომედია, სიმფონია, ინსტრუმენტული კონცერტი, სიმღერა, ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები).

— საუკეთესო საშემსრულებლო ხელოვნებისათვის (თეატრალური სპექტაკლები, მხატვრული და დოკუმენტური, სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი კინოფილმები, რეჟისორულ-საოპერატორო მუშაობა, სამსახიობო ოსტატობა, მუსიკალური ნაწარმოებების შესრულება).

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რომლებიც მოიპოვებენ საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიას, მიიღებენ: ლაურეატის დიპლომს, სამკერდე ნიშანს და ფულად პრემიას 2.000 (ორი ათასი) მანეთის რაოდენობით თითოეული.

საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატის სახელი შეტანილი იქნება საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის საპატიო წიგნში.

საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდების მინიჭებისათვის საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო.

საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიების მინიჭება მოხდება ორ წელიწადში ერთხელ 31 მარტს — საქართველოს კომკავშირის დამფუძნებელი ყრილობის გახსნის დღეს.



არამოდერნიზებული მოთხრობები

პრაქტიკანტი და ნახევარფაბრიკატი

ნახევარფაბრიკატების მთლიან ფაბრიკაში სტუდენტი მივიდა.

სტუდენტს მხოლოდ გამოცდაზე ჰქვია სტუდენტი, ქუჩაში მას გამგელს ეძახიან, ოპერაში — მსმენელს, სტადიონზე — მაყურებელს, ზღვაზე — დამსვენებელს, ხოლო ნახევარფაბრიკატების ფაბრიკაში სტუდენტს პრაქტიკანტი ჰქვია.

ფაბრიკაში პრაქტიკანტს გაუჩნდა იდეა: რა იქნება, რომ ნახევარფაბრიკატი წითელი აგურის ნარჩენებიდან და შავი ძროხის ჩლიქებიდან დავამზადოთ; უფრო ეკონომიური და ეფექტურიც იქნებაო.

საამქროს გამგეს მოეწონა პრაქტიკანტის იდეა, რადგანაც თვით საამქროს გამგეც პრაქტიკანტი იყო.

ფაბრიკის მთავარ ინჟინერს მოეწონა საამქროს გამგის რჩევა, რადგანაც მთავარი ინჟინერიც პრაქტიკანტი იყო.

ფაბრიკის დირექტორს მოეწონა პრაქტიკანტის იდეა, რადგანაც დირექტორს მთავარი ინჟინერი პრაქტიკანტი ჰყავდა.

ტრესტის მმართველსაც მოეწონა პრაქტიკანტის რჩევა, რადგანაც თვითონ აგერ, გუშინ გაათავა პრაქტიკანტობა.

მომხმარებელს არ მოეწონა ნახევარფაბრიკატი, რადგანაც მომხმარებელი პრაქტიკანტი არ იყო. მას ორმოცდაათი წლის წინათ დაეწყო ჭამა.

და ექიმი, რომელსაც გულმედონებული მომხმარებელი მიუყვანეს, პრაქტიკანტიც რომ არ ყოფილიყო, ავადმყოფს მაინც ველარას უშველიდა.

ახ ი ა ჩ ე მ ზ ე

დიდი ხნის წინათ მან დაბეჭდა პირველი სუსტი ლექსი სოფლის შუკაზე, რომელშიც ამტიციებდა; მე ერთი უბრალო ბიჭი ვარო.

მე მომივიდა პირველი შეცდომა და არაფერი არ ვთქვი.

მერე მან დაბეჭდა მეორე საცოდავი ლექსი ბუნებაზე, რომელშიც ამტიციებდა; მე ერთი უბრალო ბიჭი ვარ, მაგრამ ცხოველთა და ფრინველთა ენა მესმისო.

მე მომივიდა მეორე შეცდომა და არაფერი არ ვთქვი.

მერე მან დაბეჭდა მესამე უმწეო ლექსი მთვარეზე, რომელშიც ამტიციებდა; მე მხოლოდ პატარა პოეტი ვარო.

მე მომივიდა მესამე დიდი შეცდომა და არაფერი არ ვთქვი.

მერე მან დაბეჭდა მეოთხე საშინელი ლექსი ცაზე, რომელშიც ამტიციებდა; მგოსნობა ცამ დამავალაო.

მე გავცოფდი და გადავწყვიტე, ყველა ჩემი წინანდელი შეცდომის გამოსწორება, მაგრამ უკვე გვიან არის.

ახლა იგი რედაქციაში მუშაობს, არ დამიბეჭდავს!

რამაზ მიწველამ.



ათმა რედაქციამ განაცხადა უარი ჩემი მოთხრობის დაბეჭდვაზე. მეფიქრებში — ტემ კი მიიღო და დაბეჭდა კიდეც.

„დაიწყო! — ვფიქრობდი მე, როცა ალიარების პირველ საფეხურზე ავდიოდი, — ახლა ხელის ჩამოსართმევად ქებათა-ქების მოსასმენად და ამისთანებისათვის უნდა მოვემზადო“.

შინისკენ მივაბოტებდი და ამაყად მიმქონდა ილიაში ამოჩრილი თითქმის ნახევარი ტირაჟი ჟურნალისა. რა თქმა უნდა, შემძლო მთლიანად მეყიდა (ჟურნალი ვიწრო უწყებრივია და ტირაჟიც ცოტა აქვს). მაგრამ, რაც მართალია მართალია. ფართო მკითხველების წინაშე მეუხერხულა.

შინ მივედი და, სირბილი რომ არ დამეწყო, ტელეფონს მივუჯექი, ვიცოდი მალე აწკრიალდებოდა: ეს მილოცვაო, ეს ისაო...

რომ არ მოგატყუოთ, ზუსტად თერთმეტ საათამდე ვიცადე. მერე ტელეფონის ცნობარი ანზე გადავშალე.

— სალამი და გამარჯობა, მეგობარო! შემთხვევით ჟურნალი „მელიორატორის ხმა“ ხომ არ გაქვს გამოწერილი? იქ ხანდახან გვარიან რამეს წააწყდები. სხვათა შორის, უკანასკნელ ნომერში...

ყველა ჩემი მეგობარი ანიდან ჰამდე ერთი კაცივით შემპირდა, მაგ მოთხრობას უეჭველად წავიკითხავოთ. მაგრამ მთელი კვირა გავიდა და არც ხელის მაგრად ჩამორთმევა, არც ყვავილები...

გულახდილად რომ გითხრათ, ძალიანაც არ გავბრაზებულვარ მათზე. ბოლოს და ბოლოს ყველა ჯიხურში ხომ არ შეხვდები ამ, რა ჰქვია... „მელიორატორის ხმას“.

როცა სტუმრად მივდიოდი თან ხსენებული ჟურნალის ორ-სამ ნომერს გავიყოლიბდი ხოლმე. დავჯდებოდი ერთ-ორ საათს, მერე აჩქარებით ვბრუნდებოდი შინ და... განკებ მაგიწყებოდა ჟურნალი გულკეთილ მასპინძელთან.

ამ ღონისძიების პირველი ცდა უხეირო გამოდგა: გულკეთილი მასპინძლები ფლოსტების ტყაბა-ტყუბით გამომიდგებოდნენ, სადმე ტრამეაის გაჩერებასთან მეწეოდნენ და საზეიმოდ გადმომცემდნენ ხოლმე დავიწყებულ ჟურნალს. მაგრამ მალე ვისწავლე „დავიწყების“ ისეთი ხერხი, რომ მოკეთებები ჟურნალს მხოლოდ მეორე ან მესამე დღეს პოულობდნენ, ისიც სრულიად მოულოდნელ ადგილას.

და მაინც: არც ხელი ჩამოურთმევია ვინმეს, არც თაიგული უბოძებია.

„ეს რა ხალხია? — ვფიქრობდი ჩემს ნაცნობებზე, — მათ ადგილზე სხვები უკანასკნელ გვერდამდე ჩაიკითხავდნენ, მათ კი ერთი საცოდავი მოთხრობის გადაკითხვა ეზარებათ“.

სასოწარკვეთილმა კიდეც ერთი გზა მოვისინჯე, — ყველანი ვახშამზე მოვიწვიე.

— მეგობრებო! — რიხიანად მივმართე, — ვიდრე სუფრას გააწყობდნენ, თქვენს ყურადღებას მივაქცევ ჩვენი ოჯახის საყვარელ ჟურნალ „მელიორატორის ხმას“.

და თითოეულს თითო ეგზემპლარი გადავეცი.

სტუმრები ყურადღებით დააკვირდნენ ყდას. მაგრამ მე მაშინვე ვიგარძენი, რომ ისეთ ხასიათზე დადგნენ, როგორც სპრინტერი სტარტის წინ. ერთადერთი, რაც მათ აინტერესებდათ, ეს იყო ნიშანი: „სუფრასთან!“

ბოლოს და ბოლოს მოთხრობა შენიშნეს: ერთ-ერთმა გაზეთმა საშინელი რეცენზია დაბეჭდა. მე მიწოდებდნენ ლიტერატურასთან ახლო მდგომ ტიპს, ჩემს მოთხრობას კი — არაფრისმთქმელს, წყალწყალას. „მელიორატორის ხმის“ რედაქცი-

„ლევიას ახლობედველობა უსაყვედურეს და ცილი დასწამეს ელემენტარული გემოვნების უქონლობაში. რეცენზიის ავტორმა, კრიტიკოსმა ნეკურიაკმა, ისეთ მწიშვად ლიტერატორად „მომნათლა“, რომ იმავე საღამოს ახლობლებმა და ნაცნობებმა სიბრაღულის ვიზიტი გამიკეთეს.

სხვა გაზეთში მოთხრობას თავს დაესხა პენსიონერი ურჩაკი რუბრიკით — „აი, აი, აი!“ ის წერდა, რომ ჩემი ნაწარმოებთ „ფეხი არ ჩამივა“...

„რის პროპაგანდას ეწვევა ავტორი“ — პათეტურად კითხულობდა ის, — სიყვარული თანაგრძნობის გარეშე? ნუთუ ასეთი სიყვარული ჭირდება ჩვენს ახალგაზრდობას?“

ნიაღვარივით წამოვიდა დებეშები: „კული მაგრად დაიჭი!“ „ნუ იტუქსები, ბერიკაცო!“ „შენი გვეჯერა, მეგობარო!“ სამსახურში მრავალმნიშვნელოვნად მართმევდნენ ხელს და ბეჭებზედაც თანაგრძნობით მიტყაპუნებდნენ ხელებს. ურთიერთდამხმარე საღარომ მხარდაჭერა შემომთავაზა. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელთაც სიტყვა გადამიკრეს დასასვენებელი სახლის უფასო საგზურზე.

და როცა კიდევ ერთმა გაზეთმა დაბეჭდა რეპლიკა სათაურით: „ასეთ მოთხრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე“, ჩვენი სახლის ყველა მცხოვრები კიბეზე მომეგება. ერთმა მეზობელმა თავისი ქმრის ნამალევად თაიგულიც კი მომცა, არ დამივიწყო.

მე ასობით დანტერესებული ადამიანის გამოხედვას ვიჭერდი, ბავშვებს ავტოგრაფებს ვაძლევდი, ნისიად ვსადილობდი დიეტურ სასადილოში და უზიღეთოდ შევდიოდი სტადიონზე.

დღეს მეორე მოთხრობა დავწერე და ერთ-ერთი პოპულარული ჟურნალის რედაქციაში მივიტანე. და რუგორ ფიქრობთ? თვითონ რედაქტორი წამოღდა ჩემს შესახვედრად და როგორღაც მითხრა:

— ჩემი აზრით, შენ მადლობელიც უნდა იყო კრიტიკისა და პენსიონერებისა. როგორ გამოგაჩინეს! შენს ადგილზე მე ყველას თითო შამპანურს ვუყიდდი.

რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი მართალია. რატომ ექვსი არ უნდა ვიყიდო?

გასტრონომში შევდივარ, შამპანურს ვყიდულობ, შინ მიმაქვს და... მე თვითონ ვსვამ. რატომ? იმიტომ რომ: კრიტიკოსი ნეკურიაკი, პენსიონერი ურჩაკი და რეპლიკის ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა... მე გახლავართ.

იური პროკოპენკო.

უცნაური სიზმარი

მოთხრობა

მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გაატარა სერგომ, კოშმარულ სიზმრებს ხედავდა. ხანდახან აბოდებდა კიდევ. გულგანეთქილი ცოლი ხელს კრავდა — აღვიძებდა:

— სერგო, სერგო. რა მოგივიდა, კაცო!

— ა! რა იყო... რა უნდა მომხვლოდა. რა გააჭირვ საქმე.

სერგო გვერდს შეიცვლიდა და შიშით უბრუნდებოდა სიზმარს. სიზმარი კი მუ-

დამ ერთიდაიგივე იყო: სერგოს გამოცეხადებოდა ღვთის სამოსელში გამოწყობილი დირექტორი, ლოვინიდან წამოაგდებდა პერანგისამარას და ვარსკვლავებოსკენ გააქანებდა. თვითონ ნამგალა მთვარეზე შემოჯდებოდა და სერგოს მივლინებით გზავნიდა ვარსკვლავეთში: „შეამოწმე, მართლა თუ არ კვეთენ ერთმანეთს პარალელური ხაზები უსასრულოებაში და მომასხენე!“

„ექვთიმოჩი, მაგას რა შემოწმება უნდა,

გეომეტრიაში ხომ ვისწავლეთ — აქსი-
ომაა, ექვთიმოში!“ — ევედრებოდა სერ-
გო და გულზე სკდებოდა, რომ დირექ-
ტორს მამის სახელით მიმართავდა.

ერთხელ არც ღმერთ-დირექტორს ეს-
იამოუნა ეს, თუთრ წვერზე ხელი ჩამო-
ისვა და წარბი შეიკრა: „ვინაა შენი ექვ-
თიმოში? გასწი ახლავე, თორემ შენს ბუ-
რღლას ვერ ნახავ სამსახურში!“

სხვა რა გზა იყო, დაადგებოდა იმსიგ-
რძე პარალელურ ხაზებს და მიქანაობდა
წყვედიადში. სამყარო, როგორც ცნობი-
ლია, უსასრულოა. უსასრულობის შემო-
ვლას უსასრულოდ დრო უნდა.

„ვაიმე, ცოლ-შვილო!“ — კვნესოდა
სერგო და როცა ცოლი ხელს ჰკრავდა,
ელვითებოდა.

ახლაც მოეჩვენა, რომ ხელი ჰკრეს.

მიიხტედა: ცოლის ლოგინი ცარიელი
იყო.

სერგომ ფანჯარაში გაიხედა. მზე მო-
პირდაპირე სახლის მეხუთე სართულის
ფანჯრებს აბრწყველებდა. შენობა კ-
რეფსართულიანი იყო. სხვა დროს სერგო
გულისხმეობით წამოვარდებოდა ლოგი-
ნიდან, ახლა კი აუღლეუბლად გადაიტა-
ნა მზერა ჰერზე და გაიჩინდა. საერთოდ,
სერგო მაშინ დგებოდა, როცა მზე მერ-
ვე სართულის ფანჯრებს გაანათებდა.

დღეს მთელი სამი სართულით იგვიან-
ნებდა სერგო.

იგი უცნაურ გუნებაზე იყო, ყველაფე-
რი ვუცხოვებოდა: ეს დილაც, მზე რომ
ასე ანათებდა და არა სხვანაირად, ფანჯ-
რიდან რომ ასეთი პანორამა მოჩანდა და
არა სხვაგვარი... საწოლი ოთახის კედ-
ლებზე რომ ცისფერი შპალერი იყო გაკ-
რული...

ახლა, ამ წუთში, ათასობით და მილი-
ონობით ადამიანი სამსახურისკენ მიიჩ-
ქარის. ასე იყო გუშინ, გუშინწინ, იმის
წინ... ასე იყო და არა სხვაგვარად, ასე
იყო და ასე იქნება.

ვცხოვრობთ ჩვენს პატარა ოჯახში, პა-
ტარა ქალაქში, პატარა დედამიწაზე... სა-
მყარი კი უსახლვროა, უნაპირო...

სერგო შეეცადა წარმოედგინა უსას-
რულო სამყარო. ვერ შეძლო. ხანდახან

ექვცი კი ეპარებოდა სამყაროს-უსასრუ-
ლობაში. ისე კი სჯეროდა, რომ უსასრუ-
ლო იყო.

„დაფუშვათ, სამყარო არ არის უსას-
რულო. მაშასადამე, დასასრული აქვს.
ხოლო თუ სამყაროს დასასრული აქვს,
როგორც რეზინის ბურთს, რა არის იმის
ოქით? სივრცე? კი, მაგრამ სივრცეც
ხომ სამყაროს კუთვნილებს? აქედან
ლოგიკური დასკვნა: სამყარო უსასრუ-
ლოა იმიტომ, რომ დასასრული არ
აქვს“, — ასე მსჯელობდა სერგო.

„რანი ვართ ჩვენ, ადამიანები, ამხელა
უსასრულო, უკიდვანაპირო სამყარო-
ში“? — ჰკითხა მან ამ დილით საკუთარ
თავს და ფრიად დამალონებელი პასუხა
მიიღო.

— სერგო, აღარ ადგები, კაცო? —
მოესმა მეორე ოთახიდან.

სერგომ ხმა არ გასცა.

მან სასაცილოდ მოეჩვენა ყველაფე-
რი: ადგომა, ჩაცმა, პირის დაბანა, შემ-
შრალემა. სამზარეულოში მუშაობაგადა-
ფარებულ მაგიდაზე ჩაის დალევდა ძეხვი-
თა და კარაქიანი პურიით. მერე კვლავ
ადგომა, მერე ტანისამოსის გამოცვლა...
მერე... ჰმ!

— სერგო, რა გჭირს, ავად ხომ არა
ხარ?! — ცოლი შემოვიდა, საწოლზე ჩა-
მოჯდა და მუხლზე ხელისგული დაადო.
სერგოს ამგვარი მზრუნველობაც სასა-
ცილოდ მოეჩვენა.

„რა მნიშვნელობა აქვს, — გაიფიქრა
მან, — სიცხე მაქვს, თუ არა მაქვს. რა
სასაცილონი ვართ ჩვენი მიკროსკოპული
განცდებით. გინდა სიცხე მქონდეს, გინ-
და საერთოდ არ ვიყო — რა შეიცვლე-
ბა მაგით? ჰე, ჰე!“

— ხმა ამოიღე, კაცო. სამსახურში თუ
ვერ წახვალ, დაერეკავ...

წარმოუდგენელ უაზრობად ეჩვენა
სერგოს ცოლის სიტყვები.

„მიდი სამსახურში დაახლოებით 9 სა-
ათზე, მოაწერე ხელი ყურნალში, დაჯე-
ქი კიდებშემოცვეთილ მაგიდასთან და
იკითხე მილიონი სისულელე. მთელი
შვიდი საათი. ყოველდღე, ყოველდღე...
დაუჩრეკო კი არა!“

— სერგო! — შეევედრა ცოლი.

სერგომ მშვიდად მიაპყრო თვალი ცოლს, ცოლმა იგრძნო, რომ მიუღწეველ უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა.

— გადი გარეთ, — წყნარად თქვა სერგომ და მზერა ცოლიდან კვლავ ქერზე გადაიტანა.

ცოლს თვალის გულები გაუფართოვდა, ქვედა ტუჩი მოიკვინტა, უკან-უკან დაიხია და გავიდა ოთახიდან.

„ჰკონია, რომ გავვიყდი, — გაიფიქრა სერგომ, — ეგონოს მერე. ბოლოსდა-ბოლოს, ჰკვიანსა და გიჟს ერთი ფასი აქვს... დარეკავს ახლა ფსიქიატრიულში! სერგოს მოეჩვენა, რომ ცოლმა ყურმილი აიღო.

— ნათელა! — იყვირა სერგომ და, როცა ცრემლმორთულმა ცოლმა კარი შემოაღო, შთამავგონებლად უთხრა:

— არ გაბედო დარეკვა!

— სად, სერგო?!

— არც იქ და არც იქ... — მეტის თქმა დაეხარა სერგოს, გვერდი იცვალა, ცოლს ზურგი შეაქცია და მოპირდაპირე სახლის ფანჯრებს მიაპყრო მზერა. მზე კიდევ ერთი სართულით ჩამონაცვლებულიყო დაბლა.

— გაიხურე კარი და სანამ არ დაგვიძახოთ, არავინ გაბედოთ შეწუხება! — თავმოუბრუნებლად თქვა სერგომ და კვლავ ფიქრებში ჩაიძირა.

საკვირველი განცდა ჰქონდა: თითქოს ძალიან მაღლაც იყო და ამავე დროს სწავლაც ჩაკარგული, უზომოდ პატარა; მნიშვნელოვანიც იყო და უმნიშვნელოც...

ის, რასაც დღევანდელ დღიამდე აკეთებდა, უზარობდ, დროის დაკარგვად ეჩვენებოდა. მას გაახსენდა, რომ არასოდეს გასჩენია რამე არაჩვეულებრივის, დიადის გაკეთების სურვილი. თუმცა ის „დიადიც“, კოსმიური მასშტაბით თუ მიუღწევად, საბოლოო ჯამში ისევე უმნიშვნელო ჩანდა, როგორც ყოველდღიური წვრილმანი რამ.

თუნდაც კაცობრიობის ისტორია ავიდოთ. ვამაყოფთ სპილოს ძვლისგან გათლილი ტუალეტის კოვზით, რომელიც ჩვენს ერამდეა შექმნილი და ხელოვნ-

ბის შედევრად მიგვანჩნია. „ჩვენს ერამდე!“ რაა მერე? ერთი წამია საწყევლს თვის, არც კი. ადამიანის ცხოვრებასა ერთოდ, რა სათქმელია, ხოლო ინდივიდი... ინდივიდუალური, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არსებობს დროში. შვიდი სასწაული, პართენონი, სიქსტის მადონა და ვენერა მილოსელი — ამ ილუზიებით ვიცვებებით. ვინახავთ საღდაც ნაპოვნ მუმიებს, ველოლიავებით პირამიდებს, უბრალო დოქებს და ქვაბებს ვანიჭებთ რაღაც განსაკუთრებულ ღირებულებას. რატომ მერე?

დრო კი თვეზივით სსლტება ხელიდან. უჩუმრად მიიპარებიან დღეები, თვეები, წლები.

სახლი — სამსახური, სამსახური — სახლი!

სერგო წამოხტა, დამტვერილი თაროდან სტუდენტობაში შემთხვევით ნაყიდი წიგნი გამოაძრო, მაგიდას მიუჯდა და კარვა ხანს ფურცლა... მერე თაბახის ფურცლებზე ფაქიზად გადმოიწერა:

„მე ვიწყებ იმის შემეცნებას, თუ როგორი ვარ მე!“

დეკარტე. „მეტაფიზიკური განაზრებანი“.

ცოტა ხანს უყურა, არ მოეწონა ამგვარი ეპიგრაფი და წაშალა.

დიღხანს გამტერებელი უყურებდა ფანჯარას. მერე წერას შეუდგა:

„ყურადღება!

ყველაფერი დღესავით ხათელია. თვლებს ლიბრი ჩამოვაფხიკე!“... დიღხანს წერდა სერგო. აინუნშიც არ მოსდიოდა, რომ მზემ რახანია მოპირდაპირე სახლის ბელეტაჟის ფანჯარაში შეანათა: არც ის შეუთმინეცია, სამსახურში წასვლისას როგორ შემოვიდა ცოლი ფეხაკრეფით, ჩაი და კარაქიანი პური მაგიდაზე დაუდო და უჩუმრად გავიდა.

მზემ რომ ფანჯარაში შემოიჭვრიტა, სერგომ უკანასკნელი ძახილის ნიშანი დასვა და გაიშმორა: ძვლებმა სულ ჭახა-ჭუხი ატეხეს.

მისდაუნებურად ძველებურ კედლის საათს მიაპყრო მზერა: უზარმაზარი ქანქარა მონოტონურად ირხეოდა და გულ-

გრილად ითვლიდა წამებს. სერგო არასდროს არ უჭერებდა კედლის საათს, ეჩვენებოდა, რომ იგი უფრო ზანტი იყო, ვიდრე ეს ნამდვილ, თანამედროვე საათს შეეფერებოდა.

კედლის საათზე პირველს წუთები აკლდა.

სერგომ მაჯის საათი მონახა და დახედა. დაახლოებით იგივე დრო იყო, რაც კედლის საათზე.

სერგომ ახლად მიაქცია ყურადღება ტელეფონს, რომელიც თავს იკლავდა მუზონბელ ოთახში.

აუჩქარებლად გავიდა და ყურმილი აიღო:

- ალო, გისმენთ...
- სერგო ხარ?
- ალბათ;
- რა ბრძანეთ?
- ჰო, სერგო ვარ.
- სადა ხარ, კაცი, ირაკლიმ ბარე ათჯერ გიკითხა. ავად ხომ არა ხარ?

- არა.
- მერე?
- რა მერე?
- შენ, თუ ძმა ხარ, ხომ არ გააფრინე?

- რომელი ხარ შენ?
- ანტიქრისტი. გედეონი ვარ. ვერ მიცანი: ისმეც რა გითხრა!
- აა, გედეონ! რავე ხარ, ბიჭო? რაზე დარეკე?

- გადამრევს ეს კაცი. მარსზე ხომ არ იყავი ამ დღით?
- კი, ვიყავი.
- რას მაიმუნობ. დაგავიწყდა, დღეს სიები რომ უნდა შედგეს?
- აუჰ! გედეონ!
- მაღლობა ღმერთს!
- ვის?

— მორჩი ახლა ღლაბუცს და გამოფრინდი...

სერგომ გაოგნებულმა დადო ყურმილი და დაფიქრდა: „სიები. სიები დგება...“

მაჯისა და კედლის საათებში ზუსტად ცამეტი საათი და ნოლ-ნოლი წუთი იყო. „იქ“ ახლა წესით და კანონით შესვე-

ნება იწყება, მაგრამ ღირექტორს სწორედ მაშინ ახსენდება, რომ მათგან უნდა იყოს არაანორმირებულია ღმკეცმა არ იცის, რომელს დაიბარებს კაბინეტში. თანაც ეს სიები.

სიებს ზშირად ადგენდნენ დაწესებულებაში. ხან რისთვის და ხან რისთვის. რა მიზნითაც არ უნდა შემდგარიყო სიები, ყველა არანახული ენთუზიაზმით ეწერებოდა.

ახლანდელი სიების მიზანი არც ერთმა არ იცოდა, არც სერგომ, მაგრამ განზე ხომ არ დარჩებოდა. რა იცი, რა სიებია. ამას წინათ, სერგო რომ მივლინებაში იყო, კარგა მოზრდილი სია შეუდგენიათ, ქალაქგარეთ სააგარაკოდ ინდივიდუალური მიწის ნაკვეთების გამოყოფის თაობაზე.

კაცმა რომ თქვას, სერგოს მაინცდამაინც არასოდეს უგრძნებია სააგარაკო ნაკვეთის საჭიროება, მაგრამ იმ სიაში რომ არ შეიტანეს, სულის სიღრმემდე შეურაცხყოფილი დარჩა.

სიტყვაც კი თქვა კრებაზე: „ამხანაგებო, აქ რაღაც სიები შემდგარა („რაღაც სიები“ განსაკუთრებული ინტონაციით თქვა). ჩვენ კი საქმის კურსში არ ჩაგვაყენეს... მეტი რომ არაფერი ვთქვათ, ეს არასერიოზული დამოკიდებულებაა, არაკოლეგიალობა“... და ა. შ. რა იცი, რა სია დგება!

სერგომ გაიგონა, როგორ გაიღო სადარბაზო შემოსასვლელი: ცოლი მოვიდა სამსახურიდან შესვენებაზე.

სერგოს თვალში გარშემო მდებარე საგნებმა ნელ-ნელა დაიბრუნეს თავისი მიწიერი მნიშვნელობა: კედლის საათმა, საწერმა მაგიდამ, წიგნების თაროშ. მობირდაპირე რვასართულიანი სახლიც ისეთ სახლად იქცა, როგორც შეეფერებოდა.

აღარც ის მოჩვენებია სასაცილოდ, ცოლმა რომ შიშით შემოაღო საწოლი ოთახის კარი და საყვედურით შეავლო თვალი გაციებულ ჩაის.

— მოხვედი, ნათელა? — უადგილოდ ჰკითხა სერგომ და საჩქაროდ დაუმატა: „საუზმე-გააწყვე, თუ ქალი ხარ... ასე ნუ

მიყურებ, მოხსენება მქონდა დასამთავრებელი.

ცოლი გახარებული გავიდა და სამზარეულოში აფუსფუსდა.

„ვერასდროს ვერ მიხვდება, რა მოხდა, — გაიფიქრა სერგომ, — ალბათ ვერც მე“...

სწრაფად დაიბანა ხელ-პირი, ტანსაცმელი გამოიცვალა და მაგიდას სასაუზმოდ მიუჯდა. ცოლმა ჩაი დაუსხა, ორი კოვზი შაქარი ჩაუყარა ტიქაში და თვითონაც ჩამოჯდა მაგიდასთან. კმაყოფილი უყურებდა ქამით გართულ ქმარს.

სერგომ შეხედა და გაიღიმა. ცოლმაც გაუღიმა. მის თვალეში ექვოს უკანასკნელი ნაკვესიც ჩაქრა.

— ბავშვი დატოვე ბაღში? — ჰკითხა სერგომ და გაიფიქრა: „რა ტუტუცი ვარ, ღმერთო ჩემო“...

მას აღარ უნდოდა ეფიქრა ამდილან-

დელ სერგოზე, გახსენებაც აღარ უნდოდა.

„ბაღლივით მოვიქეცი“...

ცოლ-ქმარი უსიტყვოდ, უთქმელად შეთანხმდა: არც ერთი სიტყვა არ თქმულა დილანდელზე და ალბათ, არც არასდროს ითქმებოდა.

სერგო ცოლის უზომოდ მადლიერი იყო და ათჯერ მეტად უყვარდა ამ წუთში. საუზმეს რომ მორჩა, საწოლ ოთახში შევიდა, მაგიდიდან ჩანაწერები აკრიფა, შუაზე გაკეცა და ილღაში ამოიღო.

— გაერბივარ, — უთხრა ცოლს და კიბეზე ჩაირბინა.

ცოლმა კიბის თაემდე გამოაცოცლა.

ქუჩაში გამოსული სერგო პირველთვე ურნასთან შეჩერდა, შუაზე გაკეცილ ქალღებებს შიგ გადაუძახა და ჩვეული სიმსუბუქე იგრძნო.


ლევან ჩანტლაძე.

საქმროების მხიარული ბაზრობა

ყოველ შემოდგომაზე, ატლასის მაროკოს მაღალი მთების ძირას, წმინდა სიდი-ახმედის აკლამისაკენ მიემართებიან ქარაგნები. მხედრები აქ თავს იყრიან ყოველი მხრიდან. აქლემებსა და ცხენებს მოხსნიან საპალნეებს, დადგამენ ფერად-ფერად საჩრდილობელ კარგებს და დღის ბოლოს ბანაკი უკვე გაშლილია, დღესასწაულის დაწყებაც შეიძლება. პირველყოვლისა, კარგების „ქუჩებში“ ჩამწკრივდებიან ახალგაზრდა მხედრები, რომლებიც ნიშნის მიცემაზე დეზებს შემოჰკრავენ ცხენებს, მოწყდებიან ადგილს და გასწევენ იქით, სადაც მათ ელიან მკაცრი მოსამართლენი — ქალიშვილები მშობლებითა და ნათესაგებით. ისინი შეაფასებენ ჯირითს, ცხენიდან სროლის სიმარჯვეს, ძალასა და მოხერხებულობას. ეს ჩვეულებრივი შეჯიბრი როდია. აქ თასს ან ჯილდოს კი არ მოიგებ, არამედ... საცოლეს. თუ თავს გამოიჩენ, როგორც ნამდვილი ვაჟკაცი, შეიძლება საქმროდ ავირჩიოს ყველაზე ულამაზესამა. ასეთია ბერბერთა აიტ-ხადიდის ტომის ტრადიცია. ქმრის არჩევანში გადამწყვეტი სიტყვა ქალს ეკუთვნის. უხსოვარი დროიდან ამ მუსულმანურ ქვეყანაში აღნიშნული ტომის ქალები უჩადროდ დადიან.

„საქმროების ბაზრობა“ ერთ კვირამდე გრძელდება. ცხენოსნობაში შეჯიბრის სცვლის ქალთა ცეკვები, საღამოს სიმღერებიც გაისმის.

კვირის დასასრულს იმართება ქორწილები. თუ მოხუცებს დავუჯერებთ, ყველაზე მტკიცეა ის შეუღლება, რომელიც ამ დღესასწაულის დროს მყარდება.



უიწყასი

დიდი წარმატებანი, ახალი ამოცანები	3 გვ.
მილოცვები და სურვილები:	
ნიკოლოზ მუსხელიშვილი	3 გვ.
სერგეი ბარუშდინი	4 გვ.
ილია ვეკუა	4 გვ.
ვაცლავ ჩიჩინი	5 გვ.
როინ მებრეველი	6 გვ.
გივი ზაუბაშვილი	6 გვ.
პროკოფი ნოზაძე	7 გვ.
ნანული ჩიჩქაიშვილი	7 გვ.
კონსტანტინე გამსახურდია	8 გვ.
ალეო მირცხულავა	8 გვ.
ლავროსი კალანდიაძე	9 გვ.
მურმან ლეგანიძე	9 გვ.
ნოდარ ლუგაძე	10 გვ.
ჯანსუღ ჩიჩქაიანი	10 გვ.

პროზა და პოეზია

პარლო კოგარიძე — ჩემო ცაბახსნილო მინახო (მოთხრობები)	11 გვ.
რეზო ამავუშაძე — ლექსები	40 გვ.
ვიორგი სანადირაძე — სიყვარული (მოთხრობა)	44 გვ.
ზონდო კეზელავა — ორი ლექსი	48 გვ.
ივანე ცხორვაგოვი — ვული (ლექსი, ოსურიდან თარგმნა იორამ ქვერტელიძემ)	50 გვ.
„ცისკარი“ ბავშვებს	
მარიჯანი — შიო მღვიმელი (ლექსი)	51 გვ.
ვიორგი კახანიძე — ჩიტის ბუდე არ გაგონოთ (ლექსი)	52 გვ.
არნო მნელი — ძია შიო (ლექსი)	53 გვ.
კუკუში გოგიაშვილი — გია (ლექსი)	54 გვ.
გივი ვივინაძე — ორი ლექსი	55 გვ.
როდონ ქორძია — აგური (მოთხრობა)	57 გვ.
ლავრენტი ვივინაძე — ჩიტმა გადლოვა უთხრა (მოთხრობა)	61 გვ.
დოდო ვადაკორია — ორი ვიქო (მოთხრობა)	63 გვ.
დავით ჯაფარიშვილი — ბიძა სევა (მოთხრობა)	65 გვ.
მეთევეან ვილაშვილი — მძინარე გვირილა (მოთხრობა)	69 გვ.
ვასტანო კახაძე — კოპიტი (მოთხრობა)	70 გვ.

ლიბრეტოები

გრიგოლ ხარხელიძე — გრიგოლ ავაშიძე	72 გვ.
-----------------------------------	--------

რუსთაველის ნაქალაქი

შალვა ხიდაშელი — მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა	92 გვ.
რევაზ ბარამიძე — რუსთაველის წინა ეპოქის კომეტური კულტურა	96 გვ.
გიორგი არაბული — „წმინდა რამ აუთვლავდება“	103 გვ.
ლილა დათიშვილი — ერთი სიტყვის გაგებინათვის „მეფისწყაოხანი“	109 გვ.

ჩვენი ახალგაზრდობის შემოგება

ლალო გუდიაშვილი — ფიგურა და ცემენტება



ხელოვნება

გიორგი მდივანი — ვხედავდით მთავარ მიზანს 119 გვ.

ლუპარაკობენ ჩვენი სფეროები

გიუმთაო შტანი — ათას ერთი საათი ლედვის ხის ჩრდილში
(თარგმან რევან ჭაფარიძემ) 122 გვ.

მწერლის ოსვებობა

ლაშარა ნოზაძე — სიტყვა და მწერალი 127 გვ.

წიგნების საყაროები

- მეზარ კვიტიანი — წიგნის დაბადება 136 გვ.
- ჯუზუა ლუგაშვილი — მდივანი და მრავალფეროვანი 138 გვ.
- დავით ავაშიანი — მართალი სიტყვა 140 გვ.
- გურამ ხათიაშვილი — მოგზაურობა და... კომედი 141 გვ.
- რევაზ მახარაძე — პირველი ფიგურები პირველ წიგნზე 143 გვ.
- თეიმურაზ ჯანგულაშვილი — სხვანაირად წვიმდა იმ დღეებში 145 გვ.

თქიდან თქველ

- სინტაქსი მოხსენება 147 გვ.
- მეოთხედი საუკუნე 148 გვ.
- ფესტივალის ლაშქრები 149 გვ.
- სენაკების ხსოვნის საღამო 149 გვ.
- „სინათლე“ 150 გვ.
- კვლევა მხტომან მცინეიტან 150 გვ.
- საქართველოს კომპარტიზმის სახელობის კრებები 151 გვ.

„კოლა“

- რევაზ გიგინეიძე — არამოდერნიზებული მოთხრობები 152 გვ.
- იური ჰოლოპინოვი — ანბანი განდევნისა (მოთხრობა) 153 გვ.
- ლევან ჩანტაძე — უცნაური სიზმარი (მოთხრობა) 154 გვ.
- საქართველოს მხარული ბავრობა 158 გვ.

გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელის | ქურონალი გაფორმა თენგივ სამსონაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი, № 91.

ბელმფონები: რედაქციის — 5-08-35, 3/88 მდივნის — 5-08-88, განყოფილებების: პოეზიისა და პროზის, კრიტიკისა და გიგლოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VII-66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით-ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 2315. უფ. 03163. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 11.000.

საქ. კვ ცვ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფანი 60 კპ.

f163/187



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 70236